

სხანი უმჯობესი

ახვისტომ-სექტემბერი 2009 №52
ფასი 5 ლარი

ისტორიები

მამუკა ჯაფარიძე

სალომე კიკალაიშვილი

არტისტული სამოთხე

დავით ბუხრიანიძე

ლესბინა

არეზო ლავი

საეზაროები

იმობზაურა საქართველოში

არჩილ ქიქოძე, ანა კორძია-სამადაშვილი, ვაჟა გიბაშვილი, მაია სარიშვილი, გივი შავნაზარი, აკა მორჩილაძე

დისკუსია

არტი და პოლიტიკა

კომენტარები

რუსოფობია –
დასავლეთის საზღვარზე
გიორგი ბეზარია

ორი ენაი ომზე
ზურაბ ჟიჟინაძე
ემზარ ჯგერენია

ლიტერატურა

ბაბრიელ ბარსია მარქსი
ბიან მირზაშვილი
ინა არჩუაშვილი
თემურ კობახიძე

ISSN 1512-2220



9771512222006



ყველაზე ხელსაყრელი პირობები ჰუმინგით სახგებლობისას:



ჰაოსიანი

- დაზოგეთ 50%-მდე ჰუმინგში ექსპონისა და აზიის ქვეყნებში
- დაი დაის აბონენტთათვის ჰუმინგის აქტივაცია უფასოა
- ჯეოსელის აბონენტთათვის ჰუმინგის დეპოზიტის თანხა მხოლოდ 100 ლაჩია



დააზღვიეთ მანქანა და მოიგეთ მეორე



იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაასრულოთ დავა ამ საკითხზე, დააზღვიეთ მანქანა და მოიგეთ მეორე.

წელს, სადაზღვევო ისტორიაში პირველად, ხოლო ალდაგი ბისიას ისტორიაში უკვე მეორედ, სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისია იდეალურ შანსს გაძლევთ მეორე ავტომობილის მფლობელი გახდეთ და ამ გზით სამუდამოდ გადაჭრათ ოჯახში „ერთი მანქანის პრობლემა“.

ალდაგი ბისია პირველი სადაზღვევო კომპანიაა ისტორიაში, რომელმაც გათამაშების პრინციპს მიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელმა გათამაშებამ კომპანიის გაყიდვებიც მნიშვნელოვნად გაზარდა და მომხმარებლების კმაყოფილებაც.

ბევრ ოჯახში მეუღლეებს ერთი მანქანა ჰყავთ და არ ყოფნით. დროა შეწყდეს კამათი იმაზე, თუ რომელ დღეს, რომელი მეუღლე წაიყვანს მანქანას. თუკი გყავთ მანქანა, რომელსაც მეუღლესთან ვერ ინანილებთ და ამის გამო ოჯახში მუდამ კონფლიქტური სიტუაცია გექმნებათ, მორჩით დავას! მიიყვანეთ ავტომობილი ალდაგი ბისიაში 12 სექტემბრამდე, დააზღვიეთ და გახდით გრანდიოზული გათამაშების მონაწილე, მოიგეთ მეორე ავტომობილი თქვენი მეუღლისთვის და ოჯახში „ერთი მანქანის პრობლემა“ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეთ.

წელს კომპანია გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობს მომხმარებლებს. თუკი შარშან გათამაშებაში მონაწილეობას მხოლოდ ის ადამიანები იღებდნენ, ვინც მანქანას გათამაშების პერიოდში დააზღვევდა, წელს მოგების შანსი მათაც აქვთ,

ვისაც წინა გათამაშებიდან ანუ 27 სექტემბრიდან მოყოლებული აქტიური აქვს სადაზღვევო პოლისი ან 12 სექტემბრამდე გაააქტიურებს.

განსხვავებულია ბილეთის გაცემის პროცედურაც. წლის განმავლობაში ვისაც მეტი პრემია აქვს შეტანილი კომპანიაში, ის ყველაზე მეტ ბილეთს მიიღებს. ყოველ \$150-ზე თითო ბილეთი გერგებათ. ის კი, ვისაც ან დავალიანება აქვს, ან პოლისი გაუქმებული აქვს, გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

და კიდევ ერთი და ყველაზე საინტერესო ნლევანდელი სიახლე ის არის, რომ პრიზები ბევრად უფრო განსაცვიფრებელი და მოულოდნელია! თამაშდება 2 ჯიპი. 2 ყველაზე უსაფრთხო ავტომობილი თქვენი ოჯახისათვის. Toyota Prado და Land Rover Discovery. არანაკლებ საინტერესოა სხვა პრიზებიც. ალდაგი ბისია განუმეორებელ შანსს გაძლევთ, განუმეორებელი დრო გაატაროთ თქვენს მეუღლესთან ერთად. თამაშდება ევროტური (ესპანეთი, პროტუგალია), 14-დღიანი საგზური მალდივებზე და ყველაზე მთავარი და გრანდიოზული – ვიზიტი რიოს კარნავალზე!

გრანდიოზული იქნება პრიზების გათამაშებაც. 12 სექტემბერს კომპანია კორპორატიულ ივენთზე, გათამაშების ყველა მონაწილეს დაპატიჟებს. გათამაშება ღია ცის ქვეშ შამპანურისა და ცნობილი მომღერლების თანხლებით ჩაივლის.



ԵՐԵՎԱՆԻ ԲՈՒՍԻՆՆԻ
ԼՈՒՆԱԳՐԱԾԱՅԻՄ ՄԻՋՅԵՆՈՒ

ALDAGI BCI
INSURANCE COMPANY

ՆԻ ԸՆԹԱԽԱՆՈՒՄՈՒՄԻ!

ԸՆԴՈՒՄԵՆՈՒՄԻ ԲԱՏՎԱՆԱ ԸՆ

ԻՐ ՆՈՒՄԵՐՆԵՐԻՆ ԶՈՐԹՈՒՄ ԶՈՒՄԻՉ



ԸՆԴՈՒՄԵՆՈՒՄԻ ԲԱՏՎԱՆԱ

ԶՈՐԹՈՒՄ ԶՈՒՄԻՉ



აქ ყველასთვისაა ნამდვილი დასვენებისთვის!



www.lopota.ge







გარეკანზე: მამუკა ჯავახიძე
ფოტო: დავით მესხი

მთავარი რედაქტორი:
ნინო ლომაძე
ადმინისტრაციული რედაქტორი:
ნინო ჯავახიძე
არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი: ნინო სვანიძე
კორექტორი: ნინო საითიძე
ნომერზე მუშაობდნენ: თამარ ბაბუაძე, გიორგი მისურაძე, სალომე კიკალაიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, დავით ჩიხლაძე, თეო ხატიაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი გვახარია, ლანა ლოლობერიძე, დავით კოვზირიძე, გიორგი ცხადაია, ზურაბ კიკნაძე, ემზარ ჯგერენაია, არჩილ ქიქოძე, ვაჟა გიგაშვილი, მაია სარიშვილი, გივი შაჰნაზარი, აკა მორჩილაძე.
ფოტო: დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, მარიკა ქორიაშვილი, ქეთო ცაავა
ილუსტრაციები: მაია სუმბაძე
დისაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა:
ლელა შუბითიძე
სარეკლამო განყოფილება: ნესტან ავალიანი
დისტრიბუცია: ზვიად შენგელია

გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი
გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326 ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
სხვა გამომცემები: ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელეტი.
სტამბა: შპს „სენანი“, თბილისი, წერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან © "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამოცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

სხალი შოქოლადი

N52, აზვისტო-სექტემბერი 2009

	10	რედაქტორის წერილი
	12	ჩვენი ავტორები
	14	გამოხმაურება
მიმოხილვა	18	ადამიანის არქიტექტურის ფოტოგრაფიული დეტალები გალერეის სივრცეში დავით ჩიხლაძე
	20	ფეტიშურ სივრცეებს ლიტერატურის მუზეუმში ერთდღიანი ძეგლი დაუდგეს დავით ჩიხლაძე
	22	ჯარჯი ბალანჩივაძესთან მზე მფრინავი თეფშია დავით ჩიხლაძე
აქცენტი კომენტარები	24	შერეკილები Art Factory-დან ანა კორძაია-სამადაშვილი
	26	რუსოფობია – დასავლეთის საზღვარზე გიორგი გვახარია
	30	ფრანგული სეკულარიზმი და მუსლიმური ტანსაცმელი გიორგი ცხადაია
	33	X MEN დავით კოვზირიძე
	34	Pina, რომელიც არ იწონება დავით ბუხრიკიძე
ორი ესეი ომზე	36	შეცვლილი ისტორიული რეალობა ზურაბ კიკნაძე
	38	ომი: რევოლუცია ჩვენს სულელებში ემზარ ჯგერენაია
წერილი ისტორიები	40	<i>სამოთხის რეპუტაცია ანა კორძაია-სამადაშვილი</i>
	44	<i>მამუკა ჯავახიძე – კაცი, რომელიც პიოტთან ეძებს სალომე კიკალაიშვილი</i>
	48	გლოვა დაკარგული გრომის გამო დავით ბუხრიკიძე
	72	ლესბინაცია არიელ ლევი, თარგმან თამარ ბაბუაძემ
სპეცპროექტი	56	იმოგ ზაურე საქართველოში ჩემი ხევისურეთი არჩილ ქიქოძე სადაც ბედნიერი ვიყავი ანა კორძაია-სამადაშვილი მთიულეთი. ცეცხლიწვარი ვაჟა გიგაშვილი ყაზბეგი (სტეფანწმინდა) მაია სარიშვილი ქვათახევი გივი შაჰნაზარი პატარა ბიჭები და პატარა ქალაქები აკა მორჩილაძე
დისკუსია	76	არტი და პოლიტიკა თეო ხატიაშვილი
ისაქართველო	82	ქვათა ლაღადი Urban Reactor
	86	ლუსტრაცია გიორგი ბ.
ესეი	88	ჯონი ლევან ბერძენიშვილი
საავტორო	92	რიტუალი და „ანტირიტუალი“ გიორგი მისურაძე
	98	„რა მხრებით ვზიდო ამხელა დარდი“ ლანა ლოლობერიძე

გათამაშება ჯი პი სი-ს და წითელი ა-ს ავთიაქებში!

დააბროვე რაც შეიძლება მეტი ვაშლი

15 ივნისიდან 25 ივლისამდე და მოიბა:

მოგზაურობა ნიცაში



კლასიკური
ტელევიზორი



ფოტოაპარატი
GE



ლექტოპი
McBook



DVD ფლეერი
Pioneer



კამერა
Canon



1 წლიანი აუზის
აბონიმენტი



iPod Nano



ისი პარის ერთ წლიანი
მომსახურების პაკეტი



10 ვაშლი = 1 ბილეთს



ივლისის მიწურულს, გინდა არ გინდა, შარშანდელი აგვისტო გახსენდება, ან კიდევ უფრო ადრინდელი აგვისტო. და ომზე ფიქრობ. ომზე და საზღვრებზე. საზღვარზე თავისუფალ და არათავისუფალ სამყაროს შორის, რომელიც, სინამდვილეში, მხოლოდ ცნობიერებაში გადის.

გვინდა თუ არა დავინყოთ რეალური განთავისუფლების პროცესი? მზად ვართ თუ არა დავანგრიოთ მსოფლმხედველობა, რომლითაც ათეულობით წელი ვიცხოვრეთ? რამდენად ღრმავა ჩვენში წარსულის ანაბეჭდი და რამდენ ხანს შეაკავებს ის განვითარების მუხტს? ვინ არიან ისინი, ვისაც ეს მემკვიდრეობა არ შეუფასებია და ისინი, ვისთვისაც ის დღემდე ძვირფასია? არიან თუ არა ეს ადამიანები პროგრესის „მსხვერპლი“, განვითარებისთვის გასაღები ხარკი? ვის აქვს მათი ლუსტრაციის უფლება? რამდენად რეალურია, შევქმნათ უნივერსალური სისტემა, რომელიც „სიმართლის დასადგენად“ ყველას ცხოვრებას ერთ ფილტრში გაატარებს? ლუსტრაციის, როგორც იდეის უნიკალურობა ხომ თავად პროცესშია და არა განაჩენში, რომელიც არასდროს არის ყველასთვის თანაბარად სამართლიანი.

„მერაბ მამარდაშვილი იტყვის, – 30 წელი ვცხოვრობდი რუსეთში და მჯეროდა, რომ ქართველები რუსებივით ბნელები არ არიან, მჯეროდა, რომ ქართველებს უყვართ სიცოცხლე, რადგანაც იუმორის გრძნობა და რაინდობის შეგრძნება აქვთ შენარჩუნებული, ე.ი. ინდივიდუალისტები არიან, სკეპტიკოსები და ა.შ.. რაც იმას ნიშნავს, რომ მათი საბოლოო დამორჩილება შეუძლებელია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ილუზია იყო და რომ მენტალური, ფსიქიური, სიტყვიერი გახრწნის პროცესი ძალიან შორს წავიდა“. („რუსოფობია – დასავლეთის საზღვარზე“).

კითხვა ისევ იგივე რჩება – „თავისუფლების-გან, თუ თავისუფლების-კენ“. დღესაც ამ არჩევანის წინაშე ვდგავართ.

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

გახსენი ანაბარი...

მოიგე ყოველთვა ბინა... და...

წლის ბოლოს **1.000.000**



მინიმალური შენატანი

500 ლარი

☎ 27 27 27 | 📠 • 27 27 | www.tbcbank.ge



თიბისი ბანკი
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



თამარ ბაბუაძე

ამერიკაში ცხოვრებიდან 8 თვის თავზე ოცნება ავიხდინე – ნამდვილ, მოძრავ ბანდას გადავეყარე, მიწისოტასა და ილინოისის შორის გადაჭიმულ № შიდასაშტატო გზატკეცილზე. ჩვენ სკოლის ფურგონში ვისხედით და ჩიკაგოსკენ მივდიოდით, ბანდის ნევრები – მოტოციკლებზე და არ ვიცი – საით. გზაზე მხოლოდ ჩვენ ვიყავით – სკოლის ფურგონი და მოტოციკლების რიგი. ნელა ცრიდა და გარშემო გზაც და მიწვევებიც სულ ასფალტისფერი იყო. მსუბუქ ნისლში ხან გადაგვისწრებდა 12-იოდე მოტოციკლი, ხან ჩამოგვრჩებოდა. ტყავის სქელი ქურთუკები ეცვათ, დიდ ბათინკებში ჩატანებული ტყავის შარვლები, და დიდი შლემები სახეზე. სახეები საერთოდ არ უჩანდათ, სულ წინ, ჰორიზონტისკენ იყურებოდნენ. მწყობრად მოძრაობდნენ, ერთი მოტოციკლი აშკარა ლიდერი იყო, ყველას წინ უძღოდა. ფანჯარაზე მაიმუნივით ანებებული ვუყურებდი მოხეტიალე ბანდას და მზერის დაჭერას ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ – ისე გაიყო ჩვენი გზები ორ შიდასაშტატო გზატკეცილს შორის, რომ ჩვენი ფურგონი არაფრად ჩაუგდიათ. ასფალტისფერ ნისლში მოტოციკლების ყრუ ღმუხილით გაუჩინარდნენ. ამ შეხვედრიდან წლების თავზე ასე მგონია, რომ ისევე ფურგონის ფანჯარაზე სახემიკრული გვერდიდან და ოდნავ ზევიდან გავყურებ ნამდვილ ცხოვრებას, რომელიც საშტატო და შიდასაშტატო გზატკეცილებს, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებსა და შლაგბაუმებს აბიჯებს და ასე თავისუფლად მიერეკება წინ, უცნობი ჰორიზონტისკენ. ამ ნამდვილ ცხოვრებაში ადამიანები გაბედულად აკეთებენ გაბედულ არჩევანს, ათასგვარ სიტუაციებში ცდიან თავიანთ თავს და თვითონვე აგებენ პასუხს საკუთარ ბედზე. ვიცი, რომ თუკი გეყოფა ნებისყოფა, თავისუფლების ამ ხარისხს ყველგან მიაღწევ. მაგრამ დედამინაზე, ალბათ, მაინც არსებობს რამდენიმე იშვიათი ადგილი, რომელიც პირდაპირ გიბიძგებს თავისუფლებიკენ. ჩემი ქარაფშუტა და ველური ქალების ხეტიალიც ამერიკულ გზაზე ამის დასტურია.



დავით ხოვშირიძე

ბრატცი, მოდი რა, ჩვენს ღვთისმშობლის წილხვედრ სამშობლოს გაუმარჯოს რა და იმენნა ღმერთმა ქნას, რო ჩვენმა შვილიშვილებმა მაინც იცხოვრონ ჯიგურულად. შანსი არაა, ეს სიტყვები პირველად ჩემგან გაგეგოთ, რადგან საქართველოს ყოველი მეორე სადღეგრძელო ზუსტად ასე მთავრდება. აი, ტორ ვ ტორ, რა. ეხა, რატო ვამბობ ამას: იმ დღეს ტიპი იძახის, ადრე ამისთვის არასდროს მიმიქცევია ყურადღება, ერთხელაც კიდე, მივაქციეო. მივაქციე და აზზე მოვედიო რა, რომ სანამ ესე ვბაზრობთო, ანუ ესე ვჩოთქავთო, ვერც ჩვენი შვილიშვილები და დაჟე ვერც იმათი შვილთაშვილები ცვეტში ვერ იცხოვრებენ ხოშიანადო. სხვანაირადაც ვიტყვი, თქვენ გენაცვალეთო – იქნება ისე, როგორც უკვე ორი ათასი წელია არის – ვიცხოვრებთ ცუდადო. მარა იმ გოიმმა ორ ამბავს არ მიაქცია ყურადღება, ძმებო – პირველი: საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ზნაჩიტ რალაც მომენტში უეჭველი გავბრწყინდებით. და ჩვენ არ უნდა გავინძრეთ? არა ტო! რატო? იმიტო, რო: მეორე – ჩვენი შვილიშვილები გაინძრევიან, მაგათ შემოვევლე მე. არ გაინძრევიან? ნუ გაინძრევიან. მაშინ იმათი შვილიშვილები, მერე იმათი, მერე კიდე იმათი, ვინმე ხო გაინძრევა, მაგის დედა ვატირე?! გაგვიმარჯოს რა. ჩვენს მეობაში, გაგებაში, კაცობაში, ჩახუტებაში და იქსპიატებში გაგვიმარჯოს! უუხხ, სუ მაჟრიალებს ამ დროს...



... და ერთი ჭიქა ღვინო

თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით
მიღებული სიამოვნება.



TBILVINO

სასონარკვეთილი არხი



რამდენიმეთვიანი დაგვიანებით ვბეჭდავთ გამომხატულებას „ცხელ შოკოლადის“ 45-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაზე, „სასონარკვეთილი არხი“ (ავტორი თეა ჭანტურია). ჟურნალის ეს ნომერი დიდწილად განახლებული პირველი არხის ახალი გადაცემების კრიტიკას მიეძღვნა. ამ ნომერშივე დაიბეჭდა დისკუსია, სადაც არხის მთავარი პროდიუსერი, გია ჭანტურია და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ლევან გახელაძე მონაწილეობდნენ. მალევე საზოგადოებრივი მაუწყებლის შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერის, თამარ ბოლქვაძის ეს წერილი მივიღეთ. ჩავთვალეთ, რომ ქალბატონი თამარის გამომხატულება მისი პირადი ინიციატივა იყო და რადგან ეს წერილი კიდევ უფრო ამძიმებდა პირველ არხზე შექმნილ შთაბეჭდილებებს, მისი გამოქვეყნება

საჭიროდ არ ჩავთვალეთ. ჩვენი ღრმა რწმენით, არხის ადმინისტრაცია „დავზოგეთ“. თუმცა, მას შემდეგ, სხვადასხვა საჯარო შეხვედრებისას, ბატონმა გია ჭანტურიამ არაერთხელ იკითხა, რატომ არ დაბეჭდეთ ჩვენი პასუხი, ეს არის თქვენი ლიბერალობა და დემოკრატიის სიყვარულიო? ამ კომენტარებით მივხვდით, რომ ეს მხოლოდ თამარ ბოლქვაძის თვალსაზრისი კი არა, არხის „ოფიციალური პოზიცია“ იყო.

ახლა, როცა უკვე გამოცხადებულია ვაკანსია საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორის პოსტზე და ერთ-ერთი კანდიდატი, სავარაუდოდ, გია ჭანტურიაც იქნება, ჩავთვალეთ, რომ ეს წერილი კვლავ აქტუალურია.

შორენა შავერდაშვილი

პირველი არხისადმი ვერბანწყობილთათვის...

საზოგადოებრივი მაუწყებლის შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერი – თამარ ბოლქვაძე (წერილი იბეჭდება რედაქტირების გარეშე)

განახლებული ფორმატით პირველი არხი სულ თვენახევარია რაც წარდგა მაყურებელთა წინაშე. იმის ილუზია, რომ ყველა გადაცემა ყველასათვის მოსაწონი იქნებოდა, ნამდვილად არ გვქონია. კრიტიკულ მოსაზრებებსაც ველოდით, მაგრამ საფუძვლიანს და ობიექტურს. მოგეხსენებათ, საქმის მკეთებელს უფრო ხშირად აკრიტიკებენ, ვიდრე არაფრის მაქნისს. ეთერში გასვლიდან ერთი თვე საკმაოდ მცირე დროა საბოლოო დასკვნებისათვის. ნებისმიერი ტელეპროექტი გარკვეულ აპრობაციას გადის, იხვენება და თუ სრულყოფის ტენდენციას ვერ ატყობ, გარკვეული დროის მერე ხსნი ეთერიდან. მაგრამ, გვაცალა ვინმემ? კი-

დეე ერთხელ ვიმეორებ, კონსტრუქციული კრიტიკის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ეთერში გასვლიდან ერთ თვეში ასეთი ბრალდება, რომ „საზოგადოებრივი არხი ქართულად საზოგადოებრივი არხის იდეის სრულ პროფანაციას ახდენს“, ჩასაფრებული და იმთავითვე უარყოფითად განწყობილის პოზიციას წააგავს. მე თავად, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ყველა გადაცემა უაპელაციოდ მოსაწონია, მაგრამ ყველაფრის დაწუნებაც გარკვეულ კითხვებს ბადებს: რატომ ასე ხელალებით, ბატონებო? **სექსუალური უმცირესობების უფლებებზე გულშემატკივრობის უკან მსუყვე გრანტების სუნი ხომ არ ტრიალებს? აბა, ამ**

ომგადახდილ და ლამის ნახევარმილიონიანი ლტოლვილების ქვეყანაში მეტი საგულშემატკივრო არაფერ და არაფერი მოიძებნა?

ახლა მივყვით კრიტიკის პათოსსა და დინამიკას. გიორგი კალანდიას დოკუმენტური სერიალი „ჩვენებურები“, რომელიც იმთავითვე შემეცნებით ნიშანს იკავებს, თურმე „სამ-შობლოსა და ერისკაცების სიყვარულსაც ისევ მითებითა და ლეგენდებით, სისხლისა და გენის კვილით“ გამოხატავს. (იხ. ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, №45, გვ.39) ამ კომენტარის ავტორმა სიტყვები – შემეცნებითი, სისხლისა და გენის კვილი ბრჭყალებში ჩასვა და მათ გადაჭარბებით ხმარებას ასეთი ასხნაც მოუძებნა: „ამით, იმ ფსევდოფსევდოლოგიების გამოხატვას ვცდილობთ, რის რეპრეზენტაციასაც 1 არხი ახდენს“-ო. თურმე ნუ იტყვი, კალანდიას მიერ ათას არქივში მოძიებული დღემდე უცნობი მასალები, ოშკის, ხახულის, ტბეთის ნანგრევებში ნაპოვნი ქართული წარწერების ნაშთი და თამარ მეფის შვილიშვილის ტრაგიკული ბედი ფსევდოფსევდოლოგია ყოფილა. ძვირფასო თეა, იქნებ ჩამოგვივალოთ თქვენთვის მისაღები ფასეულობები და გვიხსნათ იმ „სასონარკვეთისაგან“, ჩვენი „უმეცარი“ არხი რომ ჩავარდნილა.

ეგვიპტეში, ირანში, თურქეთსა და ბალკანეთში ოდესღაც მოღვაწე ქართველებზე ფილმების გადაღება მითოლოგიზირებულ ისტორიასა და გმირებზე მომართული იდეოლოგიის დამკვიდრება ყოფილა და ამით (და არა მხოლოდ) „საზოგადოებრივი არხი ქართულად საზოგადოებრივი არხის იდეის სრულ პროფანაციას ახდენს“. აი, ბრალდება! საინტერესოა, პირველ არხზე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს რომ წაეყვანა გადაცემა რომელიმე დიდი ქართველის სადო-მაზო მიდრეკილებებზე, ეს „შემეცნების“ ფეიერვერკი იქნებოდა? მაშინ, ალბათ, არ გაგვიმეტებდით სასოს სასა-შივე წარსაკვეთად...

ცნობისათვის, სწორედ თქვენ მიერ ირონიზირებულმა ერისკაცებმა მოიტანეს საქართველო დღემდე და არა სულთნის, შაჰისა და „დერჟიმორდა“ მეფისნაცვლის ხელმეფურე არაკაცებმა... (მაშინ, გრანტს სხვა სახელი ერქვა და ქისის სისქით განიზომებოდა).

ზემოხსენებული კომენტარის ავტორი, თეა ჭანტურია აღნიშნავს, რომ „შემეცნებით გადაცემებში (ვგონებ, ამ შემთხვევაშიც გიორგი კალანდიას ფილმებს გულისხმობს) არათუ რაციონალიზმის, შეფასების, გადააზრების ნაკლებობაა, არამედ ხშირად ისედაც ფალსიფიცირებული ისტორიისა და რეალობის უხეში ფალსიფიკაცია ხდება ნაციონალისტური ვნებების სასარგებლოდ“. ქალბატონო თეა, სამწუხაროდ, დროის მანქანა არ მაქვს და ერთი ცნობილი ფილმის გმირივით შუა საუკუნეებში ვერ გადაგტყორცნით, თქვენი თვალთ რომ განახოთ და საბოლოოდ დაგარწმუნოთ ერისკაცთა ღვაწლსა და თავდადებაში. პირადად ვერც შორეულ ეგვიპტეში გაყიდულ ქართველ ქალს გაგაცნობთ, მეჩვიდმეტე საუკუნიდან დღემდე რომ შემორჩა ქაიროს ნაფისა ხანუმის სახელით. ამ ქართველი ქალის ლეგენდაქცეული ისტორია, რომელმაც ეგვიპტის დაპყრობისას ნაპოლეონიც კი გააოცა იშვიათი დიპლომატიური ნიჭით,

თურმე მხოლოდ „ნაციონალური ვნებების“ აღძვრას ემსახურება. საინტერესოა, რომელიმე ფრანგ ჟურნალისტს დოკუმენტური ფილმი რომ გადაეღო ნაპოლეონის მიერ ევროპის დაპყრობაზე, ამას ფრანგები „ნაციონალისტური ვნებების გაღვივებად“ ჩათვლიდნენ? ქართველმა თუ სადმე რამე ფასეული შექმნა და თავისი ღვაწლით უცხო ქვეყნის ლეგენდად იქცა, დავიჯერო, ამაში არაფერია შემეცნებითი? ან იქნებ, უსიუჟეტო, ლამის ერთ წინადადებაზე აგებული ასოცირიანი საპნის „ბუშტებია“ უფრო მარგებელი თვალისა და ყურისათვის. რატომღაც, საპნის ოპერად წოდებული სერიალები იშვიათად ხდება კრიტიკის საგანი.

იმ ქვეყნებში, სადაც ლანგარზე სულაც არ მოგართმევენ ქართველთა კვალის მაუნყებელ ისტორიულ ძეგლებსა და დოკუმენტებს, ჟურნალისტი თუ მანც ახერხებს მათ მოპოვებას, შეთეთრებულ ან სულაც აფეთქებულ ქართულ ტაძრებში უძველეს წარწერებს ჩირაღდნის შუქზე ეძებს, ამით თურმე, მას ისედაც ფალსიფიცირებული ისტორიის ფალსიფიკაცია განუზრახავს და სადღაც ცხრა მთას იქით ქართველებზე გაგონილი ლეგენდებით და მითებით „გვაბოლებს“. დავესესხები „ცხელი შოკოლადის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებული კიდევ ერთი კომენტარის ავტორს: „ცუდად დავიწყებული ისტორია, ზოგჯერ ცხელ ნიუსზე უფრო სასარგებლოა!!!“ ქალბატონო თეა, გთხოვთ, დამისახელოთ კალანდიას დოკუმენტურ სერიალში ისტორიის ფალსიფიკაციის კონკრეტული მაგალითები. სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე გიორგი კალანდიამ ამოტიფრა ძველი ქართული წარწერები, თუ მან მოიგონა შუაგულ იმერხევეში „მარიობის“ დღესასწაული? თურმე, რა საჭიროა ქართველმა მაყურებელმა იცოდეს მისი გენისა და სისხლის ისტორია. ყოველივე ამაში მარტივი ლოგიკა დევს, რაც ნაკლებად გვეცოდინება წარსული, მით უკეთეს მომავალს ავაშენებთ და რაც უფრო ბნელები ვიქნებით, მით მალე „გაბრწყინდება ივერია“! ასეთი ფასეულობების შკალაზე მოჭრილ სექტორს, უნდა შენი მაღალი ღირებულებითი ვექტორი? კალანდიას დოკუმენტურ ფილმებზე გეტყვის „ნაციონალისტური ვნებებს“ აღვივებსო, „დიდ ათეულს“ თურმე, ყველასათვის თანაბარი დროის მიცემა და პარიტეტის დაცვაც ნაკლად ჩათვალა, მონვეულ სტუმარს რომ უსმენენ და აზრს თავშივე არ აწყვეტინებენ, ესეც ვერ ყოფილა კარგი საქციელი.

გთავაზობთ, გადაცემასთან „დილოგი როლში“, დაკავშირებით თეა ჭანტურიას კომენტარიდან კიდევ ერთ ამონარიდს: „ამდენ დაუსაქმებელ მსახიობსაც მოვიმადლიერებთ, მათთან სტუმრად მყოფი პოლიტიკოსიც კომფორტულად იგრძნობს თავს – მას წინასწარ მომზადებულ ყველა კითხვაზე დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხი ექნება“.

გადაცემაში „თავი რომ დავიზღვიოთ“ სოციუმის ნამდვილი წარმომადგენელი კი არა, მსახიობი მოგვეყავს „სომეხი საპოფნიკისა“ და „ქურთი მეეზოვის“ როლში. აბა, რას მოითხოვთ, ქალბატონო თეა, ნამდვილი მენალები და სანტექნიკოსები მოვიყვანოთ და

უარყოფით ჩვენი ფორმატის „დიალოგი როლში“ მხატვრული ხერხი? მაგ ლოგიკით, „ოტელოს“ როლიც მსახიობის ნაცვლად ნამდვილ შაკანთან მავრს ხომ არ შევასრულებინოთ?.. არა მგონია, ამ გადაცემებიდან თუნდაც ერთი გქონდეთ ნანახი, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკოსთა პასუხებს „წინასწარ მომზადებულს“ ვერ უნოდებდით, რადგან მსახიობები იმდენად მწვავე კითხვებს სვამენ, რომ პოლიტიკოსებს ზოგჯერ 10-15 წუთი სჭირდებათ გონს მოსასვლელად. სტუმრად მოწვეულმა კობა სუბელიანმა კი გადაცემას ასეთი შეფასება მისცა: მეფის კარზე ხუმარა ყველაფერს პირში რომ მიახლიდა მეფეს, ეს პროექტი იმას მაგონებსო. რაც შეეხება თქვენს შენიშვნას უმუშევრად დარჩენილი მსახიობების „მომადლიერებასთან“ დაკავშირებით, ირონიის საგანს ნამდვილად ვერ მიგიხვდით. დასაქმებულ და გაპარებულ მსახიობებთან ერთად თუ უმუშევრად დარჩენილებიც მოგვყავს და ამ ეკონომიკური კრიზისის დროს მათ ცოტა სულის მოთქმის საშუალებას ვაძლევთ, თურმე, ვერც ამით გავამართლეთ თქვენი იმედები. სწორედ ამას ჰქვია იმთავითვე უარყოფითად განწყობილის პოზიცია.

ერთი კითხვა მაქვს განახლებული პირველი არხისადმი „ვერადა ვერ“ განწყობილთათვის, სამოქალაქო სექტორის პატივცემულო წევრებო, ხომ იყო დრო, როცა მაცურებელს პირველი არხის ლილაკი ლამის გაუქმებული ჰქონდა, მაშინ არ გალევებდათ თქვენი ჯიბიდან დაფინანსებული, ყველასაგან მივიწყებული „მაუწყებელი“? **(ინფორმაციისათვის: „პირველად საქართველოში“ სწორედ, პირველი არხი იყო, მდიდარი გამოცდილებითა და იმ პროფესიონალიზმით, ასე გულუხვად რომ გასცა შემდეგ გაჩენილი ტელეკომპანიების „ფეისებისათვის“. ალბათ, ვერც იმ ფაქტს უარყოფს ვინმე, რომ პირველი არხი ქართული ტელეჟურნალისტიკის ნამდვილი სამჭედლო იყო.)** საინტერესოა, როდესაც ამ არხმა თავისი არსებობა შეგახსენათ და ცისფერ ეკრანს დალტონიზმი მოაშორა, ახლა გახდა უვარგისი?..

რაც შეეხება თეა ჭანტურიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „ისტორიულად საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ტერიტორიას და დაკარგულ შვილებს კი მივტირით, მაგრამ ამავე დროს, მათ არასრულფასოვან (როგორც არამართლმადიდებლებს) ქართველებად მივიჩნევთ“, ასეთი შეფასება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. იქნებ, ამ მოსაზრების ავტორმა კონკრეტული მაგალითი დაგვისახელოს, სად ნახა კლანდიას დოკუმენტურ ფილმებში „დაკარგული შვილებისადმი“ მსგავსი დამოკიდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც პოინტერის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი როი პიტერ კლარკი იტყოდა, ეს ფაქტსა და გამონაგონს შორის ცურვას ჰგავს თავთხელ წყალში. ბატონებო, იქნებ, არ ღირდეს რელიგიური გრძნობებით ყონგლირება, რადგან ვერც მუჰამედზე მეტი მუსლიმანი გახდები და ვერც პაპზე მეტი კათოლიკე. და საერთოდ, რა უბედურება გვჭირს ეს, ყველას ჩვენი ტოლერანტობა რომ უნდა ვუმტივცოთ, მაშინ, როცა ყველა ხიზანი მასპინძლად გვექცა და თავად გასახიზნად გვექცა

საქმე... დალოცვილებო, საუკუნეთა განმავლობაში ამდენი ეროვნება როგორ იცხოვრებდა ჩვენ გვერდით, ასეთი შეუწყნარებლები და კაციჭამიები თუ ვიყავით? სხვა აღმსარებლობის შემეწინოვებელთა გვერდით განა ძლებენ 26 საუკუნე?

შაჰის, სულთნის თუ რუსთა მეფის „ქისის კაცები“, ალბათ, არც შემორჩნენ ისტორიას, თუმცა, მათი „ღვანლი“ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველოს შაგრენის ტყავით დაპატარავებაზე დააჩნდა.

ბრიტნი სპირსის საცვლები და ელტონ ჯონის ქუდების კოლექცია თუ დაგვაზეპირებინა მასმედია, გიორგი კლანდიას „ჩვენებულებს“ სულისშემძვრელი ისტორიები რას გვიშავებენ ასეთს, რომ მათ გასწვრივ შემეცნებითი ჟანრი ბრჭყალებში ვახსენოთ?

ახლა კი დღეში ორჯერ საკითხავი მარადიულ ფასეულობათა ქისრიცხით გაუფასურების მოსურნეთათვის

ერთმა „ჭკუათამყოფელმა“ დიდგორის გამარჯვება ეჭვქვეშ დააყენა და ერთი ქართველის მიერ ათი მტრის მოგერიება წარსულის ჰიპერბოლიზაციად მონათლა. თურმე, არც დიდგორში გაგვიმარჯვია, არც დავითი, თამარი და სარწმუნოებისათვის ნამებული ქეთევანი გვყოლია. იქნებ, არც არასდროს ვყოფილვართ და „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ჩვენი საზღვრებიც მოგონილი მითია „ნაციონალისტური ვნებების გასაღვივებლად“. ასეთი ალერგია რამ შეგყარათ ყველაფერ ქართულზე? ვის აწყობს დაგვაგინცოს წარსული და ერის მეხსიერებიდან ამოშალოს ის, რაც არა მხოლოდ ქართველ, არამედ აღმოსავლელ და ევროპულ მემბტიანეთა მიერ არაერთგზის დაფიქსირებულა უამრავ ისტორიულ წყაროში. **გვაპატიეთ, ბატონებო, ჩვენს ცნობიერებაში „ჯეროვნად“ ვერჩატარებული „ევრორემონტი“! გვაპატიეთ, თუ მაინც ვარსებობთ და ჩვენსავე მიწა-წყალზე ეროვნულ უმცირესობად არ მოვიზრებით. გვაპატიეთ, თუ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი კლანდია ქართველ წინაპართა ნაკვალევს იკვლევს, თუ პირველ არხზე დიდ ქართველებზე და მათ ერისკაცობაზე საუბარს ვბედავთ, თუ 15 წლის განმავლობაში ორჯერ ომგადახდილ ქვეყანას ოდესღაც დიდ, ერთიან და ძლიერ საქართველოს შევახსენებთ, თუ უიმედობას და სასონარკვეთას არ ვთესავთ და დილიდან დაღამებამდე უარყოფითი ინფორმაციით არ ვზაფრავთ მაცურებელს, თუ ომისშოკგადატანილ მოსახლეობას თბილ სიტყვას და კეთილ განწყობას ვთავაზობთ – აი, ჩვენი დანაშაული ქვეყნისა და ერის წინაშე!!!**

P.S. ამას წინათ ახლობელი მოვიწახსულე. მისი ხუთი წლის ბიჭი 1 არხს უყურებდა. – მოგწონს-მეთქი, - ვკითხე. სულ ამას უყურებ, ეს არხი აქამდე რატომ არ იყო? – კითხვა დამიბრუნა ბავშვმა.


როგორც ამბობენ, ბავშვის ენით ჭეშმარიტება ღაღაღებს.

სარჯე და აბროვე! GPI Card -ით!

დააფიქსირეთ შენაძენი 150-მდე
ობიექტში თბილისში!

დააგროვეთ თანხა პერსონალურ ანგარიშზე
„კიპიაი ჰოლდინგში“...



 სილაგაზის სალონები, გასაჯანსაღებელი
ცენტრები GPI Card-ით!

21% 

20% ნეფერტიტი
საქართველოს სალონი

20% Ergoline

10% 
საქართველოს სალონი

10% 
ESTHETIC SERVICE

7% ჯთ სპა
სადასრულო ცენტრი


5% 

5% 

15% 

10% 

10% 



ადამიანის არქიტექტურის ფოტოგრაფიული დეტალები ბალეარის სიბრიღეში


ავტორი: ღაბით ჩიხლაძე
 ფოტო: ქეთო საავა

ფოტოგრაფმა ირინა აბუანდაძემ და ექიმმა მაკა შაფათავამ შემოგვთავაზეს სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხატვრო პროექტი, რომელსაც „პარალელური ბიოგრაფიები“ ერქვა. ეს იყო რაფინირებული პოსტმოდერნისტული გამოფენა, რაც კი ბოლო წლებში თბილისში განხორციელებულა. მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, რომელიც კუსტის გზის დასაწყისში მდებარეობს და რომელსაც ულამაზესი და კარგად მოვლილი გაზონები აკრავს გარშემო, კარგად შეეხამა ამ გამოფენის განწყობას, რომელიც სამეცნიერო ნახაზებისა და სანატორიუმის მედიტაციური სიმშვიდის გადაკვეთაზე იქმნებოდა. ორი ხელოვანი ქალის ეს ფოტოპროექტი, მიუხედავად მძლავრი არტისტული მუხტისა, მაინც ამ გარემოსავით გამჭვირვალე, მყიფე და ცოტა ნოსტალგიური იყო; ოღონდ ეს ნოსტალგია რაღაც ძალზე შორეულ, თითქმის უხსოვარ წარსულს უფრო შეგვახსენებს, ან შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ შორეულ მომავალს შეეხება.

ყველაზე პოეტური ის იყო, რომ გამოფენაზე არც ერთი ფოტო არ იყო თვითონ ავტორების გადაღებული. ეს ფოტო-

ები ენციკლოპედიებიდან და გეოგრაფიული მეგზურებიდან ამოღებულ შავ-თეთრ ან სულაც უკვე ფერგადასულ მოგონებებს უფრო ჰგავდა, თუნდაც ისეთს, ქუჩის თაროებზე ნაპოვნ ძველ წიგნებში ჯერ კიდევ რომ შეიძლება ნახოთ – მაგალითად, როგორი იყო სპორტის სასახლე როდესაც ის აშენდა, ან რომელიმე ძველი თუ ობელისკი სულ სხვა, მისთვის უფრო ჩვეულ და ბუნებრივ დროში. მაგრამ არტისტებს მხოლოდ ეს მიზანი არ ჰქონიათ, რომ ეჩვენებინათ დროის სრბოლა და წიგნებში შემორჩენილი სურათ-ხატები.

პარალელურ ბიოგრაფიებში ორი ხელოვანი ორ სხვადასხვა ისტორიას გვიყვება. ირინა აბუანდაძე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ არქიტექტურულ ძეგლებს, შენობებს, სპორტულ კომპლექსებს და სხვ. წარმოგვიდგენს, ხოლო მაკა შაფათავა ადამიანის ორგანიზმის მაკროსკოპიულ სამეცნიერო სურათებს გვათვალისწინებს. დიახ, სწორედ „გვათვალისწინებს“ არის გამოფენის ძირითადი ესთეტიკური ვექტორის ყველაზე ზუსტი განსაზღვრება, რაც გამოფენას პოსტმოდერნისტული პარადიგმის სიბრტყეზე ამყოფებს – როგორც წიგნს, ტექსტსა თუ პირად ალბომს. არტისტები აქ უბრალოდ



აერთიანებენ არქიტექტურულ, სამედიცინო, ისტორიულ, ეგზისტენციურ და სამედიტაციო ენას. მაგრამ, მიუხედავად ლიტერატურულობის ასეთი რისკისა, რაც უარეს შემთხვევაში შეიძლება გამოფენის წიგნად გააზრებას მოჰყვეს, აქ ამ ურთიერთობების, პარალელური ბიოგრაფიების, მათი თანხედრისა და გვერდიგვერდ ყოფნის მიღმა, სხვა შინაარსი და ფორმა არც იძებნება. გამოფენა ინტელექტუალური გააზრებისკენ არ უბიძგებს მნახველს, ის უფრო სანახაობრივია, რაც უდავოდ სამხატვრო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს მხატვრები/ფოტოგრაფები საკუთარი ტექნიკის დემონსტრირებას ახდენენ თუ არა. კონტექსტების ხელოვნება მატერიალური საგნებით არ მიიღწევა.

ხელოვნების არეალში მეცნიერების შემოტანა დღეს ალბათ ისეთივე რევოლუციურია, როგორც საუკუნის წინ მეცნიერებისა და რელიგიის დაკავშირება იყო. მაკა შაფათავა გვიჩვენებს, რომ თურმე ადამიანის წარბის ერთი ღერი მაკროსკოპიულ სურათზე ჭადრის ხეს ჰგავს, ხოლო სისხლის მცირე მონაკვეთის შემადგენლობა ოთახში დახვევებულ, ფურცლებით გატენილ გაცვეთილ საქალაქეებს მოგვაგონებს.

კედელზე ჩამოკიდებულ კონცეფციაში არტისტებს მნიშვნელოვანი აქცენტი ჰქონდათ დასმული ცოცხალ ორგანიზმებსა და ადამიანის ხელით შექმნილ საგნებს შორის გეომეტრიულ მსგავსებებზე. მართლაც, არ შეიძლება არ გაგიკვირდეს ქარგების ეს უნებლიე განმეორებადობა, რაც უზარმაზარ შენობა-ნაგებობებსა და ადამიანის სხეულის სხვადასხვა, შეუიარაღებელი თვალით აღუქმელ დეტალებს აკავშირებს. გამოფენა ერთგვარად შოკის მომგვრელიც

იყო, თუმცა იმის მშვიდად გაცნობიერებაზე გათვლილი, რომ მასშტაბები მხოლოდ პირობითობაა. გამოფენის შინაარსის უბეში უტრირება რომ გავაკეთოთ, ვიტყვი, რომ დედამინა, მთელი მისი გრანდიოზული ნაგებობებით, ერთი უმნიშვნელო მიკრობია რაიმე ჩვენთვის წარმოდგენლად დიდ ორგანიზმში.

გარდა დროისა და მასშტაბის პირობითობებზე ფილოსოფიური დისკურსისა, ფოტოგრაფი ირინა აბჟანდაძე სხვა ხელოვნების მიერ აშენებულ ნაგებობებს გვათვალისწინებს, ასევე სხვა ფოტოგრაფების მიერ გადაღებულ ფოტოებს. არტისტის ეს თანამედროვე ფუნქცია, დაგათვალისწინების, მართლაც არც ფორმაზე მიუთითებს და არც შინაარსზე, არამედ სხვადასხვა პარადიგმის ურთიერთობაზე ანუ სინტაგმებზე.

პარალელური ბიოგრაფიები შეიძლება გავიგოთ, როგორც პარალელური რეალობები, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პარალელური სამყაროები სადმე, რაღაც დისტანციაზე არსებობენ. ამ ექსპოზიციიდან ვიგებთ, რომ ეს პარალელური სამყაროები და რეალობები, საერთოდ, გამორიცხავენ მანძილს და უბრალოდ, პირობითობის დონეს აღნიშნავენ – თუნდაც სხვადასხვა ვიზუალურ სიხშირეს, რაც არსებობს, მაგრამ ყოველთვის ერთნაირად დასანახი არ არის.

ასეთი დათვალისწინება მოგვიწყვეს ირინა აბჟანდაძემ და მისმა მეგობარმა, მოსკოველმა სტომატოლოგმა, მაკა შაფათავამ. ხელოვანის სახეებით შეპყრობილობასა და ექიმის მოკრძალებულ, მორცხვ ფილოსოფიურობას შორის გავლებული მკრთალი ზღვარის აღმოჩენა კი ალბათ გამოფენის მთავარი მიღწევაა.



ფოტო: ჰაიმო საგა



ფეტიშურ სიყვარულს ლიტერატურის მუზეუმში ერთდღიანი კაბლი დაუდგეს

ავტორი: დავით ჩიხლაძე

16 ივნისს ლიტერატურის მუზეუმმა ახალგაზრდა მხატვრების ლალოსელის და ბესსას ინსტალაციას უმასპინძლა, ინგლისური დასახელებით, რომელიც ქართულად ასე უწერს – ჩვენ მიერ შექმნილი და დამსხვრეული კერპები ანუ კონკრეტულად კი „სიყვარული ფეხსაცმლით“. გამოფენის კონცეფცია აიგო ამას წინათ გახმაურებული ჟურნალისტური ჰედლაინის ირგვლივ, როდესაც ერაყელმა ჟურნალისტმა მუნტაძა ალ-ზაიდმა პრესკონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს ფეხსაცმელი ესროლა და ბინძური ძალი უწოდა.

მხატვრებს, როგორც ჩანს, სხვა არჩევანი აღარ ჰქონდათ, ამ მოვლენის სიყვარულის აქტად აღქმის გარდა. საქმე ისაა, რომ თურმე მუნტაძა ალ-ზაიდის ოჯახი ერაყში სადამის რეჟიმის დროს რეპრესირებულთა რიცხვის მიეკუთვნებოდა. არადა, როდესაც ჯორჯ ბუშის მიერ წამოწყებული საომარმა კამპანიამ ეს დიქტატურა დაამხო, მუნტაძა ალ-ზაიდი, მადლობის ნაცვლად, ფეხსაცმელს ესვრის მას.

აქედან ჩანს, რომ მხატვრები რაღაც პარადოქსულს იკვლევენ ჩვენს ყოველდღიურ, უბრალო ცხოვრებაში. ყოველდღიური ცხოვრება კი მხოლოდ მსოფლიო ნიუსებს არ გულისხმობს, არამედ თბილისში არსებულ მაკდონალდსის რესტორნებს, ისევე, როგორც დემოკრატიის ოდესღაც იდუმალ ელექსირს, კოკა-კოლას, ამდენი წელი რომ ველოდით და არც კი გვჯეროდა, ეს ოცნება

თუ აგვისრულდებოდა. დღეს კი მხატვრების კონცეფცია საკმაოდ ბანალურ პარადოქსულ რეალობას ეყრდნობა, როდესაც კარგად ნაცნობ საზოგადოებრივ შეხედულებას ციტირებს: „კოკა-კოლას და მაკდონალდსის შემოსვლის შემდეგ სიამაყენარევი ზიზლით ვაცხადებთ, რომ „ჯადოსნური ნითელი სასმელი“ „აბაზანის სახეხად საუკეთესო საშუალებაა“, ნანატრი ზიგ მაკი კი - „პესტიციდებით სავსე, უგემური ჩალა“.

და მაინც, მაკდონალდსი ბავშვების უსაყვარლესი ადგილია, და ამას ხშირად თავად მშობლებიც იზიარებენ. ამიტომაც, მსოფლიოში სწრაფი მომსახურებით სახელგანთქმული ამ ფანტასტიკური რესტორნის თბილისის ფილიალებში მუდამ ხალხმრავლობაა.

ეს ყველაფერი კი ერთი ცენტრალური, შემაჯამებელი სამხატვრო ობიექტით არის გამოხატული, რომელიც ლიტერატურის მუზეუმის ეზოში დაიდგა – 2 მეტრამდე სიმაღლის, გაცვეთილი ფეხსაცმელებით აწყობილი აპოლონის დაფნის გვირგვინი, რომელსაც მწვანე ფერის ლაქი ჰქონდა გადასხმული, მისი ფაქტურა დაფნის ფოთოლთან, მზისადმი მიძღვნილ ამ ცნობილ მცენარესთან რომ მიეახლოებინა.

ლალოსელის და ბესსას ეს გაერთიანება, მსგავსად ასევე ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფისა „ბულიონი“, წმინდა პოსტმოდერნისტულ პარადიგმას ეყრდნობა. ასეთი პლატფორმის ხილულ ნიშნებს შორის პირველ რიგში თვალმისაცემია მათი ჟინი

ანონიმურობაზე ან რაღაც კორპორატიული სახელების ქვეშ გაერთიანებაზე. მეორე დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი სულაც არ ზრუნავენ მნახველის გართობაზე ან სანახაობის მოწყობაზე. ამ გამოფენის შემთხვევაში, ერთადერთი საგანი ფეხსაცმელების ობიექტი იყო. ყველა დანარჩენი აზრობრივი სპეკულაცია მხოლოდ კონცეფციის და წარმოსახვის ფარგლებში რჩებოდა გამომწყვდეული. მიუხედავად ფეხსაცმელების და დაფნის გვირგვინის პარადოქსული გაერთიანებისა, მაყურებელი მაინც ვერასოდეს მიხვდება, რომ აქ ჯორჯ ბუშის სიყვარულზეა ლაპარაკი, რომელიც რატომღაც ფეხსაცმლის სროლით გამოიხატა.

ამგვარად, ისინი საკუთარი თავის ირონიზებას ახდენენ – მართლაც, რა დიდი პრივილეგიაა, იყო მხატვარი, როდესაც შეგიძლია იყო გაცილებით მეტი – მიმნიშნებელი, თავისუფალი, უდარდელი და ჭკვიანი. სრული კომპონენტებია ცხოვრებით მოკრძალებული ტკობისათვის.

ასეთი ტიპის გამოფენები კი, დადაიზმიდან დაწყებული ფლუქსუსის გავლით დღევანდელობამდე, ყოველთვის იმით იყო მიმზიდველი, რომ აქ ერთ ცოცხალ აზრზე ერთი უბრალო და ხალისიანი შეკრება მოდის, ისევე, როგორც ლალოსელის და ბესსას გამოფენაზე – ყველასთვის ერთი კატა, მხატვრების სახლში გამოხდელი, „გინესზე“ ასგზის უფრო შავი, ძალზე უცნაური, მაგრამ მაინც სასურველი ლუდი, „ბენ ჯამალი“.



ბაზანიჭვიბუდი საქანიტვიდოლს ბანკი

ბანსადნოთ ანაბანი,
ჩადიოთ ბათანაშვიბანი,
აოიბოთ ფადანეი ვიიონი
და ბინა



საქანიტვიდოლს ბანკი
BANK OF GEORGIA





ჯარჯი ბალანჩივაძესთან მზე მზრინავი თეზისი

ავტორი: ლაპოტ ჩიხლაძე
ფოტო: ქეთო საავა

4 ივლისს საკონცერტო დარბაზ „ორფეუს-ში“, ჭავჭავაძის გამზირზე, იგივე „ხელოვნების მცირე აკადემიის“ შენობაში ქართული მუსიკის კონცერტი გაიმართა. ორკესტრმა მსმენელის წინაშე ანდრია ბალანჩივაძის ნაწარმოებები წარმოადგინა – ეპიზოდი სიმებიანებისათვის, პრელუდია ორკესტრისათვის, დაუმთავრებელი სიმფონიის ნაწილი და „რინის ტბა“.

დღევანდლობის კონტექსტში ძალზე საყურადღებოა ანდრია ბალანჩივაძის ნაწარმოებების გახსენება. ალბათ უკეთესი იქნებოდა, ეს მუსიკა დღეს დაენერა ვინმეს, მაგრამ უახლოესი წარსულისადმი დღევანდელ არამგრძნობიარე გარემოში მისი შესრულებაც კი უკვე თითქმის ქმნადობის ტოლფასია. საყოველთაო კლიშეებისგან თავისუფალი ეს კონცერტი გვახსენებდა დავინწყებულ, ქართულ საბჭოთა იმპრესიონისტულ მოტივებს, რომელთა წარმომავლობა უცნობი იყო, მაგრამ ის კი ვიცოდით, რომ მათ რაღაც სიტყვები თუ სურათ-ხატები ჰქონდა მიმაგრებული, როგორცაა „დილა“, „კოლმეურნეობა“, „რადიო“, „ზაჰესი“, „მზე“, „საქართველოს სამხედრო გზა“. ასეთ მუსიკას, მიუხედავად ენთუზიასტური და ოპტიმისტური ჰარმონიისა, ოდნავ შესამჩნევი სევდა ადრეც ყოველთვის ახლდა. დღეს კი, როდესაც დროება შეიცვალა, ეს უფრო გასაგებიცაა და ნაწარმოების დროსთან კავშირზე მიუთითებს, ანუ მის ნამდვილობაზე.

განსაკუთრებით ლირიკული აღმოჩნდა კონცერტის დასასრული, როდესაც ორკესტრთან ერთად ბალერინამ საკუთარი სხეულით შეასრულა ანდრია ბალანჩივაძის მუსიკა ოპერა-ბალეტიდან „განგა“. ჰაეროვანი და უზადო შესრულებით

ბით ბალერინა გვანცა რეზიაშვილი აქ მხოლოდ მოცეკვავე არ ყოფილა – კონცერტის დრამატურგიაში ის ორკესტრის ნაწილად მოიაზრებოდა, და მან ამ რთულ, პომპეზურობისკენ მიდრეკილ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი.

ორკესტრს ჯარჯი ბალანჩივაძე დირიჟორობდა. კონცერტის პირველი, შესავალი ნაწილი სწორედ ჯარჯი ბალანჩივაძის ნაწარმოებს, „ბუნების სურათებს“ დაეთმო, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგებოდა – „პეიზაჟი“, „ქმნადობა“ და „ძველი ბილიკი“. ეს კონცერტი ჯარჯი ბალანჩივაძის სურათების გამოფენასაც დაემთხვა, რამდენიმე დღის განმავლობაში „ბაია გალერეაში“ რომ მიმდინარეობდა და დამთავლიერებელს საუცხოო აურას გადასცემდა.

ჯარჯი ბალანჩივაძემ საკუთარი ფერწერული ნამუშევრები არ დაასათაურა. ისინი მართლაც რაღაც ერთი სამყაროს ფრაგმენტებია, რომელიც ბიბლიურად არის და საბავშვოდ, რაღაც რომანტიკულიც ურევია და ცოტა ფანტასტიკურსაც მოჰკრავთ თვალს. მაგალითად, ყვითელ ორცხობილას თუ მფრინავ თევზს, რომელიც, როგორც მზე, თითქმის ყველა სურათში მეორდება.





ოსტატობის თვალსაზრისით, ეს ნამუშევრები ისეთ რაფინირებულ მხატვრობას მიეკუთვნება, რომელიც, მარკ შაგალის ნახატების მსგავსად, ორიგინალში უნახავად შეიძლება უბრალოდ მოგეჩვენოს.

ჯარჯი ბალანჩივაძის შემოქმედება, ჩემი დაკვირვებით, უხვად საზრდოობს მზის ენერგიით, იქნებ ამიტომაც დამამახსოვრდა ამდენი ყვითელი, მისი გამოფენიდანაც და კონცერტიდანაც.



გამოცა:

ვეფხისტყაოსნის პროზაული ვერსიები, ახალგაზრდებისთვის



ვეფხისტყაოსანს მოგიტხოვრებთ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს მოგიტხოვრებთ ლევან გველესიანი და მამუკა ცეცხლაძე

მხატვრის ალბომი ვეფხისტყაოსნის მოტივებზე: „ვეფხისტყაოსანს წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი“

ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფიული კატალოგი 1732 წლიდან 2009 წლამდე

მოგიტხოვრებთ ვეფხისტყაოსნის შესახებ

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ
ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანი“
და სტამბა „სეზანი“.

ღაზვიაჯვრიძით:

არტ კაფე „ქარავანი“

მისამართი: ფურცელაძის ქ. 10

ტელეფონი: +995 32 99 66 91

899 67 77 56 ირინა შავერდაშვილი

სტამბა „სეზანი“

მისამართი: წერეთლის გამზ. 140

ტელეფონი: +995 32 35 70 02 ქეთი ბოჭორიშვილი

893 35 14 64 დათო კარაჯავევი

შერეკილები ART FACTORY-დან

ავტორი: ანა ჯორჯია-სამადაშვილი
ფოტო: ქეთევან ბაქიაშვილი

ამჯერად ჩვენ, ანუ „ცხელი შოკოლადი“ და ანა კორძაია-სამადაშვილი, ორ რამეს გირჩევთ. გულით გირჩევთ, რადგან, – საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს, – ორივე რამ ძალიან კარგია. მაშ, ასე:

თუ დაბინდების შემდეგ გეზს ძველი კინოსტუდიის ტერიტორიისკენ აიღებთ, თალს გაივლით, არად ჩაადებთ შელანძლულ გასასვლელს, მამაცურად ივლით და მერე ხელმარცხნივ გაუხვევთ, თავს იმ სამყაროში ამოყოფთ, მთელი ბავშვობა რომ გენატრებოდათ: დაგხვდებიან აკრობატები, ცეცხლის მფრქვეველები, მუსიკოსები, მსახიობები, ლამაზი გოგონები და კარგი ბიჭები – მოკლედ, მოძრაობის თეატრი.

იყო დრო – სულ ცოტა ხნის წინათ, – როცა მოძრაობის თეატრს, მისი უაღრესად დემოკრატიული ხასიათის მიუხედავად, მხოლოდ ვინრო წრე თუ ეწვეოდა ხოლმე. მეც კი, მის გულშემატკივარსა და გარკვეულწილად მეგობარს, სულ რამდენიმე წარმოდგენა მაქვს ნანახი – სამეფო უზნის თეატრში, მზიურში, კვარიათის სანაპიროზე და... მეტი არც მახსოვს. ახლა კი ყოველი კვირის ბოლოს კინოსტუდიის ხრეშით მოფენილ ეზოში ფესვები მაქვს ხოლმე გადგმული.

ეს თავისუფალი სივრცეა. განვმარტავ: ვისაც კი რამის გაკეთება შეუძლია და უნდა – ხატავს, ცეკვავს, მღერის, ამბავს ჰყვება თუ რამე აქვს სათქმელი, – თამამად შეუძლია, ეს ადგილი გამოიყენოს. მნახველი თუ მსმენელი რომ არ მოაკლდება, ფაქტია.

თეატრის სულისჩამდგმელმა, კახა ბაკურაძემ, ამისნა, რომ მისთვის ხელოვნება ერთიანი ჯაჭვია. რგოლები ხელოვნების სხვადასხვა სფეროებია, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ლითონისგან დამზადებული, მაგრამ ერთიანობაში ისინი ჯაჭვს ქმნის. თუ რომელიმე რგოლი სუსტი გამოდგა, დარტყმას დანარჩენები გაუძლებენ და ჯაჭვი არ გაწყდება. აქედან მარტივი დასკვნა და რჩევა პირველი: მოდი, ვიმეგობროთ, დავწეროთ, მოვყვეთ, დავხატოთ, დავუკრათ,



ვიცეკვოთ, მხიარულად ვიყოთ, ამ თავისუფალ სივრცეში მაინც.

წნორედ აქ გავხდით დაუფინყარი სანახაობის მონმე. წარმოდგენას არ ვგულისხმობ, თავისთავად, შესანიშნავი იყო, აგვისტოში თავადაც დარწმუნდებით, როცა „შერეკილები 2“ მაცურებლის წინაშე დასრულებული სახით წარდგება. ახლა კი წარმოდგინეთ ყველაზე სასურველი გოგო (გვანცა სადრადე) და ყველაზე შეყვარებული ბიჭი (იაკობ გოგოტიშვილი). ისინი, რასაკვირველია, დაფრინავენ. რასაკვირველია, ძალიან ლამაზები არიან. თავისთავად ცხადია, მშვენიერი მუსიკა ისმის. ზემოთ კი, გუმბათის თავზე, ვიდაც დგას,

მთხრობელი, სული – რა მნიშვნელობა აქვს, – და იძახის იმას, რისი თქმაც და რისი გაგონებაც ყველას ყველაზე მეტად უნდა:

„რომ შემპირდი, გახსოვს კიდევ?“

აი, მაშინ დავინახე ის, რის გამოც ამდენი ვწერე: თავისუფალ სივრცეში შეკრებილი უამრავი ადამიანი – ქალები და კაცები, მალელები და დაბლები, ახალგაზრდები და არც ისე, შავთმიანები და ჟღალები, – წარმოდგენას ყველა, უკლებლივ ყველა განაბული უყურებდა, და სახეზე ყველას ერთი და იგივე ეწერა: მეც მინდა. სიყვარული მინდა. შემეყვარეთ, ძალიან გთხოვთ.

„კიდით კიდე გული ვზიდე...“ განაგრძობდა კახა ბაკურაძე. შეყვარებულები თავდავინყებით ტრიალებდნენ, მე კი მინდოდა, ძალიან მინდოდა, რომ ვინმეს საიდანმე მხოლოდ ჩემთვის დაეძახა: „რომ შემპირდი, გახსოვს კიდევ?“ და პასუხად კახასთან ერთად მეც მეყვირა: „მიყვარხარ!“

რა ვქნა, მინდოდა. მე მგონი, ყველას უნდა. აქედან მარტივი დასკვნა და რჩევა მეორე: გაიხსენეთ, ვის რას შეპირდით და უთხარით, რომ გიყვართ. ისიც იგივეს გეტყვით. აი, ნახავთ, თუ არა.



ციტრუსის ცოცხალი სურნელი, ხილის ტონი, ელეგანტური და საუცხოო – ასე ახასიათებენ **Finest**-ს. ჯიშაინი და სხეულიანი, ტრადიციული მეთოდით დამზადებული გამორჩეული ცქრიალა ღვინო **Finest „ჩინებულს“** ნიშნავს და იგი მართლაც რომ საუკეთესოა დამზადების წესის, გემოსა და სხვა ნიშან-თვისებების მიხედვით. ფრანგული შამპანიზაციის, ანუ ბოთლური მეთოდით ჩინურის ჯიშის ყურძნიდან დამზადებული ცქრიალა **Finest** თბილისში პრეზენტაციამდე, კომპანია ბაგრატიონი 1882-მა უკვე წარადგინა დიუსელდორფისა (**Prowein 2009**) და ლონდონის საერთაშორისო გამოფენებზე, სადაც ახალმა პროდუქტმა სომელიეებისა და სპეციალისტების დიდი მონონება დაიმსახურა.

საქართველოში, გერმანიასა და აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ მონაწილეები ამ ღვინოს მაღალი დონის ოფიციალური შეხვედრებისა და პრეზენტაციების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევენ.

პროდუქტის შეფუთვის დიზაინი ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ **Concept Frankfurt**-მა შექმნა. ბაგრატიონი 1882 გეგმავს, რომ **Finest** გაიყიდოს სასტუმროებში, კაფეებსა და რესტორნებში, ასევე – სპეციალიზირებულ მაღაზიებსა და „გუდვილში“, რაც პროდუქტის ექსკლუზიურობის კიდევ ერთი მანიშნებელი იქნება. ყველა ცნობილი ფრანგული შამპანურის მსგავსად, **Finest**-იც მხოლოდ ბრუტის (მშრალი) სახეობით იქნება გაყიდვაში.

Finest საუკეთესოა აპერიტივად – სიზილალასთან, შებოლილ ორაგულთან, ხამანკებთან და მსუბუქ სალათებთან.





რუსოფობია – დასავლეთის საზღვარზე

ავტორი: გიორგი გვახარია

ვისაც ჯერ კიდევ გახსოვთ გაგრა და მისი გარეუბნები, დამეთანხმებით ალბათ, რომ გაგრასა და სარფს შორის რაღაც არის საერთო. ეს, თითქმის ყოველთვის ნისლიანი მთები ზღვის ნაპირს უჩვეულო ფორმას და, რაც მთავარია, უჩვეულო ფერს აძლევს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მთა მოძრაობს და სადღაც, ზღვის ჰორიზონტისკენ მიემართება. ზღვისა და მთების რაღაც იდუმალი კონტაქტის ხილვა სარფში პირადად მე „ღრმა სიჭაბუკეში“ გადამიყვანს ხოლმე – გამუდმებით მახსენებს გაგრას, განთიადს, ლესელიძეს, იმ „ზონას“, სადაც მთავრდებოდა სამშობლო და იხსნებოდა ახალი სივრცე – განსხვავებული დიზანით, ფერით, ენით. საბჭოთა კავშირი როცა დაინგრა და ლესელიძე-ვისიოლაიას გამშვები პუნქტი ოფიციალურად იქცა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრად, ეს ადგილი საბოლოოდ დამკვიდრდა ჩემს ცნობიერებაში, როგორც სამშობლოს დასავლეთი საზღვარი, როგორც ფანჯარა დასავლეთში, ე.ი. ევროპაში... არა რუსეთში, არამედ ევროპაში! მით უმეტეს, რომ 1992 წელს, ომის დაწყებამდე 2 დღით ადრე გადავკვეთე ეს საზღვარი მანქანით და უნგრეთისკენ გავემართე.

„პერესტროიკის“ ეპოქა დამთავრებული იყო. მიხეილ გორბაჩოვმა თავისი მისია ამოწურა და ხელისუფლება ბორის ელცინს გადაულოცა. საქართველოში პუტჩი მოხდა და თბილისს „პერესტროიკის“ ერთ-ერთი იდეოლოგი, ედუარდ შევარდნაძე დაუბრუნდა. საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც გამსახურდიას დამხობას დაუჭირა მხარი, დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანა პროვინციული ჩაკეტილობისგან გათავისუფლდებოდა და ედუარდ შევარდნაძე, „ბეიკერის, ბუშის, გენშერის მეგობარი“, დასავლეთთან ქვეყნის ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს. თავადაც ასე თქვა, – ცოტა ხანში სამშობლოს „შვეიცარიად“ ვაქცევთო.

მაგრამ, შვეიცარიის ნაცვლად, მივიღეთ ტერიტორიულ-დაკარგული, დსთ-ში შეყვანილი საქართველო, რომელსაც ყველაფერთან ერთად დასავლეთის ეს საზღვარიც დაეკარგა.

გავა კიდევ რამდენიმე წელი და რუსეთ-საქართველოს სა-

ზღვარზე „ჩეჩენი ტერორისტების“ გადაადგილების თავიდან ასაცილებლად რუსეთი სავიზო რეჟიმს დაგვინებს, ატყდება დიდი ამბავი; თბილისი რუსეთის ამ უესტს „აგრესიად“ აღიქვამს. იმ სალამოს გადაცემა მექნება „რუსთავი 2“-ში. აკაკი ასათიანი მოვა სტუდიაში და იტყვის, – მთელი ცხოვრება ვოცნებობდი ამ დღეზე – ბოლოს და ბოლოს რუსეთმა ვიზები დაგვინესა – ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარაო.

ცოტა ხანში თურქეთი გააუქმებს სავიზო რეჟიმს საქართველოსთან. დასავლეთთან კონტაქტის ნერტილი ლესელიძე-ვისიოლაიადან სარფში გადაინევს და ახლა თურქეთი გახდება საქართველოსთვის ცივილიზაციისთან ინტეგრაციის საშუალება. სტამბოლის აეროპორტი საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელსაც უცხოეთში მოგზაურობა შეუძლია, გადაიქცევა ნამდვილ ტრანზიტულ ზონად – ყოფილ საბჭოთა სივრცეში გაჭედდნ საქართველოსა და დანარჩენ ცივილიზაციას შორის.

დასავლეთის საზღვრის ასეთმა გადატანამ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ნელ-ნელა შეცვალა ჩემი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. ამოიწურა „პერესტროიკის“ ეპოქისთვის დამახასიათებელი რუსოფილური ვენებები, მუდმივი დავა „ზვიადისტებთან“ რუსეთის თაობაზე, რუსეთის წარმოდგენა დასავლეთის ნაწილად... დაიმსხვრა პირადად ჩემი ყველაზე ხანგრძლივი ილუზია – რუსული საზოგადოების ცნობიერებაში დასრულება საბჭოთა კავშირი და საქართველოსაც ეშველება... არ მოხდა ასე – რამდენიმე წლის წინ ბერლინში ჩემმა მოსკოველმა მეგობარმა გულდაწყვეტილმა მითხრა, – ეჰ, რა კარგი დრო იყო ბერლინაღებზე მოსკოვის გავლით რომ მიფრინავდი, სტუმრად მოდიოდი ჩვენთან, ყავას ვსვამდით და ვჭორაობდითო. წელს კი მოსკოვის კინოფესტივალზე სწორედ ეს ჩემი მეგობარი აღმოჩნდა თანაავტორი რეტროსპექტივისა „ქართული კინო – „ფიციდან“ – „მონანიებამდე“... ჰო, იმ ფესტივალზე „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტად“ წარდგინილი ბატონი ჩხეიძე რომ გამოვიდა დიდი მისასალმებელი სიტყვით – „ჩემი სამშობლო, ამ შემთხვევაში, საქართველო...“.

„უნმინდესი ილია მეორე გვეუბნება, – ჯერ მეზობელი და მერე მზეო...“, ე.ი. ჯერ თქვენ, რუსებო, და მერე მზეო...

არ ვიცი, როგორი გზით ჩავიდა ბატონი რეზო ჩხეიძე მოსკოვში. სტამბოლით თუ გადაფრინდა, ისიც გაივლიდა „ტრანზიტულ ზონას“ და უთუოდ დაწყებოდა გული იმის გამო, რომ ჩრდილოეთის მეზობელთან მოსახვედრად სამხრეთის მეზობელი უნდა გაიაროს; „მართლმადიდებელ ძმასთან“ მოსახვედრად „თათრების“ აეროპორტში უნდა მოუწიოს ყურყუტი. ამ უსამართლობას იგი და კიდევ ბევრი სხვა ქართველი „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი“, ყოფილი კომუნისტები (რომელთაც დღეს უკვე არა ცეკას შენობაში, არამედ საპატრიარქოში უყვართ მიბრძანება), როგორც წესი, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აბრალებენ. კი, 90-იან წლებშიც არ მოსწონდათ ქართულ ბაზარზე თურქეთის აქტიური შემოჭრა – ხმას ავრცელებდნენ, – თურქული შოკოლადი და „პეჩენია“ უხარისხოა, მაგას „კრასნი ოქტიაბრის“ პროდუქცია ჯობსო; აგრესიულები არიან, ჩვენი ქალები მეძავებად აქციეს(!), არ ბანაობენო. მაგრამ დღეს, უფრო სწორად, გასული წლის აგვისტოს შემდეგ, როცა რუსეთის წარმოდგენა „ერთმორწმუნე ძმად“ უბრალოდ სამარცხვინო გახდა, კიდევ უფრო გაძლიერდა ასეთი ტიპის ადამიანების აგრესია იმის მიმართ, ვინც რუსეთს ჩაენაცვლა – სულ ერთია, ევროპა იქნება, ამერიკა, თუ დასავლეთის სარკმელი საქართველოში – მუსლიმური თურქეთი.

თავად რუსეთში თურქეთის მიმართ ეჭვიანობამ და იმ ერთმორწმუნე ხალხის სიყვარულმა, რომელიც მუსლიმთა თავდასხმის მსხვერპლი გახდა, საუკუნეებს გაუძლო. დიახაც, სიყვარულია ეს – სიყვარული, რომელიც კლავს, ახრჩობს, და არა აცოცხლებს (მთლად შექსპირმა აღწერა თავის დროზე ეს ვნება), ...და სწორედ ასეთი სიყვარული მგონია მე ქართულ-რუსული ურთიერთობაც.

თურქეთის მიმართ ეჭვიანობამ რუსეთი საშინელ პროვოკაციამდე მიიყვანა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა ამბოხებისკენ უბიძგა სომხებს ანატოლიაში. რუსეთმა იმდენად გააძლიერა სომხეთში თურქის მტრის ხატი, რომ დღემდე აქ აზერბაიჯანელებსაც კი „თურქებს“ უწოდებენ და დღემდე ასე ამართლებენ რუსეთთან თბილ ურთიერთობას: აბა, რა ვქნათ, მუსლიმური ქვეყნებით ვართ გარემომორტყმულნიო.

სომხეთში პროვოკაციამ გაჭრა. საქართველოში, მრავალი მიზეზის გამო, ეს ვერ მოხერხდა. თუმცა არაა გამორიცხული, „ერთმორწმუნე ძმებმა“ ამ მხრივ კვლავაც გააგრძელონ მუშაობა; „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა“ გამუდმებით გაგვახსენონ, რომ რუსეთმა ჩვენ სწორედ მუსულმანი დამპყრობლების შემოსევებისგან გვიხსნა, ჩვენი რწმენა გადაარჩინა, ჩვენი ეკლესიები, ჩვენი ფრესკები... მერე რა, რომ ქართულ ფრესკებს რუსული „გადაახატეს“? მთავარია, ვინაა გამოხატული ამ ფრესკებზე – ვისი გენამს ჩვენ და რუსებს; თანაც, ერთნაირად!

1839 წელს ფრანგი მოგზაური, ასტოლფ დე კიუსტინი რუსეთში მოგზაურობის შემდეგ გაოცებული წერდა, – რუსებს საოცარი შიში აქვთ „ინოზემცების“. ჰგონიათ, რომ ყველა უცხოელს მათი დაპყრობა უნდა – ამ ხალხში უკიდურესი თვითკამყაფილება და მუდმივი ტრაბახი შერწყმულია თავის თავში და ურწმუნეობასა და გაუბედობასთანო. არის რაღაც საერთო, არა? ეგრევე გაგახსენდებათ, პროვინციული ქართული ქსენოფობია, ჩვენი, უკვე კარგად გააზრებულ-შესწავლილი ნარცისიზმი და ჩვენივე ინფანტილიზმი. ამ თვალსაზრისით, ქართველებს და რუსებს იმდენი აქვთ საერთო, რომ 80-იან წლებში აკადემიკოსმა სახაროვმა კინალამ გული გაუხეთქა თავის აქაურ თავყანისმცემლებს, როცა რუსეთს „დიდი“, საქართველოს კი „მცირე“ იმპერია“ უწოდა.

მაგრამ ეს საერთოა სწორედ მოჩვენებითი – ის შემთხვევაა, როცა გერმანული ანდაზა გაგონდება – „ყველა შედარება მოიკოჭლებს“. ამ არააგრესიული, ყოფითი ქსენოფობიის მიუხედავად (ედუარდ შევარდნაძემ მას „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდა – ვილაცამ ასწავლა, როგორ დაახასიათოს „ზვიადისტები“, დასავლელი ლიბერალების გული რომ მოიგოს), ქართველებს სწორედ უცხოის გაიდევლება-გაფეტიშება ეხერხებოდათ კარგად. წმინდა ნინო კაბადოკიელი, შუშანიკი, აბო ტფილელი, მთელი „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც ტარიელის დასახმარე-

ვში დაურწმუნებლობასა და გაუბედობასთანო. არის რაღაც საერთო, არა? ეგრევე გაგახსენდებათ, პროვინციული ქართული ქსენოფობია, ჩვენი, უკვე კარგად გააზრებულ-შესწავლილი ნარცისიზმი და ჩვენივე ინფანტილიზმი. ამ თვალსაზრისით, ქართველებს და რუსებს იმდენი აქვთ საერთო, რომ 80-იან წლებში აკადემიკოსმა სახაროვმა კინალამ გული გაუხეთქა თავის აქაურ თავყანისმცემლებს, როცა რუსეთს „დიდი“, საქართველოს კი „მცირე“ იმპერია“ უწოდა.

**არ ვისი, რომორი გზით ჩავიდა
ბატონი რეზო ჩხეიძე მოსკოვში.
სტამბოლით თუ გადაფრინდა, ისიც
გაივლიდა „ტრანზიტულ ზონას“ და
უთუოდ დაწყებოდა გული იმის გამო,
რომ ჩრდილოეთის მეზობელთან
მოსახვედრად სამხრეთის მეზობელი
უნდა გაიაროს; „მართლმადიდებელ
ძმასთან“ მოსახვედრად „თათრების“
აეროპორტში უნდა მოუწიოს ყურყუტი.**

ბლად „იდეალური უცხო“ მოდის – მთელი ეს კულტურა აგებული იყო ეთნიკურად არაქართველის უპირატესობაზე, ქართველთან შედარებით. და ვინ იცის, როგორ გაგრძელდებოდა ეს ტენდენცია, რომ არა რუსულ კულტურაში შეღწევა და „ერთმორწმუნე ძმასთან“ ინტეგრაცია – თანაც, ინტეგრაცია ენის დონეზე – რუსულად საუბარი „სვეტსკი“ წრეებში, რუსული სკოლების პრესტიჟულობა... მახსოვს, სკოლაში, როგორი თავანულები დავდიოდით ისინი, ვისაც ე.წ. „მოსკოვის ფორმა“ გვეცვა და რაოდენ დათრგუნულად გრძნობდნენ თავს „ისანის“ ფაბრიკის ფორმაში გამონყოფილი თანაკლასელები.

იმ წლებს გაიხსენებს სწორედ მერაბ მამარდაშვილი, როცა იტყვის, – 30 წელი ვცხოვრობდი რუსეთში და მჯეროდა, რომ ქართველები რუსებივით ბნელები არ არიანო (ჰო, ასე წერს „ტიომნიე“), მჯეროდა, რომ ქართველებს უყვართ სიცოცხლე, რადგანაც იუმორის გრძნობა და რაინდობის შეგრძნება აქვთ შენარჩუნებული, ე.ი. ინდივიდუალისტები არიან, სკეპტიკოსები და ა.შ.. რაც იმას ნიშნავს, რომ მათი საბოლოო დამორჩი-

ლება შეუძლებელიაო. ამას ვიმეორებდი მოსკოვში ცხოვრების დროს, თითქმის ყოველ დღეო.

„მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ილუზია იყო და რომ მენტალური, ფსიქიური, სიტყვიერი გახრწნის პროცესი ძალიან შორს წავიდა“.

რა გამოდის ამ სიტყვებით? რომ რუსეთმა გახრწნა ქართული მენტალობა? კეთილი, ვიყოთ ოდნავ უფრო პოლიტიკორექტულები (რათა მერე „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა“ ფაშისტები და ქსენოფობები არ გვინოდონ) და ჯობს, ასე ვთქვათ, – „საბჭოთა რუსეთმა გახრწნა ქართული მენტალობა“?

„საქართველოს ჰყავს მტერი – ეს არის კომუნისტური საბჭოთა სისტემა. რა თქმა უნდა, მთავარი სიმძიმე ამ მტრული ძალისა არის რუსეთში, მოსკოვში“, – ამბობს მერაბ მამარდაშვილი 80-იანი წლების ბოლოს, თბილისის ფიზიკის ინსტიტუტში გამართულ შეხვედრაზე. ქართული პროვინციული ნაციო-

ანტირუსული საწყისი ჩემი გასილებით

მატია, ვიღრა ჩვენს ანტირუს

პოლიტიკოსებში, – აბოზლა მერაბ

მაგარდაშვილი – რაღანას ისინი

მატისმატად არიან დამოკიდებულნი

მატარაო... ჰო, არ რსხვენოდა ამ ქასს

სიტყვა „მტრის“ ხმარება, პატივსაცემლო

ქართველო ჰუმანისტო-პასიფისტაო

თქვენ – რუსოფობიის შიშით, დღეს

„საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების“

თანამოაზრებად რომ იქნებით...

ნალიზმი მას კვლავაც არ აშორებს კოსმოპოლიტის სტიგმას, მაგრამ მამარდაშვილი თანმიმდევრული რჩება საბჭოთა რუსეთის შეფასებაში. დიახ, ის სივრცე, რომელსაც მამარდაშვილი გულსხმობს, არაა „სუფთა რუსული“... ანუ, ისევ და ისევ, დღევანდელი ქართველი რუსოფილების საყვარელ გამოთქმას თუ გაეხსენებთ, ეს არაა „დასტავესკის რუსეთი“ („ამათ უნდათ, რომ არ ვიკითხოთ დასტავესკი!“ – იმეორებს ხოლმე ქ-ნი ბასა), მაგრამ „საბჭოთა რუსეთის“ კულტურა არც მთლად ცარიელ ნიდაგზე შექმნილა. მას თავისი საფუძვლები ჰქონდა, თუ გნებავთ – სწორედ მანდ, „დასტავესკის რუსეთში“.

„ერების თანასწორობა ისევე აუცილებელია, როგორც ინდივიდების თანასწორობა“, „ერებმა ერთმანეთისგან უნდა ისწავლონ“ – ამ სიტყვების ავტორი, კარლ მარქსი თავის დროზე ისეთი ანტირუსული შეფასებებით გამოვიდა, რომ მოგვიანებით საბჭოთა იდეოლოგები იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ მარქსისა და ენგელსის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაზე.

„სლავი ბარბაროსები ნამდვილი კონტრრევოლუციონერები არიან, დემოკრატიის განსაკუთრებული მტრები“, – ამბობდა მარქსი და თავის ნათქვამს იმასაც აყოლებდა, რომ პეტერბურგის აშენება რუსეთის საზღვართან დიდი ტაქტიკის ნაწილი იყო – რუსეთი აპირებდა დასავლეთის დაპყრობას და პეტერბურგის დედაქალაქად გამოცხადებას.

„სანამ რუსული სახელმწიფო არსებობს, ევროპაში ვერანაირი რევოლუცია ვერ მოხდება“, – დაუმატა მოგვიანებით მარქსის ნათქვამს ფრიდრიჰ ენგელსმა... ანუ პროგრესს, განვითარებას, რევოლუციურ ცვლილებებს დასავლეთში (ცვლილებებს ყველა სფეროში – პოლიტიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში) ხელს უშლის „ყველაზე დიდი აღმოსავლურ-ბარბაროსული ქვეყანა“ – რუსეთი!

დღეს „გამართლმადიდებლური“ რუსი იდეოლოგები, ყოფილი კომუნისტები და ნაციონალ-ბოლშევიკები კარლ მარქსს „პათოლოგიურ რუსოფობს“ უწოდებენ... თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა უარს არ ამბობს ბოლშევიკური რევოლუციის იდეებზე და არც მავზოლეუმიდან ლენინის ცხედრის გადატანას ჩქარობს. რუსეთში ლამის ბესტსელერად იქცა სერგეი კარამურზას წიგნი „მარქსი რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ“, რომლის თანახმად, რუსული რევოლუცია ეწინააღმდეგებოდა მარქსის მოძღვრებას და მის რუსოფობულ იდეებს. კარამურზას მტკიცებით, ბოლშევიკურმა რევოლუციამ უბრალოდ გადაარჩინა რუსეთის იმპერია მენშევიკი-მარქსისტების გეგმის განხორციელებას; გეგმის, რომელიც რუსეთის დაშლას, რუსული იდენტურობის რღვევას და, რაც მთავარია, ამ ტერიტორიაზე კაპიტალიზმის დამკვიდრებას გულისხმობდა. ამით კარამურზა ფაქტობრივად ამართლებს სტალინურ რეპრესიებსაც – ვინ, ვინ და, სწორედ სტალინმა გამოუცხადა ბრძოლა მენშევიკებთან „ალიანსში შემჩნეულ“ ტროცკისტებს, გაანადგურა ყველა, ვისაც ბიზანტიურ-ავტორიტარული ვერტიკალის დანგრევა სურდა რუსულ იმპერიაში.

რუსი პოლიტოლოგი და ისტორიკოსი გარკვეული თვალსაზრისით მართალია – ბოლშევიკურმა რევოლუციამ შეუძლებელი გახადა რევოლუცია დასავლეთში. ე.ი. სოციალისტური რევოლუცია მოხდა არა იქ, სადაც მარქსი ელოდა – ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში... არამედ ჩინეთში, კუბაზე, რუსეთში – იქ, სადაც დამკვიდრებული იყო გლეხურ-თემური მენტალიტეტი, რომლისთვისაც, თავის მხრივ, კაპიტალიზმი, მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმითა და სამოქალაქო საზოგადოებით, მოსისხლე მტერია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „თანასწორობისა და ძმობის“ იდეამ გავრცელება დაიწყო გლეხურ თემში, სადაც ყველა ისედაც „ერთნაირი“ იყო... სადაც არ არსებობდა ინდივიდუალიზმის გამოცდილება. 60-იანი წლებში, სახელგანთქმული მეოცე ყრილობის შემდეგ, როცა ხრუმჩოვმა სტალინის კულტი დაგმო და მოგვიანებით, 80-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა კავშირში „პერესტროიკის“ ეპოქა დაიწყო, ამკარად შეიმჩნეოდა მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიისკენ ქვეყნის დაბრუნება. სწორედ ამან ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა იდეოლოგიის დაშლას.

საქართველოს მაშინ მიეცა უნიკალური შანსი, გამოეჯვროდა რუსეთს სწორედ რუს სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობით, როგორც ეს ნაწილობრივ გააკეთეს ბალტიისპი-

რელებმა. მაგრამ რუსეთის აგენტურამ მოასწრო და სახელი გაუტეხა სოციალ-დემოკრატიას საქართველოში („ილია სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს!“ – ბოლშევიკების მიერ შეთხოვნილ მითს კვლავაც ბევრი იზიარებს საქართველოში). „სტალინურ თემს“ ჩაენაცვლა „ნაციონალისტური თემი“, ძველ კომუნისტურ ხატებს ახალი ხატები (რომლებიც „ტირიან“) და კაპიტალიზმს, ინდივიდუალიზმს, ე.ი. დასავლეთს ისევ გადაეკეტა გზა.

საზღვარი დაიკარგა. მერაბ მამარდაშვილი გარდაიცვალა.

ანტირუსული სანქსის ჩემში გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენს ანტირუს პოლიტიკოსებში, – ამბობდა მერაბ მამარდაშვილი და განმარტავდა, – რადგანაც ისინი მეტისმეტად არიან დამოკიდებულნი მტერზე... ჰო, არ რცხვენოდა ამ კაცს სიტყვა „მტრის“ ხმარება, პატივცემული ქართველი ჰუმანისტო-პაციფისტებო თქვენ – რუსოფობიის შიშით, დღეს „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების“ თანამოაზრეებად რომ იქცეით... აბა, წარმოიდგენდით ოდესმე თქვენ თავს ჯანსუღ ჩარკვიანი-სა და რეზო ჩხეიძის თანამოაზრეებად? ოდესღაც ავანგარდულ ლექსებს რომ წერდით და სიტყვა „ტრაკს“ წარმატებით იყენებდით რითმისთვის, წარმოიდგენდით ოდესმე, რომ „რუსულენოვანი მწერლების ფესტივალს“, რომელშიც თქვენ მონაწილეობდით გრიგოლეთში (ლამის აგვისტოს მოვლენების წლისთავს რომ დაემთხვა), საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები დალოცავდნენ?

არ შერცხვებოდა მამარდაშვილს არც იმ „ჯაჭვში“ ჩადგომა გასულ წელს რომ მოეწყო საქართველოში. ყველა ეს გამოთქმა: „საკავშილის მიერ ორგანიზებულ ჯაჭვში არ ჩავდგები“, „რა უგემოვნებაა ეს ჯაჭვები“, „არ მინდა მასაში ყოფნა“ ძველთაძველი საბჭოთა-ინტელიგენტური კომპლექსებია, რომლის შედეგებს ახლაც იმის ქვეყანა

მაგრამ მერაბ მამარდაშვილის ამ მოსაზრებაში მაინც არა იმდენად „მტერია“ მნიშვნელოვანი, რამდენადაც „მეტისმეტად დამოკიდებულნი არიან“. ქართველი ფილოსოფოსი დარწმუნებული იყო, რომ რუსული-საბჭოთა სივრციდან გამიჯვნის მოთხოვნილება პირველ რიგში სამოქალაქო საზოგადოებას უნდა გაუჩნდეს. ხელისუფლების ინიციატივით კი არ უნდა თქმულიყო უარი ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე, როგორც ეს 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა, არამედ სპორტსმენებს თავად უნდა გასჩენოდათ ეს იდეა; ხელისუფლებამ კი არ უნდა იძახოს „ფეკალური მასები“, „ლილიუტი-პრეზიდენტი“, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა. „ჯაჭვების“ ორგანიზება უნდა შეძლოს არა მთავრობამ, არამედ სამოქალაქო საზოგადოებამ... იმ „სტრუქტურამ“, რომელიც სწორედაც რომ თემებისა და თემური აზროვნების რღვევას მოითხოვს, რათა ადამიანებმა ინდივიდუალურობა დაიბრუნონ, ე.ი. რათა ჩვენი სამყარო კიდევ უფრო ჭრელი, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდეს.

მაგრამ რუსეთშიც და საქართველოშიც, ეს „ერთმორწმუნეობა“, გაყვნილი ბიზანტიურ-სტალინური კოლორიტით, ეს ეგრეთ წოდებული „სობორნოსტ“, ისევ ხელს უშლის პიროვნების პიროვნებად ჩამოყალიბებას. ჩემი დაკვირვებით, დიდ საერთაშორისო კინოფესტივალებზე ყოფნისას მხოლოდ რუსებს და ქართველებს გვიყვარს ერთად, ჯოგურ-თემურად სიარუ-

ლი. სხვებისთვის კინოფესტივალი არაჩვეულებრივი საშუალებაა, გაიცნო უცხოელები, დაელაპარაკო, გაიგო რა ხდება მის ქვეყანაში, საერთოდ, პლანეტაზე... ჩვენ კი ერთად გვიყვარს ყოფნა! ერთად გახარება და ერთად გაბრაზება!

ჰოდა, ისევ მივადევით მოსკოვის უკანასკნელ კინოფესტივალს, სადაც მსახიობმა მიხეილ მესხმა მადლობა გადაუხადა პრიზისთვის მოსკოვს (ყველა ფესტივალზე მადლობას თავად ფესტივალს, კინოს, ხელოვნებას, ანდა ცოლს, შვილებს, ზოგჯერ ძაღლებსა და კატებს უხდინა ხოლმე), ხოლო „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი“ თავის რუს კოლეგებს დაჰპირდა, რომ ცა აუცილებლად მოინმინდება... ე.ი. ისევ ერთად ვიქნებით.

დაჯილდოების ეს ცერემონიალი, რომელზედაც პრიზი კინემატოგრაფში განუული ღვანლისათვის რეზო ჩხეიძეს პუტინის მთავრობის წევრმა, კულტურის მინისტრმა გადასცა, მიჰყავდა ნიკიტა მხალკოვს, რომელმაც რამდენიმე თვით ადრე რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის ყრილობაზე ქურდულად წაართვა დემოკრატიულად არჩეული თავმჯდომარის პოსტი მარლენ ხუციევს. პირადად ჩემთვის ამ სკანდალს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს – რუსული კინოს „შეფის“ როლი არ დათმო პუტინისა და რუსეთის პატრიარქის მეგობარმა, „გამართლმადიდებლებულმა“ ნიკიტა მხალკოვმა; არ დაუთმო მარლენ ხუციევს, კაცს, რომელსაც გადაღებული აქვს საბჭოთა 60-იანელთა „დევიზი“ ფილმი – „ილიჩის საგუმბაგო“, მერე კი „პერესტროიკის“ ეპოქის ყველაზე ზუსტი პორტრეტი – „უსასარულობა“... მიაქციეთ არა, ყურადღება ამ სათაურს?

„უსასარულობა“

1992 წელს გადაღებული ფილმი გადაიქცა საბჭოთა კავშირის თავისებურ რეკვიმად და წინასწარმეტყველებადაც. საბჭოთა სამოციანელი, რალაციით აკადემიკოს სახაროვს რომ ჰგავს, რალაციით მერაბ მამარდაშვილს, რალაციით კი თავად მარლენ ხუციევს, ცდილობს თავის ფიქრებში მაინც მიაგნოს თავისუფლებას და გადალახოს ჩაკეტილი სივრცის საზღვარი... ვერ ახერხებს. მეტისმეტად ძლიერია ეს „თემი“, რომელიც თავისკენ ექაჩება. თემის უკან დგას ხელისუფლება, ეკლესია, ათასი ჯიმის იდეოლოგიური ინსტიტუტი, ჯარი. ამ თემის უკან დგას რუსეთის ინტელიგენცია თავისი მხალკოვებითა და „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებით“, ისევ რომ არ დაუთმეს ხუციევს მსგავს რომანტიკოსებს ძალაუფლება. „უსასარულობა“ მათ კვლავ აშინებთ, რადგან არავინ იცის, დარჩებათ თუ არა პრივილეგიები ამ უსასარულობაში, მაგრამ იმ „სასარულ“ სივრცეში, რომლის აღდგენაზე ოცნებობენ, საქართველოს მაინც არ თმობენ.

„საკავშილი გვიშლის ხელს და ამერიკა, თორემ ქართველებს როგორ ვესროდით?“ – წერს ვილაც ერთ რუსულ ინტერნეტფორუმზე და უმატებს: „დუხოვნოსტ“ ქართველებს განსაკუთრებული აქვთო. მაინც რა „დუხოვნოსტ“ იგულისხმებს ამისთანა? რითი უფრო ნაკლები „დუხოვნოსტ“ აქვთ, მაგალითად, სომხებს? რა, ცუდი არქიტექტურა აქვთ? მხატვრები არ ჰყავთ კარგი, თუ მწერლები? რატომაა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს რუს ბავშვებს საქართველოს, როგორც ლამის მინიერი სამოთხის სურათს, ისე უხატავდნენ?

სკოლებში ასწავლიდნენ, რომ საქართველო – ესაა წარმტაცი ბუნება, მთა, ზღვა, ესაა „ბორჯომი“, შესანიშნავი ღვინო და სტუმართმოყვარე ხალხი?

„ქართული სამოთხის“ ამ სახის ხატვა ჯერ რუსმა პოეტებმა დაიწყეს („ბარბაროსების სივრცეში“, როგორც იტყოდა მარქსი), მერე კი მათმა მემკვიდრეებმა – რუსეთის ინტელიგენციამ. ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო რუსული-საბჭოთა ინტელიგენციის დაკავშირება სტალინის მიერ შექმნილ „კანონიერ ქურდებთან“ და ამ ორი სივრცის – ქურდულისა და კულტურულის გაერთიანება... და ვინაიდან „კანონიერი ქურდების“ ეს ინსტიტუტი, თავისი „ცეხავიკებით“, გამფლანგველებით, ყველაზე დიდი წარმატებით სწორედ საქართველოში დამკვიდრდა, რუსეთის ინტელიგენციას საქართველოს მიმართ ლტოლვა კიდევ უფრო გაუმძაფრდა... შეიქმნა, ცოტა არ იყოს, „კენტავრული“, მაგრამ საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი სოციალური ჯგუფი – ინტელიგენციისა და კანონიერი ქურდების ერთობლიობა, რომელსაც წარმატებით აკონტროლებდა საბჭოთა უშიშროება – პრივილეგიებით აცხოვრებდა და არაფერს აკლებდა. საქართველოში ამ ერთობლიობამ ვერ შეითვისა „პერესტროიკის“ სოციალ-დემოკრატიული რიტორიკა, რადგან სტალინური იდეალების ნგრევა გარკვეულწილად ქურდული სამყაროს იდეალების ნგრევას ნიშნავდა... მაგრამ ამ ხალხს არც ეროვნულმა მოძრაობამ დაუჭირა მხარი, რაც სრულიად საკმარისი გახდა გამასხურდიას ხელისუფლების და-

მსობისთვის. ქურდულ-კულტურულმა ელიტამ საქართველოს ედუარდ შევარდნაძე დაუბრუნა და ყველანაირად შეეცადა, შეენარჩუნებინა ის ენა, რომელიც მისთვის ყოველთვის გასაგები იყო – საბჭოთა რუსეთის ენა – მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად შეცვლილი ახალი ხატებით (რომლებიც ტირიან).

დღეს ეს ხალხი „საკანს“ სტუმრობს და უკვე ღიად მისტირის რუსეთს, თავისი „დასტავესკით“ და საბჭოთა საქართველოს, თავისი „ქურდულ-ქუჩური ინსტიტუტით“. დღეს ეს ხალხი დიდი ჰუმანიტის როლში წარმოგიდგება; არ მოსწონს, მაგალითად, რომ დასავლური ფასეულობების აქტიურ შემოჭრას საქართველოში ადამიანის ღირსების გათელვა მოჰყვა.

ადამიანის ღირსება! ოჰ, ეს „დასტავესკი“!

„სანამ რუსები არ მოეშვებიან ამ რიტორიკას – „მე არ შემიძლია ვიყო ბედნიერი, რადგან აფრიკაში ბავშვი ტირის“, – მიუდმივად იქნება საფრთხე, ვითომც ცრემლის მოწმენდის მიზნით მოვიდნენ და... დაგიპყრობენ“.

ამბობდა მერაბ მამარდაშვილი. ამას ჰქვია სწორედ სიყვარული, რომელიც ახრჩობს და კლავს. სწორედ ისეთი, შექსპირმა რომ აღწერა.

ამიტომაც, მეძახეთ „რუსოფობი“, ბატონო პაციფისტებო, ჰუმანიტებო, ინტელიგენტებო და ქურდებო... ჩემთვის დასავლეთის საზღვარი, დიდი ხანია, სარფის საგუმბაგოზე გადის. იმ საზღვრით იწყება ჩემთვის უსასრულობა და პიროვნული თავისუფლება.



ფრანგული სეკულარიზმი და მუსლიმური ტანსაცმელი

ავტორი: ბიორბი სხალაია

2009 წლის 22 ივნისს ფრანგული პარლამენტის ორივე პალატის წინაშე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის გამოსვლამ, ქალების მიერ მუსლიმური ტანსაცმლის ტარების შესახებ, დასავლეთში გაჩენილი ურთიერთგამომრიცხავი აზრები კიდევ უფრო გაამწვავა. ეს

გამოსვლა იმითაც გამოირჩეოდა, რომ 1873 წლის შემდეგ პრეზიდენტმა პირველად მიმართა პარლამენტს. ბევრი დამკვირვებლისთვის მსგავსი ცერემონია დრომოჭმულ, შუა საუკუნეობრივ, მონარქიულ სიმბოლოდ აღიქმება. რევოლუციური სულის საფრანგეთში ასეთი შეფასება არცთუ სახარბიელოა, განსაკუთრებით, როდესაც თავად თემაც მიძიმე და რთული. მუსლიმური ტანსაცმლის ტარება პრეზიდენტმა გენდერულ უთანასწორობასთან გაათანაბრა. მისი არგუმენტი მარტივია: ქალისა და კაცის თანაბარი ლეგალური სტატუსის პირობებში, მიუღებელია საჯარო სივრცეში ე.წ. ბურქას (ბურქა, იგივე ფარანჯა) ტარება, რადგან ქალები ასეთი სამოსით სოციალურ ცხოვრებას მონყვეტილებად აღიქმებიან და პატიმრებს ჰგვანან. „ბურქა არ არის რელიგიური სიმბოლო. იგი მონურ დამცირებასა და შეურაცხყოფას გამოხატავს, – აცხადებს სარკოზი, – საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი ტარება მიუღებელია“. სარკოზი თვლის, რომ ევროპას არ უნდა ემინოდეს თავისი ღირებულებების, არამედ უნდა დაიცვას ისინი.

ბურქას აკრძალვის შესახებ სხვადასხვა პარტიის იურისტები სპეციალური კომისიის ფარგლებში დღესაც განაგრძობენ მუშაობას. ექვსთვიანი მისიის მიზანია, დაადგინოს, თუ როგორ მოხდა რელიგიური სიმბოლიკის მქონე ტანსაცმლის აკრძალვა. 2004 წელს საფრანგეთმა რელიგიური შინაარსის ტანსაცმლისა და სიმბოლოების საჯარო სკოლებში ტარება აკრძალა, მაშინაც აქტიური წინადადებით გა-

მოდოდა ნიკოლა სარკოზი. თუმცა, ამავე დროს, ის მხარს უჭერდა სახელმწიფოს მიერ მეჩეთების დაფინანსებას, რაც მუსლიმი იმიგრანტების ფრანგულ საზოგადოებაში ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს.

თავის დროზე ამ აკრძალვას სამეცნიერო, ინტელექტუალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ წრეებში ვრცელი და ცხარე დებატები მოჰყვა. ფრანგული სეკულარიზმის გაანალიზებისა და ურთიერთსაპირისპირო საკითხების წამოწევისას განსაკუთრებით აქტიურობდნენ საფრანგეთის საზღვრებს გარეთ მოღვაწე მეცნიერები და პოლიტიკოსები. 22 ივნისის გამოსვლამაც მსგავსი რეაქცია გამოიწვია.

უკვე 25 ივნისს BBC-ზე, ჯერემი პექსმენის გადაცემაში, ბურქას აკრძალვას ლონდონის ყოფილი მერი, კენ ლივინგსტონი და ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ბერნარ-ანრი ლევი პირდაპირ ეთერში განიხილავდნენ. პექსმენის პირველი კითხვა ლევისადმი საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ მოქალაქეებისთვის, ამ შემთხვევაში, მუსლიმი ქალებისთვის მიცემული დირექტივის მართებულობას ეხებოდა. ლევი ამბობდა, რომ ეს არ იყო დირექტივა, არამედ მოწოდება – გენდერული თანასწორობის გარანტიების დაცვის მიზნით. ქალებს აქვთ სახე და არა ხორცის ნაჭერი, რომელიც, სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, უნდა დაიმალოს. იგივე კითხვა გაუმეორეს ლივინგსტონსაც, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლიტიკაში მისი 40-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე ბრიტანეთში მსგავსი აკრძალვები მიუღებლად ითვლებოდა; უფრო მეტიც, პოლიტიკოსები მის ქვეყანაში რელიგიური სიმბოლოების საჯაროდ აკრძალვის შესახებ თითქმის არ საუბრობენ, თუ არ ჩავთვლით ლიბორისტული პარტიის წევრ ჯეკ სტროს, რომელმაც საკუთარ ამომრჩეველ ქალებს სთხოვა, რომ მასთან შეხვედრისას ჩადრი მოეხსნათ. როგორც დავინახეთ, ბრიტანული და ფრანგული სეკულარიზმის ტრადიციები ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ლივინგსტონმა აღნიშნა, რომ ფრანგებმა ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში სამღვდელოების ნაწილი გაანადგურეს და ამ თემისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეები არიან. სინამდვილეში, საფრანგეთში, ისევე როგორც მის ზღვისგადაღმა მეზობელ ქვეყანაში დღემდე ხდება სახელმწიფოს მიერ რელიგიური სკოლებისა და დაწესებულებების სუბსიდირება.

უბრალოდ, ისტორიულად აგრესიულ ფრანგულ ტრადიციას ქრისტიანებისა და იუდაისტებისათვის უპირატესობის მინიჭებაც ემატება. ლივინგსტონი ამტკიცებდა, რომ ლევის ლოგიკას თუ მივყვებით, კათოლიკური ეკლესიის მიერ ქალებისათვის აღსაყდრებაზე უარის თქმა ისეთივე გენდერულ დისკრიმინაციას წარმოადგენს, როგორც ბურქას ტარება, თუმცა საფრანგეთის პრეზიდენტი ალბათ კათოლიკეების წინააღმდეგ არ გაილაშქრებს, რადგან ამით ხმებს დაკარგავს. ამაზე ლევი უპასუხა, რომ ამჟამად საფრანგეთში კათოლიკურ რწმენაზე მეტად მუსლიმური მძლავრობს. ალბათ ფრანგმა ფილოსოფოსმა დებატების მხოლოდ ამ მონაკვეთში აჯობა ლივინგსტონს. თუმცა შეიძლება სარკოზის გამოსვლის დისკრიმინაციულ ხასიათზე მაინც ვიმსჯელოთ. ის ხომ საფრანგეთს ქრისტიანული ცი-

ვილიზაციის ნაწილად თვლის, ამ კონტექსტში კი, მუსლიმური ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარ ამომრჩეველზე გათვლილ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

საფრანგეთში იუდეოქრისტიანული სამყაროს კონცეფცია კონსერვატორულ წრეებში ისევე პოპულარულია, როგორც ამერიკასა ან დასავლეთის სხვა ქვეყნებში. ვიშის ფაშისტური რეჟიმის ებრაელებისადმი დამოკიდებულება ფრანგისთვის ისეთივე სამარცხვინო წარსულია, როგორც გერმანელისთვის – ჰოლოკოსტი. ამიტომ იხარჯება იუდაისტურ სიმბოლიკაზე გაცილებით ნაკლები პოლიტიკური ენერგია, ვიდრე მუსლიმი იმიგრანტების რელიგიური თავისუფლებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის საკითხებზე. სხვადასხვა იდეოლოგიის დასავლელ პოლიტიკოსებს ქალების მიერ რელიგიური დანიშნულების ტანსაცმლის ტარების შესახებ საინტერესო პოზიციები აღმოაჩნდათ. მაგალითად, კონსერვატორები, რომლებიც, ტრადიციულად, რესპუბლიკისა და სეკულარიზმის ევროპულ იდეალებს იცავენ (ხშირად ქრისტიანულ კულტურასთან კავშირში), ბურქას აკრძალვის საკითხში მემარცხენეების პოზიციას იზიარებენ, კონკრეტულად კი – ფემინისტებისას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან რელიგიური ინსტიტუტების მიერ ქალების

„ბურქა არ არის რელიგიური სიმბოლო. იგი მონურ დამსიკრებასა და შეურაცხყოფას გამოხატავს, – ასხადებს სარკოზი, – საფრანგეთის რესპუბლიკის ტარიტორიაზე მისი ტარება მიუღებელია“. სარკოზი თვლის, რომ ევროპას არ უნდა ეშინოდეს თავისი ღირებულებების, არამედ უნდა დაიცვას ისინი.

დისკრიმინაციას როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსლიმურ სამყაროში. განზე რჩებიან მულტიკულტურალისტი ლიბერალები, რომლებიც ევროპის ლიბერალურ საზოგადოებრივ დისკურსს ჯიუტად იცავენ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევისგან. სწორედ ამ უკანასკნელ პოზიციას განვიხილავთ იმისათვის, რომ ფრანგული სეკულარიზმის კრიტიკას ჩავუღრმავდეთ. მულტიკულტურალისტებიც მემარცხენეებად შეიძლება ჩავთვალოთ, თუმცა ამას ბევრი პოლიტიკოსი თუ სოციალური მეცნიერი არ იზიარებს, რადგან 11 სექტემბრის შემდეგ დასავლელი კონსერვატორული წრეები ტერაქტებით შეშინებული ამომრჩეველის თვალში მათ დისკრედიტაციას ადვილად ახდენენ.

მულტიკულტურალიზმი წმინდა იდეოლოგიური თვალსაზრისითაც საკმაოდ საკამათო კონცეფციაა, რადგანაც ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს კულტურული ჯგუფე-

ბის დაცვაში ინდივიდუალური თავისუფლება იკარგება. ვილაციისთვის შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მულტიკულტურული მიდგომის ნაკლებობა ფრანგული სეკულარული სახელმწიფოს მიერ მოქალაქის რელიგიური თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით უფრო გვანტერესებს, ვიდრე გლობალურ იდეოლოგიურ კონტექსტში. პირველი არგუმენტი მოჰყვა 2004 წელს სკოლებში „შესამჩნევი რელიგიური ნიშნების“ აკრძალვის მიზნით შექმნილი ე.წ. სტასის კომისიის მიერ ფრანგული სეკულარიზმის დასაცავად და „მულტიკულტურალური“ შეხედულებების წინააღმდეგ მიმართულ დასკვნას. კომისია აცხადებდა, რომ ამ შემთხვევაში, ისინი იცავდნენ არა მხოლოდ ფრანგულ სეკულარულ ტრადიციას, ე.წ. „laïcité“-ს, არამედ ილაშქრებდნენ „communautarisme“-ის წინააღმდეგ, ანუ მათ თამაშში შემოჰყავდათ სამი აქტიორი: სახელმწიფო და მისი აგრესიული სეკულარიზმი, უმცირესობათა ჯგუფები თავიანთი კომუნიტარული იდეოლოგიით ანუ communautarisme-ით და კერძო პირები ანუ მოქალაქეები. აქედან გამომდინარე, სტასის კომისიის ლოგიკა კომუნიტარიზმის თავიდან აცილებასა და, ერთიანი ნაციონალური ერთობის შენარჩუნების მიზნით, საჯარო სკოლებში რელიგიური ნიშნების აკრძალვას გულისხმობდა. საწინააღმდეგო

ბამოდის, რომ საფრანგეთის სახელმწიფო ებრძვის ბარკვეული რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების გამოხატვას ნიშნებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ რწმენა უფრო ფართო სფეროა, ვიდრე ბარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა. ამით უპირველესად სეკულარიზმის ინდივიდუალისტური ტრადიციის ირღვევა.

ბანაკიდან კომისიის კრიტიკამ არ დააყოვნა და ის თავისუფლების იდეის მოძველებულ ინტერპრეტაციაში დაადასტურა.

საქმე ის არის, რომ 1789-1799 წლების საფრანგეთის რევოლუციის ეპოქიდან მოყოლებული, თავისუფლების იდეა უპირისპირდებოდა ე.წ. „მიკუთვნებულობის“ იდეას. ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდები განიხილებოდნენ პრემოდერნული ტრადიციებისა და ცალკეული ჯგუფების კუთვნილებად, და პოზიტივისტური განათლების მიზანი იყო მათი აზროვნების რაციონალიზაცია. ეს კი ნაციონალისტური სულისკვეთების მატარებელი მოქალაქეების აღზრდას (საჯარო სკოლებიც ამიტომ შეიქმნა) გულისხმობდა. ამ მიზეზით, კომისიამ დღესაც რელიგიურ სიმბოლოებზე გაამახვილა ყურადღება და არა თავად პრობლემაზე; ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ

ჩავთვლით, რომ ქალების მიერ რელიგიური დანიშნულების ტანსაცმლის ან აქსესუარების ტარება სეკულარული საზოგადოებისთვის პრობლემაა.

კანონმორჩილი ფრანგული ტრადიციისთვის რელიგიური ნიშნები ფლობენ ადამიანებს, და არა – პირიქით. ბურქას შემთხვევაშიც, არავის მოსვლია აზრად, რომ მისი აკრძალვით, შესაძლოა, იმათი უფლებებიც ირღვეოდეს, ვინც ბურქას არ ატარებს, თუმცა ამის სურვილი აქვს, და არა მხოლოდ იმათი, ვინც საჯარო სივრცეში მას ყოველდღიურად ხმარობს. სტასის კომისიისა და ბურქას აკრძალვის წინააღმდეგ მიმართული მეორე არგუმენტის თანახმად, სახელმწიფო თავად განსაზღვრავს, რა მიეკუთვნება რელიგიურ სიმბოლოს და რა – არა; ანუ მხედველობაში არ იღებენ იმას, რომ რელიგიური ნიშანი შეიძლება იმიტომ იყოს რელიგიური, რომ ადამიანის რწმენასა და შეხედულებებს გამოხატავდეს და არამხოლოდ რელიგიური ან ეთნიკური ერთობის მიერ აღიარებულ სიმბოლოს წარმოადგენდეს.

გამოდის, რომ საფრანგეთის სახელმწიფო ებრძვის გარკვეული რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების გამოხატვას ნიშნებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ რწმენა უფრო ფართო სფეროა, ვიდრე გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა. ამით უპირველესად სეკულარიზმის ინდივიდუალისტური ტრადიცია ირღვევა.

და ბოლოს, ლიბერალურ იდეოლოგიას რომ თავი დავანებოთ და მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებებით ვიმსჯელოთ, დავასკვნით, რომ ამ რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების, თუნდაც „პოლიტიკური ისლამისკენ“ გადახრილი ელემენტების, საზოგადოებაში ინტეგრირება გაცილებით უფრო ეფექტურია მათი მსოფლმხედველობის გარდაქმნის, ტრანსფორმაციის გზით, ვიდრე „ბოროტისა და კეთილის“ დაპირისპირების ხელის შეწყობით. ფრანგული სეკულარიზმი ამ შემთხვევაში ისევე მოქმედებს, როგორც ამერიკული ნეოკონსერვატიორული იდეოლოგია, ანუ მტრის ხატის შექმნით ცდილობს პრობლემებთან გამკლავებას; ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ ეს იდენტობებს შორის ბრძოლაა, როდესაც უნებლიეთ შეიძლება თავად შექმნა მტერი, ვიდრე დაამარცხო. ამ შემთხვევაში, იმიგრანტთა საზოგადოებებში სარკოზის გამოსვლამ რელიგიურ ელიტას გაცილებით უფრო მყარი პოზიციებიდან საუბრის საშუალება მისცა, ეს კი პოტენციურ სეკულარულად მოაზროვნე მუსლიმების აზრებს გადაფარავს.

იმიგრანტთა შორის რელიგიური გრძნობების გაღვივება მხოლოდ ახლო აღმოსავლეთიდან წამოსულ ფუნდამენტალისტურ ქადაგებებს არ გამოუწვევია, ამ მოვლენის უკან სერიოზული ეკონომიკური და სოციალური მიზეზები დგას. ეს თავის გამოსვლაში თავად სარკოზიმაც აღნიშნა, თუმცა არ მგონია, რომ ბურქას წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია საზოგადოებაში სოციალური დისპარმონიის აღმოფხვრისკენ მიმავალი ერთადერთი გზა იყოს; რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამით სერიოზულად ზარალდება ლიბერალური იდეოლოგია და თავად სეკულარიზმის იდეა.



ავტორი: დავით კოვზირიძე

ჩემმა შორეულმა ნაცნობმა, სხვათა შორის გოგომ, თავისი ერთადერთი საცხოვრებელი, ოთახნახევრიანი ბინა გაყიდა და „იქსპიატი“ იყიდა. ოთახის ფული უშუალოდ მანქანაში დაიხარჯა, დარჩენილი ნახევრის კი, რასაკვირველია, ნომერში. დღეს ნაქირავებში ცხოვრობს, არ მუშაობს, ალბათ ბენზინის პრობლემაც აქვს, მაგრამ რა მოსატანია ეს დეტალები მაშინ, როცა ეზოში ტრადიციული ქართული შეფერილობის „იქსპიატი“ გელოდება, როცა შარდენზე ღირსეულად მიხვალ და მედიდურად წამოხვალ.

„იქსპიატის“, ანუ წმინდა ქართული მას-ოცნების ფენომენი მოულოდნელად არ შემოჭრილა ჩვენს ცხოვრებაში, მას დიდი ისტორია აქვს და ოთხმოცდაათიანებში იწყება; იწყება „ძევიტით“, მხედრონელთა სპეც-ტრანსპორტით.

რა იყო მაშინდელი „ძევიტი“, თუ მას ოპიუმისგან დადარდინებული და „რეიბანს“ ამოფარებული აგრესიული რაინდები თვლენ-თვლემით არ ატარებდნენ, ძალიან ნელა, ან ძალიან სწრაფად; თუ რაინდი მარცხენა ხელით წვივებს და ცხვირს არ იფხანდა, სიგარეტით და წვენიტ დატვირთული მარჯვენა კი საჭეზე არ ედო ანაზდად; თუ ფანჯრებიდან ავტომატის ლულები და ხანდახან ფეხები არ იყო გადმოფენილი; თუ თუფაქში გადახელილი ბოზიშვილივიყო ალილიასავით არ ისმოდა, და თუ მანქანას გარედან ერთი-ორი ნატყვიარი არ ემჩნეოდა. მაშინ „ძევიტებს“ კაკაოსფერი „შესტები“ დასდევდნენ, მაგრამ პროფესორ-რეჟისორის ხელმონერილი ფურცლები ამ დევნას ფიქციად აქცევდა.

მერე ისევ „ძევიტი“ იყო, ოღონდ ტრაკიანი. თვლენა ცოტა საშიში გახდა, რადგან იმ ფურცლებმა ძალა დაკარგა და კაკაოსფერი „შესტებიც“ გააქტიურდნენ. ნელ-ნელა გაქრა ნატყვიარები და ლულები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ფეხები. თუფაქი ბარი უაიტმა შეცვალა, „პულია“ და რამე. რახან თვლემის ამბავი გამკაცრდა, ტრაკიანში ნაშები მომრავლდნენ, უფრო კაკაოსფერთა ყურადღების ასარიდებლად.

აი, აქ მთავრდება ქართული მას-ოცნების საბჭოთა ეპოქა და იწყება გერმანული ეპოქა, რომელსაც მერე და მერე ამერიკულ-იაპონური კონკურენცია შეავინროვებს, თუმცა

მანამდე ჯერ შორია, მანამდე კიდევ საფეხურებია გასავლელი.

პირველი შოკი, ისტერია და მანქანა-კვილი იყო „მისოტი“, „მისოტკა“, „შესოტი“, „შესტისოტი“, როგორც გენებოთ – ყველგან მავალი, ყველაფერზე მეტყველი, ყველაფრის მკადრებელი სოლიდური ვეშაპი, რომელშიც ძირითადად ისინი შესახლდნენ, ვინც კაკაოსფრების არმიას ხელმძღვანელობდა და ვინც ნაღვლიანი „ძევიტელების“ განადგურება-ემიგრაციას შეუწყო ხელი. „მისოტის“ გასიებული მხედრები მალე ლაბაზზე ჰალსტუხს ძლივს შემოინვდნენ, სახიდან ზეთისდენა მოიმატებს, ბარის მიშა შუფუტინსკი შეცვლის, შირმა-ნაშებს კი სამშობლოში დაბრუნებული, თურქეთის მაგისტრატურის წარმატებული კურსდამთავრებული, კუთხური აქცენტის მქონე და უარის თითქმის არაფერზე მთქმელი პუტანკები, რომელთა მორალი მხოლოდ ორალზე იწყებდა პროტესტს.

და ამ დროს ახალი ცუნამი მოაწყდა ბედკრულ საქართველოს! „მისოტებსა“ და „მარშუტკებს“ შორის არსებული ვაკუუმი შეავსო ბრენდმა, რომლის ზუსტი სახელი ჯერ კიდევ უცნობია. ძირითადად მას „ბეენვეს“ უწოდებენ, შედარებითი გაქექილობის პრეტენზიის მქონენი „ბეიმდაბლიუს“ (თუმცა მაინც ფრთხილად, როული „ლ“-ა ბოლოში), ან უფრო სვეცკად, „ბეიმს“, ხოლო დანარჩენები – „ბეენვეს“. „ბეენვემ“ შეცვალა ყველაფერი – ნიგნი, ცირკი, საჭმელი, სასმელი, სინდისი და ნამუსი. „ბეენვეს“ ყიდიდა და ყიდულობდა ნახევარი ჯორჯია. თითო „ბეენვე“ ყველა ოჯახში! ძალა „ბეენვეშია“! მამული, ენა, სარწმუნოება, „ბეენვე“!..

იყო „ხულიგანკა“, იყო „აკულა“, იყო „ტროიკა“, იყო „ემპიატი“, იყო „სიმსოტი“, იყო „ზეტტრი“. აღარ იყო ერთი გამორჩეული ფენა, ყველაფერი ერთმანეთში აითქვიფა, ზეთიანსახიანები და მონყენილები, პერეგონშიკები და შოუბიზის სტარები, ერი და ბერი, იგლესიასი ენრიკე და ჯანელიძე ენრიკო...

მაგრამ რაა ეს ყველაფერი „იქსპიატთან“ შედარებით?! იქ მყოფს ყველაფრის უფლება გაქვს. შეგიძლია შუა გზაში მიუყენო ტყუპისცალს და მოძრაობა გააქვავო, შეგიძლია, შეგიძლია კი არა, ვალდებული ხარ, არავის არაფერი დაუთმო, გაიარო წითელზე, გასრისო ფეხით მოსიარულე, ფანჯრიდან ნაგავი ისროლო, მერე ფურთხიც მიაყოლო და ბოლოს „მოაკანრინო“, აგინო „ოპელ ვექტრას“, კიდევ ერთ ქართულ ფენომენს.

საერთოდ, არსებობს „იქსის“ ეკვივალენტური ფასეულობა? ან ოცნება, მისი სადარი? ან საზომი ერთეული, ასეთი ზუსტი და უტყუარი? მერე, რა ამაყად არიან ჩანიკნიკებულნი უთვალავ რესტორანთა გასწვრივ ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მზიურ და ქალარა დედაქალაქში. რამდენი „პარლამენტ ლაითი“ იწევა ამ შავ და ვერცხლისფერ რაშებში. რა ზევით ზიხარ, როცა ზიხარ „იქსპიატში“!

არა რა, ეს მანქანა ჩოხაა, ჩოხა-ახალუხი.



PINA, რომელის არ ინონება

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

მაიკლ ჯექსონის სიკვდილით გამოწვეული ვნებათაღელვის შემდეგ ძნელია, ვინმე კიდევ გააკვიროვო მოკრძალებული ნეკროლოგებით, თუმცა როგორც პოეტი ამბობს, „ყველას თავისი აქვს სახსოვარი“. ჩვენი „მცირემეტრაჟიანი“ კომენტარი ვუპერტალში 68 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაცვლილ, დიდ გერმანელ ქორეოგრაფს, პინა ბაუშს ეძღვნება. ონკოლოგიური დიაგნოზი, რომელიც მას ექიმებმა გარდაცვალებამდე სულ რაღაც ერთი კვირის წინ დაუსვეს, კატასტროფული სისწრაფით დადასტურდა. 30 ივნისს, სალამოს იგი მშობლიურ ვუპერტალის თეატრს (სადაც თითქმის 35 წელი ქორეოგრაფიულ ექსპერიმენტებს უძღვნა), კოლეგებს და მეგობრებს გამოეთხოვა.

თუ ოდესღაც ნებით მოხვდით, ან ვთქვათ, ჩემნაირმა ქორეო-მანიაკებმა ძალით „შეგათრიეს“ თანამედროვე ცეკვის უზნეოდ თვალისმომჭრელ ლაბირინთში (სავარაუდოდ, იქ ცოტა ხანს მინც დაჰყოფდით), აუცილებლად გეცოდინებათ ეს უცნაური ქორეოგრაფი ქალი – პინა ბაუში. მაღალი, თხელი, უფრო ზუსტად სიფრიფანა, უცნაურად მომზირალი, დიდი შუბლით, მწვანე თვალებით, უკან გადანული შეკრული თმებითა და წარმოუდგენლად ნერვიული, პლასტიკური ხელებით. იგი, დიდი ხანია, თანამედროვე ცეკვის სიმბოლოდ იქცა. კრიტიკოსთა თქმით, პინა ბაუშმა თანამედროვეთა ცნობიერებაში გააფერმკრთალა, ან ჩანაცვლა ლეგენდარული ამერიკელი ქორეოგრაფის მართა გრეჰემის სახე. იმ განსხვავებით, რომ მართა გრეჰემმა ლამის საუკუნე იცოცხლა, ხოლო პინა ბაუშმა მხოლოდ სამოცდარვა.

პინა ბაუშმა არა მარტო შეცვალა თანამედროვე ცეკვის თეატრის ლანდშაფტი, არამედ სრულიად მოულოდნელი პერსპექტივის შესაძლებლობაც დასახა. ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მოსკოვში, ჩეხოვის მერვე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გაოგნებულმა დირექციამ (სადაც 14-15 ივლისს უნდა წარმოედგინათ პინა ბაუშის ლეგენდარული

სპექტაკლი „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“), საგანგებო პრესკონფერენციაც კი მოიწვია. მაგრამ მოგეხსენებათ, სიკვდილი თვით ყველაზე კარგად დაგეგმილ და ძვირადღირებულ ღონისძიებებსაც არ ცნობს...

პინა ბაუში (უფრო ზუსტად, ფილიპინა ბაუში) 1940 წელს, სამხრეთ გერმანიაში, ქალაქ ზოლინგენში დაიბადა. 50-იანი წლებიდან ცნობილ ესენში, „ფოლკვანგის“ ცნობილ სკოლაში სწავლობდა, რომელიც თავის დროზე გერმანული ექსპრესიონისტული ცეკვის დამაარსებელმა და თეორეტიკოსმა კურტ იოსმა შექმნა. ნიჭიერი მოსწავლე მაშინვე შეინშნეს და მოდერნიზმის უკეთ ასათვისებლად ნიუ-იორკს აფრინეს. რამდენიმე წელი ბაუშმა ჯულიარდის ხელოვნების სკოლაში გაატარა, რომლის დამთავრების შემდეგაც ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის სცენაზეც გამოდიოდა. მაგრამ დიდი ქორეოგრაფებით – ალვინ ეილითა და ენტონი ტიუდორით, ამერიკული ჯაზითა და 60-იან წლებში მოდური „ლივინგ თეატრით“ „მონამულმა“ სულ სხვა გზა აირჩია.

70-იანი წლების დასაწყისში პინა ბაუში გერმანიაში ბრუნდება და ნაცრისფერ, არაფრით გამორჩეულ და სამრეწველო ქალაქ ვუპერტალში ცეკვის თეატრს აფუძნებს, რომელიც მალე არა მარტო გერმანული, არამედ ზოგადად, თანამედროვე ცეკვის თეატრის სიმბოლოდაც იქცა.

„პინა ბაუშმა რაღაც განსაცვიფრებელი მოახდინა: ცეკვის აკადემიურ ფორმებს, გახევებულ და მომაბეზრებელ კლასიკურ შესტებს სოციალური და მემამოხე სული შთაბერა“ – ეს ბალეტის კრიტიკოსთა შეფასებაა. წორედ ვუპერტალში 1975 წელს დაიდგა ზემოხსენებული სპექტაკლი „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“ ბერტოლდ ბრესტის ტექსტისა და კურტ ვაილის მუსიკის მიხედვით. ერთი მხრივ პატარა ადამიანის უმწეო და სასაცილო ამბოზი და მეორე მხრივ – სოციალური სისტემის მუდმივი მზადყოფნა, გაუსწორდეს სწორედ სუსტსა და დაუცველს (განსაკუთრებით კი ქალებს), შემდგომში მისი სპექტაკლების მთავარი თემა გახდა.

იგორ სტრავინსკის მუსიკით შთაგონებულ „კურთხეულ გაზაფხულში“ ფეხშიშველა ქალები, უბრალო ჩითის კაბებით, საგანგებოდ დაყრილ მინაზე ყოველგვარი კლასიკური თუ ნეოკლასიკური ნორმების დაცვის გარეშე ცეკვავდნენ. ეროტიკულად მღელვარე სხეულებს უცნაური, სასაცილო და ამავე დროს მეამბოხე ელფერი ჰქონდათ. თუმცა ეს არც კაცებისადმი სიძულვილს ნიშნავდა და არც ფსიქოლოგიურ ან გენდერულ ნიადაგზე აღმოცენებულ შურისძიებას.

1978 წელს პინა ბაუში დგამს სახელგანთქმულ სპექტაკლს „კაფე მიულერი“, რომელიც, ცნობილი კრიტიკოსების აზრით, ზოგადად თანამედროვე ცეკვის თეატრის სიმბოლოდ იქცა.

...რომელიც რიგით კაფეში მორცხვი, დაბნეული კაცები და მთვარეულებივით მოძრავი ქალები ურთიერთობას არკვევენ. დროდადრო ეს პაროდულ ცეკვა დუელში გადადის, რომლითაც მოხიზლულმა პედრო აღმოდგომარმა სპექტაკლის ფრაგმენტი თავის ფილმში, „ესაუბრე მას“, გამოიყენა. თავად პინა ბაუში კი ჯერალდინა ჩაპლინის პერსონაჟის „დახმარებით“, რეჟისორისათვის სიუჟეტის ერთ-ერთ მთავარ ლერძად იქცა.

თავის დროზე ფედერიკო ფელინიმ ფილმში „და მიცურავს გემი“ პინა ბაუში მიიპატიჟა ბრმა პრინცესას როლში, რომელიც ჭადრაკს თამაშობს და რომელსაც სახეზე გამოუცნობი ღიმილი დასათამაშებს.

მის სპექტაკლებში მტანჯველი სექსუალური კომპლექსები გაბათილებულია ირონიული სცენური ნიშნებითა და მეტაფორებით. მაგალითად, ნაშიმშილები ზებრებივით ზანტი ქალები საღამოს კაბებში ნიანგის ფიტულებით „მოპირკეთებულ“ ინტერიერში როკავენ; ხოლო ზედმეტად ნერვიული კაცები ერთსა და იმავე მოძრაობას ჯიუტად იმეორებენ (სპექტაკლი „კონტაქტჰოფი“). მართალია, კრიტიკოსები მას ზოგჯერ ფემინისტსაც უწოდებდნენ, მაგრამ კოლეგა-კინორეჟისორებისაგან განსხვავებით, იგი ქორეოგრაფ-მამაკაცებს ბევრად მოკრძალებულად აღიქვამდა.

პინა ბაუში ყოველთვის ისწრაფვის სოციალურის, პოლიტიკურისა და ესთეტიკურის სინთეზისაკენ, ხოლო მის წარმოდგენებში ქორეოგრაფია მხოლოდ დამაკავშირებელი რგოლია სცენურ ფორმასა და პუბლიცისტურობას შორის. თანამედროვე ცეკვის ლაბირინთებში 30-წლიანი „ხეტილის“ შემდეგ აღმოაჩინა ახალი სამყარო – ეს იყო სპექტაკლების ციკლი „ქალაქების დღიურები, რომლებმაც ჩვენს გულში კვალი დატოვა“. მისი დახვეწილი, სტილიზებული, პოლიტიკურ-სოციალური წარმოდგენების შემდეგ „ქალაქების დღიურები“ უფრო ინტერნაციონალურ ცეკვა-თამაშობებს ჰგავდა. ფემინისტური შეუპოვრობა შემწყნარებლურმა ლირიკულობამ შეცვალა, ხოლო გერმანული ექსპრესიონისტული ცეკვის ტრადიცია – სხვადასხვა ეთნოგრაფიული ცეკვების თავისებურებებმა.

მისი ბოლოდროინდელი ინტერნაციონალური წარმოდგენები („მაზურკა ფოგო“, „პალერმო, პალერმო“, „ნეფესი“, „ბამბუკის ბლუზი“, „ფანჯრების მწმენდავი“), რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქს ეძღვნება, სავსეა

ერთი შეხედვით შეუთავსებელი და მოულოდნელი ფსიქოლოგიური დეტალებით. იმპროვიზებული დასის ნევრები – ბრაზილიელები, ინდოელები, პორტუგალიელები, ფრანგები თუ ფინელები – იმედების მსხვრევისა თუ გაცოცხლების შთამბეჭდავ სურათებს ხატავენ. თუმცა იგი არ ცდილობდა სხვადასხვა ცეკვის ტექნიკის იმიტირებას, პირიქით – თითქოს ყველაფერს ადნობდა და ასხამდა საკუთარ ქორეოგრაფიულ ყალიბში, რის გამოც, მაყურებელს ერთდროულად მოულოდნელობის და ნაცნობობის განცდა ეუფლებოდა.

სპექტაკლებს ამთლიანებს პინა ბაუშის სცენოგრაფისა და თანამოაზრის, პეტერ პაბსტის გენიალური დეკორაციები და ზუსტი კონცეფცია. გერმანელი ქორეოგრაფის სიკვდილის შემდეგ მისი გავლენა თეატრალურ სამყაროზე გაცილებით დიდია, ვიდრე ცალკე აღებული რაიმე კონკრეტული მოვლენა ან თუნდაც მასშტაბური თეატრალური მიმდინარეობა.

პინა ბაუშს მინიჭებული ჰქონდა ქორეოგრაფიაში ყველაზე პრესტიჟული, ვაცლავ ნიჟინსკის სახელობის პრემია; აგრეთვე, ევროპის ყველაზე პრესტიჟული თეატრალური ჯილდო – „ევროპა თეატრს“. იაპონიაში კი სპეციალური

ბაუში ყოველთვის ისწრაფვის

სოციალურის, პოლიტიკურისა და

ესთეტიკურის სინთეზისაკენ. მის

წარმოდგენებში ქორეოგრაფია მხოლოდ

დამაკავშირებელი რგოლია სცენურ

ფორმასა და პუბლიცისტურობას შორის.

მისი დახვეწილი, სტილიზებული,

პოლიტიკურ-სოციალური წარმოდგენების

შემდეგ „ქალაქების დღიურები“ უფრო

ინტერნაციონალურ სეკვა-თამაშობებს

ჰგავდა.

პრემია, რომელსაც ფილოსოფიასა და ხელოვნებაში გაწეული დიდი დამსახურებისათვის ანიჭებენ.

2009 წლის სექტემბრიდან, ცნობილ გერმანულ რეჟისორს, ვიმ ვენდერსს უნდა დაეწყო ფილმის გადაღებები სახელწოდებით „პინა“, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა ყველაფერს წერტილი დაუსვა. პინა ბაუშის შესახებ წერდნენ: „მან შექმნა ყველაზე დამანგრეველი და ყველაზე ლირიკული სანახაობა, რაც ოდესმე გერმანულ საცეკვაო სცენას უნახავს და ჩვენ გულისტკივილით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მისი სიკვდილით განწყდა უკანასკნელი ჯაჭვი, რომელიც დიდ გერმანულ ექსპრესიონისტულ ცეკვასა და თანამედროვე თეატრს აკავშირებდა“.

შეცვლილი ისტორიული რეალობა

ავტორი: ზურაბ კიკნაძე



გვასხოვს, რუსეთ-ჩეჩნების ომის დროს ბევრი ქართველი და, ვფიქრობ, უმეტესობა ჩვენს საზოგადოებაში შურით უყურებდა ჩეჩნების შეუპოვარ წინააღმდეგობას, რომელსაც მათთვის არავითარი წარმატება არ მოუტანია. იყო თავგანწირვანი, ეს უდავოა, შეგვეძლო აღფრთოვანება ამ აქტებით, და შურიც მის გამო, რომ ჩვენ ჩვენს ომში ამგვარად მოქცევა ვერ შევძელით, მაგრამ იყო ისეთი სისასტიკეები, არ ვგულისხმობ მხოლოდ ტერორისტულ აქტებს, გარდაუვალ თანამდევთ მცირე ერების განმათავისუფლებელ ბრძოლებში, რისი მოქმედნიც ნამდვილად არ ვისურვებდით, რომ ვყოფილიყავით. მაშინაც ვგრძნობდით ერთგვარ უნდობლობას ამ ბრძოლებისადმი. ვის სჭირდებოდა ეს ბრძოლები? რის დასაბრუნებლად იბრძოდა ეს ხალხი? იქმნებოდა ილუზია, თითქოს ამარცხებდნენ რუსეთს და ახლოს იყვნენ დამოუკიდებლობასთან, რომლის გამოცდილება მათ არ ჰქონიათ ისტორიულად და, საეჭვოა, გამოეყენებინათ. ამ კუთხის დამოუკიდებლობის შემთხვევაში რუსეთს შეეძლო ისე წარემართა საქმე, რომ ამ მცირე ხალხს ბედი ეწყველა და კვლავ მის წიაღს დაბრუნებოდა. მაგრამ რუსეთმა გადაწყვიტა, ისე მოქცეოდა, რომ მათ საბოლოოდ დაჰკარგოდათ

დამოუკიდებლობის ხალისი. იქნებ ამას მიაღწია კიდეც თავისი ხალხის გადამეტებული სისხლის და ქვეყნის გაპარტახების ფასად. კიდეც ერთი ომი და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი ამ ტომისთვის კატასტროფით დამთავრდება.

რატომ დავინწყე ჩვენი მეზობლების მწარე და, შესაძლოა, უნაყოფო გამოცდილებაზე ლაპარაკი? არა ტრივიალური მოტივით, რომ გავფრთხილდეთ, რომ რუსეთთან ომი შეუძლებელია, რომ მასთან ბრძოლაში დამარცხება გარდაუვალია. ეს ისედაც ცხადია, ხოლო მარცხი არ არის არც სირცხვილი და არც საბოლოო კატასტროფა. ამ ლაპარაკით მსურდა მიმენიშნებინა, რომ არის არსებითი განსხვავება ხალხებს შორის. არის ხალხი, რომელსაც, ან უფრო სწორად, მათ, ვინც მათი სახელით იბრძვიან, დასაკარგავი არაფერი აქვთ. და არის ხალხი, რომელსაც იმ ლანდშაფტში და ოკუპენაში, სადაც სახლობს იგი უკვე რამდენი ათასწლეულია, და ინახავს ამის ხსოვნას, ისტორიული პასუხისმგებლობა აკისრია. რა ხანია, ერთი და იგივე რიტორიკა გაისმის: დავიბრუნოთ ტერიტორია, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა! მაგრამ პოლიტიკურად სრულიად კანონზომიერი ეს ლოზუნგი ცალმხრი-

ვია და, ამდენად, მანკიერი. აქა-იქ იყო შეძახილი: რატომ ვლაპარაკობთ ტერიტორიის დაბრუნებაზე და არა ადამიანების დაბრუნებაზე? მაგრამ სუსტი იყო ეს ძახილი და იგი მოწოდებად არ ქცეულა. შეიძლება პარადოქსი იყოს, მაგრამ ეს ორივე ტერიტორია იმ ხალხთან ერთად, რომელიც ამ მხარეებში ცხოვრობს, უფრო ადრე დავკარგეთ, ვიდრე ომი დაიწყებოდა. ტრაგიკული იმდენად არა ტერიტორიის დაკარგვაა, არამედ ხალხის გაუცხოება და, საბოლოოდ, ყველაზე მძიმე პერსპექტივაში მტრად ქცევა. ეს ხალხი თანდათან იკარგებოდა. ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც დააჩქარა ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, ლომის წილი აქვს, ვერავინ შეეცილება – ვერც ოზგანი, ვერც არძინა, ვერც ჩოჩიევი, ვერც ტორეზი და ვერც კოკოითი. ვერც რუსები. რას გახდებოდნენ ეს პერსონები და უფროსი ძმა, ჩვენ რომ რეალურად ისეთი ძმური ურთიერთობა გვქონოდა ამ ხალხებთან, როგორსაც წარმოვიდგენთ ხოლმე და რომლის პრეზენტაციასაც ვახდენთ სმირად ტელეგადაცემებში. ერთი მწარე შეცდომაა დაშვებული: ერთმანეთში გვაქვს აღრეული პირადი ურთიერთობები ხალხების წარმომადგენლებთან და ურთიერთობები ხალხებთან, როგორც ხალხებთან. გვავიწყდება, შესაძლოა, არც ვიცით, რომ ინდივიდი სხვაა და ხალხი, რომელიც ამ ინდივიდებისგან შედგება, სხვაა. სხვაა არა მხოლოდ ოდენობით, არამედ თვისობრივობით, რომ მას აქვს თავისი იდენტობა და მის უგულვებლყოფას მტკივნეულად განიცდის. რა გვაქვს დასამალი: ჩვენ შეგვეძლო მათი მწყემსი ვყოფილიყავით. მე მიყვარს ჩემი „იტალიური ეზოს“ მეზობელი, უკანასკნელ ლუკმას ვუყოფ მას, თავს დავდებ მისთვის, რადგან მას ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, ეგზისტენციალური არსებობა აქვს, მისი ბედი ჩემს ბედთან არის გადაჭდობილი, მაგრამ თუ ვხედავ პიროვნებას იმ სიმრავლეში, რომელსაც ჩემი მეზობელი ეკუთვნის? სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. თუ მიფიქრია, განსაკუთრებით ჩვენი საამაყო

ეროვნული მოძრაობის დროს, რომ მას, როგორც ხალხს და ჩემს მეზობელს მასთან ერთად, შეიძლება გასჩენოდა არსებობის შიში ჩემი ქცევების გამო? არ მიფიქრია. თუ მიგრძენია პასუხისმგებლობა მისადმი და არ დამიტოვებია ადგილი სხვისთვის, რომელსაც შესაძლოა დასაძინებდით, რომ შემცილებოდა პასუხისმგებლობაში?

ნაცვლად იმისა, რომ „აიდგილარასა“ და „ადამონ ნიხასის“ ხალხთან ძმურად და მეზობლურად გვესაუბრა, მოგვეწვია ისინი ჩვენ თავყრილობებზე, გაგვეწვევრიანებია ჩვენს პარტიებსა თუ მოძრაობებში, ცალკე-ცალკე დაფუგზავნეთ მათ გულისწყრომისა და მუქარის წერილები და იქამდე მივიყვანეთ საქმე, რომ მათ ერთმანეთთან შეკრეს კავშირი ჩვენს წინააღმდეგ. მათი ალიანსი ჩვენი ეროვნული მოძრაობის პირმოა. ჩვენ გვეგონა, რომ ავტობუსებით „გმირული“ იერიში ცხინვალისკენ და მერე „დიდსულოვნად“ უკან გამობრუნება უკვალოდ ჩაივლიდა. ასეთი ჩავარდნები ბევრი გვექონდა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ათეულში. თუმცა ჩვენ ისტორიულად მოცემული გვექონდა უნიკალური შანსი და ალბათ ისტორიულად მონოდებულად ვიყავით საქართველოში ახალი წესრიგის და ახალი ერთობის დასამყარებლად. მაგრამ ვერ გამოვიყენეთ ეს შანსი და ისტორიული მონოდება, რომ ჩვენს ეროვნულ ინტერესებში ამ ორი ხალხის ინტერესებიც გაგვეთვალისწინებინა, რომ ისინიც გამხდარიყვნენ ქვეყნის მომავლის შენების მონაწილეები. და დღემდე, როცა ყამი გაშვებულია, ვლახარაკობთ ისევ და ისევ ტერიტორიულ მთლიანობაზე, იქ მცხოვრები ხალხი კი მესამე ძალას ჩავაბარეთ, რათა გამოეყენებინა იგი როგორც ინსტრუმენტი იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ნაცვლად იმისა, რომ დემოკრატიის, ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო კულტურის შენებით მათთვის მიმზიდველი გაგვეხადა ეს გაუცხოებული ქვეყანა (დასავლეთ-აღმოსავლეთ გერმანიის მაგალითი რომ გავიხსენოთ), ლეგალური თუ ფარული ურთიერთობებით აღგვედგინა ურთიერთნდობა და ტრადიციული კავშირები, დავადექით ახალი კონფრონტაციის გზას საეჭვო ღირებუ-

ჩვენ არ ვიხით, ან არ ვსწოხთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ისტორია იხვლება; რომ არსებობს ისეთი რამ, რომლის არის შესვლილი ისტორიული ვითარება; რომ ისტორიული რეალობა შეიძლება ჩვენი მოლოდინებით და ოცნებებით წარსულში ჩავრჩეთ. ჩვენთვის დღემდე იდეალი დავით აღმაშენებლისა და თამარის ძლევაშილი ერთიანი საქართველოა. იდეალს არსებობის უფლება აქვს და თითქოს სასარგებლოც არის: უკეთესისკენ სწორებას მოგვიწოდებს, მაგრამ საბედისწერო შეცდომაა, როცა ეს სწორება ისევ და ისევ წარსული ეპოქის შინაარსით არის ავსებული. რომელი ხელისუფლება გაბედავს დღეს თავისი მეტოქეების იმ მეთოდებით ჩამოშორებას, რომელთაც მეფე იყენებდა? დავფიქრდეთ, რის ფასად უნდა დაჯდომოდა (წყაროები დუმან) მოსახლეობას უცხო ტომის ჩამოსახლება, ან თუ შეძლებდა დღევანდელი ხელისუფალი, მიემართა ამ საშუალებისთვის ქვეყნის გასაერთიანებლად, ქვეყნის შიგნით სტაბილიზაციის დასამყარებლად ან თუნდაც, გარეშე მტრების მოსაგერიებლად? ან თუ შევძლებდით დღეს მოვექცეულიყავით ისე, როგორც თამარის მხედართმთავარი მოიქცა, რომელმაც დურძუკების ხელით დაარბია ტახტისგან განმდგარი დიდოელები და ფხოველები (არც ერთი, არც მეორე, როგორც დღევანდელ შემთხვევაში, ქართველთა ნათესავს არ ეკუთვნოდა)? ან თუ ალგვარფრთოვანებდა დღეს ის სიტყვები, რომლებითაც ივანე ათაბაგმა მიულოცა მეფეს გამარჯვება („იქმნა ბრძანება შენი! მოვაოხრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი“) და ამის შემდეგ კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის იმედით ვიქნებოდით?

ლების ალტერნატიული ადმინისტრაციის შექმნით და, რაც მთავარია, ქვეყნის მილიტარიზაციით, რომლის მატერიალური რესურსი სამ დღეში გაცამტვერდა და მორალურიც გადაიყოლა. არავინ გაამართლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობას ნამოწყებული ომის გზით, არც თუნდაც უნებლიე ნამოგება ანკესზე – სიბეცისა თუ სულმოკლეობის ნიშანი – არის საპატივებილი იმ სახელმწიფოსთვის, სადაც უშიშროება „ქვეყნის ხერხემალია“. სხვაგან სად უნდა გამოჩენილიყო ხელისუფლების გონივრული პოლიტიკა, თუ არა იქ, სადაც პროვოცირების საფრთხეა ჩასაფრებულნი? ამ საფრთხეს ხორცი შეესხა, როცა შეიარაღება (მილიტარიზაციის ერთგვარი ეფემიზმი) ქვეყანაში პრიორიტეტული გახდა. ამბობენ და ასეც მოხდა: პირველ აქტში დატენილი თოფი ბოლო აქტში გავარდა. ამ იგავის ილუსტრაციას შევესწარით ჩვენს დღეებში.


ქრესტომათიულია, რომ საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა და რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა ომების პროცესში ჩამოყალიბდა. მაგრამ რამდენად გამოსადეგია ეს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება დღევანდელ ისტორიულ პირობებში, დღევანდელ, როგორც იტყვიან, გამონვევებში, რომელთა წინაშე დგას ეს ქვეყანა? ის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით დაუბრუნებია დაკარგული ტერიტორიები, რჩება თუ არა დღესაც ერთადერთად და უალტერნატივოდ? ჩვენში მოარული იყო და, შესაძლოა, დღესაც არის, თქმა: ძალით წართმეულის დაბრუნება მხოლოდ ძალით შეიძლება. ეს დებულება ვიცით, მაგრამ არ ვიცით, ან არ ვცნობთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ისტორია იცვლება; რომ არსებობს ისეთი რამ, როგორც არის შეცვლილი ისტორიული ვითარება;

რომ ისტორიული რეალობა შეიძლება შეიცვალოს, ჩვენ კი ჩვენი მოლოდინებით და ოცნებებით წარსულში ჩავრჩეთ. ჩვენთვის დღემდე იდეალი დავით აღმაშენებლისა და თამარის ძლევაშილი ერთიანი საქართველოა. იდეალს არსებობის უფლება აქვს და თითქოს სასარგებლოც არის: უკეთესისკენ სწორებას მოგვიწოდებს, მაგრამ საბედისწერო შეცდომაა, როცა ეს სწორება ისევ და ისევ წარსული ეპოქის შინაარსით არის ავსებული. რომელი ხელისუფლება გაბედავს დღეს თავისი მეტოქეების იმ მეთოდებით ჩამოშორებას, რომელთაც მეფე იყენებდა? დავფიქრდეთ, რის ფასად უნდა დაჯდომოდა (წყაროები დუმან) მოსახლეობას უცხო ტომის ჩამოსახლება, ან თუ შეძლებდა დღევანდელი ხელისუფალი, მიემართა ამ საშუალებისთვის ქვეყნის გასაერთიანებლად, ქვეყნის შიგნით სტაბილიზაციის დასამყარებლად ან თუნდაც, გარეშე მტრების მოსაგერიებლად? ან თუ შევძლებდით დღეს მოვექცეულიყავით ისე, როგორც თამარის მხედართმთავარი მოიქცა, რომელმაც დურძუკების ხელით დაარბია ტახტისგან განმდგარი დიდოელები და ფხოველები (არც ერთი, არც მეორე, როგორც დღევანდელ შემთხვევაში, ქართველთა ნათესავს არ ეკუთვნოდა)? ან თუ ალგვარფრთოვანებდა დღეს ის სიტყვები, რომლებითაც ივანე ათაბაგმა მიულოცა მეფეს გამარჯვება („იქმნა ბრძანება შენი! მოვაოხრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი“) და ამის შემდეგ კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის იმედით ვიქნებოდით?

ისტორიული ვითარება კვლავ შეცვლილია. ის, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელ რეალობად გვეჩვენება, უკან მოუბრუნებლად ჩაიძირა წარსულში. ჩვენ იქ აღარ ვდგავართ, სადაც გუშინ და გუშინწინ ვიდექით.

ომი: რეპოლუსია ჩვენს სულეში

ავტორი: ემზარ ჯზარენაია



„ომია ყველაფრის მამა“ – ამბობდა ერთი ბერძენი ფილოსოფოსი და მართლაც, აგვისტოს ომმა თანამედროვე მსოფლიოს სილატაკესა და ბრწყინვალეობას, ღირსებასა და ნაკლს ერთდროულად ახადა ფარდა. აგვისტოს ომმა საქართველო ისტორიის, მსოფლიო ისტორიის სუბიექტად აქცია. 2008 წლის აგვისტოს ომმა, ჩვენ, თანამედროვე მსოფლიო ისტორიის ქმნადობის პროცესში ჩაგვართო. თუმცა მავანი იკითხავს: მერე რა? რა მოვიგეთ აქედან? ჯერჯერობით ბევრი არაფერი, უფრო მეტიც, მავანი იტყვის – ნავაგეთ. მაგრამ ახლა ძნელია აგვისტოს ცხელი დღეების ზუსტი და საბოლოო შეფასება. საერთოდ, უახლესი ისტორიის შეფასება ძალზე სახიფათო ნაშრომია, რადგან უახლესი ისტორიული ფაქტის „ნაკითხვას“ სჭირდება კონტექსტი, „მტერი“, შორსხედი. მხოლოდ დროის გავლის შემდეგ, და ისიც პრობლემური სიზუსტით, შეიძლება შეფასდეს ისტორიისათვის კონკრეტული ფაქტის მნიშვნელობა.

სოციოლოგები ვიტყვიან, რომ ყო-

ველ სოციალურ ქმედებას თან ახლავს გაუთვალისწინებელი შედეგები. ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ ომის შედეგებზე, ომის მიერ ჩვენს სულეში ჩატარებულ „რეფორმაზე“. მაგრამ ჩვენ კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ სივრცეში მოქცეულ არსებებს-ადამიანებს, რომელთაც ჩვენი სიცოცხლის ხანმოკლეობის გამო, მეტნაღებად სრული კონტექსტის ხილვას არავინ დაგვანებებს, ყოველთვის გვაქვს იძულება პასუხი გავცეთ ანმყოს მიერ დასმულ კითხვებს. ეს პასუხები (და კითხვებიც) კი სოციალურ სივრცეში ჩვენს ადგილზე, ჩვენს კულტურულ კაპიტალზე, ჩვენს გემოვნებაზე, ესთეტიკაზე, ჩვენი ბავშვობის ტრავმებზე, შიშებზე, „ბოლმასა“ და, თუ გნებავთ, ჩვენი სხეულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც არის დამოკიდებული. ჩემი პასუხი „ცხელი შოკოლადის“ კითხვებზე, ბუნებრივია, ვერ იქნება თავისუფალი ჩემი პირადი პრობლემებისგან და, ამდენად, ეს პასუხიც მხოლოდ ჩემი, კონკრეტული სხეულისა და სულის მატარებლის პასუხი იქნება

და არა „ღირებულებებისაგან, გრძნობებისაგან თავისუფალი“ – მიუყერძობელი, გულგრილი ექსპერტის (ან ექსპერტობაზე პრეტენზიის მქონე ქართველის) მოსაზრება.

კარგად მახსოვს ერთმა ჩემმა მეზობელმა, სულაც 8 აგვისტოს, მითხრა, „შენ რა გინდა? რუსები თავის აშენებულს ანგრევენ“. დღესაც გულში წყნად მაქვს ეს ფრაზა. თუმცა არის მასში გარკვეული სიმართლე. ის ნაციონალური იდენტობა, რომელიც საშუალო-სტატისტიკურ ქართველს დღესაც აქვს (სულო ცოდვილო და, ალბათ, მეც), ჯერ რუსული კოლონიალიზმის (მეცხრამტე საუკუნის ინტელექტუალური ელიტის მიერ), ხოლო შემდეგ რუსული სოციალიზმის პირობებში (კომუნისტური ნომენკლატურის, კომუნისტური ინტელექტუალური ელიტის და, მათ შორის, დისიდენტების მიერ) შეიქმნა. აგვისტოს ომის დროს რუსებმა დაბომბეს არა მარტო „თავისი აშენებული“ 31-ე ქარხანა, სენაკის სამხედრო აეროპორტი და ა.შ., არამედ იდენტობის ის

ტიპი, რომელიც თეთრი და წითელი იმპერიის საშოში ჩაისახა. და ამ ომის შემდეგ, საქართველო, როგორც ჩემმა ერთმა მეგობარმა მითხრა, „სხვაგან აღმოჩნდა“.

80-იანი წლების ბოლოს მერაბ მამარდაშვილი ხშირად საუბრობდა ქართველებსა და საქართველოზე. მერაბი ქართველების ხასიათის ერთ თვისებას უსვამდა ხაზს: „უმიზეზო მხიარულებას“. „უმიზეზო მხიარულების“ ერთ-ერთი ნიმუში სუფრა კი – ჩვენი კარნავალია. კარნავალი, თუ ზოგიერთ ინტელექტუალს დაუფუფრებთ, სუსტადგანვითარებული, მითში მყოფი საზოგადოებების ალგზნებული დღესასწაულია. აგვისტოს ომი ამ დღესასწაულზე დარტყმაც იყო. და ეს ყველაფერი აგვისტოში მოხდა, მაშინ როცა ყველა ემზადება შვებულებისათვის, კარნავალისათვის, დღესასწაულისათვის. რუსებს, შესაძლოა, სულაც არ სურდათ ამ „დღესასწაულზე“ დამყარებული გრძნობის ამოძირკვა, მაგრამ რას ვიზამთ, ეს მაინც მოხდა. მოხდა, თუმცა არა ყველა ქართველში. განსაკუთრებით „გაუჭირდა“ ჩემს თაობას, რომელსაც 80-იანი წლების დაუძლურებული საბჭოთა კომუნიზმი ბავშვობას, დღესასწაულს და კარნავალის მარადიულ სამოთხეს, „ცისფერ მთებს“ გვპირდებოდა. ეგებ, რუსებს დღესაც სულაც ის ალიზიანებდეთ, რომ მათ, თუ კი ოდესმე საქართველოში ჩამოვლენ, აქ არ დახვდებათ ის, რაც ჩვენში ხიბლავდა, რისი მეტაბოლიზმი რუსი გენერლების სხეულებს დღესაც ღრღნის – „უმიზეზო მხიარულება“. იმედი მაქვს, რუს ტურისტს აქ დახვდება ფულზე, წარმატებაზე, „უნარებსა“ და ამ უნარების გაყიდვაზე ორიენტირებული ქართველი. მაგრამ ჩვენშიც ჯერჯერობით არიან ადამიანები (მე მათ სიკეთეს ვუსურვებ, რადგან მეც შორს არ ვარ მათგან), რომლებიც მოითხოვენ „სამოთხეს დაუყოვნებლივ“, დღესასწაულსა და კარნავალს.

ომმა ჩვენ „კანის გამოცვლის“ პროცესში მოგვისწრო. რუსეთში ეს პროცესი ჯერაც არ დაწყებულა. რუსეთი (მისი პოლიტიკური ისტებლიშმენტი) კვლავ ძველი, პრემოდერნული ღირე-

ჩვენ „დაეჭვებული ადამიანების ერთობა ვართ“. დასავლურმა ღირებულებებმა ჯერ ისე ვერ შემოაღწია, რომ ის ჩვენი სულის – სოციალური ჰაბიტუსის – ნაწილად იქცეს და არც კოლონიალური მესხიერება გამქრალა ბოლომდე. ამიტომ ჩვენ სუსტები ვართ, მაგრამ ღმერთს ხომ სუსტები უყვარს?


ბულებების ერთგულია. ეს ღირებულებები კი სრულებით აშკარაა: ძალა, ომი, ხიშტი. ჩვენ „დაეჭვებული ადამიანების ერთობა ვართ“. დასავლურმა ღირებულებებმა ჯერ ისე ვერ შემოაღწია, რომ ის ჩვენი სულის – სოციალური ჰაბიტუსის – ნაწილად იქცეს და არც კოლონიალური მესხიერება გამქრალა ბოლომდე. ამიტომ ჩვენ სუსტები ვართ, მაგრამ ღმერთს ხომ სუსტები უყვარს?

დემოკრატია ანმყოფი ცხოვრებაა. ის გვაიძულებს ვიცხოვროთ არა მომავალში, არა წარსულში, არამედ დღეს, ახლა და აქ. ის კი არ გვაერთიანებს, არამედ გვყოფს. დემოკრატია ინვესს დიფერენციაციას, ინდივიდუალიზაციას. ერთიანობა დემოკრატიაში, და თუ გნებავთ სოლიდარობაც, თითოეულის პრაგმატული ინტერესების პრაგმატული დამთხვევით მიიღწევა. რაც არ უნდა მტკივნეული იყოს ეს, ამასთან შეგუება მოგვიწევს.

აგვისტოს ომი „გაუჭილი“ ომი იყო. მისგან კმაყოფილება არავის მიუღია. ჯერჯერობით არავინ მოიგო. მაგრამ ჩვენ ვეძებთ დამნაშავეებს. დამნაშავის მოძებნა ადვილია. საზოგადოება თავის თავს ვერც დაადანაშაულებს და ვერც გაამართლებს, რადგან ცნება „საზოგადოება“ მხოლოდ ფიქციაა, უშინაარსო ტერმინია. ამიტომ ის ვერც პასუხს აგებს ვინმეს წინაშე და ვერავის მოსთხოვს პასუხს. მთელ საზოგადოებას საუბარი არ შეუძლია. ვინ არის მისი პირი? ვინ არის რეპრეზენტატორი? ვინ ლაპარაკობს? დემოკრატია არ ცნობს მორალურ ავტორიტეტს, უფრო სწორად, ყველა მორალი (მათ შორის „ჩარეცხილების“) თანაბარუფლებიანი და თანასწორია; მოქალაქეს არ შეუძლია მთელი საზოგადოების სახელით ილაპარაკოს, ყველა ლაპარაკობს თავისი სოციალური კლასის, პირველადი სოციალური ჯგუფის სახელით, პირადი ინტერესიდან გამომდინარე და „ახალი ზღაპარი“, რომელშიც ყველანი აღმოვჩნდით, სულ უფრო ემსგავსება წარმართული, გვარისა და კლანის ღმერთების დაპირისპირებას, რომლის მიღმა ყოველთვის კონკრეტული ჯგუფისა და კლანის მიზანი და ინტერესი დგას (ამ აზრით, „მონოთეიზმი“ დემოკრატიისათვის რელევანტური რელიგიის ფორმა არ არის), ხოლო ის, ვინც თავის თავს ხალხს უწოდებს, ყოველთვის მოტყუებული დარჩება.

როგორ უნდა გამოვიცვალოთ კანი? სად არის გამოსავალი? დიდი მოლოდინების შეუსრულებლობას, როგორც ნესი, დიდი იმედგაცრუება მოჰყვება ხოლმე. „განტევების ვაცის“ ძიებისას თან ყველას თავისი სტრატეგია, თავისი არგუმენტები აქვს. მაგრამ ამომრჩეველებს ყოველთვის „მეტი სიმართლე“ აქვთ. ეს მეტი სიმართლე დემოკრატის ბუნებაში დევს: მოქალაქეები ირჩევენ ხელისუფლებას და მას გარკვეული ვადით მართვის სადავეებს გადასცემენ, ამიტომ სრულებით ბუნებრივად, წარუმატებლობის შემთხვევაში, მოქალაქეების გარკვეული ნაწილი პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

ბევრ გამოსავალთა შორის, ერთ-ერთი გამოსავალი საკუთარი თავის დადანაშაულებაა, საკუთარი ქედმაღლობის დაძლევა და ყოველდღიურ ცხოვრებაში კანონის მუდმივი გათვალისწინება. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს, როგორ უნდა გავხდეთ კანონმორჩილები, ან როგორ უნდა იქცეს ადამიანის უფლებები ჩვენი სულის ნაწილად (ეს გვეხება ყველას) ის კითხვაა, რომელსაც იმედი, „ცხელი შოკოლადი“ სხვა რესპონდენტებს დაუსვამს.



სამოთხის რეკონსტრუქცია

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი

„ჭავჭავაძეთა არა აქვდათ მათთან მამულნი და ამით მსახურეს ერეკლესა მეფისა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ერეკლე პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად. შემდგომან მეფემან თეიმურაზ ალიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყრმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორე ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეთა და არიან მუნი-თგან წოდებულნი, რომელნი პირველ ინოდებოდნენ მამულის შვილებად“.

აი, ასე დაწყებული ამბავი ჭავჭავაძეების სასახლისა, სადაც, ნინა ჩემო, ჩემი მშვენიერი ცხოვრების ორი უმშვენიერესი დღე გავატარე, რისთვისაც დიდი მადლობა თათია ღვინერისა, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის, გიორგი ხარაბაძეს და, რასაკვირველია, შენ, პატარა ნინა. მაგრამ დაიცა, ჯერ გიამბო.

წავედით სამნი: ლაშა მდინარაძე, შინაურებისთვის – გუდუ, ეველინა ტაუნიტი, CandyCactus-ად ცნობილი, და მე. წავედით ძალიან მდაბიურად – სამარშრუტო ტაქსით, რომელშიც ბოლო

ხმაზე ჟღერდა გაუგონარი რუსული პოპი, რომლის ფონზეც «Юныка из ПИЮСА» „სიხარულის ოდად“ მოგეჩვენებოდა. მაგრამ მე ნებისმიერ ტრანსპორტში მკვდარივით მძინავს, გუდუს და ეველინას კი ყურში რალაცები ჰქონდათ გაჩრილი, ამიტომ გადავრჩით.

მივალწიეთ წინანდლამდე. დაიწყო! ამ პარკის შემქმნელი ვინმე არნოლდ რეგელია. ეს ბერლინელი კაცი რუსული სამებალეო დიზაინის ფუძემდებელი ყოფილა. თურმე, ის თხუთმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა თავის არაჩვეულებრივ წიგნზე – „ნატიფი მებალეობა და მხატვრული ბალები“. წიგნი მხოლოდ ინტერნეტით ვნახე, ძალიან სერიოზული რამ ჩანს, მაგრამ ეს რომც არ დაენერა და სიცოცხლეში საერთოდ არც არაფერი გაეკეთებინა, მხოლოდ წინანდლის პარკიც ეყოფოდა სახელის უკვდავებისა და სულის ცხოვრებისათვის.

არნოლდ რეგელი 1887 წელს დაგვიტოვა იმპერატორ ალექსანდრე III-ის ვიზიტისთვის მოიწვიეს – ბალის გადაკეთება უნდა მოესწროთ. გამალებული მუშაობა მიმდებარე ნაკვეთე-

ბის შემოერთებასაც ითვალისწინებდა, რაც მეზობლად მცხოვრებ გლეხებს არ ეამათ. დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში წერს, რომ ერთ-ერთ „გაჯიუტებულ გლეხს კი წინ კედელი აუშენეს, რომ აივანზე მოსეირნე მეფე-დედოფალს თვალში არ შესჩხიებოდათ“.

ჰეი, ნინა, იცი, როგორი ბალია? ჩემზე კარგად ის თავის დროზე ალექსანდრე დიუმამ აღწერა: „წინანდელი ივნისის თვეში ფერიების სასახლე გეგონებთ; აქ ერთმანეთში არეულია ყვავილები, ყურძენი, ბრონეული, ლიმონი, ნარინჯი, ცხრატყავა, ვარდები. მცენარე და ხილი ერთდროულად ყვავის, იფურჩქნება და მწიფდება. ჰაერი გაუღვინილია მრავალი ერთმანეთში არეული სურნელით“.

ისე, ჭორად გეტყვი, რომ თუ მადლი მართლა შვიდ თაობაზე გადადის, ჩვენს პაკოსაც კარგად ჰქონია საქმე: გაბრიელ ბრაგვაძე, რომელმაც ეს წალკოტი გააშენა, მისი დიდი დიდი ბაბუა ყოფილა, და პაკო სიამაყისგან გონს არაა – სავსებით სამართლიანად.

ეველინა შესვლისთანავე დამუნჯდა. გუდუმ კამერა ამოიღო და კარგა ხანს



ფოტო: ლაპა მინიაკაძე



ვერავდი შტატივის როლში. ასე გადავიღეთ მაგნოლია, რომელიც, ნუ იტყვი, ბუჩქი ყოფილა. ბუჩქი! რას იტყვი?

დიდი ხნის წინათ აქ ორი შენობა მდგარა. ვახტანგ ორბელიანსა აქვს ასეთი ლექსი: „ორი შენობა“. ეგაა.

ერთი სასახლეა, რომელიც ჭავჭავაძეებისთვის ალექსანდრე ოზეროვს აუშენებია. ოზეროვი დიდად განსწავლული არქიტექტორი ყოფილა. მას ოდესაში უსწავლია ღვინის ქარხნების მშენებლობა და ხუროთმოძღვრება. შენც გინახავს მისი სახლები: ერთი პუშკინის ქუჩაზეა, ის, თეთრად და წითლად რომაა შეღებილი, მეორეს სარდაფში კი ახლა „ბითლზ კლუბია“. გარდა ამისა, რუსეთის იმპერატორის განკარგულებით, ოზეროვს აუშენებია პირველი ღვინის ქარხანაც, რომელიც დღეს მელიქიშვილის გამზირს გადმოჰყურებს, თავის დროზე კი თურმე „წყნეთის ქუჩისა და ხევის კუთხეში“ იდგა. აი, ასეთი ოსტატის აგებულია წინანდლის ღვინის ქარხანა, ჯადოსნური სარდაფებით – ამას სხვა დროს მოგიყვები, თორემ რეტი დაგესხმება, – და სასახლე.

„მგზავრად მიმავლის თვალს იზიდავს მისი მშვენიერება; ნალკოტი მშვენიერად მის კედელთ გარე, ზურმუხტ მდელითი მოსილია იმისი არე, გარეთ და შიგნით მის კედელი არის მორთული, როგორც რომ სასძლოდ მშვენიერი ტურფა ასული...“

ლექსი, ცხადია, მე არ დამინერია, ვახტანგ ორბელიანისაა. უბრალოდ, მე უკეთ ვერ აღვწერ, არქიტექტურული ნიაღვრები კი აბა, რად გინდა. არც ცუდ ამბებს მოგყვები: როგორ გადაწვეს სასახლე შამილმა და მისმა კაცებმა, როგორ წაიყვანეს მძევლებად ქალები და ბავშვები, როგორი სიმწრით ეცადა დავით ჭავჭავაძემ მის აღდგენას და საბოლოოდ როგორ გადასცა თავისი მამული საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს – სხვაგვარად თავისიანებს ვერ გამოისყიდდა. არც იმას გიამბობ, პატარა წინა, რა დღე გამოიარა ჭავჭავაძეების სახლმა კომუნისტების მმართველობის დროს და მერე ხომ საერთოდ...

„იმის წიაღში ამოსულა ბალახი მწარე, შამბით და ეკლით მოცულია იმისი არე; ვინც მას შეხედავს, დაფიქრდება და შეიბრალებს, იმის დანახვა გულს აწუხებს, თვალს არ ახარებს.“

ეს კვლავ ვახტანგ ორბელიანია, მერე რა, რომ ზემოთ ხსენებულ დროს არ შესწრებია, სწორად კი აღწერა.

„სწორედ ასეთი სახით მოაღწია ჩვენამდე ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმმა“, – მიყვებოდა თათია. გარეთ ვისხედით, ბაღში, ლიტერატურული კაფეს წინ – როგორც ყველა თავმოყვარე მუზეუმს, ამასაც თავისი კაფე და პატარა მაღაზია აქვს.

„2006 წლიდან, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, აქაურობას „სილქ როუდ გრუპი“ 49 წლის განმავლობაში გაუწევს მფარველობას. ეს საქართველოში პირველი არაკომერციული პროექტია – ბიზნესი კულტურისთვის იღწვის. 2008 წელს ჩვენ მიერ ჩატარებულმა რეკონსტრუქციამ მთლიანად შეცვალა შენობის აქამდე ცნობილი



სახე. კვლევითმა სამუშაოებმა არა მარტო დააზუსტეს პირველი სართულის თარიღი, არამედ ფუნქციური დატვირთვაც მიანიჭეს. ცენტრალურ ნაწილში და მუზეუმის უკანა ფასადზე, ალექსანდრე ჭავჭავაძის პირველი სასახლის ნაშთი აღმოჩნდა, რომელიც 1886-87 წლების ოზეროვისეული სასახლის სტრუქტურაში იყო ჩართული. პირველ სართულზე განთავსდა ოთახი-ექსპონატი, შამილისდროინდელი გადამწვარი სასახლის ნაშთით. ფუნქციურად გამრავალფეროვანდა მუზეუმის უკანა ფასადიც. ეს მონაკვეთი სასახლის ერთ-ერთი ძველი ნაწილი აღმოჩნდა და ახლანდელი რეკონს-

ტრუქცია მისი პირველადი სახის გათვალისწინებით განხორციელდა.

ამოქოლილი თაღები გახსნის შემდეგ საზაფხულო ღია გალერეის ფუნქციას ასრულებს.

ჯერ კიდევ ალექსანდრე ოზეროვმა 1886-87 წლებში გადამწვარი სასახლის ნაშთი ჰარმონიულად ჩართო ახალი სასახლის სტრუქტურაში. ახლად ჩატარებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა კი, პროექტზე მომუშავე არქიტექტორ-რესტავრატორების ძალისხმევით, შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ სასახლის განახლება, არამედ მისი ისტორიის აღდგენა და ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მხარეების გამოკვეთა.

აღმოჩენები მეორე სართულზეც გველოდა: დიდ მისაღებ ოთახში ალექსანდრესეული პირველი სასახლის ნაშთი აღმოჩნდა. სასახლის ძველი მონაკვეთი მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილი გახდა. გარკვეული სიახლეები შეეხო შენობის ინტერიერსაც. ექსპონატების დიდ ნაწილს ჩაუტარდა რესტავრაცია. განახლდა ექსპოზიცია. მუზეუმი თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების მიხედვით მოეწყო. ამასთან ერთად შეიქმნა კულტურული, საგამოფენო, საკონცერტო სივრცე, სადაც ბევრი საინტერესო ღონისძიება გველის.

იმედია, ჩემო ნინა, ყველა ეს სიკეთე უჩვენოდ არ ჩაივლის. მანამდე კი ერთ ჭორს გაიმბობ. მთავარი მოქმედი გმირის ვინაობა გოგოებმა არ გამიმხილეს, ეტყობა, ვიცნობ, და ერთიანად მიკანკანებს სული, ნეტა, ვინაა? მოკლედ, წინანდალში, სასახლის გახსნის შემდეგ დიდი სუფრა გაშლილა და ერთ ქალბატონს, ვილაც ძალიან საპატიო კაცის მეუღლეს, უბრძანებია, რომ მუზეუმში ჭალები აღარაა! მართლა აღარაა, ან, რატომ უნდა იყოს? ჭედური ჭალები იყო ალბათ, გასული წლის 60-იანი წლებისა, რა შუაშია? ქალბატონს მოახსენეს, რომ ისინი საცავში ჩაიტანეს. ქალბატონს, როგორც ჩანს, ეგონა, რომ „შედევრები“ ვილაცამ სახლში წააცუნცულა და აღარ დაოკებულა, – ვაი, ჭავჭავაძის ჭალებიო, – იძახა. არ იყო ჭავჭავაძის და ჰა!

კაი. ჩვენ ხომ შევეთანხმდით, რომ ცუდებზე არ ვილაპარაკებთ. ამიტომ მეორე სახლის შესახებ გაიმბობ, სადაც – დიდება „სილქ როუდ გრუპს“! – ჩვენ ვცხოვრობდით.

იცი, რა მაგარია, დაცვის თანამშრომელი რომ გეტყვის, – უკაცრავად, პარკი უკვე დაიკეტა და უნდა ნაბრძანდეთო, – და შენ რომ ამყავდ უპასუხებ, – ჩემო ბატონო, მე აქ ვცხოვრობო?!

ადრე აქ გარსევან ჭავჭავაძის სასახლე მდგარა. ახლა დგას მშვენიერი,



მყარი სახლი, რომლის ინტერიერიც ზოგიერთებს არ მოსწონთ, მე კი ვგიჟდები, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ბავშვობა და ყველაფერი, რაც მას მახსენებს, ეს სახლი კი სწორედ ასეთია: საბჭოთა ესთეტიკის გამარჯვება. ყველაფერი მომწონს: მოოქროვილი სანათურებიც, გალაქული ავეჯიც, სტალინის პორტრეტიც კი – შემიძლია, ენაც გამოვუყუო და არაფერიც არ მოხდება! თურმე, მუზეუმის საცავში სოცრეალიზმის მრავალი ნიმუშია დაცული, და ექსპოზიციას ცვლიან ხოლმე, ხან ხრუშჩოვი კივია, ხან – წინანდლის სასახლის აივანზე მდგომი პუშკინი, რომელიც რატომღაც ფუნქციონირის ფონზე უკითხავს ლექსებს ნიკოლოზ ბარათაშვილს. აბა, როგორ არ მომწონდეს!

ამ სახლს აქვს უზარმაზარი აივნები, სადაც გუდუ და მე სავარძლებში ჩავსხედით და მივხვდით, რომ კეთილმა სულებმა გადაწყვიტეს, – კმარა, რაც დაიტანჯნენ, დაე, გაიხაროს სამმა პატარა ადამიანმაო, – და აქ გამოგვიშვეს, წინანდალში. ეველინა პიანინოს მიუჯდა, ტკბილად უკრავდა და თავისთვის კრუტუნებდა: „მე კარგად მესმის სულების, მათ კი – ჩემი“...

იცი, ნინ, ასეთ ადგილას ყველაზე ახლობელ ადამიანებთან უნდა წახვიდე. ნამდვილ მეგობრებთან ერთად. სხვანაირად გამწარდები. წარმოიდგი-

ნე, რომელიმეს რომელიმესთან დაკავშირებით რამე გეგმები რომ გვექონოდა, ხომ ვერ გავიხარებდით? იქნებოდა პრანჭვა, დაძაბულობა, ათასგვარი გაუგებრობა. ახლა კი – ციტატა: „შეგიძლია, მუცელი აღარ შევისუნთქოთ, უშნოდ ვიცინოთ და ბევრი ვჭამოთ, ვის რა, რო?...“ ხომ გეუბნები, კეთილი სულების ამბავი იყო.

ერთი კეთილი სული პირადადაც გავიცანი. ქალბატონი ვალენტინა ყარაულაშვილი, მუდამ კოხტად ჩაცმულ-დავარცხნილი, მოხდენილი, ლამაზი სამკაულით. ნინ, ეგ ქალი ადამიანი არაა. ეგრე არ ხდება. ხომ არ შეიძლება, ადამიანმა ზუსტად იცოდეს, რა გავიხარდება ყველაზე ძალიან, რას ჭამ და რას – არა, ხომ არ შეიძლება, ფეხის ხმა არ გესმოდეს და ვერ ხვდებოდე, როდის გაქრა თეფში და როდის გაჩნდა მაგიდაზე გათლილი ცივი ატმითა და გარგრით სავსე სინი?

რა იყო ესა?

ეველინამ თქვა, რომ, როგორც ჩანს, უკვე გარდაიცვალა და სამოთხეში მოხვდა, ნეტა, რით დაიმსახურა? გუდუმ იკითხა, – ქალბატონო ვალია, აქ ანგელოზებიც დაფრინავენო? ქალბატონმა ვალიამ, – ანგელოზები არა, მაგრამ ღამურები – გაგიხარნიაო. ჩვენ დავასკვნით, რომ ეს სხვანაირი ღამურებია, თუ დაიჭერ და აკოცებ, ანგე-

ლოზებად გადაიქცევიან. გუდუ მინც დაფრთხა და კაპიუშონი ჩამოიფხატა. ბატონმა დავით ბოლქვაძემ (რალა დაგიმალო და, ესეც ცოტა საეჭვო კაცი იყო; საერთოდ, არსებობს, თუ დაგვესიზმრა?) უთხრა, რომ საკუთარი ნებით არც ერთი ღამურა არ დააფრინდება თავზე; და ღელვას ჯობს, სუფრას მივხედოთო.

სუფრა, ნინა! დედას პური, გუდის ყველი, ნუნუ ლუარსაბოვას ოქროს ხელით დამზადებული სასწაულები, კამეჩის მანონი და ბატონი დავითის გამოხდელი ჭაჭა, პატარა, დაორთქლილ გრაფინში, ქალბატონი ვალიას მიერ მოტანილი – ვაი, დედიკო, დედა...

ასე ვისხედით, ჩემო ლამაზო, იქ, სადაც გარსევან ჭაფჭავაძის სასახლე იდგა, დიდ აივანზე, ყველაზე კარგ სუფრასთან, გავცქეროდით ბალს, რომლის მსგავსიც ალბათ არსებობს, მაგრამ მე არ მეგულება, ვეგემავდით, რომ ხვალ ლაბირინთში ვიხეტიალებო, ღვინის სარდაფებს ავითვისებო და საერთოდ, ძალიან ბედნიერები ვიქნებით. თან ვიცოდით, რომ სულ ორ ნაბიჯში, ალექსანდრე ჭაფჭავაძის სახლში ახლა საათები ნიკნიკებენ, იატაკი ჭრაჭუნობს – ვილაცა დადის, ვილაცა, სრულიად არაჩვეულებრივი, იმიტომ, რომ იქ ცუდს და ავყიას არ დაედგომება.

ისე, ჩვენც რა გვიშავდა, არა, ნინა?





კაცი, რომელიც პირობთანს ეძებს

ანუ რამდენიმე ამბავი მხატვარ მამუკა ჯაფარიძეზე

ავტორი: სალომე ჭიკაბაძე
ფოტო: დავით მესხი, პირადი არქივი

„მექანიკური ფორთოხალი“ გამახსენდა. თვალწინ დამიდგა თეთრ კომბინეზონებში გამოწყობილი ანარქისტები, მოძალადეები, საზოგადოების „პირმშონი“, ისინი, ვინც საკუთარმა ხალხმა, გარემომ შვა. ეს იყო რეაქცია, ძალადობით, სისხლით გამოხატული რეაქცია. სასტიკი პასუხი მშობლებს, ხალხს. ყველა გარემოს თავისი ანარქისტული, დესტრუქციული პირმშო ჰყავს, ვინც ამბოხს, პროტესტს სხვადასხვა ფორმით გამოხატავს. სხვადასხვაგვარია მათი პასუხიც. ვინ იყვნენ „მე-10 სართულის“ მხატვრები? ანარქისტები, მემამოხეები, იმ დროსა და სივრცეზე „გაბრაზებული“ ახალგაზრდები, რომელთაც გარემოს შეცვლა, მისი გამოცოცხლება უნდოდათ. რომლებმაც ახალი რეალობის შესაქმნელად საკუთარი ცნობიერების ნგრევა დაიწყეს.


რამდენიმე წუთის წინ შეღებილი ჭიშკარი ფრთხილად გამიღო. შინდისის სახლის 3-წლიანი მშენებლობა წელს მთავრდება. თითქმის უკაცრიელ გარემოში მისთვის უჩვეულოდ, განდეგილივით ცხოვრობს და გასახალისებლად ათასგვარ საქმეს იგონებს. აიღებს ხოლმე ფოტოაპარატს, წიგნს – სოკოთა ნაირსახეობებზე და ტყეში მიდის. შინდისი და მისი მიმდებარე დასახლებულ-დაუსახლებელი ტერიტორია ზეპირად იცის. სოკოებს აკვირდება, წიგნში ნახულობს, ფოტოებს უღებს. თავზე საშუალო ზომის კრემისფერი ქუდი ახურავს და შავ-თეთრი ბურთებით აწყობილი უბრალო მძივი უკეთია. სექტემბერში სოფელში არიფანას მოსაწყობად ემზადება. ძველი ტრადიციის აღდგენა უნდა, რომელიც ოდესღაც ქართლში არსებობდა. სოფლის მაცხოვრებლები კალათებით ხელში რომ გამოდიოდნენ დიდ ველზე და ყველას საქმელ-სასმელი მოჰქონდა თან. იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ქეიფობდნენ. მოკლედ მხიარულად ატარებდნენ დროს. არიფანამდე პიარ-კამპანიის ჩატარებასაც გეგმავს; ღონისძიების მაუწყებელ პლაკატებზე მუშაობს, რომელსაც საკვანძო ადგილებში: მაღაზიასთან, წყაროსთან და ავტობუსის გაჩერებაზე გააკრავს. მანამდე კი ანთიასთან ერთად სახლ-


მამამისი სტალინის ეპოქის თაობას ეკუთვნის, რომელსაც ყველა ერთ, „სწორ“ ჩარჩოში სხოვრობდა – „როგორ ვუთხრა, რომ არ არის საჭირო, გამოთალო სკულპტურა; რომ აი, არის ქვა, რომელზეც გადაწვავი და ოქანავს ამოტრიალავულად დაინახავ, იბრძნობ, რომ მიფრინავ. ეს არის სკულპტურა, რომელსაც არც აწვალავ და არც ხელს ახლავ“.



ში რალაცებს ჩორკნის და ხის მოაჯირიანი აივნებიდან ლამაზი ხედის ცქერით ირთობს თავს. ანთია ძალიან ლამაზი, ბრიტანელი ქალია, მამუკას მეგობარი და ცხოვრების პარტნიორი. ბრისტოლიდანა და წელიწადში მხოლოდ 3-4 თვეს ახერხებს მამუკასთან ყოფნას. ანთია მუქი შორტებით და დაჭმუჭნული მაისურით დადის შინდისში და დრელით ხელში ხან სად ჩაიცუცქება და ხან – სად. მშენებლობის პარალელურად, ანთია წიგნზე მუშაობს და, როგორც მამუკამ მითხრა, სიჩუმე და მოსვენება სჭირდება; ანუ ის, რაც მამუკასთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი მდგომარეობაა. აქ, ამ სიწყნარეში, რომელსაც ზოგჯერ ანთიასგან ახმაურებული რომელიმე ინსტრუმენტის

ხმა ახშობს, ბევრი დრო აქვს იმისათვის, რომ აივანზე მოკლათებულმა რალაცები გაისენოს, პასუხი გასცეს თავში უკვე მერამდენედ ამოტივტივებულ კითხვებს. როგორც თვითონ თქვა, „დააკვირდეს ცას და ჰაერს“, იმას, რაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი შეიძლება ყოფილიყო. მაშინ, როდესაც ყველაფრის შეცვლას ცდილობდა, როდესაც საღებავში ამოთხუპნული დადიოდა და ყველგან თავის კვალს ტოვებდა. სახელოსნოში მეგობრებთან ერთად მუშაობდა და გამოფენებს აწყობდა. სადაც 90-იანების ბნელ პერიოდში იკრიბებოდნენ მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები, პოეტები. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, გამოფენებს აწყობდნენ, ლექსებს კითხულობდნენ, თუკი ვინმე არტისტი





ჩამოდიოდა, ყველა აქ სახლდებოდა. სიგიჟე, არტი, ეზოში გამართული გიჟური საღამოები; ის, რაც ხელის ერთი მოსმით გაქრა, რამაც ადგილი ძველს და „მარადიულს“ დაუთმო. დღეს იმ ეზოს აშრილებულ ბალახებში ისევ ისე, სრულ სიწყნარესა და სიჩუმეში დგას ძველი, ბრინჯაოსა და თიხაში ჩამოსხმული ბიუსტები. ეზოს პირდაპირ სახელოსნო მშობლებმა გადაუღებეს; ჩათვალეს, რომ იმ ყველაფერს, რაც იქ იქმნებოდა, ნამდვილად ჯობდა ერთი სიმპათიური, კომფორტული სტუდია. ამიტომ აღარც იქ სიარულით იკლავს თავს და ვეღარც ფერწერულ ტილოებს ქმნის, მთელ იმ გარემოს დაკარგულ სამოთხეს ეძახის. „არ შე-

მიძლია, უცებ დავჯდე და დავხატო. ჩემი გარემო მჭირდება, სივრცე, სადაც ჩემი მესხიერება იქნება; ადგილი, სადაც ყველა ნივთი ნაცნობია, სადაც მოდის მედიტაცია, ინსპირაცია, სადაც ქმნი“. სახელოსნოს არქონის გამო, სინთეზური ხელოვნებით დაკავდა და ცდილობს, ისეთი მასალით გააკეთოს ნამუშევრები, რომლითაც იოლად იმოგზაურებს. უკვე 15 წელია, რაც დახეტილობს და ადგილ-სამყოფელს იცვლის შვეიცარიაში, ინდოეთში, გერმანიაში, ინგლისში. ამიტომაც იყო, რომ აკადემიაში მხოლოდ 4 თვე მოახერხა ლექციების ნაკითხვა და ერთხელ „კმარაჩვეულებრივი“ გამოფენა გააკეთა. ნატურის ტანზე სტუდენტებს

მათივე ფოტოები გადაატანინა, მერე კი ფოტოებით აჭრელებული ქალი აბანოში გაუშვა, – აბანოში რომ გაიხდის, აი, იქ ნახეთ, რა მოხდება. წადით და ნახავთ, როგორი კმარაჩვეულებრივი გამოფენა იქნებაო.

ფრაგმენტულად ცხოვრობს, თითქოს მისი ერთი ნაწილი ინდოეთშია, მეორე შვეიცარიაში, მესამე – კიდეც სადღაც. იქნებ შინდისი აღმოჩნდეს გამთლიანების ადგილი? იქნებ დაკარგული სამოთხე გააცოცხლოს, სადაც ისევ მოვლენ მეგობრები, ღვინოს მოწრუპავენ, ამბებს მოყვებიან, თან დაბალ ხმაზე მუსიკას მოუსმენენ. სახლზე გაახსენდა – „სულ გვინდოდა, სახლი გვქონოდა. მე და ანთიამ რაღაც ბინა ვიყიდეთ. არ მიყვარს ამ ამბის გახსენება, გაყიდული აღმოჩნდა თუ რაღაც... მოკლედ 4 წელი სასამართლოებში ვირბინეთ, სულ ტყუილად.

მაგრამ, ის მაშინ იყო, სურვილის ის ცოცხალი ტალღა, რომელიც გარემოებებმა შეაჩერა. ახლა კი ვაშენებთ, მაგრამ თითქოს იმან ჩაიარა და თავიდან ამ ფოკუსში მოქცევა არ გამოდის, ძნელია“. ჯონი კემის სიმღერას იხსენებს სახლებზე. სახლებზე, რომლებიც იყო და აღარ არის.

მამა-შვილი

ყოველთვის ჭრელი სამეგობრო წრე ჰყავდა. რისკიანი ხალხი უყვარს, გაბედულები, თავისუფლების მაძიებლები. ასეთ ხალხს კი უფრო ხშირად პერიფერიებში, მარგინალურ გარემოში პოულობს. ყოველთვის ჰყავდა საკუთარი წრე. წრე, რომელიც არავის ეხებოდა, არც სკოლას, არც – მშობლებს.

არასდროს ყოფილა იდეალური შვილი, თუმცა ეს არ იყო იმ გაუცხოების, საერთო ენის ვერგამონახვის მიზეზი,

რომელიც მუდამ არსებობდა მასსა და მამამისს შორის. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს დღემდე ელოდება მისგან აღიარებას, თუნდაც მოწონებას. „ძნელია, როდესაც სხვადასხვა მსოფლმხედველობა ეჯახება ერთმანეთს. მამაჩემი ვერასდროს ხედავდა ჩემს ნამუშევრებს, ვერ გრძნობდა. დავტოვებდი რაღაცებს, მოვიდოდი და სადღაც გადაყრილი მხვდებოდა; ჩავკეტავდი, მაინც სადღაც იყო მოსროლილი. ჩემი ერთადერთი ნამუშევარიც მხოლოდ იმიტომ უდევს სახელოსნოში, რომ ოქროსფერ ჩარჩოშია მოთავსებული. აი, ზედ რაღაცები რომ აწერია – როლექსი, ომეგა, და ოქროსფერი ჩარჩო გარშემო. ბაზარს ხომ რატომღაც ყოველთვის უარესი ურჩევნია, ჰოდა, ერთ დღესაც ვიფიქრე, – რა გინდათ, რას ითხოვთ ხელოვნებისგან, ნუთუ ჩარჩო განსაზღვრავს ხელოვნების ღირებულებას-მეთქი? და ამ ირონიით გავაკეთე ეს ნამუშევარი. მაგრამ, მგონი პირიქით გამოვიდა. ფაქტია, იქ დევს“.

ყველაფერს ახსნას უძებნის. მამამისი სტალინის ეპოქის თაობას ეკუთვნის, როდესაც ყველა ერთ, „სწორ“ ჩარჩოში ცხოვრობდა. ამიტომ, ხელოვნებაზე მას განსხვავებული შეხედულება აქვს. მაშინ ავტორიტეტები არსებობდნენ და ეფემერული ხელოვნება საერთოდ არ ესმოდათ, არც ახლა ესმით. „მისი ნამუშევრები მომწონს, მას ჩემი – არა. სულ ჰგონია, რომ რაღაც სხვა უნდა ვაკეთო. მკაცრი და ძლიერი ხასიათი აქვს. მიჭირს მოუწყვე ნამუშევარზე და მასში აღფრთოვანება გამოვიწვიო. ძნელია. თუ მისგან პასუხს ელოდები, მაშინ ძალიან ხმამაღლა უნდა უთხრა, რაც არ შემიძლია. არ ვარ რადიკალური, არ მიყვარს ფეტიშიზმი, ავტორიტარიზმი. მისი პერიოდი კი ზუსტად ეგ იყო. როგორ ვუთხრა, რომ არ არის საჭირო, გამოთალო სკულპტურა; რომ აი, არის ქვა, რომელზეც გადანვები და ოკეანეს ამოტრიალებულად დაინახავ, იგრძნობ, რომ მიფრინავ. ეს არის სკულპტურა, რომელსაც არც აწვალე და არც ხელს ახლებ“.

40 წლის რომ გახდა, ბენალეზე იყო. ისე, ამ ბენალეზე ერთი კი გაიხუმრა, ქართველების ყოველი წასვლა რა-





ტომლაც ასე ცხადდება – „საქართველო პირველად წარდგება“... როგორც ჩანს, ყველა ახალ მთავრობას უნდა ვენეციის ბიენალეზე პირველობის მისაკუთრება. მაისურზე შავი კვადრატი დაიხატა და ქვემოთ მიანერა – მამუკა ჯვამლევიჩი; ანუ მალევიჩი, რომლის ხელოვნება საკუთარი აზრის ანალიზია და რომელიც თვითონ იგონებს ტრადიციას, მეორე მხრივ კი – მშობლები და ტრადიცია, ის, რაც წარსულიდან მოგვყვება.

შეუძლებელია, მამუკა ჯვამარიძეს ელაპარაკო მხატვრობაზე გუშინ და დღეს და არ ახსენო თავისუფლების, ექსპერიმენტების ის პატარა კუნძული, რომელიც 80-იანებში აკადემიის მე-10 სართულზე არსებობდა. რაღაც იმედი თუ მომავლის მხატვრობა, რომელზეც ასე ამბობს, – „კარგი იქნებოდა აქ ყოფნა, მთელი ჩემი თაობა კონფორმისტი რომ არ გამხდარიყო“.

მეათე სართული გუშინ და დღეს

მასწავლებელი არ ჰყოლიათ. საკუთარ თავს სიბნელეში, ხელის ცეცებით ეძებდნენ. ყოველდღე ახალი სივრცე, ახალი ნამუშევარი უნდა შეექმნათ. არავინ აქცევდა ყურადღებას მასალის ხარისხს და ექსპერიმენტებს ყველაფერზე და ყველაფრით აკეთებდნენ. მთავარი პრინციპი იყო ხუთივე აბსოლუტურად განსხვავებული ყოფილიყო. მაშინ მიხვდნენ, თუ გყავს 5 დამთვალეირებული, ეს უკვე საკმარისია. ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ და თამაშ-თამაშში, თავისით მიმხვდარიყვნენ – რა არის არტი! ივინყებდნენ ყველაფერს, რასაც აქამდე დისციპლინებდა, ფორმულებდა იცნობდნენ. ივინყებდნენ ცნობილი მხატვრებისგან მიღებულ შთაგონებას, შთაბეჭდილებას. მათ საკუთარი მახინჯი ხელნერის დანახვა უნდოდათ.

„ჩვენ ხომ ყოველთვის მაღალ ფასეულობას ვეძახით იმას, რაც რაღაცას ჰგავს. სამოცდაათიანებში ხატავდნენ პიკასოსავით, ჩვენ ტაშს ვუკრავდით და ვამბობდით, – „აი, როგორ პიკასოსავით გამოუვიდა; აი, როგორი ვან გოგია“.

ხატვისას სულ ვილაცას აწყებოდნენ – კიფერს, კლემენტს, სხვებს. გრძნობდნენ, რომ მასალა და ტექნიკა მუშაობდა და არა – თვითონ, ინდივიდი. ამიტომ ალტერნატიული მასალის ძიება დაიწყო. მეტალი გამოჰქონდათ, პირდაპირ დებდნენ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აკრიტიკებდნენ, მსჯელობდნენ. მთავარი, რაც მათ „მე-10 სართულმა“ ასწავლა, იყო საკუთარი თავის პროვოცირება, გამოწვევა. სახელოსნოდან გამოსულებს ეგონათ, რომ მუშაობას აგრძელებდნენ, დადიოდნენ ქალაქში და ნამუშევრებს ათვალიერებდნენ. რეალობასა და არტს შორის ზღვარი არ არსებობდა. სულ საღებავებით დათხვრილები იყვნენ და სადაც მიდიოდნენ, ყველგან საკუთარ გარემოს ქმნიდნენ. ტელევიზიის გადაღების, მსუბუქი ტერორისტული აქტის ჩატარების იდეაც მაშინ გაუჩნდათ. თეთრი კომბინეზონებით და თეთრი საღებავის კომპრესორებით ტელევიზიის შენობაში უნდა შევარდნილიყვნენ და რასაც მოასწრებდნენ, ყველაფერი თეთრი ფერით გადაეღებათ გარემოს შესაცვლელად. გარემო, რომელიც გაძლევს შთაგონებას და შთაგონება, რომელიც ქმნის შინაარსს. ამბობს, – იმ გარემოში, ადამიანებს მხოლოდ ცუდი აზრები ებადებოდათო. „მე-10 სართული“, რომელმაც შემოქმედთა ახალი წრე, საზოგადოება ჩამოაყალიბა, ხომ თავიდან ბოლომდე თამაში იყო. თამაში-შეჯიბრი სწავლასა და დომინანტობაზე. ამბიციური ახალგაზრდების თამაში.

„ექსპრესიონიზმის პერიოდი იყო, უფრო ტრანსაგრესიული ექსპრესიონიზმის. ეს დამოკიდებულია 90-ებში იყო პოპულარული; პანკის მოძრაობა, ბერლინის კედელი. ხალხი ახატავდა, აფურთხებდა კედელს. ეს ნამდვილი აგრესია იყო. წვავდი ტილოს, ჭრიდი, აფურთხებდი, აქციას ატარებდი სურათთან და ისიც ცოცხლდებოდა.

90-ში სერიოზული გადაფასება მოხდა, მაგრამ... ბახ, და ისევ სხენიანი კასი დაგვიდგამს! რევოლუსია დამარცხდა, კონსერვატორები მოზრუნდნენ, ისინი, ვინც წარსულში უნდა დარჩენილიყვნენ. თაობა ნაყოფი არ გამოიღო, რაშის ჩემს თავსას ვადანაშაულაზ. 70-იანი წლების თაობა კონფორმიზმს გადაჰყვბა, მოიხსენენ.



გლოვა დაკარბული ბროშის გამო

ავტორი: დავით ბუხრიკიძე



მრავალტანჯული ქართული ინტელიგენცია და ალბათ ინტელექტუალებიც (ეს ისე, თანამედროვე და სავალდებულო განსაზღვრება რომ გამოვიყენოთ) ისევ ეგზისტენციალურ გზისგასაყარზე არიან: მარცხნივ თუ მარჯვნივ; თავისუფლების-„კენ“ თუ თავისუფლების-„გან“; ვილაცის დასაცავად თუ ვინმეს წინააღმდეგ; ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით? უკვე მერამდენე წრეზე, სახალხოდ გვემის და ვხედავთ, წარსულის აჩრდილები შეცდენილი და მიტოვებული სამშობლოს სახელით როგორ გვიტყუებენ და გვიხმობენ – „დაიცავი საქართველო!“

აჩრდილთა სამყარო

აჩრდილებზე და ტყუილებზე გამახსენდა. „ბნელეთი იტყუებს წარსულს“ – ასე ჰქვია თანამედროვე ავსტრიელი დრამატურგის, გუსტავ შვაბის ერთ-ერთ პიესას, რომელშიც წარსულითა და განდიდების მანიით შეპყრობილი თანამედროვე ინტელექტუალები თავიანთი გაუაზრებელი საქციელით თვითმკვლელობამდე მიდიან.

იმიტომ, რომ წარსულში ჩარჩნენ, უფრო ზუსტად, მხოლოდ წარსულით ცხოვრობდნენ. ისინი განუწყვეტილ ციტირებენ ჰერმან ბროხის ნოველებს, იხსენებენ მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნიდან გაქცეულ ებრაელ ფიზიკოსებს, ბოდავენ ცნობილ პიანისტ ანი ფიშერზე, რომელიც მოცარტს და შუბერტს ყველაზე კარგად უკრავდა... მაგრამ ჯიუტად არ უნდათ აღიარონ, რომ სივრცისა და დროის კოორდინატები აერიათ. ერთი სიტყვით, „შეურყენელ“ ვენას მისტირიან, სადაც არ არსებობდა „ჭრელი აფრიკული ბალაგანი“ და რომელსაც „აღმოსავლეთ ევროპის მეძაგები ჯერ არ იყვნენ შესეულები“.

ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ამგვარი ინტელექტუალური თვითგანადგურების აქტი პიესის მიხედვით სწორედ ვენაში და სწორედ დღეს ხორცილდება. კულტურული სივრცე თითქოს არ იძლევა „დროიდან ამოვარდნის“ საშუალებას, მაგრამ პარადოქსის სიცხადეც ესაა – ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ კულტურულ ღირებულებებს, თავადვე განდევნიან მას, ანუ განდევნიან საკუთარ

თავს ისტორიიდან და გუსტავ შვაბის პიესის ძირითადი გზავნილიც ესაა.

ვენის აქტუალური გზავნილიდან ჩვენებურების დრამატულ ანმყომდე პირდაპირი გზა გადის. ქართული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის წარმოდგენა, მითი საკუთარი მნიშვნელობის აბსოლუტურობასა და უცვლელობაზე, 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე არ შეცვლილა. განსხვავებით დასავლეთისაგან, სადაც ინტელექტუალები ძირითადად აქტიურ და მკვეთრად გამოხატულ მემარცხენე მეინსტრიმს ქმნიდნენ, საქართველოში ნომენკლატურულ ინტელიგენციას არ შეეძლო ახალი იდეების ხორცშესხმა და საკუთარი არსებობის, ავტონომიის დადასტურება. ოპონენტები იტყვიან, რომ იმდროინდელი ინტელიგენციისთვის ეს შეუძლებელიც იქნებოდა და ამგვარ თავისუფლებას მხოლოდ კანტი-კუნტად არსებული დისიდენტები მოიპოვებდნენ. ისიც მათი სოციალური თუ პოლიტიკური განდევნის ფასად.

პოლიტიკური სისტემის რღვევის შემდეგ, ინტელიგენციის დიდი რაზმის არც-

თუ ხანმოკლე მესხიერება ისევ სოციალისტური ყოფიერებიდან გამოყოფილი პრივილეგიების „აუტანელ სიმსუბუქეს“ ინახავს. წარსული გამართლებული და სასარგებლო ტყვეობა აღმოჩნდა, რომლის აჩრდილები კი არ გაქრენ, არამედ ტრანსფორმაცია განიცადეს.

გარკვეული დროისა და დისტანციის შემდეგ, კულტურული ფასეულობები

ნაში“. როცა იღებდნენ ფილმებს რეზო ჩხეიძე, ოთარ იოსელიანი და თენგიზ აბულაძე, წერდნენ ოთარ ჭილაძე და ჭაბუა ამირეჯიბი, დგამდნენ სპექტაკლებს თუმანიშვილი, სტურუა, ჩხეიძე; ანუ კულტურული „ერთეულების“ ხანა, რომელსაც ინტელიგენცია დღესაც მისტირის. მაგრამ გასაგებია, რომ იმ დროს შექმნილი სანიმუშო არტ-ნიმუშები ველარ და აღარ

გამარჯვება, რომელსაც ყოველთვის კარგად იყენებდნენ იდეოლოგიური და ინტერნაციონალური თვალსაზრისით.

შევარდნადის შემდგომი ეპოქა პირველ რიგში ამერიკანიზაციის ფაქიზი ექსპანსიით დაიწყო და ახალი რევოლუციით დაგვირგვინდა, რამაც ხელისუფლების სრულიად ახალი მითოლოგემა შექმნა. 2003 წლის რევოლუციის შემდეგ ახალ



უფრო სამუზეუმო განზომილებაში დარჩა. კულტურის სახელით გადასარჩენთა „შინდღერის სიები“ სულ უფრო მცირდება და არ არის გამორიცხული დღევანდელმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს სიები მალე საარქივო მასალად აქციოს. არქივებს კი ერთი უცნაური თავისებურება ახასიათებს – ისინი შეიძლება მომავალმა ხელისუფლებამ „უდროო დროს“ გახსნას და დღევანდელი კულტურული ელიტა შესაძლოა დისიდენტებად ან წამებულებად მოგვევლინონ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, მშვიდი, მაგრამ მყიფე სოციალისტური რეჟიმის პირობებში ინტელიგენცია პირდაპირ ან ირიბად ასრულებდა სახელმწიფო დაკვეთას, რადგან დაფინანსება სწორედ სახელმწიფოდან მოდიოდა. ერთგვარი გარიგება სახელმწიფოსა და ინტელიგენციას შორის დაახლოებით ასე იკითხებოდა: გაძლევთ თავისუფლებას და სამაგიეროდ ვითხოვთ თავდაუხსმელობას. ჯანდაბას, კრიტიკას, ოლონდ მისაღებ ფარგლებში. ეს ძალიან კარგად წარმოჩინდა შევარდნადის „ოქროს ხა-

იენება დღევანდელი. ახალი დრო ახალ შეკვეთებს ითხოვს.

ბიზანტიურ-რუსული სივრსიდან „ახალ იერუსალიმამდე“

საბჭოთა სისტემის კულტურულ-იდეოლოგიური გარემო „ფორმით ინტერნაციონალურ და შინაარსით ნაციონალურ კულტურას“ ითხოვდა, ამ შეკვეთას ქართული კულტურა იდეალურად ასრულებდა, თანაც საერთაშორისო მასშტაბით. ოთარ იოსელიანის დიდი წარმატება ბერლინში, დიდი კრიტიკოსოს, ჯორჯ სადულის აღიარება; სტურუას „რიჩარდ მესამე“ ავინიონის ფესტივალზე, მაშინ, როცა ავღანეთში უკვე საბჭოთა ჯარები შევიდნენ, მიხეილ თუმანიშვილის „ღონ უუანი“ ედინბურგში (როცა პიტერ ბრუკმა მას უდიდესი რეჟისორი უწოდა), რეზო გაბრიადის ტრიუმფი შევიცარასა და საფრანგეთში, როცა მის მარიონეტების თეატრს საოცრებას უწოდებდნენ და ხან ფილიპუნტის მითიურ თეატრს ადარებდნენ... ეს ყველაფერი შეფუთული და წარმოდგენილი იყო როგორც საბჭოთა ხელოვნების

ხელისუფლებას სჭირდებოდა არა ნომენკლატურული და საზოგადოებისთვის ცნობილი ინტელიგენციის სახეები, არამედ ადამიანის უფლებების დამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ლიბერალური ღირებულების მქონე ინტელექტუალები, კანონმდებლობაზე მომუშავე იურისტები... გარდასული საბჭოთა ეპოქისა და ახალი დროის საქართველოს ღირებულებათა დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, სწორედ კულტურულ სისტემათა და ფასეულობათა დუელში გადაიზარდა.

საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მაინც ბიზანტიურ-რუსული კულტურული ველის ისტორიულ ნაწილად აღიქმებოდა, ცხადია დაუპირისპირდა ანგლოსაქსურად მონათლულ კულტურას, რომლის შემოჭრა საქართველოში უკავშირდება განათლების, პოლიტიკისა და უსაფრთხოების ახალ სისტემას. ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში ნასწავლმა და საბჭოთა განათლების უარყოფელმა ახალგაზრდებმა იოლად ჩაანაცვლეს ძველი, რუსულენოვანი ინტელიგენცია (ანუ კლა-

ისტორია

სიკურ ბიზანტიურ-რუსული სასულიერო და სალიტერატურო სივრცე). გადამწყვეტი გახდა არა წარსული დამსახურება, ან წარსული აღიარება და „არასაჭირო“ ცოდნა, არამედ კანონების, უფლებების და პროექტების ენა.

ცხადია, ყოფილი კულტურული სივრცისა და ენის ასეთი მოულოდნელი და დრამატული აღსასრული ქვეყნის ფსიქოლოგიაში ცვლილებებს მოასწავებდა.

მართლმადიდებელ რუსეთთან სიახლოვე და ქართული ტრადიციების „უცხოთა და ურწმუნოთა“ შეურაცხყოფისაგან დაცვა.

„კავკასიური“ კარნავალის შედეგ

გვეგონა, რომ უშფოთველი და უდარდელი ცხოვრება საქართველოში „კავკასიური ცარცის წრის“ კარნავალური სულისკვეთებით გაგრძელდებოდა, მაგრამ ის, რაც ფორმა იყო ამ საკულტო

90-იანი წლების დასაწყისში (ეს ძალიან რთული იყო ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის პირობებში) ხალხის კონსოლიდაცია ვერ მოახერხა. ყოვლად გაუაზრებელმა და მოუმნიფებელმა სურვილებმა ხელისუფლების მხრიდან და ყოფილი საბჭოთა ინტელიგენციის სრულმა უპასუხისმგებლობამ თუ კონფორმიზმმა კრიტიკულ მომენტში, დაანგრია არა მარტო მითი ქართული ინტელიგენციის შეს-



მთელი საბჭოთა კულტურული სისტემა თავისი შემოქმედებითი კავშირებით (კინო, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა), კულტურული ფასეულობებით, ორიენტირებით თუ შემოქმედებითი ორგანიზაციებით, რომლებიც მიბმულნი აღმოჩნდნენ რუსულ ენასთან, ახალი ხელისუფლების პირობებში განიდევნა არტისტული სივრციდან. ევრო-ამერიკულმა, ანუ „ახალი იერუსალიმის“ თაობამ (ეს ლიტერატორისა და ფილოსოფოსის, ზაზა შათირიშვილის ძალიან ზუსტი და ირონიული ტერმინია) ინგლისურის წყალობით ეს სივრცე უნახავად და უპრობლემოდ მიატოვა, მაშინ როცა ძველი თაობის ინტელიგენცია რუსულ-ბიზანტიურ კულტურას ისევ უმთავრეს იპოსტასად მიიჩნევს.

დღეს რეალურად ჩამოყალიბებულ და განსხვავებულ პოლიტიკურ და სააზროვნო სივრცეს ყოფილი საბჭოთა ინტელიგენცია ბოლოდღე ვერ იღებს ან მტრულად იღებს, რის გამოც ის უფრო აროგანტული და ვიწრო ინტერესების გამომხატველი ხდება. ამიტომ მისი დასაყრდენი სწორედ ისეთი ტრადიციული დისკურსი ხდება, როგორცაა ერთმორწმუნე და

სპექტაკლში, 90-იან წლებში ჩვენთვის მის დრამატულ შინაარსად იქცა: სახელმწიფო შინაპოლიცია, გაქცეული თავადი ჯანდერი, რომელსაც მოლაღატეობაში სდებენ ბრალს, გადამწვარი თბილისი, საიდანაც გრუშე ვაჩნაძე გარბის, ლტოლვილები, ჯარისკაცები, დეზერტირები, ჩამოხრჩობილი და მოლაღატე თავადები... და ბოლოს, ლოთი და მხიარული ჯამბაზი – მოსამართლე აზდაკი. გვეგონებოდა, სპექტაკლი არა შორეულ და უზრუნველ 70-იანი წლებში, არამედ 1991 წლის სამოქალაქო ომის შემდგომ დაიდგა. თუმცა 30 წლის შემდეგაც ამ გაცრეცილი დეკორაციების, „დაბერებულ“ მიზანსცენებისა და მსახიობების ფონზე სანახაობას პირველქმნილი პოეტურობა და ცინცხალი ირონია არ დაუკარგავს. „კავკასიური“, რომელიც სტურუამ ჩაიფიქრა და განახორციელა როგორც კარნავალი, მოგვიანებით ლამის წინასწარმეტყველებად გვექცა, ხოლო სპექტაკლი წლების განმავლობაში ქართული კულტურის უმთავრესი და საამაყო ბრენდი გახდა.

„კავკასიურმა“ 35 წელი იცოცხლა და პოსტსაბჭოთა კულტურულ ელიტასაც „გაასწრო“. სხვათა შორის, ამ ელიტამ

ახებ, არამედ საერთოდ ქვეყნის შესახებ წარმოდგენა შეცვალა. ცნობილი მწერლები, პოეტები, რეჟისორები, მსახიობები, რომლებიც სოციალისტური ეპოქის კულტურული ლანდშაფტის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ, უკვე მტკივნეული ისტორიული გამოცდილებისა და შეცდომების შემდეგ, ისევ იმ მოჯადოებულ წრეს უბრუნდებიან, რომელიც 20 წლის წინაც უშედეგოდ გამოიარეს.

რასაკვირველია, ინტელიგენციისათვის უსიამოვნო და მტკივნეულია წარსულის შესხენება და არცთუ ნათელ პერსპექტივაზეც საუბარი. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თავის დროზე მან საზოგადოებას ყალბი და გადაჭარბებული მოლოდინები შეუქმნა, მაგრამ უპასუხისმგებლო ქმედებით ეს მოლოდინი თავად დაამსხვრია. და ახლაც მერამდენედ, ისევ იმ მდინარეში, იმავე ფორმით აპირებს შესვლას – პრეტენზიას აცხადებს, საყოველთაო კრიზისისა და ხელისუფლების სიყრუის ფონზე შექმნას ახალი, რეანიმირებული კულტურულ-პოლიტიკური სივრცე, მოვლენების არაშესაბამისი აღქმისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარეშე.

ეს არც უცნაურია და არც მოულოდ-
ნელი, განსაკუთრებით „ელასტიური“ წარ-
სულის გათვალისწინებით. საქართველოში
ყოველთვის იოლად შეიძლება აღმოჩნდეს
„აქაც“ და „იქაც“. იმოგზაურო დროშიც და
პოლიტიკურ სისტემებშიც; ხელისუფლე-
ბაშიც და ოპოზიციაშიც. მოაზროვნეც
გერქვას და პარტიის მანდატი წმინდა
გიორგი ხატებითაც ჩაანაცვლო. გადაი-
ლო ჯერ ეპიკური „ჯარისკაცის მამა“;

კომუნისტები იყვნენ (იმიტომ რომ, ეს
მსოფლმხედველობაა და, თუ გნებავთ,
სამყაროს აღქმის ფილოსოფია, და არა
ნაძალადევი სოციალური როლი), ქარ-
თული პარტიული და ინტელექტუალური
ელიტა მუდამ მზად იყო სოციალური
თამაშის ისეთი ფორმები გამოეგონებინა,
რომლითაც ნიღბების მორგება იოლი
გახდებოდა. შესაბამისად, სამოქალაქო
პასუხისმგებლობასაც ასცდებოდა.

ლი, მოკირწყლული იყო დახვრეტილებისა
და გადასახლებულების სახელებითა და
სისხლით, მუდმივი შესხენებაა, რა პა-
სუხი შეიძლება გასცე თავისამატიკებელ
შეკითხვაზე – „სად იყავი შენ, ადამ?!“
თუმცა ჰაინრიჰ ბიოლის ტიპური მემარ-
ცხენე შეხედულებით გაჯერებული რო-
მანისაგან განსხვავებით (ბიოლი თავის
რომანში „სად იყავი შენ, ადამ?!“ მეორე
მსოფლიო ომის დროინდელი გერმანიის



მერე სოციალისტური შეკვეთით „რაიკო-
მის მდივანი“. შემდეგ მორწმუნე გახდეს,
იმოგზაურო იერუსალიმში „მაცხოვრის
საფლავზე დანთებული სანთლით“. ან ჯერ
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმადლეგი საბჭოს დეპუტატი გახდეს, მერე
დამოუკიდებელი საქართველოს პარლა-
მენტის რიგითი წევრი, თუნდაც რომელიმე
კომიტეტის თავმჯდომარე. ჯერ იცხოვრო
საბჭოთა აკრძალვათა სისტემაში, შემდეგ
საფრანგეთში, როგორც დიდმა კინორე-
ჟისორმა და „პერესტროიკის“ ერთ-ერთ
რეფორმატორს, ედუარდ შევარდნაძეს
საშუალო დონის დოკუმენტური ფილმი
მიუძღვნა. შეიძლება ცალ ხელში „დათა
თუთაშხიას“ სქელი ტომი გეჭიროს, მეო-
რეთი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავ-
შირებით „ნიგნი ფიცისა“ გადილო. წერო
პატრიოტული ლექსები ცკ-ს პარტიულ
სხდომებს შორის, პარალელურად კი სკა-
ბრეზული ანექდოტები შეთხზა დისკრედ-
იტირებულ კომუნისტურ პარტიაზე.

განსხვავებით გუტუბოს, პიკასოს, პა-
ზოლინისა და ვისკონტისგან, რომლებ-
საც, სხვათა შორის, არ რცხვენოდათ,
რომ მემარცხენეები, უფრო ზუსტად

ასეთი „ორმაგი თამაში“ შესაძლოა
არქეტიპულ-არტისტულ ოინბაზობას
ნიშნავდა, ვილაცისთვის კომუნისტური
რეჟიმისათვის გაღებულ, სავალდე-
ბულო ხარკს, სხვებისთვის კი მარტივ
სოციალურ მიმიკრიას. თითქოს ამ
ყველაფრის მიღმა რაღაცის დაშიფვრა
ან დამალვა იგულისხმებოდა, რაც ალ-
ბათ მხატვრულ ენაზე იგავის აუცილე-
ბლობას ნიშნავდა. ასეც იყო – გასული
საუკუნის 70-80-იან წლებში, იგავური
ფორმის გაბატონება კინოში, თეატრში,
ლიტერატურაში მეტწილად საბჭოთა
სისტემისადმი ორმაგმა და პოლიტიკუ-
რად ანგაჟირებულმა დამოკიდებულებამ
განაპირობა. თუ ამ ლოგიკას მიყვებით,
შეუძლებელი გახდება აღმოაჩინო გან-
სხვავება ეგზისტენციალურ არჩევანსა
და გამართლებულ კონფორმიზმს შო-
რის. თუმცა ბევრი ცნობილი მწერალი,
ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე
შეგუებასა და კონფორმიზმს პოლიტი-
კურ მოქნილობას ან „სოციალურ ევო-
ლუციასაც“ უწოდებს.

საბჭოთა ინტელიგენციის გზა, რო-
მელიც სტალინის ეპოქიდან მოყოლებუ-

კატასტროფას მხოლოდ უპასუხისმგე-
ბლო მოაზროვნეებსა და ინტელექტუა-
ლებს არ აკისრებს), საბჭოთა ინტელიგენ-
ცია ინიციატივას საკუთარ თავზე არცთუ
უსაფუძვლოდ იღებდა, თუმცა მოგვი-
ანებით კრიტიკულ მომენტში პასუხს სხ-
ვებს სთხოვდა.

ინტელიგენციის მოწინავე რაზმად
„კურთხევა“ საქართველოში, ძირითადად,
60-80-იან წლებს ემთხვევა და, ჩვენი აზ-
რით, დღევანდელ საზოგადოებაზე მათი
პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენა
ჯერ კიდევ დიდია. ელიტარული საპ-
როტესტო ხმები და ზოგჯერ ლექსებიც
სწორედ მათგან გვესმის.

„არტისტული სამოთხის“ დასასრული
ახალმა ხელისუფლებამ შევარდნაძის
„ოქროს ხანის“ დროინდელი არტ-რაზმი
„ჩარეცხილად“ გამოაცხადა, ხოლო მიხ-
ეილ სააკაშვილმა ფაქტობრივად ოდნავ
სახეცვლილი ფორმით გაიმეორა ლენინის
ცნობილი სკაბრეზული ფრაზა ინტელი-
გენციის შესახებ.

>>> ბაბრქიძეა ბვ. 104





იგობჯაურე საქარტველოში

ნამოგვყვი, მკითხველო! „სხელი შოკოლადი“ დე ქარტველი მწერლები საქარტველოს ყველაჯე ქარბ მხარეებში გეკატეხებინან.

საქარტველო ქი კალიან ვატარა, მებრამ ნახე, როგორი მდიდარია! ჩვენი ავტორები სწორედ იმიტომ გიამბობენ ჯადოსნური მხარეების ამბებს, რომ შენც მოგიხდეს ჩვენი მთა-ბარის სტუმრობა. ძველი სულ არაა, არს კალიან კვირი ჯდება. უბრალოდ, ზურბჩანეთა უნდა მოიკიდო დე თუნდაც ავტოსადგურში გახვიდე. დანარჩენს იქვე გადაწყვეტ, გჯა იმდენ მხარეს მიდის, რამდენი სახსარის გვაქვს – ეს ბრძენმა ხალხმა თქვა, ჩვენი გამომგონილი არაა...

ანა კორკაია-სამადაშვილი



ჩემი ხევსურეთი

ავტორი, ფოტო: არჩილ ქიქოძე

ხევსურეთში არის სოფლები, რომლებიც აღარასოდეს აღდგება. დათვისჯვრის უღელტეხილიდან შატილისკენ რომ დაეშვები, ერთ მოსახვევში გუროს ნასოფლარი მოჩანს. შორს ხეობაში ერთი წამით გამოჩნდება ციცაბოზე აშენებული გურო და ისევ მოეფარება თვალს. რამდენიმე წლის წინ კოშკიც მოჩანდა – მერე ჩამოინგრა. აღარ არსებობს. ასეთი ძალიან ბევრი ნასოფლარია ხევსურეთში. 2003 წელს ჩემ იქ ყოფნაში უკანასკნელი მაცხოვრებელი წამოვიდა სოფელ არჭილოდან და ბარში გადასახლდა, იქ კი მანქანამ დაარტყა და სამუდამოდ ჩააგდო ლოგინში. კიდევ არის სოფლები, ერთი ოჯახი, ანდა სულაც ერთი ადამიანი რომ ასოფლებს. ერთ ასეთ სოფელში, რომელსაც ეხლა არ დავასახელებ, ცხოვრობს წყვილი, რო-

მელიც უკვე ნელ-ნელა შედის ასაკში. მათი შვილები დაოჯახდნენ და იქაურობას მოსცილდნენ. ჰოდა, ერთხელაც იქ ყოფნისას ოჯახის დიასახლისი მიყვებოდა: მე და ჩემი ქმარი კლასელები ვიყავით ბარისახოს ინტერნატში, ერთმანეთი შეგვიყვარდა და ბანკეტის მერე გამოვიპარეთ; ოღონდ არ უთქვამს, ამ სოფელში მარტო თვითონ რომ ცხოვრობდაო, მატყუებდა: დიდი სოფელიაო. ამ ბილიკზე რომ ამოვდიოდით და სახლი რომ გამოჩნდა, მაკოცა და მე ვუთხარი: სირცხვილია, ხალხი გვიყურებსო! თურმე ხალხი კი არა, საფრთხობელები იყოო...

აი, ეგეთი ამბებითაა სავეს ხევსურეთის ცხოვრება, რაღაცნაირი მაგარი, სევდიანი და მნიშვნელოვანი ამბებით. როცა მეკითხებიან, რომელია საქართველოს ყველაზე ლამაზი კუთხე, სვა-

ნეთსა და თუშეთს ვასახელებ, მერე ხევსა და ჯავახეთს მოვაყოლებ ხოლმე და ყოველთვის დავამატებ, რომ სიყვარულით ყველაზე მეტად ხევსურეთი მიყვარს, დანარჩენების გვერდით კი იმიტომ არ ვასახელებ, რომ ეს ჩემთვის უბრალოდ ლამაზი კუთხე არაა. ხევსურეთს ყველაზე მეტი სიხარული უჩუქებია ჩემთვის და საპასუხოდ არაფერი მოუთხოვია. ხარ იქ და ხარ, არ ხარ და არაფერი შეიცვლება უშენოდ ხევსურეთის და ხევსურების – ამ თითო ოროლადად დარჩენილი ამაყი და თავისებური ხალხის ყოფაში. ჩვესულვარ და არც გაკვირვებით ერთი ან ორი წლის მერე ჩემი გამოჩენა სოფლისკენ მიმავალ გზაზე, ისე მომსალმებიან თითქოს გუშინ დავშორებულყავით ერთმანეთს. ჩემთან სახლში კიდევ – თბილისში, ყველაზე ძნელი



შემოსატყუებლები არიან. ხევსურს არ უყვარს ქალაქი, მართლა არ უყვარს. ითრგუნება და იბუზება იქ. ხევსურეთისკენ კიდევ ბარიდან წამოსული ნელ-ნელა ლაღდება და ხანდახან გიჟმაჟდება კიდევ.

ერთი მეგობარი მიყვებოდა: მასპინძლის სულ პატარა შვილთან ერთად ავდიოდი რალაც დიდ აღმართს, ძაან დავილაღე (მგონი, ნასვამიც იყო), გაეჩერდი, ვეღარ მივდიოდი და ბავშვს ხევსურულად ვუთხარი: „შეძლება აღარ მაქვს, უთურგავო!“ უთურგას კიდევ – შეძლების ღმერთი გულშიაო! – უპასუხია. აი, ეგეთები არიან, რა. მაგაზე მეტი რა უნდა დაგწერო ეხლა მე ხევსურეთზე. ბავშვებს აქ ყოველთვის დიდებოვით ექცეოდნენ, ლაღად ზრდიდნენ. აქაურობის ყოველი გოჯი კი მითოსითაა სავსე, თანაც არსად

მითს ისეთი კონკრეტული გეოგრაფია არ აქვს, როგორც ხევსურეთში. კიდევ ხევსურული დღეობები, მიცვალებულის დოლი... მე ბედნიერი ვარ რომ ეს ყველაფერი ჩემი თვალთ მინახავს და რალაც ძალიან ძველს და ფესვების-მიერს შევხებოვარ თუნდაც ყოველად გაუცნობიერებლად.

კიდევ იმით ვარ ბედნიერი, რომ ამ კუთხის რამდენიმე სოფელში და გვარში მიმესვლება. სადაც უნდა ვიყო, ჩემი გული ხევსურეთისკენ გაიწევს, ყველაზე მეტად კი მიღმახევისკენ – თითქმის მთლად დაცლილი თემისკენ საქართველოსა და ჩეჩნეთის საზღვარზე. მუცო ხომ გაგიგიათ – ამაყი და ამპარტავანი თორღვას კლდეზე ნაშენები მუცო. აი, მუცო მიღმახევისა. მის ციხე-კოშკებს რომ გასცდები, ორწყალთან არდოტისკენ თუ არ გადაუხვევ და პირდაპირ ივლი, მალე მიადგები ხონისჭალას, სადაც ცხოვრობენ შეთეკაურები, რომლებიც ძალიან მიყვარს (მაგრამ სახლში, თბილისში იმათაც ვერ ვიტყუებ). იქიდან ხუთ კილომეტრში შეთეკაურების საზამთრო სოფელი ხონეა – უკანასკნელი დასახლება, სასწაული ადგილი, პირდაპირ საჯიხვის ძირში. მთებზე რომ ჩამოთოვს ხოლმე, ჯიხვები სოფლიდანაც შეიძლება დაინახო. აქ დილით კაკბების კაკანი გაღვიძებს და ერთხელ თვეზე მეტი ვცხოვრობდი ხონეში და ყოველ ცისმარე დილას, გაღვიძებულს რომ მახსენდებოდა სადაც ვიყავი, გული სიხარულით მეფესებოდა. მგონი, ეგეთი ბედნიერი იშვიათად თუ ვყოფილვარ. იმის მერე, აგერ უკვე მერამდენე წელი გადის და მაგდენი ხნით ვეღარ ავბარგდი ხევსურეთში და მარტო იმაში არ მგონია საქმე, რომ ჩემს თვალსა და ხელს შუა წამოზრდილ ოჯახს დიდი ხნით ვეღარ ვტოვებ, უბრალოდ მგონია, რომ ისე ლამაზად და კარგად აღარ იქნება ყველაფერი – უბრალოდ არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე ორჯერ განმეორდეს. იმდენი ხნით აღარ ჩავდივარ, თორემ ისე, მგონი, ვერც ვაგჩერდები წელიწადში ერთხელ მიღმახევი და ხონე – ხონისჭალა რომ არ მოვიწახულო.

ყველაზე ლამაზია ხონე შემოდგომაზე, როცა ბალახი უკვე გათიბულია და

სოფლის გარშემო უზარმაზარი ძაბრის მსგავსი არემარე უთვალავი პატარა თივის ბულულით არის დაფარული. მამაჩემს უყვარდა ამ თივის ბულულების გადაღება – უამრავი ფოტო აქვს მათთვის გადაღებული. ჯერ ბიძაჩემი ზურა იყო შეთეკაურების პირველი სტუმარი, მერე მამაჩემმა დაიწყო იქით სიარული და ბოლოს მეც. 2005 წლის ზაფხულში, როდესაც ზალიკო დაიღუპა, მიღმახევიში, რომელსაც გარე სამყაროსთან არც მობილურით და არც სხვა რამ საშუალებით არა აქვს კავშირი, ეს ამბავი გვიან მივიდა. მაშინ შეთეკაურებმა და ზვიადაურებმა მამაჩემის სახელზე წყარო ააგეს ხონის წყლისა და ჰუროს წყლის შესართავში. მამაჩემისთვის უკეთეს ძეგლს ვერც ვერავინ ინატრებდა და ვერც ვერავინ მოიფიქრებდა.

ერთხელ ჩემი თვალთ ვნახე, ორი ოჯახი სამუდამოდ როგორ სტოვებდა და მიღმახევის და ბარში მიდიოდა საცხოვრებლად. ისინი დიდ სატივროთ მანქანაზე აბარგდნენ და წავიდნენ. მე ხონისჭალაში დავრჩი სპირტისგან ისეთი გაბრუებული, რომ ერთი დღე-ღამე მეძინა მერე, ლოგინიდანაც გადმოვვარდნილვარ და ბევრი სისულელეც მილაპარაკია, მაგრამ არაფერი მახსოვს. სამაგიეროდ ის წასვლა დამამახსოვრდა და თბილისში ჩამოსულმა დავწერე მოთხრობა, რომელიც, ცოდვა გამხელილი სჯობია და, დღემდე მომწონს – მიყვარს კიდევ. რამდენიმე მეგობარმა, რომელმაც ეს მოთხრობა წაიკითხა, მკითხა: ესენი გზაში იღუპებიანო?! მე არაფერი მსგავსი არ მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მათ ჩათვალეს, რომ დიდი სატივროთ მანქანა, რომლის წასვლითაც მოთხრობა მთავდებოდა, აუცილებლად უნდა დაღუპულიყო სადმე გზაში. გავიდა ორი წელი და იგივე მანქანა, იგივე მარტყოფელი მძღოლით, რომლის სახელიც არ ვიცი და რომელიც ჩემი მოთხრობის გმირი იყო, უღელტეხილზე გადაიჩეხა. მძღოლიც დაიღუპა და კიდევ ორი ადამიანი. აი, ეგეთი ამბავი იყო.

არ ვიცი, სხვა რა გითხრათ. მე მიყვარს ხევსურეთი – კლდესა და კლდეც შორის გამომწყვდეული პოეტების ქვეყანა.

სადაც ბედნიერი ვიყავი

ავტორი: ანა კორაძია-სამადაშვილი
ფოტო: ნინო ქანავა

მატარებელი იქ ალიონზე ჩადიოდა და წუთნახევრით ჩერდებოდა, ამიტომ ჩანთები მოვისროლეთ და ჩავხტით – პირდაპირ სველ ქინქარში.

ხუთნი ვიყავით: სუხი, ული, ლაშა, ჰანსი და მე.

სუხიმ უკვე იცოდა, სადაც მივდიოდით, და უკვე კმაყოფილი იყო. ულის სულ არ ადარდებდა, სად მივდიოდით, მთავარია, რომ წავედით. ჰანსს ყველაფერი აინტერესებს და ყველაფერზე ყაბულსაა. აი, ლაშა კი...

ლაშას სძულს ქართული მატარებელი. არა მგონია, ვინმე გიჟდებოდეს, მაგრამ ლაშას მაინც განსაკუთრებით სძულს. ლაშას ეზიზღება სველ ბალახში დგომა, რაც, დამეთანხმებით, არც სხვებს ახალისებს დიდად, მაგრამ ლაშა ბრაზობს, თან ძალიან. ლაშას ჩემი გემოვნების იმედი არა აქვს და ამიტომ თავიდანვე უნდობლად შეხვდა ციხისძირში წასვლის წინადადებას.

„წყალი არის?“ მკითხა მან.

„კი“.

„ვითომ?“

„კი, წყაროა და ზღვასთანაც მტკნარი წყალი მოდის კლდიდან“.

არ ეამა.

„დაიცა და, დენი იქნება?“

„რად გინდა,“ გული გაუფხეთქე. „მაინც გვიან ბნელდება“.

ლაშას არ სიამოვნებდა, მაგრამ მაინც წამოვიდა, და არ უნანია.

დღეს ყველანი მხოლოდ იმას ვნანობთ, რომ ველარასოდეს მოვხვდებით კლდის თავზე გადმოკიდებულ ყველაზე ლამაზ სახლში, იმიტომ, რომ ის სახლი აღარ არსებობს.

...

ჰანსი სანაპიროზე ჩავიდა – ხატავდა. მერე ჩვენც დავვემით ციცაბო კიბეზე და ზღვის პირას დავნექით. წყალი გრილი და სუფთა იყო, პატარა ტალღები კენჭებს აჩხრიალებდნენ, ჩვენ ზანტად ვგორავდით და ყველაფერზე ვლაპარაკობდით, ან ვდუმდით, ან ვოცნებობდით – რა ვიცი. ულიც კი ამბობდა ხოლმე რაღაცებს, რაც სხვა დროს არ ახასიათებდა. კარგი გოგო იყო ული, მართალია, ძალიან „მწვანე“ და ცოტა ის, რასაც

დიდი გერმანული ენა „სიბრძნეების მკუყავს“ უწოდებს, მაგრამ ეგ არაფერი – ლაშამ ერთი დაუტატანა და ჩაახშო.

სუხი წუხდა, რას ლაპარაკობთ, არ მესმისო. ლაშამ მიუგო, ძველბერძნულის სწავლას გერმანული გესწავლა, არ გერჩივნაო?

„რაც, არ მსიამოვნებს ეს ქაფები“, ბუტბუტებდა ზღვაში მოტივტივე ლაშა. სუხი ახითხითდა, ლაშამ შლამი დაგვიშინა და სულ თავის ნივთებს გაარტყა.

დაგვიბრუნდა ჰანსი, სასტიკად დამწვარი და ძალიან კმაყოფილი. „ბოლოჯერ შავი ზღვა 28 წლის წინათ ვნახე, ბულგარეთში, – ჰყვებოდა ჰანსი, – მაშინ სულ არ მომწონა. ახლა გავგიჟდი. და ასეთი სახლიც არსად მინახავს“.

ჰანსი ცნობილი და შეძლებული კაცია და ნახევარი დედამიწა აქვს მოვლილი. ლაშას ამაყად გავხედე.

„ესეც მე ვარ?“

„რა? – შემიტია ლაშამ, – მე რა, ვთქვი, არ მომწონს-მეთქი?“

ღმერთია მონმე, არ უთქვამს. საერთოდ, არასოდეს არავის უთქვამს აუცი ციხისძირის სახლზე.

...

ოცნება, რომელიც არასოდეს ახდება:

დადგება დღე და მთელ მსოფლიოში ეცოდინებათ, რომ შავი ზღვის პირას, კლდეზე, დგას პატარა სასახლე, რომელშიც ცხოვრობდნენ დიდი მხატვარი ჰანსი, მსოფლიოს მთავარი გარემოს დამცველი ული, კლასიკური ფილოლოგიის ახალი სკოლის დამაარსებელი სუხი, ქართული დემოკრატიის მამა, გენერალი ლაშა და, რასაკვირველია, მე, გადასარევი გოგო. ინტერნეტში შესულები წაიკითხავენ იდიოტურ ტექსტს, – ძირითადად, ხომ სულ ასეთი ტექსტებია, – რომ „ამ ადგილს სულიერი ფასულობების გაცვლა-გამოცვლის დიდი ტრადიცია აქვს. ისტორიული მნიშვნელობის მქონე ხელოვანთა სახლში, რომელიც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, დღეს უამრავი ქვეყნიდან ჩამოსულ ხელოვანებს ეძლევათ შემოქმედებითი საქმიანობის საშუალება. სასახლის თაღოვან სარდაფებში კვლავ უძველესი კონიაკია დაცული, ბიბლიოთეკის გამდი-

დრებაზე მთელი მსოფლიოს გამომცემლები ზრუნავენ, სასახლის გალერეის კოლექციამი თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია წარმოდგენილი, ხოლო სანაპირო ზოლზე ახალი ნაწარმოებების საჯარო კითხვა, კონცერტები და გამოფენები იმართება. ეს სასახლე ლაშამ, ჰანსმა, ულიმ, სუხიმ და ანამ იმისთვის დაუტოვეს კაცობრიობას, რომ ადამიანებს ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების აქტუალური საკითხების შესახებ საუბრის და, რაც მთავარია, ბედნიერების განცდის საშუალება ჰქონოდათ...“

ჩვენ ბედნიერები ვიყავით.

...

სინათლე მართლა არ იყო. ღამით სანაპიროზე ჩავედით და იქ, თბილ ქვეზე მწოლები, ვუყურებდით, როგორი ვარსკვლავები ინთებოდა ზღვის თავზე. ინთებოდა, ვარდებოდა, ციმციმებდა – გადასარევი, თუ გინდა...

„არ მინდა, – ჰანსი მუცელზე გადმოტრიალდა, – ცუდად ვხდები. ძალიან ბევრია.“





მე მაინც მჯერა, რომ ჩემი ბედი სადღაც იქნებდა და ამის ყურება მიჭირს“.

„ჩაფიქრებაზე რას იტყვი?“

„ვერ ვასწრებ ხოლმე. შენა?“

„მე – კი“, – ვუთხარი ამაყად. მართლა ვასწრებ. ერთმა კარგმა კაცმა მასწავლა, რა უნდა ვთქვა ხოლმე, და არ მაფინყდება: ღმერთო, მიშველე!

„გიხდება?“

„მე მგონი, კი“.

. . .

„აი, დააკვირდით, – მსჯელობდა ლაშა და ხელში მართლაც ნეკათითივით ბარაბულკას ატრიალებდა, – მხოლოდ რუსის ბატონობის ქვეშ მყოფ ერს შეუძლია, ამას თევზი უწოდოს!“

გემრიელი კი იყო.

საუზმედ მოგვართვეს დიდი, ქაფქაფა ჩაიდან, უკვე დაყენებული ჩაით სავსე, სქლად დაჭრილი პური და კარაქი. მეც კი ვჭამე კარაქიანი პური, – ეს ვის გაუგია? ლაშამ წინა დღით რესტორნიდან ცარიელი სიგარეტის

კოლოფით წამოდებული ლიმონიც კი გამოაცოცა.

„აჰა, – ერთი ნაჭერი მე და სუხის გამოგვინოდა – გაიყავით!“ და თვითონ დიდი ნაჭერი ჩაიქუხა ქიქაში. შენ ვინა ყოფილხარ? ჰანსი სიცილით მოკვდა.

ზემოთ, ტყეში, ლაშა ქვებით კაკალს ყრიდა ხიდან, მოგრძო, თხელნაჭუჭიან კაკლებს, დღესაც არ ვიცი, მართლა იჭმეოდა თუ ჩვენ გადავრჩით.

ჰანსი ყველა მწერს გულდასმით ათვალიერებდა:

„უნდა დავიმახსოვრო“.

„რათა?“ მწერების დიდი ტრფიალი არ გახლავართ.

„დასახატად“, – მომიგო ჰანსმა.

კიდევ კარგი, სასახლე იქვე დახატა. ვაიდა, არ დამახსოვრებოდა.

„მაგას რა დამავინყებს, – ამოიხრა ჰანსმა, როცა ჩვენი უბედურების ამბავი ვუთხარი, – ნეტა, არ გეთქვა. ვიცოცნებები მაინცო“...

მე ვეღარ ვოცნებობ, იმიტომ, რომ ჩემი თვალთ ვნახე ნანგრევები, მიწასთან გასწორებული თალი, გაჩეჩილი პალმა და სანაპიროდან – დაცარიელებული კლდე. სასახლე და ჩვენი ოცნება აღარ არსებობს. ვიღაცას, ვისაც ჩვენზე ბევრად მეტი ფული და ბევრად ნაკლები სინდისი ჰქონია, ეს ადგილი ძალიან მოსწონებია და უფიქრია, რომ სასახლე პატარა იყო და არაკომფორტული, და თუ მის ადგილას დიდსა და მდიდრულს ააშენებდა, უფრო ბევრი ფული ექნებოდა. ჰოდა, აიღო და ჩვენი სასახლე დაანგრია. შესაძლოა, უკვე სხვა რამე ააშენა კიდევ, რაღაცა, სადაც წყალიც იქნება და დენიც.

რა გაეწყობა.

ნეტა, ის მაინც თუ იცის, წყარო სად იყო, ზღვიდან ამოსულს კლდეზე ჩამოსული მტკნარი წყლით თუ უზანავია, ან ღამით თუ უნახავს, ზღვის თავზე, ღამის ცაში როგორ წყდება მისი ბედ-ილბალი?

რაღაც, არა მგონია.

აფსუს.



მთიულეთი. ცაცხელიჯვარი

ავტორი: ვაჟა ბიბაშვილი
 ფოტო: გობიჯა ბუხაიძე

თერთმეტ-თორმეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად აქ მოვხვდი... შუა ზაფხულში... დიდი, მწვანე ქედი იყო და კეზზე კოშკი იდგა – ცეცხლიჯვარი... მთის ძირებში რაღაც ლურჯი ყანა მოჩანდა... მწყობრი იძახოდნენ: „ქეთ-ქელიტ!.. ქეთ-ქელიტ!...“, ერთი ჩემგან მარცხნივ იძახოდა, ყანის ბოლოში... მეორე ზემოთ, ზედ მთის ძირში... ყანის გადაღმა, დაბალი ხევიდან მოგუდული სიმღერა ამოდიოდა:

„სანადიროდ წასულიყვენენ ამირან და ძმანი მიისნიი...“

ჰარი, ჰარალი-ჰარალე, ჰარი-ჰარალე, ჰარულალოო.....“

და მერე:
 „ამირანმა მუხლი დაჰკრაა, იქ შეიბა კარი მისიი...“

შიგ იწვა მკვდარი ცამცუმში, თავით ეჯდა ცოლი მისიი...
 გულს ეძო ანდერძ-ქალადი, დაწერილი ცამცუმისიი...
 ვინც მოჰკლავს დევსა-ბაყბაყს, ჩემი ცოლი ალაღალ მისიი...“

ჰარი, ჰარალი-ჰარალე, ჰარი, ჰარალე-ჰარულალოო...“

ორმა ორბმა ჩაიარა ზედ ცხვირწინ... ასე ახლოს, გაფრენილები არასოდეს მენახა... გარკვევით ჩანდა ალერელი, ნაოჭებიანი კისრები და შექცეული შავი ფეხები... სახეზე შემეხო ფრთებით მოქნეული ჰაერი...
ოსდათი წლის შემდეგ. ისევ ცაცხელიჯვარი.

ოსდათი წლის შემდეგ. ისევ ცაცხელიჯვარი.

...მაგიდისაკენ ნახევრად ზურგ-შექცეული ვზივარ და ეხლა კისრის მოულრეცავად გავყურებ ცეცხლიჯვარს... ყურებში ოდნავ გახმიანდა ის ძველიძველი სიმღერა... შორეული, მოგუდული, განელილი...
 „...სანადიროდ წასულიყვენენ ამირან და ძმანი მიისნიი...“ – ფანდურის ერთ ტონში ჩხაკუნით და მერე: „... ჰარი, ჰარალი-ჰარალე, ჰარი-ჰარალე-ჰარულალოო-დაა...“

... მართლა მღეროდა მაშინ ვიღაც, სადღაც, გამოუცნობ სივრცეში (

ახლოს?.. შორს?.. უსასრულობაში?..) ამ სიმღერას?.. მაშინ, ოდესღაც, ბუნდოვან ბავშვობაში, როცა მარტოკა მოვხვდი აქ და ამ არემარის პირველი დანახვისთანავე გავიგონე ეს სიმღერაც... არ ვიცი... მაგრამ სხვაგან რომ არსად გამიგონია, არასდროს?...

უთქმელად ავდექი სუფრიდან და სახლს უკან გავედი... სპანიელი სანჩო კისრისტეხით გამომიდგა და ხელში თხილამურის რკინის ჯოხითა და კისერზე ღურბინდით რომ დამინახა, ჩემს გარშემო საზეიმო ხტუნვა-ცეკვის წრე შეასრულა...
 ...წავედით...
 ... აჰა, ბოლო-ბოლო დამთავრდა დიდი აღმართი, გამოვედით კეზზე... შემომსისინა გადაღმის ნიავმა (მსუბუქი ეიფორია) და ქვემოთ გაიხსნა ხეობა, ხადა... „ხადა სამოცოქოვანი“, როგორც ვახუშტის უწერია... სამოცის რაღა მოგახსენოთ, მაგრამ ოცამდე კოშკი კიდევ შეიძლება დაითვალო ხეობის შეყოლებაზე... მივევივართ მარჯვ-



ნივ, ცეცხლიჯვარისაკენ...

... კოშკის ძირსა და ტინის გიგანტური კვადრებით ნაგები კვრივის კედელს შორის ვინრო გასასვლელში ჩავჯექი... გავაბოლე... ოდნავ უსისინებს ნიავი ვინროში და თიშავს სამყაროს ხმიანობას... აი, ისევ მოაღწია ამ სიმღერამ... ძალიან შორიდან, მოგუდულად... აქ ყოველთვის ისმის ეს სიმღერა... ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის!.. ვინყებ ჩაძირვას... იწყება გადასახლება...

...მაგრამ ამეებზე ლაპარაკი არ მინდა... ამეებზე არასოდეს არ ვლაპარაკობ... არა ღირს, არ გამოდის... ლაპარაკი გამოდის მაშინ, როცა არ იცი და ინტერესი და ფანტაზია გალაპარაკებს... მაგრამ თუ ერთხელ გამოსცადე სინამდვილეში, სრულიად კარგავ ლაპარაკის სურვილს... უკვე იცი, რომ ამასზე ლაპარაკი შეუძლებელია... შეუძლებელია...

ამოვიყურეუმელავე...

...და კეხზე სამი თეთრი, უზარმაზარი ნაგაზი დავინახე... სანჩო არ დაბნეულა, მაგრამ არც თავმოყვარეობა-ვაჟკაცობაზე გამოუდგია თავი... შემოტრიალდა და პირდაპირ ჩემკენ მოცოცხა... ზედ მკერდზე შემომაფრინდა და მეც ოპერა-

ტიულად მივიღე პატარა ყუმბარასავით მკვრივი სხეული... ხელდახელ მოერგო პოზიციას, უკვე თავდაჯერებულად გადახედა მოახლოებულ ნაგაზებს და გააფთრებული ღრენა-მუქარა გადაანთხია თავზე... ნაგაზებმა საკმაოდ მჭიდრო წრე შეკრეს ჩემს გარშემო...

სანჩოსაგან განსხვავებით მე მაგრად მანუხებდა ღირსების შენარჩუნების საკითხი და ვცდილობდი არხეინად დამეჭირა თავი ჩვენკენ ზღაზვნით მომავალი ორი მწყემსის თვალნი... ერთი, ბოხნიან-ბუმლატიანი, წინწამოხრილი, ახმახი ბებერი... მეორე – ახალგაზრდა ბიჭი, ორივე გრძელი კომბლებით... ბებერი ძლივს მოჩოლახობდა ფერდობში, ახალგაზრდა კი დარბაისლურად, ოდნავ უკან და გვერდით, ყოვნებით მოჰყვებოდა, რათა უფროსისათვის წინ არ გაეხსრო... რალა ეხლა აუტყდა ამ ჩემისას გამორჩეული ზრდილობა და სუბორდინაცია?...

... ბოლო-ბოლო მოაღწიეს მწყემსებმა, ალყა მოიხსნა, საომარი სიტუაცია განიმუხტა, მაგრამ სანჩოს ძირს ჩამვება მაინც არა ღირს... ვესალმებით ერთმანეთს... ბებერი უნდობლად მათვალეირებს... რალაცა ანუხებს ჩემში,

არ მოსწონს... რა?.. რა ვიცი?... მაგრამ უცებ ვხედები: გალიფე!.. გალიფე და ჩექმები... ალბათ, რალაც ძველ ასოციაციებს ინვეეს... მაგრამ ასოციაცია დამატება-დასრულებას მოითხოვს: კოკარდიან ქუდს ჩემს თავზე... იქ კი შალის ნაქსოვი ჩაჩი ეჩხირება თვალში... ამას ემატება მკერდზე ატატებული ხუჭუჭა, გრძელყურებიანი არსება, რომელიც არც ბავშვია და არც ბატკანი...

„...ეგ რაია?...“ – მეკითხება ბებერი...

„ძალღია...“ – ვეუბნები.

„ძალღიი?...“ – კითხულობს რალაც-ნაირად შეძრწუნებული... ლაპარაკი არ გამოდის... ვცდილობ ძაფის გაბმას... ვახსენებ ცხავატს, ლუდას, წამალაიძეებს, მიდელაურებს... ცალყბად მპასუხობს, არ უნდა, არ გამოდის... კავშირები განყვეტილია... მე მისთვის იმდენად უცხო ვარ და გაუგებარი, რომ ღია კონტაქტში შემოსვლა მის ძალებს აღემატება... აღარ უნდა... აღარც მე მინდა და – „აბა წავედი!.. კარგად იყავით!..“ – ვიძახი და გადაღმა ფერდობზე გადავდივარ...

„საით მიხვალ?...“ – მადვენებს დაეჭვებულ კითხვას

„ქოროლოს!.. საყდარს დაგხედავ!..“

...მივერეკები ქვევითკენ... უკან ავხედე... აგე, დგას კეხზე, ახმახი, წამოკაკული, ბოხნიან-ჩამოფხატული, შეფიქრიანებული...

... ვითომ მართლა განყვეტილია კავშირები ჩვენს შორის?... თითქოს... მაგრამ ჩემგან არა... მე არასოდეს არაფერი გამიწყვეტია... მე ხომ ყველაფერი ვიცი მისი... ყოველთვის ვიცოდი და ყოველთვის მეცოდინება... რა განყვეტს, რა წაშლის?... იმისგან ჩემკენ კი კავშირი განყვეტილია... იმან ჩემზე აღარაფერი აღარ იცის და აღარც აღარასოდეს გაიგებს...

ქვემოთ, კეხის ბოლოს, კონცხზე საყდარი გამოჩნდა... მის გვერდით ფერდას ორი-სამი ორბი და ყვავებისა და ჭკების გუნდები დასტრიალებს... ალბათ ხატობა იყო ამ დღეებში და შეწირული საკლავის თავფეხი და შიგნეულობა ჰყრია... სანჩო თამამად მიჰქრის ქვემოთკენ ყვავ-ყორნების დასანიოკებლად...

...ალბათ წელსაც წავალ სეთურებში, ავალ ცეცხლიჯვარზე... მოვისმენ...



ყაზბები (სტეფანნოღა)

(ამ წერილს ვუძღვნი ერთ პატარა მატყუარა ბიჭსა და მარიამს)

ავტორი: მანია სარიშვილი

ფოტო: არჩილ ქიქოძე

ყაზბეგში სულ ორჯერ ვარ ნამყოფი. პირველად, როცა 10 წლის ვიყავი და ტურბაზაში ვისვენებდი მშობლებთან ერთად და მეორედ სტუდენტობის დროს – ერთი დღით. პირველი ასვლისას ძალიან ნათლად მახსოვს ავტობუსის მძღოლი – უხმო, მშვიდი, ღონიერი ახალგაზრდა კაცი, არანაირი რეპლიკები მგზავრების მიმართ. ისე ვიჯექი, რომ მის პროფილს ვხედავდი მთელი გზა და სულ ველოდი, ჩემკენ როდის გამოიხედავდა, მაგრამ ერთხელაც არ გამოუხედავს...

დალღილები ჩავედით. ციოდა. უმზეო დღე დაგვხვდა. ნისლი მიდიოდა და მოდიოდა მშვიდად. და რალაც არაბუნებრივი სიჩუმე იდგა. პატარა ხის კოტეჯში შეგვიყვანეს. მე სანოლზე დავეგდე დაქანცული. „მიუნჰაუზენის“ კითხვა დავიწყე და ჩამეძინა. გამალვიდა ხმაურმა. მეზობელი ქალი გამხდარიყო ცუდად და ექიმები, ჩემები და უცხო ხალხი ეხვეოდა გარს. რადგან ჩემთვის არავის ეცალა, ჩვენს ეზოს საკმაოდ გავცდი და მარტომ ვიბოდილალე დიდხანს. არასდროს და-

მაგინყდება ეს განცდა – ქალი, რომელიც თავის კოტეჯში კვებოდა და გარეთაც აუნერელი სევდა. ირგვლივ უზარმაზარი მთები, უსაზღვროდ გაშლილი სივრცე, ნისლის სიფრიფანა ნარჩენები და ჰაერი – სულიერი არსებასავით რომ შემოდიოდა ტანში და მცვლიდა... უცებ, ვიღაცამ მუშტი მომარტყა ბეჭზე და რომ შემოვბრუნდი, მოულოდნელობისგან მუხლები მომეკვეთა. ჩვენი სკოლის ერთი პირველი კლასელი ბიჭი მიღიმოდა. მამამისთან ერთად იდგა. ამ ბავშვის მთელი



წელი ისე მეშინოდა, როგორც არავისი, რადგან საშინელი რამ დამაბრალა – ჩვენს კლასში იყო შემოსული და დავინახე ჩემი ქუდი როგორ გაიტანაო, პალტოს სახელოში ჰქონდა შემალულიო. მასწავლებლებმაც დაუჯერეს და ვიტანჯებოდი საშინლად. ჩემზე სამი წლით პატარა იყო, მაგრამ სულ ვემალებოდი – დამცინოდა, საზარელ სიტყვებს მეძახდა. მე სულელი კი ტუალეტში შევბოდი საცოდავად და იქ ვტიროდი ჩუმად... მოკლედ, აი, ახლა, აქ, ყაზბეგში, როცა მეზობელი ქალი



კვდება, როცა ირგვლივაც აუტანელი სინაცრისფრეა და არ ვიცი სად გავიქცე, სწორედ ახლა გამომეცხადა ჩემი მანამებელი – გალიმებული სახითა და თავზე იმ დაკარგული ლურჯი ქუდით! „ვიპოვეო“ – თავზე თითი დაიკაკუნა, უფრო მეტად გაიკრიჭა, წავიდა და მამამისიც გალიმებული გაჰყვა... კოტეჯში შევბრუნდი. დედა სანოლზე იჯდა. მეც გვერდით მივუჯექი და აღარაფერი მითქვამს.

აი, ეს პირველი დღე მახსოვს ასე დეტალურად, მერენდელი კი ბარათებად: ულამაზესი ჩანჩქერი – პატარძლის კაბასავით, ვარდისფერი და მოყვითალო ყვავილები მთების ძირებამდე – თოვლის ხაზამდე, ცხვრებისა და ცხენების არაზუსტი კონტურების ნისლში, გერგეთის სამების ეკლესია – ტყე-ტყე რომ აღიხარ იქამდე, აღექსანდრე ყაზბეგის სახლი და საფლავი, რძის ტუბილი სუნი და ლამის დაუფინყარი ცა...

მერე გაიარეს წლებმა და ისევ ავედი ყაზბეგში. ავტობუსში შესვლისთანავე მძლოლს დავაკვირდი – საერთოდ არ ჰგავდა იმ პირველს. ხმაურობდა, ბევრს იცინოდა და ჩემკენაც ხშირ-ხშირად იყურებოდა... ყაზბეგი კი დამხვდა მზით! – ათასჯერ უფრო ნათელი და ღონიერი, თითქოს იქაურობაც ჩემთან

ერთად გაზრდილიყო და მოძლიერებულიყო. აღმაფრენის მეშინოდა...

სალამოს, უკან დასაბრუნებლად ავტობუსში ასვლას რომ ვაპირებდი, ვხედავ მარიამს! – პეტრე-პავლეს ეკლესიაში გავიცანი და უზომოდ შემეყვარდა. ეს ტრაგიკული ბიოგრაფიის გაუთხოვარი ქალი – ნიჭიერი და უცნაური. სულ ცუდად იყო – სიყვარულს რომ ვეძებ იმიტომო – ამბობდა. ბევრს კითხულობდა და რაღაც რელიგიურ ტექსტებს თარგმნიდა რუსულიდან. პატარა გოგო ვიყავი და მაოგნებდა. მოუფლიდა სიგიჟე, განვებოდა ეკლესიის გვერდით, საფლავებს შორის, ჯვრის ფორმას მიიღებდა და ცას აჰყურებდა. ჰოდა, ეს მარიამი დავინახე ყაზბეგში, ცალი ფეხი რომ უკვე ავტობუსში ასასვლელად კიბეზე მქონდა შემოდგმული, მაშინ. „იჩქარეთო!“ – მძლოლმა იღრიალა და ველარ გაგბედე მისკენ წასვლა. ხელიც ვერ დავუქნიე, ჩემკენ არ იყურებოდა...

მას მერე მარიამი აღარ მინახავს. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ შემთხვევით გავიგე, რომ გარდაცვლილა... სულ ამ ორ ადამიანს – პატარა ლურჯქუდიან ბიჭსა და მარიამს მაგონებს ჩემი ყაზბეგი – იმ გამაოგნებელი სილამაზის ბუნებასთან ერთად...



ქვათახევი

ავტორი: ბივი შავნაზარი
ფოტო: მირიან კილაძე

ნესად მაქვს, როცა სასწრაფო საქმეა გასაკეთებელი, ავიკრავ ხოლმე ჩემ მწირ „გუდა-ნაბადს“ და ქალაქგარეთ გავდივარ...

ამგვარი „გასვლები“ განსაკუთრებით ნაყოფიერია გვიანი შემოდგომიდან მოყოლებული ადრეულ გაზაფხულამდე, როცა ჩვენი ახლო-მახლო სააგარაკო დაბები დამსვენებლებისგან თითქმის დაცლილია და რალაცის „ჩიბვისთვის“ სასურველ მართლობას მეტი ფასი ედება...

აი, ახლაც ვერის ხიდისყურში (აფერუმ, ხალხმა გალაკტიონის ხიდად რომ მონათლა!) ვზივარ ამ დილაუთენია, თვალი ავტოსადგურისკენ მაქვს და ვფიქრობ: საით წავიდე, დეკემბრის თვის ასეთ ცრიატ დღეებში სად ჯობია „ლუზის ჩაშვება“...

„...ძე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ცვენა...“

შესავალი, მგონი ისეთი გამომდის, თითქოს დიდად თავგადაკული საქმიანი კაცი ვიყო... არადა, მთელი ცხოვრება საკუთარ სიზარმაცეს ვებრძვი და ბევრი არა გამომდის რა, პროფესიონალისა ვერაფერი გავიკარე; ეს ოხერი, ყოველდღიურად დღიურები მაინც მწერა! იქნებ ასე მშველებოდა რამე!..

ოლნდ, ერთი კია, თუკი თარსი გატყდა და სათქმელს წყაროსავით სადინარი გამოუჩნდა, ყველაფერი სწრაფად და გვარიანადაც გამომდის (მხოლოდ იმისთვის გთხოვთ ამ თავხედობის პატიებას, რომ ამ „ქადილი“ პატივმოყვარეობის ნატამალიც კი არ ურევია!).

არჩევანი მანგლისზე შეჩერდა.

იქნებ იმიტომაც, რომ ბებოჩემის, ვარო ადამაშვილის ადგილის დედა იქვე, თონეთში, სადაც, სხვათა შორის, ვაჟა-ფშაველას მასწავლებლობის მადლიც სცხებიც ცხონებულს... თანაც ამ უთოვლო ზამთარში თრიალეთის ამ კალთაზე პირველი თოვლიც ჩამოეყარა.

ერთი სიტყვით, რამდენიმე საათში უკვე ადგილზე ვიყავი. დაბის ძველებური სასტუმრო დანკრიალებული დამხვდა. თუმცა წინასწარ გაფრთხილებული არ მყავდა, სასტუმროს დიასახლისის მომსვლელთათვის უკვე თადარიგი დაეჭირა და ერთ, იქნებ ყველაზე კარგ „ნომერში“ შემიძღვა.

ამ კეთილშობილი ბერძენი ქალბატონის „მდგმურად“ ადრეც ვარ ნამყოფი და ისიც კარგად ვიცი როგორც „წიგნის კაცს“, განსაკუთრებული ყურადღებით რომ მექცეოდა; აქ ალისიასთვისაც და არა მხოლოდ

მისთვის, ალბათ „უცხო ფრინველად“ ვჩანდი...

როცა საქმეში ისე გავერთობოდი, რომ ჭამაც კი არ მახსენდებოდა, რალაც ჩემთვის სასურველ სოფლის ნობათს ისე მომანვდიდა, გაცეხული ვრჩებოდი, როგორ გრძნობდა, რომ მისი კარზე დაკაკუნება ამ დროს მუშაობაში ხელს უკვე აღარ შემიშლიდა.

ოთახში გერმანული თუჯის ლუმელი ბუბუნებს, საკმარისზე მეტად ცხელა. ვალებ სარკმელს და ქუჩაში გავდივარ. ახალგაზრდა ვარ და, „ადაპტირების გრძელი ხიდის გადავლა“ თუმცა არ მჭირდება, მაინც მინდა გავიარო ცნობილ ტყე-პარკში ქალაქში რომ საერთოდ ძნელად „განვიციდით“, ცას ავხედო – მაღალს, თეთრ ღრუბლებიანს, ლაჟვარდოვანს, ვისუთქო წინწარის ოდნავ ნესტიანი, მაგრამ სანატრელი სურნელით. გარეთ აღარ თოვს, მაგრამ მარადმწვანე ნაძვის, ფიჭვისა და სოჭის ტოტები ხურხლითაა დამძიმებული. თოვლი უძრავად დევს ხეებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთარი ახლა იკრებს ძალას და კვლავაც ითოვებს. ნიავი არ იძვრის. ჩემს სიახლოვეს ფიჭვის ტოტიდან თოვლის ნამცვრევი წამოიშალა, გეგონება

თქორავსო... ის იყო, ვიფიქრე, თოვლში ციყვი ან შაშვი თუ იქექება-მეთქი და ყვი-თელნისკარტა შაშვამაც იფრთხილა.

რალა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ეკლესიაც მოვიხახულე. მანგლისი აკი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი დაუმქრალი კერაა! თუ არ ვცდები, პირველი ეკლესია აქ IV საუკუნეშივე აიგო და სულ მალე ეს მხარე საეპისკოპოსო ცენტრადაც იქცა.

მოჭარბებულმა ჟანგბადმა მგონი თავისი ქნა. საფეთქლები მეტერება და სხეულში უჩვეულო პულსაციას ვგრძნობ.

ვბრუნდები სასტუმროში და მცირე ნახემსების მერე სანერ მაგიდასთან ვეწყობი...

უნგრელი კლასიკოსის, დრამატურგ იოჟეფ კატონას ისტორიული დრამა „ბანკ ბანი“ უნდა ვთარგმნოთ. ერთ ნაწილს მიმა ქვლივიძე თარგმნის, მეორე მე უნდა ვთარგმნო, პიესის მეტი ნაწილი, ლექსად, თითქმის ორი ათასზე მეტი სტრიქონი.

ჩემი და მიმას ასე დაწყვილება უკვე კარსმომდგარი უნგრეთის თეატრალური ფესტივალის გამო მოხდა. ცალ-ცალკე საქმეს ვერც ერთი მოვაბამდით თავს და, ვახტანგ ჯავახიძის რჩევით (ასე მცირე დროზე მხოლოდ გივის თუ დაიყოლიებო), მიმა „თავის“ მოსკოვში და მე „ჩემს“ მანგლისში ვინყებთ „საჯილდაო ქვის“ აწევას...

„სტარტის აღებამდე“ ფიქრი სულ სხვა მხარეს გამიბრბის. მასხენდება, ოქტომბრის მიწურულს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი როგორი წვლებით ჩავიდა ქვათახევის სამონასტროში.

საქმე ის იყო, რომ კეცხოველისეული უნივერსიტეტის გარაჟის უხუცესი მძღოლი, ძია სერგო დილაუთენია უმანქანოდ გამოგვეცხადა ვარაზისხევეში და დამწუხრებულმა მოგვიბოდიშა – რა ვქნა, შვილებო, მოტორმა გვიმტყუნაო...

ჩვენ, უკვე გამობრძმედილმა, ქველმა პილიგრიმებმა, ისტიბარი არ გავიტეხეთ და მალევე რკინიგზის სადგურისკენ გავინეთ. იქნებ ძია სერგოს ძველ „პიკაპს“ ვერც კი ჩავეყვანეთ ისე სწრაფად, როგორც ბორჯომის მატარებელმა ჩაგვიყვანა. ქვათახევის ზოგ-ზოგათათვის კარგად ნაცნობმა პატარა ბაქანმა კეთილი მასპინძლის გულითაობით კი მიგვიღო, მაგრამ ტაძრამდე მისასვლელად მანქანის შოვნა ძალზე გაგვიჭირდა, ბოლო-ბოლო ერთი ნაწილი საბარგო მანქანის ძარაზე აღმო-

ვჩნდით (ზოგიერთებმა ითაკილეს კიდეც, მაგრამ არ გაგვიმიხილეს – ტაძრამდე ხომ მომლოცველი ფეხით უნდა მიდიოდეს!); მანქანის ძარა ფანტიაშილების კენინას სანოლივით ისე საეჭვოდ ირწეოდა, რომ ემანდ რამე ხიფათს არ გადაგვეყაროსო, ვიფიქრეთ. ჩვენი სიფრთხილე გამართლდა, ბაქანიდან ორ-სამ კილომეტრში სასიკვდილოდ განწირულივით ერთი ამოიოხრა და ესეც გაჩერდა.

თუმცა წვლება-წვლებით, მაგრამ ყიჟინითა და დიდი ხალისით გავიარეთ კავთურას წყლისპირები და ქვათახევეს მივადექით.

შიდა ქართლის ტყეებს მოდებულ მანგლელ მთიულებს ტაძრის ეზოში ჭრელ-ჭრელი ჯეჯიმიები დაეფინათ და მთელს ეზოში საკერკედ შინდი გაეფინათ. იშვიათი სილამაზე იყო ჩვენი პირველი მასპინძელი. ფეხდაფეხ მოგვეყენენ ჯანმამარი, დაუზარელი „სირაჯები“ და საესე ტიკები გადააწვინეს წყაროს პირას. მე ვახუშტის გადავხედე და სპარსული წამლერებით დავინყე:

„მას შემდეგ, რაც კი მზე და მთვარე ცაზე ჰკიდა, მადლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდზე დიდა, ისინი, ღვინოს გასაყიდად ვინც იმეტებენ, ვერ გამოგია, ღვინოზე კარგს რას იყიდიან“.

ხაიამის ვახუშტისეული ეს რობაია, ეზოში სულ ახლახან შემოკრებილთ, მართლაც რომ შუმი ღვინოსავით მოეკიდათ. მერე, თავის მხრივ, არც ვახუშტიმ დააყოვნა და ძველი პოეტის, ნაჰაპეტ ქუჩაკის ჩემეული თარგმანით შემეხმინა:

„ქუჩიდან თვალი მოკარი, თეთრულს ქარში გაფენილს, ხალათი გამოვარჩიე სამკერდით, ოქროთ ნაფერით, მონადირისგან თავდახსნილ ხობობს ვამსგავსე აფრენილს, ჩემად ვინატრე პატრონი, ეს იყო... სხვა არაფერი!“

სხვათა შორის, ტაძრის გაღვენის თავს ხევსურული ჭრელი ტანსაცმელი ეფინა გასაშრობად.

ცოტა რომ სული მოვითქვით და მოწენსრიგდით, შევედით ტაძარში და სანთლები დავანთეთ. საერთო განწყობილება ისეთი ამაღლებული იყო, სახეზე ყველას ნათელი ეფინა – „სამშობლოს ხატი გულზე

ესვენა“ ყველას.

ამასობაში ჟამი სადილობისა უკვე ვახშ-მობისკენ იწვედა და სუფრის ვაშლის თადარიგს ქალბატონები და საქალბატონენი უკვე შესდგომოდნენ, მამაკაცები კი „შინდის სამფურებზე“ უკვე სამწვადეს ასხამდნენ და წყაროს წყალში გაგრილებულ ღვინოს აჭაშნიკებდნენ.

თამადად, აბა, ვახუშტიზე უკეთესის ვის ვინატრებდით, თუ არა გულქართლ მასპინძელსა და ტოლუმბაშობაშიც სახელთანს.

ქეფში შემოგვათენდა, ამ დალოცვილმა ქართულმა სუფრამ ყველა ისე მოაჯადოვა, რომ დალილობის მიუხედავად ძილი არავის გაჰკარებია, ხალხურ ლექსს ხალხური ლექსი ცვლიდა, რობაიას-რობაია, ჰაირენს-ჰაირენი, ყველანი შეყვარებულები ვიყავით, სიმღერას სიმღერა მოსდევდა. ღმერთმანი, იმ ღამეს ჩვენს სუფრას მართლა ღვთის თვალი დასტრიალებდა.

ეჰა! მე აკი სასწრაფო საქმეზე ვარ ჩამოსული! მე ისევე აქ ვარ, მანგლისში, სხვათა შორის, ქვათახევიდან სულ რაღაც ოცდახუთიოდ კილომეტრზე; ასეა, კლდეკარის ვინრო გასასვლელ კარიბჭეს თუ გახვალ და შიდა ქართლისკენ დაემეები, წმინდა გიორგის სახელობის მრავალ ეკლესიასა თუ ბაზილიკასაც მოიხილა და სულ მალე კელაპტარივით „დანთებულ“ ქვათახევეს მიადგები, მაგრამ ახლაკი დროა, პირიანი კაცის სახელი არ გავიმტყუნო და საქმეს შევეუდგე.

P.S. მკითხველო, იმის გამო, რომ ეს „პილიგრიმული ფრაგმენტი“, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის წინანდელია, სახელთა ჩამოთვლას, გასაგები მიზეზებისა გამო, მოვერიდე. მრავალი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, გაანათლოს უფალმა მათი სულები.

ვახუშტი კი...

ვახუშტი, იმ შემზარავ ავგისტოს, ქართლში ჩარჩენილმა, ვერ გაგაცილეთ.

ქვიშხეთიდან დაკრძალვაზე წამოსულს რუსის ჯარისკაცმა გზა გადაგვიკეტა...

ჩემმა ვერანაირმა მცდელობამ ვერ გაჭრა. ვერ შევასმინე ვერც რიგითსა და ვერც ოფიცერს, რომ ხელთ არაფერი მქონდა და სიყრმის მეგობრის დაკრძალვაზე მივდიოდი მხოლოდ.

უფალო, აშორე ქვეყანას ასეთი განსაცდელი.



პატარა ბიჭები და პატარა ქალაქები

ავტორი: აკა მორჩილაძე
ფოტო: არჩილ ქიქოძე

ბავშვობაში ბევრს დავდიოდი ზემო იმერეთში, ყოველ ზაფხულს და სიმართლე რომ ითქვას, ეგრე ბევრი არაფერი მიყვარდა.

ბებიჩემი იყო ზემო იმერელი, აქედან გამომდინარე სიგამხდრით, თხელი ჭადებით, ამბებით ყაჩაღებსა და მღვდლებზე და უზარმაზარი სანათესაოთი.

მას უამრავი ამბავი ახსოვდა – ყველანაირი, სასაცილოც და საშინელიც. იმათ შორის კი ახსოვდა საჩხერის განთქმული ხანძარიც, რომლის დროსაც ეს პატარა ქალაქი მთლიანდ გადაინვა. მამამისი შესწრებიყო ამ ხანძარს და იმათ შორის იყო ვინც ხალხს სახლებიდან ქონების გამოტანაში შეელოდა.

იქ ისეთი ამბავი და წივილიკვილი ყოფილიყო, რომ არეულობაში ქურდე-

ბი და თვალხარბი ხალხი დატრიალებულიყო და გადამწვარი დუქნების მიმოფანტულ ქონებას უსაფრდებოდა.

შინ მობრუნებულ ბებიჩემის მამას უთქვამს, ერთი გლეხკაცი მომიტრიალდა და მითხრა, – ამდენს რომ ეზიდები ამ ოხერი ვაჭრების ქონებას, რამე უბეში გააქანეო. რამეს როგორ მოკიდებდა ხელს იმ უბედურების დროს, მაგრამ იდგა თურმე და უყურებდა, როგორ მიაბრუნებდნენ ვიღაცები ნაირგვარ ნივთებს.

ჰოდა, თურმე შინ რომ ბრუნდებოდა ამ ნახანძრალი ქალაქიდან, გზაზე დაგდებული ჩაის კოლოფი დაუნახავს.

რკინის, ლამაზი კოლოფი იყო, მე ბევრჯერ მიხახავს ჩემს ბავშვობაში ეგ კოლოფი, და აულია და წამოულია. კი-

დევ კარგი, წამოვიღეო, თორემ გზაში ერთი ათი კაცი შემხვდა და, – საჩხერიდან მოდიხარ და არაფერი წამოგილიაო, – მეკითხებოდნენო; ქუჩაზე უპატრონოდ ეყარა დუქნების ყველაფერი და ამას ვაჩვენებდიო.

ეს კოლოფი ბებიჩემს შენახული ჰქონდა, არ ვიცი – იმ ძველი ამბების სამახსოვროდ, არ ვიცი, რალაც სხვა მიზეზით. აივანზე იდო კარადაში და შიგ ლურსმნები ეწყო.

მამამისს კი დასცინოდნენ თურმე, – მთელი იმხელა ხანძრებიდან და უპატრონო ქონებიდან სახლში ჩაის ცარიელი კოლოფი წამოიღოო.

მოკლედ, ძველი ამბები. ნიკოლოზის დროისა.

მე კიდევ ძალიან მიყვარდა იქ ყოფნა,

კერძოდ სოფელ სხვიტორში, სადაც ბე-
ბიანჩემის და ცხოვრობდა.

სხვიტორი მიბმულია საჩხერეზე,
ერთი აღმართი და იქა ხარ.

ეს იყო ვერანდების მოშენების ეპო-
ქა. ასე იტყოდნენ ხოლმე, – რამდენ
კაცს დასვამ ვერანდაზეო. ბევრი რამე
მასსოვს იმ დროის, იმიტომ, რომ ზემო
იმერეთის სოფელს და იქაურ ბიჭებს
ძნელად რომ რამე შედარებოდა ჩე-
მთვის იმ ეპოქაში. თან სხვიტორი იყო,
ის კი არა. ნერეთლების ორი სასახლე
იდგა. ერთში სკოლა იყო, მეორეში კი,
მოგესხენებათ – აკაკის მუზეუმი.

ეხლაც კი მასსოვს, პირველად რომ
ვიყავი აკაკის სახლში. რა დამამასო-
ვრდა და, ბუხრები. ვფიქრობდი, – ასე
ყველა ოთახში ბუხარს რა უნდა-თქო.
თან რალაცნაირი სიბნელე იყო, ოთა-
ხები ბნელი იყო. მგონი, აკაკის საწოლ
ოთახში ბუხარზე მიკრული იყო ორი
პატარა თეფში, რომლებზეც ბანქოს
ქალაღები იყო გამოსახული. ეს მეტად
მომენონა, ასეთი რამე აბა სად მენახა.

აბა, მაშინ რა ვიცოდი, რომ ეს გვა-
რიანად სიმბოლური რამ იყო და ახლაც
მაინტერესებს, ვინ მიაკრა ბუხარზე ის
თეფშები.

ოლონდაც, ამბავი კი სხვა იყო.

სხვიტორი ის ადგილი აღმოჩნდა,
სადაც პირველად შევიტყვე სიყვარუ-
ლის ამბავი. ბევრი ვერაფერი გავუგე,
მაგრამ საიდუმლოს მფლობელი კი გა-
ვხდი. ის საიდუმლო ალბათ სხვებმაც
კარგად იცოდნენ, მაგრამ ამ შემთხვე-
ვაში საქმე საიდუმლოს უფროსებისგან
შენახვა იყო.

არ ვიცი, რატომ მენდო ასე ჩემზე
გვარიანად უფროსი ბიჭი, მაგრამ ასე
კი გამოვიდა და, თავისი საიდუმლო კი
გამანდო და ამბებიც მიაბო. მერე და
მერე ასეთი რამე მრავალჯერ დამმარ-
თნია ცხოვრებაში, ჰა თუ თხრობით, ჰა
თუ მოწერილით, ადამიანებს ისეთები
უამბნიათ, რომ ხშირად ვერც გამი-
ძლია, რომ როგორმე, სიტყვა მაინც
არ შემეშველებინა, მაგრამ ეს პირველი
იყო და მღელვარება მომედო.

ამ ბიჭს ერთი გოგო უყვარდა და
როგორც ეტყობოდა, ის გოგოც არ იყო
გულგრილი.

როგორც დავატყვე, გოგოს არას-
დროს უთქვამს, – მიყვარხარო, – და

ბიჭიც მგონი, პირდაპირ არ ეუბნებო-
და ამას. იმ დროში და იქ, აბა რომელი
გოგო გეტყვის, – მიყვარხარო, – მა-
გრამ მათ ერთმანეთი უყვარდათ.

ერთ სკოლაში სწავლობდნენ, საჩხე-
რეში, ოლონდ სხვადასხვა კლასში.

ბიჭმა შემეყვანა პატარა ოთახში,
სადაც ძველი, გვარიანად ნატანჯი
წიგნების მაგიდა იდგა ზედ ათასგვა-
რი ნივითთ, რომელთა შორისაც ორი
ცარიელი ათლიტრიანი ბოცაც კი იყო,
გამოსწია ჩამძიმებული უჯრა, რალა-
ცების ქვეშ შეატურა ხელი და იქედან
ფოტოები გამოიღო.

გოგოს ხშირი, შავი თმა და დიდი
შავი თვალები ჰქონდა. მისი სახელი
და გვარი ახლაც მასსოვს; ოლონდ, რა
თქმა უნდა, არ ვიტყვი. როგორ დამა-
ვინყდებოდა, ეს იყო პირველი გოგო
ჩემს ამხანაგს რომ უყვარდა, ზემო იმე-
რეთის პატარა ქალაქში, სადაც მაშინ
რაიკომის მდივნად იყო რევაზ მიტო-
ფანოვიჩი ლლონტი, თეთრთმიანი სიმპა-
თიური კაცი, რომელსაც გლეხები სულ
აქებდნენ.

კიდევ რა ვიცი იმ გოგოსი? ძმა ჰყა-
ვდა უფროსი.

მოკლედ, სიყვარული იყო, მაგრამ
იქ იდო დიდი პრობლემაც, რომელიც
მალე იჩინდა თავს.

მე დიდად ვერ ვხვდებოდი, ის ბიჭი კი
უფროსი იყო და ხვდებოდა, რომ ამას
ვერაფერს მოუხერხებდა.

საჩხერე მაშინ მეტად ტკბილი ქალა-
ქი იყო. ზამთარში იქ არა ვყოფილვარ,
მაგრამ ზაფხულში რალაც მყუდროება
ჰქონდა. პერსონაჟებიც კი მეტად მრავ-
ალფეროვანი იყვნენ, კოლორიტულს
რომ ეტყვიან. მასსოვს ასეთი სრულიად
დაუფიქრარი სახელი, ჟორა ტინტილო-
ზოვი, იგივე ჟორა ანგლია, დიდი შექ-
ლებული კაცი, რომელსაც იმ წლებში
რატომღაც ხშირად ახსენებდნენ. არ
მასსოვს რატომ. ანდა ქალაქის ინტე-
ლექტი და მეცნიერება, გენადი სადუ-
ნიშვილი. კიდევ ათასი ვინმე და რამე.

ამ ქალაქის ერთ-ერთი ნიშანი ისიც
იყო, რომ იქ ბევრი ებრაელი ცხოვრობ-
და. უბანი იყო ასეთი, აბრამას გორა და
იქა. ის აღმართი ახლაც მასსოვს.

როგორღაც ისე იყო, რომ ებრაელო-
ბა იდუმალი თემა გახლდათ.

არც იყო გასაკვირი, ის წლები იყო

ზუსტად, დიდი ხმაურისა ამასთან
დაკავშირებით.

ოლონდაც მე ამისა ბევრი არაფერი
ვიცოდი.

ჰოდა ამ საიდუმლოს ერთი მთავარი
საიდუმლო ისიც იყო, რომ გოგო ებრა-
ელი გახლდათ.

მე ამ ამბის განსაკუთრებულობას
ვერა ვგრძნობდი, მაგრამ ეტყობოდა,
რომ შეყვარებული ბიჭისთვის ეს ლამის
მთავარი საკითხი იყო.

მაჩვენა ეს ფოტოები, რომელთაგან
სამი სამუდამოდ დამამასსოვრდა და
გამანდო ეს ამბავი, ჰოდა ისიც თქვა, –
ებრაელია და რა ვქნაო. მიყვარსო.

მე აბა ამაზე რა უნდა მეპასუხა.

ამ სიტყვას ახლაც ვერ ვამბობ გა-
მართულად, იმან კი რალაცნაირად
მოკლედ და მტკიცედ თქვა, ამოსუნ-
თქვით და თვალები აუციმციმდა.

მე ჩემის გამოუცდელით დავეკი-
თხე, – უნდა მოიტაცო-თქო? რადგან
გამეგონა, რომ გოგოებს იტაცებენ.
ჩასვამენ მანქანაში და ჰაიდა. თუმცა
იმის მერე კი რალა ხდებოდა, ვერ ვი-
ტყოდი.

იმას მეცხრე დაემთავრებინა, მე მე-
ხუთეში გადავიდიო.

ჯერ არ შეიძლება, დამიჭერენო, –
ამისხნა. აუცილებლად დამიჭერენ, არ
შემარჩენენო. სკოლა უნდა დავამთა-
ვრო და ალბათ მოვიტაცებ, სხვანი-
რად არაფერი გამოვა, მაგრამ თუ წა-
ვიდნენ მანამდე, რალა ვქნაო.

ესეც ვიცოდი, რომ ებრაელები მი-
დიან.

სად მიდიან, არ ვიცოდი. მიდიან და
მორჩა. ეს წასვლა რალაც სამუდამოს
ელფერისა იყო, უკანა გზა აღარ არსე-
ბობდა.

დედაჩემსაც ვკითხე, – ებრაელები
სად მიდიან-თქო და, – ისრაელში მი-
დიან, ეგ არი მათი ქვეყანაო.

ვააახ.

მე ვერაფერი გავიგე ამ საქმისა.

ამბავი კი ასე იყო, რომ ამ ბიჭმა იცო-
და, რომ გოგო სკოლას დაამთავრებდა
თუ არა, ოჯახი ისრაელში წავიდოდა.
თუ რამე იყო, იქამდე იყო მოსასწრები.

ეს ალბათ თავად გოგომ უთხრა.
ისიც წარმოიდგინეთ, როგორი საიდუ-
მლობით უნდა გადაეცა თავისი ფო-
ტოები. უყვარდა იმასაც, აბა რა.

ახლა ვხვდები, რომ რომც მოეტაცა ეს გოგო, ოჯახს ვერ მოწყვეტდა. მგონი, ამას თვითონაც ხვდებოდა.

იმ დროში და იმ ადგილას არ მოგცემდნენ თავის ფოტოებს. გამოირიცხებოდა. მაგრამ აბა პატარები რას გადაწყვეტენ, როცა დიდები ასე ძლიერები არიან.

მონყევტა ძნელია. თან წარმოიდგინე, სამუდამო მონყევტა.

შენიანები ყველანი წავიდნენ და შენ კი დარჩი და იმის იმედიც არაა, რომ ოდესმე ნახო. ვინ რა იცოდა მაშინ, რა მოხდებოდა. თექვსმეტი წლის ებრაელი გოგო და თექვსმეტი წლის ზემო იმერელი ბიჭი.

მერედაამერე მივხვდი, ეს მოტაცების ლაპარაკი, უბრალოდ სურვილი იყო. არ იყო ეგეთი ბიჭი და ამ მოტაცებისას აზრსაც ვერ ხედავდა, არ ეიმედებოდა.

პატარა რომ ხარ, დიდად ვერ ერკვევი ხასიათებში, უბრალოდ რაღაცა მოგნონს ადამიანში და იმას მისდევ.

ეს უთქმელი ბიჭი იყო. ახლა წარმომიდგენია, როგორ უყვარდა. ვხვდები, რომ ძალიან ლამაზი ამბავი იყო და ეგებ მოტაცებით ანდა გაპარვით ასეთი საერთოდაც არ გამოსულიყო და არც დაგხსომებოდა კაცს.

ზაფხული თავდება ხოლმე. ეგეთი წესი აქვს, მერე სკოლა იწყება.

მეორე ზაფხულს რომ ჩავედი, უკვე აგვისტო იყო.

გოგო ერთი კვირის წასული იყო ისრაელში.

დავლიეთ გამოსაშვებზე მე და მაგის ძმამ და ყველაფერი ვუთხარი. თვალები უციმციმებდა რაღაცანიარად. ასეთი ბიჭი იყო, გული აუჩქროლდებოდა თუ უცინოდა, ორივე შემთხვევაში თვალები უციმციმებდა.

მე ისევ ვერ მივხვდი, კარგი იყო ეს, თუ ცუდი.

ან ძმამ რა უთხრა.

უყვარდა გოგოსაც და წავიდნენ. ისევ იმ ოთახში აღმოვჩნდი.

ისევ ის ძველი საწერი მაგიდა და უჯრა.

ფოტოები და კონვერტი, კიდემოხეული კონვერტი მისამართის გარეშე. ეს წერილი გოგოს მოენწერა წასვლის წინ. მაჩვენა, ხომ არ წამაკითხებდა.

ზოგჯერ კაცს ავანტიურში შემოგიტყვს ხოლმე, თუნდაც ნორჩი იყო;

ნორჩს – მით უმეტეს. ერთი ხანობა ვფიქრობდი, როგორმე ეგ წერილი უნდა წავიკითხო-თქო.

იდიოტი ხარ ნამდვილი, ასეთ რამეს რომ გაიფიქრებ.

მაგრამ სიუჟეტისადმი მიდრეკილება თუ იყო.

ეს კონვერტიც სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ასე გაიყარენ. არ ვიცი, რამდენი შეიძლოს, სანამ ერთმანეთის ნახვა შეეძლოს. არ არის პატარა ქალაქი სვიდანიების და ხშირი ერთად ყოფნის ადგილი, თუ ამბავი უკვე სახალხოდ ცნობილი და გამოცხადებული არაა.

ჩემი პირველი საიდუმლო კი ნამდვილად ეს იყო.

დიდი არაფერი თავგადასავლია და ეგებ ჩემიც საერთოდ არ არის.

მაგრამ სამუდამოდ კი ჩამრჩა გულში.

იმის შემდეგ აბა, რამდენი დრო გავიდა. მე იქით იშვიათად და იშვიათად ვხვდები, ბოლო ოც წელიწადს ხომ საერთოდ.

თუ რაღაცანიარად წავეყრებოდი ნათესავებს, იმ ბიჭის ამბავსაც მოვიკითხავდი. მიყვარდა ყოველთვის, მაგრამ ხომ იცით, როგორ არის ხოლმე. გაქრა ის ნაკადი, წავიდა და აბა როგორღა დაიჭერ. შენ ბიჭი ვერასდროს იქნები, ყვირილაში დახრჩობისგან ველარასდროს გადაგარჩენენ და მარანშიც ჩუმად აღარ შეგაპარებენ, – ცოტა ღვინო წავილეთ ჭალებზეო.

მოვიკითხავდი და მეტყუოდნენ, – დადის უცოლოდ, გადაგვრიაო.

იმ ჩვენი ამხანაგობის დროიდან ოცდაათი წლის თავზე შეურთავს ცოლი. კაცი სულ მარტოდ ყოფილიყო დარჩენილი, უკვე გაჭალარავებული, იმხელა ეზოში და სახლში. შევრთეთ, ვივაჟკაცეთო, ხო იცი, იმერლებმა როგორც იციან. გადასარევი გოგოაო.

ერთიც იყო და, მოვხვდი იქით. რა თქმა უნდა, ჩვენებურ ამბავზე. დაკრძალვაზე.

უკვე ეგ დრო იყო, რომ დასავლეთში დაკრძალვამდელი ქელები თანდათან გამოდიოდა წესიდან; თბილისიდან ბევრი ხალხი ჩამოდის და იმათებურად გავაკეთოთო.

ჰოდა, აბა ჩვენც ვიყავით სამი მანქანით.

დიდი ქელებიც იყო და ვისხედით იქა და წინ კი ცოტა რომ წამოიშალა ხალხი, თანდათან ის ბიჭები ჩამისხდნენ, ვინც დახრჩობას გადამარჩენდა ხოლმე ბავშვობაში. რალა ბიჭები, იმათი ხელები გენახა, ნამუშევარი და ნაწვლები და გავაბით ტკბილები და სად არის მეთქი, კაცო, დილიდან აქა ვარ, ერთი თვალი ვერ მოვკარი-თქო.

ეხმარებაო, მერე ამოვაო. იმ მომხმარებებშიც ვიდექი და იქაც არ იყო მანამდე.

მართლა ამოვიდა. ააციმციმა თვალები.

გადავეხვიეთ ერთმანეთს.

ეს ქელები ხო დაუსრულებლად არ გაგრძელდებოდა.

გადავიდეთ ეხლა ჩემთანო, არ გამაგიჟოო.

როგორია, მანქანა გელოდება. გისიგნალებენ ჭიშკრის იქიდან, – დაღამებამდე გვინდა თბილისშიო.

კაცი რო იყო და დრო იყოს ეგეთი, უნდა დარჩე და, დარჩე და ცხოვრებაც ეგ არი, მარა, აბა სად და როგორ?

წავედი-მეთქი, გენაცვალე, და ვერ მოვითმინე და იმ გოგოს სახელი ვუთხარი, რამე იცი მეთქი?

იმაზე ძვირფასი და იდუმალი ჩვენ ერთა შორის არაფერი იყო.

ააციმციმა თვალები, ტირილსა და სიცილს შუა, როგორც იცოდა და ისე ჩავეხუტეთ ერთმანეთს, რო ეხლა თქვენ იფიქრებთ, – ამან წაილო ტვინი თავისი ჩატკბილებებითო.

მართლა ეგრე იყო და, რა ვქნა, განგებ მწარედ მოვყვე?

ხო იცი, რაღაცანიარ ძალას რო გრძნობ ჩახუტებისას, სხვანაირი ჩახუტება როა.

დარდიც როა შიგ, სიხარულიც როა, სიყვარულიც როა და, ეს ჩემი დედაძალი ცხოვრებაო, რომ იტყვი, ისიც როა.

არი, კარგად არიო, – მითხრა, – შეილიშვილი ყავსო.

თვითონ კი შვილიც არ ჰყავდა.

ეგ ამბავი ჩემი ჩაის კოლოფი საჩხერიდან. სხვამ თუ მეტი წამოიღო, იმან იცის.

ეგრე მიყვარს მე ეს ზემო იმერეთი, ეგეთ ამბებში, თორე ღვინო აბა კახელებმა რო იციან...

დეგაპრინტი DEGAPRINT

სივრული ოფსეტური ბეჭდვა

ტელ.: +995 32 995007 / 998843

ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



MARJANOFF EXPRESS

იტალიური რესტორანი




13/335
 ლეონიდასი - 10.00
 ლინდა სეკიფორი
 ირინე ბარბახიძე
 პრინციპალი **MARJANOFF LINE**
 მასარი - 10.00
 ვანო ჯიჯიანიძე
 მარია ამირაძე
 სოფო მკვირვაძე
 ვინო - 10.00
 სოფო მკვირვაძე
 ფინანსები 21.35

36 95 16

95 03 23



Georgia Tbilisi Marjanishvili Str. #8
 თბილისი მარჯანიშვილის ქ. №8
 Italian Restaurant MARJANOFF EXPRESS



ლესბინასია

როდესაც ლესბოსელება ამერიკის გზები აამტვერეს

ავტორი: არიელ ლევი
თარგმან თამარ ბაბუაძემ
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

ისტორიას ახსოვს ერთი მცირედი მონაკვეთი, როდესაც სამყაროს ქალები მართავდნენ, ყოველ შემთხვევაში – თავიანთ სამყაროს მაინც. 1970-იანი წლების ბოლოს რამდენიმე ათასმა ჩრდილო ამერიკელმა ქალმა უარი თქვა თანასწორად შესრულებულ საქმეში კაცებთან ხელფასის გაყოფაზე, უარი თქვეს ქმრებთან ხვეწნაზე, რომ ხანდახან მაინც დახმარებოდნენ ცოლებს ჭურჭლის გარეცხვაში; და საყვარელი კაცებისთვის იმის მტკიცებაზე, რომ ქალის სხეულში არსებობს ორგანო, სახელად კლიტორი.

რატომ კომპრომისი და რატომ ტყვეობა, თუკი შეიძლება განცალკევდე და იცხოვრო შენივე შექმნილ სამყაროში? ამ იდეით შეპყრობილი უტოპისტი სეპარატისტი ქალები ამერიკის ისტორიაში პირველად ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ადრეულ წლებში გამოჩნდნენ: ნიუ ინგლენდში იყვნენ „შეიკერები“, პენსილვანიაში – ათასწლეულის რეპიტები, ონიდეელი პერფექციონისტები – ნიუ იორკში. ამ ქალებმა ზურგი აქციეს საზოგადოებას, რომელშიც კულტურა და კანონი ქალთა მეორეხარისხოვანი როლის ლეგალიზაციას აწესებდა. და გადა-

წყვიტეს, დაეარსებინათ საკუთარი ქალაქები და ფერმები, ეცხოვრათ ცალკე, მხოლოდ ქალთა გარემოში. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციასთან გამომშვიდობება, მაგრამ ესეც იოლად გადაწყდა – სეპარატისტი ქალების უმეტესობა ისედაც ლესბოსელი იყო, დანარჩენებს კი ნამდვილი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად თავიანთ ნამდვილ ორიენტაციაზე უარის თქმა უღირდათ.

ერთი თაობის წინ კი ლესბოსელმა სეპარატისტებმა უკვე შექმნეს პარალელური რეალობა და დაიწყეს ალტერნატიულ, უპენისო სინამდვილეში ცხოვრება. რამდენიმე დაჯგუფება გაჩნდა: ბერკლიში იყვნენ „გათერ დაიქსები“, სიეტლში – „გორგონები“, რამდენიმე ასეული რადიკალ-ლესბოსელიც – ნიუ იორკში; ვაშინგტონში იყვნენ – the Furies, სან ფრანცისკოს კი „მრისხანე, ამაყი და ძლიერი სეპარატისტები“ წარმოადგენდნენ. მთლიანად შტატებსა და კანადაში ქალთა ავანპოსტები გაიშალა. ეს იყო ადგილები, რომლებსაც ქალები მართავდნენ, სადაც ქალები ცხოვრობდნენ და იქ მხოლოდ ქალებს უშვებდნენ. „მხოლოდ ქალები ჩვენ მინაზე“



„ვან დაიკები“ იყვნენ ფურბონით მოხატული ქალები, რომლებს იპარსავდნენ თმას, ხმას არ სცემდნენ მამაკაცებს, ოფისიანტების და ავტომექანიკოსების გარდა, დაქროდნენ ჩრდილო ამერიკის გზებზე და ჩერდებოდნენ მხოლოდ სეპარატისტ „ქალთა მიწაზე“. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მსოფლიო „ტანსტოსტრონითაა მოწამული“ და ამ ფონზე მათი მისიას უფრო უზუსტად იკვეთებოდა: აპოკალიფსიკური დედამინაზე „დაიკების“ სამოთხე.

– ეს იყო სეპარატისტი ქალების მთავარი ფრაზა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მამაკაცებს და პატარა ბიჭუნებსაც კი მათ მიწაზე ფეხის დადგმა ეკრძალებოდათ (ისინი ხშირად ქალის აღმნიშვნელ ინგლისურ სიტყვა woman-საც განსხვავებულად წერდნენ, კაცების სახსენებელი ამ სიტყვიდანაც რომ ამოეგლოთ: „ქალი“ ინერებოდა ხან, როგორც – wimmin, ხან – womyn). სეპარატისტების მიზანი აბსოლუტური ავტონომია იყო, რომელიც გულისხმობდა სეპარატისტული საკვები პროდუქტების კოოპერატივების, საგამომცემლო სახლების და საკრედიტო კავშირების შექმნას. „მაღე შევძლებთ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების კონტრასტული მხარეები შევრწყათ და შიზოფრენიულ არსებობას ბოლო მოვუღოთ – დღისით ხომ ჩვეულებრივ სამსახურებში დავდივართ, ღამით კი რადიკალურ პოლიტიკურ საქმიანობას ვწვევით“, – წერდა ნენსი გროშვიცი 1979 წელს გამოქვეყნებულ ტრაქტატში „პრაქტიკული ეკონომიკა ქალთა კომუნებისთვის“. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სეპარატისტული წამოწყება იყო ქალთა მუსიკალური ფესტივალი და პროექტი „ოლივია რიქორდისი“, რომელიც 1973 წელს ამოქმედდა, 1990-იანი წლებიდან კი „ოლივია“ ლესბოსელთა კრუიზებსა და საკურორტო დასვენებაზე ზრუნავდა.

„ქალთა სეპარატიზმი შეაკანინათა სეპარატიზმიდან მოდის“, – აცხადებს კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი და ავტორი ნიგნისა „60-იანები: იმედის წლები, მრისხანების დღეები“, ტოდ გიტლინი. „რელიგიური დაჯგუფების, „ისლამიური ნაციის“ ამბებმა მალკოლმ იქს

უამრავი მიმდევარი გაუჩინა. სეპარატიზმით თითქოს ჰაერიც გაიჟლინათ. რამდენიმე წლის თავზე სულ უფრო მეტი ადამიანი გაურბოდა ნორმალურობას და მის ჩარჩოებს, თვითონ ნორმალურობა კი, ვიეტნამის ომის გამო, კიდევ უფრო გიჟური ჩანდა.

სეპარატიზმის ხიბლი კომპლექსურია. გვაქვს მისი უამრავი ვერსია; გაქცევის განსხვავებული ფორმები“.

არ არსებობს სანდო სტატისტიკა, თუ მაინც რამდენი ქალი უწოდებდა საკუთარ თავს ლესბოსელ სეპარატისტს მოძრაობის აღზევების ყამს. „შეუძლებელია, განსაზღვრო უფრო უზუსტად, ვიდრე ასე – ისინი იყვნენ „ათასობით“, – აღნიშნავს ლესბოსელთა ისტორიის შესახებ ნ ნიგნის ავტორი ლილიან ფეიდერმანი. ყველა დაჯგუფებას სეპარატიზმის თავისებური გაგება ჰქონდა – ზოგი უარს ამბობდა მამაკაცებთან ურთიერთობაზე, ზოგი – ჰეტეროსექსუალ ქალებთან კონტაქტსაც გაურბოდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც იმ ლესბოსელ ქალებთანაც წყვეტდნენ კავშირს, რომლებიც სეპარატიზმის იდეას არ იზიარებდნენ.

ყველაზე უფრო ჭრელი სეპარატისტები „ვან დაიკები“ იყვნენ – ქალები, რომლებსაც არც განსაკუთრებული გავლენა ჰქონიათ ქალთა მოძრაობაზე და არც განსაკუთრებულად მწყობრი იდეოლოგია. სამაგიეროდ, ისინი იყვნენ ფურგონით მოხეტიალე ქალები, რომლებიც იპარსავდნენ თმას, ხმას არ სცემდნენ მამაკაცებს, ოფისიანტების და ავტომექანიკოსების გარდა, რამდენიმე წლის განმავლობაში დაქროდნენ ჩრდილო ამერიკის გზებზე და თუ ჩერდებოდნენ, მხოლოდ

ისტორია

სეპარატისტ „ქალთა მინებზე“. „ვან დაიკები“ დარწმუნებულები იყვნენ, რომ მსოფლიო „ტესტოსტერონითაა მოწამლული“ და ამ ფონზე მათი მისიაც უფრო ზუსტად იკვეთებოდა: ეპონათ დედამინაზე „დაიკების“ სამოთხე.

ამ მისიას თან სრული სერიოზულობით ასრულებდნენ და თან სანახევროდ იუმორითაც. ანდა შეიძლება ასეც ვთქვათ: მათ ქმედებას სერიოზულობა არ აკლდა, მაგრამ ქალებმა ისიც იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი ოდნავ სასაცილოც იყო (ისინი რადიკალები იყვნენ, მაგრამ ქარაფშუტები). როდესაც „ვან დაიკების“ დამფუძნებელი ქალები ჰითერ ელიზაბეტი და ეინჯ სპოლდინგი პირველად დაადგნენ გზას 1977 წელს, Mr. sandman-ის მელოდიაზე სხვა ქალების მისაზიდად სიმღერა დაწერეს. ტექსტი ასეთი იყო:

„მომავლო ვან დაიკებო,
გაგვიმხილეთ თქვენი ოცნებები,
გამოთქვით ნათლად თქვენი სურვილები,
...გვახარეთ, რომ საათებილა გვაშორებს იმ დრომდე, როცა
ჩვენ მიწას ვიპოვით, მზით გამთბარ მიწას, სადაც მკვლე-
ლი დაიკები ცხოვრებით დატყუებიან,

ხორბალს დათესავენ და მარცვლებს შეაგროვებენ.
მოდი, ერთად ვიპოვოთ გზა ამ მიწისკენ!“

ცოტა ირონიული იყო ჰითერ ელიზაბეტის მხრიდან მიწათმოქმედების სიხარულზე სიმღერა, მაშინ, როცა მას ახალი მიტოვებული ჰქონდა ასეთი ცხოვრება მეგობარ ქალთან კრის ფოქსთან ერთად. 1976 წელს ჰითერმა, კრისმა და კიდევ ერთმა ლესბოსელმა წყვილმა ტორონტოს მახლობლად ერთი მოფახფახებული ფერმა შეიძინეს და წარმოიდგინეს, რომ იქ ნამდვილ „ქალთა მიწას“ შექმნიდნენ, სადაც საკუთარი პრინციპების მიხედვით იცხოვრებდნენ და ბალში საკუთარ მოსაავალს მოიყვანდნენ. ყველაზე დიდი სიამოვნებით კი ფანტაზიორობდნენ იმაზე, თუ როგორ იმუშავებდნენ საკუთარ ბალში, მზის გულზე სულ შიშვლები. თუმცა, ფანტაზია ვერ ახდა. მათ ფერმაში იმხელა თოვლი იდო ხოლმე, რომ ფანჯარას აღწევდა. თოვლის გადასაბურტყი მანქანა ყოველ სამ დღეში ერთხელ დადიოდა. პერიოდულად დენი ითიშებოდა. სახლი ცუდად თბებოდა. ცხოვრება ფერმაში ყინულოვანი და გაუსაძლისი იყო. ერთხელ, ადრეულ გაზაფხულზე, როდესაც ქალები ტორონტოში წავიდნენ საყიდლებზე, ჰითერი შემთხვევით ეინჯს გადაეყარა – გაბრწყვიალებულ და გარუჯულ ეინჯს, რომელიც, უკვე ერთი წელი იყო, თბილად გილებში თავისი ფურგონით მოგზაურობდა. ეინჯმა ჰითერს უამბო, თუ როგორი თავისუფალი და ანონიმური იყო ცხოვრება გზაზე. მაგალითად მექსიკაშიო, – ჰყვებოდა ეინჯი, – შეგიძლია გზის პირას მოწყვეტილი ხილით გახვიდე იოლასო.

რამდენიმე საათში ჰითერმა გადანწყვიტა, მიეტოვებინა კრისი და გაყინული, ქალებით დასახლებული ფერმა.

ჰითერ ელიზაბეტი და ეინჯ სპოლდინგი პირველი „ვან დაიკები“ გახდნენ. ეინჯმა ბრუკ ვან დაიკი დაირქვა, რადგან ბევრი ლაპარაკი უყვარდა: ის მორაკრაკე ბრუკი (brook – ქართულად წყარო) იყო. ჰითერმა კი მეტსახელად აირჩია გვარი, რომელსაც დღემდე ატარებს. ვიდრე 29 წლის გახდებოდა, მან სამჯერ გამოიცვალა გვარი. სამი გვარი სამ ყო-



ლესბოსელობა, და ლესბოსელობის
დაჩვენებას, იმდენად ბავრსელებული
ამბავი ბახლა, რომ ბეტი ფრიდენმა მას
„ლავანდას საფრთხე“ უწოდა.

ფილ მეულეს ეკუთვნოდა. თუმცა, ისინი მას აღარაფერში სჭირდებოდა, აღარც მამის ხსენება სურდა. მისი თანამედროვეების, მალკოლმ იქსისა და მუჰამედ ალის მსგავსად, ჰითერს უნდოდა სახელი, რომელიც მის ემანსიპაციას გამოხატავდა და არა წარსულ მონობას.

ვან დაიკი ამ მხრივ ზედგამოჭრილი იყო. ეს სახელი არა მხოლოდ შინაარსობრივად იყო ზუსტი – სწორედ დაიკები ცხოვრობდნენ ფურგონებში – არამედ დიდ პოტენციასაც ფლობდა. ამ სახელით ისინი შეძლებდნენ მთელ ამერიკასა და კანადაში და ასევე მთელ მსოფლიოში ყველა ლესბოსელი დაერწმუნებინათ, რომ საჭირო იყო მონობის აღმნიშვნელი სახელის მოშორება; სახელის, რომელიც მათ ან დაბადებისას, ანდა საკურთხევლთან ჯვრისწერისას მისცეს. ყველას უნდა ეპოვა თავისი ნამდვილი სახელი – რომელიც მტკიცედ გამოხატავდა სათქმელს: „თვალი არ გატყუებთ: მე ნამდვილი ლესბოსელი ვარ“. დაიკები ხშირად წაიოცნებებდნენ ხოლმე, როგორ მიმართავდა მათ ბანდას სადმე, მსოფლიოს რომელიმე წერტილში მეტრ’დ’ოტელი: „ვან დაიკები, ესე იგი, წვეულება ოთხისთვის?“ ხოლო ჰეტეროსექსუალების ჯინაზე უამრავი ლესბოსელი აიმაღლებდა ხმას საკუთარი უფლებების დასაცავად.


დრო კი ისეთი იდგა, ყველა ფანტაზიას ახდენა ეწერა: 1977 წელი იყო ანუ – ნიუ იორკის სტოუნვოლის ამბობამდე ათ წელზე ნაკლები ხანი რჩებოდა. ამ ამბობით კი ამერიკაში ჰომოსექსუალთა უფლებებისთვის ბრძოლის გრანდიოზული მოძრაობა გაიშალა. თუმცა, ლესბოსური ორიენტაციის ცხოვრებისეულ ნორმად აღიარება ჯერ კიდევ ახალი ამბავი იყო, ამიტომ ფეხმოუკიდებელიც. 1961 წლამდე ჰომოსექსუალიზმს ყოველ შტატში კანონი არეგულირებდა, რომლის

მიხედვითაც, ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირი არალეგალურად ცხადდებოდა. ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ნუსხაში კი ჰომოსექსუალობა, როგორც მენტალური დარღვევა, 1973 წლამდე ფიგურირებდა (მანამდე, მიუხედავად ფროიდის მტკიცებისა, რომ ჰომოსექსუალიზმი „უკურნებელია“, ლესბოსელი ქალების გამოსაჯანსაღებლად საკმაოდ ძლიერი ინდუსტრიაც მოქმედებდა. 1956 წლის ჟურნალ „თაიმში“ ერთი ფსიქონალიტიკოსი წერდა, რომ ჰომოსექსუალების 90 პროცენტის განკურნება შესაძლებელია და ისინი უნდა განკურნოთ კიდევ, რადგან არ არსებობს „ჯანსაღი ჰომოსექსუალი“).

ახლა კი ლესბოსელობა უკვე კრიმინალი კი აღარ იყო, რომელსაც მენტალურად დაავადებული ადამიანები „სჩადიოდნენ“, არამედ რადიკალური პოლიტიკური ქმედება, რომელსაც ქალთა მოძრაობა ედგა სათავეში. ფემინისტი ავტორი სიუზენ ბრაუნსმილერი თავის წიგნში „ჩვენ დროში: რევოლუციის მემუარი“ „გამოსვლის“ (coming-out) ვნებას ზღვის მძლავრ ტალღას ადარებდა: „მაცოფებდა ბევრი ჩემი ნაცნობი აქტივისტის უეცარი ცვლილება და თავიანთი ორიენტაციის ღიად დაფიქსირება“. ლესბიანიზმმა ბევრი ისეთი ფემინისტიც ჩაითრია, რომელთაც სინამდვილეში ქალები არც მოსწონდათ, რადგან მათ სჯეროდათ, რომ ლესბოსელობა – ეს „სექსუალური სურვილი კი არ იყო, არამედ პოლიტიკური არჩევანი, რომელიც ყოველ ქალს უნდა მიეღო, თუკი სურდა, რომ იდენტიფიცირებულიყო, როგორც ქალი და, შესაბამისად, ბოლო მოეღო მამაკაცთა უზენაესობისთვის“, – წერდნენ Furies-ის პირველ ნომერში, რომელიც ამავე სახელწოდების სეპარატისტების პერიოდული გამოცემა იყო.

ფემინისტი ტი-გრეის ატკინსონი ისე შორსაც წავიდა, რომ ამტკიცებდა, თითქოს მარტოსული „პოლიტიკური ლესბიანიზმი“ მორალურად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე სექსუალურად აქტიური ლესბიანიზმის ვერსია. თუმცა, სქესობრივ ორიენტაციას ასე მონამეობრივად მხოლოდ ატკინსონი არ განიხილავდა. 1975 წელს გამოქვეყნდა სეპარატისტი ლესბოსელის, ბარბარა ლიპშუცის ესეი სათაურით: „არავის სჭირდება ჟიმოზი“. ესეი ავტორი მოუწოდებდა ქალებს, „გაეთავისუფლებინათ ლიბიდო ორგაზმის ძიებისგან. ხანდახან ჩახუტება ჯობს“, – ამტკიცებდა ის. თუმცა, ეს არგუმენტი მოძრაობის წევრ ქალებს, რომლებიც მართლაც ლესბოსელები იყვნენ, არასდროს იტაცებდათ.

ლესბოსელობა, და ლესბოსელობის დაჩემებაც, იმდენად გავრცელებული ამბავი გახდა, რომ ბეტი ფრიდენმა მას „ლავანდას საფრთხე“ უწოდა. 1973 წელს „თაიმს მეგეზინში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ფრიდენი ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს იდეას სთავაზობდა, ქალთა მოძრაობის დისკრედიტაცია მოეხდინა და ამ მიზნით, მოძრაობაში ჰომოსექსუალი ქალები აგენტებად შეეპარებინა. ისე, ფრიდენი ერთ რამეში კი იყო მართალი: „ვან დაიკებსაც“ და მათ სეპარატისტ ამხანაგებსაც ისეთი იდეები ჰქონდათ, რომ მათ ფონზე ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია მოთმენის პოლიტიკის გამტარებელს ჰგავდა.



დისკუსია

არტი და პოლიტიკა

ავტორი: თეო ხატიანული



მონაწილეები:

დათო ალექსიძე
მხატვარი

ლადო ბურდული
მუსიკოსი

ვანო ბაბუნაშვილი
მუსიკოსი

ზურა ჯიმკარიანი
არტისტი

გერმანელი თეორეტიკოსი ვალტერ ბენიამინი ამბობდა, რომ ღმერთისადმი სკეფსისით აღბეჭდილ თანამედროვე კულტურაში რელიგიის ადგილი პოლიტიკამ დაიკავა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ტოტალიტარულ რეჟიმებში, რომლის მემკვიდრეობა საქართველოშიც სხვადასხვა – მათ შორის ხელოვანი-ხელისუფალის ალიანსის სახით ჩნდება. სიმპტომურია, რომ პოლიტიზირებულ საუკუნეში ხშირად მსჯელობენ არა მხოლოდ ხელოვანის ნამუშევრის ესთეტიკურ-მხატვრულ მხარეზე, არამედ პოლიტიკურ კონტექსტსა და თვით ამ ხელოვანის პოლიტიკურ ნაბიჯებზე.

თო ხატიაშვილი: ველასკესი არავის დაუდანაშაულებია იმაში, რომ ის „კარის მხატვარი“ იყო. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება პოლიტიკური კონტექსტი განსჯის თემა თანამედროვე ხელოვანის შემოქმედების შეფასებისას?

დათო ალექსიძე: განსჯის თემა კი არ არის, ბრალდების ფორმა მიიღო, რადგან ერთგვარი ანგაჟირების საშუალებაა. როდესაც „კარის მხატვრად“ მოიხსენიები, ფინანსურადაც უზრუნველყოფილი ხარ და სოციალური პრივილეგიებიც გაქვს. ველასკესი უკვე ძალიან შორსაა ჩვენგან, არ გვეხება, ამიტომ მტკივნეულიც არ არის. მაგრამ აი, შენ გვერდით რომ ვილაც ამ პრივილეგიებით სარგებლობს, ეს უკვე განსჯის თემა ხდება. აქ წმინდა ადამიანური შურის მომენტი.

თო ხატიაშვილი: მე მაინც მგონია, რომ მაშინ ეს დისკუსიაც არ არსებობდა; პირიქით, საზოგადოებაში ხელოვანის დავასების, მის მიმართ პატივისცემის საფუძველიც იყო.

დათო ალექსიძე: შეიძლება ველასკესს ამაში ვილაც სდებდა კიდევ ბრალს, უბრალოდ ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს. მხატვრებს შორის შუილი ჩვეულებრივი ამბავია. გავიხსენოთ თუნდაც კარავაჯოსა თუ ბენვენუტო ჩელინის წერილები ან მიქელანჯელოსა და ლეონარდოს შორის დაპირისპირება...

თო ხატიაშვილი: კი, რა თქმა უნდა, როგორც თქვენ თქვით, ეს ჩვეულებრივი ადამიანური თვისებაა, მაგრამ სწორედ XX საუკუნე, რომელიც გრძელდება XXI-ში, არის ყველაზე მეტად იდეოლოგიების ბრძოლისა და გავლენების ეპოქა. ხშირად პირიქითაც არის – ხელოვანის პოლიტიკასთან კავშირი გასაკიცხი კი არა, დაფასებული ხდება – მაგალითად, ანტივიეტნამური ან ანტიერაყული კამპანიის აქტივისტები. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის საქართველოში პოლიტიკურად აქტიური ხელოვანი ან საერთოდ რამდენად უნდა იყოს ასეთი?

ვახო ბაბუნაშვილი: ეს, მე მგონი, ადამიანის, და არა მართო ხელოვანის ინდივიდუალურად გადასაწყვეტია, აქტიურად ჩაებას თუ არა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ლადო ბურდული: თქვენ ცოტა შორიდან დაიწყეთ, მე კი ერთს ვიტყვი: კომუნისტების პერიოდში ძალიან დიდი დაფასება ჰქონდა ხელოვნებას, მაგრამ, ამ დაფასების სანაცვლოდ, პარტიაზე უნდა გემღერა. ეს ყველაფერი იყო საქართველოში. ვითომ რაღაც შეიცვალა, ვითომ კაპიტალიზმში ვართ, ვითომ ბურჟუაზია ჩნდება, მაგრამ ამ ქვეყანაში ყველაფერი ძველებურად რჩება. 3-მილიონიან ქვეყანაში პროფესიონალი მხოლოდ საკუთარი მცდელობით ვერ შეძლებს, თავი ირჩინოს, იმიტომ, რომ ფიზიკურად არ არსებობს აუდიტორია. აქედან გამომდინარე, იძულებითი არჩევანია, პოლიტიკაში მივიდეს, რადგან ფული პოლიტიკას აქვს და შოუ-ბიზნესიც დღეს პოლიტიკაა და არა ხელოვნება. სამწუხარო ფაქტია – და ამას თითქმის ყოველდღიურად

ვეჯახები – რომ ყველაფრის არჩევა ისევ პოლიტიკური ნიშნით ხდება; თუ ადრე კომუნისტი იყავი და მღეროდი რალაცაზე, კაი ტიპი იყავი, და თუ შენი იდეები გქონდა და თავისუფალი ხელოვანი იყავი, ეგრევე ნონ გრატა ხდებოდი. შეიძლება ბევრი შემეკამათოს, მაგრამ პირადად მე რასაც ვანწყები, ვხვდები, რომ ისევ კომუნისტური პერიოდი, უბრალოდ ამათ ნაციონალები ჰქვიათ. ამდენი დრო გავიდა და ვერ გავიგე, რა პრინციპით განსხვავდება ნიჭიერი და უნიჭო, ეს ინფრასტრუქტურა როგორ მუშაობს? საქართველოში კი არა, დანიაში ვერ მუშაობს შოუ-ბიზნესი; ვან დამმა თქვა, – ბელგიაში რომ დავრჩენილიყავი, ჩემგან არაფერი გამოვიდოდაო და იგივე თქვა შვარცნეგერმა, – ავსტრიაში ვერაფერს გავანყობდო; იმიტომ რომ შოუ-ბიზნესს სჭირდება დიდი აუდიტორია. ადრე ეს რაოდენობა საქართველოსთვის იყო რუსეთი, აქ, სადაც ყველა ყველას იცნობს, ფულის კეთება ძალიან ძნელია. ჩემს მაგალითზე



დათო ალექსიძე

ხელოვანი პოლიტიკურად აქტიური ვერასოდეს იქნება. უბრალოდ, არის ისეთი პერიოდები, როცა სხვადასხვა სახის ხელოვნება შეიძლება საჭირო გახდეს სახელმწიფოს ინტერესებისთვის. ხელოვანი ყოველთვის დამოკიდებულია ბაზარზე.

მივხვდი, რომ ურჩევნიათ, ჩემთან მოვიდნენ და იქ მოისმინონ ჩემი სიმღერები, ვიდრე კონცერტზე ფული გადაიხადონ. როგორც ვხედავ, საქართველოში სულ ასე იქნება. ის, რომ ასფალტს გვიგებენ და სინათლე არის, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბედნიერად ვიგრძნო თავი.

თო ხატიაშვილი: ხელოვანიც გარკვეულწილად იმისთვის არსებობს, რომ მუდმივად გამოხატავდეს ამ უკმაყოფილებას.

დათო ალექსიძე: ხელოვანი პოლიტიკურად აქტიური ვერასოდეს იქნება. უბრალოდ არის ისეთი პერიოდები, როცა სხვადასხვა სახის ხელოვნება შეიძლება საჭირო გახდეს სახელმწიფოს ინტერესებისთვის. ხელოვანი ყოველთვის დამოკიდებულია ბაზარზე. საქართველოში ვერც მწერალი და ვერც მუსიკოსი ვერ შეინახავს თავს მხოლოდ გაყიდვებით.

ლადო ბურდული: კიდევ ერთ რამეს დავაკვირდი საქართველოში – თუ ხელოვანი, ვთქვათ, სააკაშვილს აძლევს ხმას, ამას იდეურად არ აკეთებს. მაგალითად, თუ ჯექსონი ბუშს უჭერდა მხარს, მართლა მოსწონდა და, ამის გამო, ფულის გადმორიცხვას არ ელოდებოდა...

ვანო ბაბუნაშვილი: მუსიკოსი ხარ, დურგალი ხარ, ჟურნალისტი ხარ – რა მნიშვნელობა აქვს ამას; მოქალაქე ხარ და როდესაც საარჩევნო ყუთში აგდებ შენ ხმას, იქ მთავრდება შენი პოლიტიკაში მონაწილეობა. მე მგონი, ისევ ველასკეს ვუბრუნდებით. მაშინაც და დღესაც ხელოვანი ეძებს ბაზარს. საბოლოოდ ან გაყიდის, ან ვერა – ყოველთვის ასე იყო. ხელოვნებას ვიღაც თავისი მიზნებისთვის იყენებს. დათომ სწორად თქვა, მე ველასკესის პოზიცია არ მალიზიანებს, იმიტომ, რომ მაინტერესებს მხოლოდ მისი



ლადო ბურდული

ბიძგები უფრო პოლიტიკოსებისგან მოდის, არტისტები რომ ჩაითრიონ პოლიტიკაში და თავისიანად აქციონ, ვიდრე შეუქმნან სივრცე, სადაც არტისტი თავისუფლად იმუშავებს. აქ თითქმის გმირობის ტოლფასია, დარჩე თავისუფალი.

დანატოვარი მხატვრობაში. დღეს მე ტომ იორკის პოზიცია უფრო მაღელვებს იმიტომ, რომ ჩემხელაა, ჩემთან ერთად ცხოვრობს ამ პლანეტაზე; თუმცა პირველ რიგში მაინც მისი მუსიკა მაინტერესებს.

თეო ხატიაშვილი: შემთხვევით არ მიხსენებია სიტყვა „იდეოლოგიები“ და ლადომაც თქვა, რომ, ხშირად მხარდაჭერა იდეების მხარდაჭერას არ ნიშნავს. როცა პოლიტიკურ აქტიურობაზე გკითხეთ, მხედველობაში მქონდა არა ის ახდენს თუ არა ხელოვანი იდენტიფიცირებას ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან, არამედ რამდენად ვლინდება პოლიტიკური პოზიცია და მსოფლმხედველობრივი პრინციპები ნამუშევარში და ხელოვანის საქმიანობაში.

დათო ალექსიძე: ეს ძალიან ინდივიდუალური საკითხია. ჩვენ რატომღაც გამოვდივართ ისევ საბჭოური მიდგომიდან, რადგან ეს საბჭოური მენტალიტეტი ძალიან ღრმად ზის ჩვენში. რუსთაველმა თქვა, – „კოკასა შიგან რაცა

დგას, იგივე გადმოდინდების“. თუ პოლიტიკის გარდა, თავში არაფერი მიტრიალებს, რა თქმა უნდა, ჩემი ნამუშევარი პოლიტიკური შინაარსის იქნება.

თეო ხატიაშვილი: პოლიტიკურ კონტექსტში ნებისმიერი ტექსტი შეიძლება ნავიკითხოთ.

დათო ალექსიძე: ანტიპოლიტიკური პოზაც პოზაა და პოლიტიკური პოზიციაა. ამიტომ კითხვა – უნდა იყოს თუ არა? – არასწორია, ეს თვითონ ხელოვანმა უნდა გადაწყვიტოს ან შეიძლება არც გადაწყვიტოს და უბრალოდ რაღაც გარემოებებმა შექმნას ისეთი ნამუშევარი, რომელიც პოლიტიკურ რეალობას იქნება კავშირში, თუ მას ეს ანუხებს; თუ მას ეს არ ანუხებს, შეიძლება ვიღაცამ მაინც გამოიყენოს პოლიტიკური მიზნებისთვის.

თეო ხატიაშვილი: ეს კი ხშირად მაშინ ხდება, როდესაც ხელოვანი პოლიტიკურად ინდიფერენტულია.

დათო ალექსიძე: ანდერგრაუნდს გულისხმობ?

თეო ხატიაშვილი: არა, ანდერგრაუნდი სწორედაც რომ პოლიტიკური განაცხადია. საბჭოთა მემკვიდრეობა ახსენე და პოლიტიკისგან დისტანცირებაც ამის ინერცია მგონია; ხელოვანებისგან ხშირად მესმის, მე პოლიტიკისგან შორს ვარ, ეგ ბინძური სფეროა, მე ჩემს საქმეს – დიდ ხელოვნებას ვემსახურებ... საბჭოთა კავშირში ეს ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი იყო, ნონკონფორმიზმის გამოხატულება, რითიც შენთვის მიუღებელ, ერთადერთ იდეოლოგიას ემიჯნებოდი.

ლადო ბურდული: პოლიტიკამ უნდა შექმნას თავისუფალი სივრცე და არ უნდა აიძულოს შემოქმედი, პოლიტიზირებული გახდეს. მე მგონია, ბიძგები უფრო პოლიტიკოსებისგან მოდის, არტისტები რომ ჩაითრიონ პოლიტიკაში და თავისიანად აქციონ, ვიდრე შეუქმნან სივრცე, სადაც არტისტი თავისუფლად იმუშავებს. აქ თითქმის გმირობის ტოლფასია, დარჩე თავისუფალი. ჩვენთან ასეთი ალტერნატივა – თუ სააკაშვილი არ მოგწონს, მაშინ ოპოზიციას უნდა შეუერთდე. მე არც ერთი მაინტერესებს და არც მეორე. მინდა, მქონდეს ჩემი სამოძრაო სივრცე და ჩემმა მთავრობამ, რომელსაც ვირჩევ, შემიქმნას პირობები, სადაც შევძლებ ჩემი ხელოვნების რეალიზაციას და მერე უკვე ხალხი გადაწყვეტს, ეს კარგია თუ არა.

დათო ალექსიძე: შენ ამბობ, რომ თავისუფალი ხარ. მაგალითად, რომელიმე პარტია გიკვეთავს, ვთქვათ, კონცერტის მონაწილას და ამის სანაცვლოდ არაფერს გთხოვს. თანახმა იქნები თუ არა? ამითი პოლიტიკაში ერთვები? შენ ხომ შენს საქმეს აკეთებ უბრალოდ.

ლადო ბურდული: მთავრობას ჩემთვის არასდროს დაუკვეთავს და ვერაფერს გეტყვი ამაზე, ალბათ, ვახო უფრო გიპასუხებდა...

ვახო ბაბუნაშვილი: არა, რატომ? შენც გაგიკეთებია ჟვანისთვის... მე მგონი, ამ შემთხვევაში გულწრფელობა მთავარი.


ლადო ბურდული: ერთადერთხელ გავაკეთე ჟვანიას მხარდასაჭერი აქცია, როდესაც ის გადადგა თანამდებობიდან. ეს იყო ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა, ეს სულ სხვა რამეა, აქ პოლიტიკა არ არის.

თეო ხატიაშვილი: როგორ არ არის. სწორედ ეგ თქვა ვახომ. მთავარია, რამდენად გულწრფელად, შენი პრინციპების შესაბამისად აკეთებ ამას.

ვახო ბაბუნაშვილი: მაგალითად, ბობ დილანი გამოვიდა და კლინტონს დაუჭირა მხარი – მერე რა? თუ მე ვარ რესპუბლიკელი, იმ შემთხვევაში შეიძლება გამაღიზიანოს ბობ დილანის დემოკრატიზაციის დგომამ. თუ ხელოვანი ხარ, შენი ხელოვნებით გამოთქვამ სათქმელს და თუ გულწრფელი ხარ შენს პოლიტიკურ არჩევანში, ესეც ჩანს. თუ არ ხარ გულწრფელი – დღეს ერთთან ხარ, ხვალ მეორესთან, წმინდა მერკანტილური მოსაზრებით, იმიტომ, რომ კარგად იცხოვრო. მე ამაში ვხედავ პრობლემას. მნიშვნელობა არა აქვს პროფესიას.

ზურა ჯიშკარიანი: სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლებოდეს მოქალაქის დაცვით და იმ ბაზის შექმნით, რომლის საფუძველზეც, ხელოვანს საშუალება ექნება, დამოუკიდებლად იარსებოს და არ დასჭირდეს პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა. სახელმწიფო რა არის? – ეს არის რაღაც დიდი ორგანიზაცია, რომლის სამართავადაც საუკუნეების წინ შეიქმნა პოლიტიკა. დღემდე ის რჩება პატრიარქალურ, მამრების მიერ შექმნილ ორგანიზაციად, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს ონტოლოგიური სინყნარე – ანუ ყოველდღე სოციალური სტრუქტურები უნდა მოქმედებდეს და ჩვენ უნდა შეგვექმნას ილუზია, რომ ყველაფერი წყნარად და ნორმალურად არის. ხელოვნება ჩემთვის არის სამყაროს პირადი კვლევა და ხელოვანი თავისდაუნებურად პოლიტიკური ხდება მაშინ, როცა ეწინააღმდეგება ამ ონტოლოგიურ სინყნარეს ანუ სისტემის ყოველდღიურ კვლავნარმოებას. სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციას, მუდმივად სჭირდება PR, ამისთვის ის ეძებს კრეატიულ რეკლამას. ჩვენ შემთხვევაში, სახელმწიფო და პოლიტიკა იმდენად მძლავრია, რომ ყოველთვის ცდილობს პოპულარული სახეების მოზიდვას და ამით რეკლამირებას – აი, ხედავთ, ყველა ჩვენთანაა, ე.ი. ჩვენ რაღაც კარგსა და საინტერესოს ვაკეთებთ. რამდენადაც სახელმწიფოს როლს ვზრდით ჩვენს ცხოვრებაში, იმდენად სჭირდება სახელმწიფოს ეს რეკლამა, ეს სახეები და ეს სიმღერები. აბსურდულია, როდესაც ახალგაზრდა ბიჭებს სურთ კონცერტის გაკეთება და იმის გამო, რომ ფული იშოვონ, აუცილებლად რომელიმე საარჩევნო ნომერს უნდა დაუჭირონ მხარი.

ვახო ბაბუნაშვილი: მე ვერ ვხედავ საქართველოში მაგის აუცილებლობას და ეს შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, იმი-



ზურა ჯიშკარიანი

ყოველგვარი იდეოლოგია არის შიზოფრენია. შენ ხარ თავისუფალი ადამიანი, მით უმეტეს, თუ ხარ არტისტი, ერთხელ გაჩნდი ამხელა სამყაროში და იკვლევ მას. თუ მთელი ცხოვრება ხელმძღვანელობ ერთი იდეოლოგიით, ხდები რობოტი, იმიტომ, რომ არასდროს აღარ იცვლები.

ტომ, რომ დიდი ხანია, ამ ბიზნესში ვარ და ბევრ ახალგაზრდასაც ვიცნობ, რომელიც კონცერტის მოსაწყობად პოლიტიკურ პარტიებს არ მიმართავს. ისიც არ მესმის, რა უნდა შეგექმნას ხელისუფლებამ, რომ შენ შენი პროდუქტი გაყიდო?

ლადო ბურდული: უნდა შექმნას თავისუფალი სივრცე: არანაირად არ მუშაობს კლუბები, ვერ შეიქმნა პირობები საშუალო ბიზნესისთვის და ა.შ... ან მაგალითად, კულტურის სამინისტროში შემაქვს პროექტი, არ გადის. რატომ? როგორ შეიძლება ყოველთვის გადიოდეს მხოლოდ მათთან დაახლოებული პირების პროექტი და ჩემი არასდროს? იცვლებიან მინისტრები და არ იცვლება მათი დამოკიდებულება.

დათო ალექსიძე: თითქმის თვითონვე გაეცი პასუხი კითხვას – ეს დამოკიდებულია იმ ადამიანების ინტელექტზე და გემოვნებაზე, ვინც გადანყვეტილებას იღებს.

თეო ხატიაშვილი: ვარდების რევოლუციის შემდეგ ხშირად ამბობენ, რომ ე.წ. ნითელ ინტელიგენციას ახალი არტ-ელიტა ჩაენაცვლა, რომელიც ხელისუფლება ახალისებს; ზოგჯერ შეიძლება პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდებოდეს, მაგრამ გარანტირებული აქვს გრანტები, რომლითაც მოაწყობს ფესტივალს, გამოფენებს. ფესტივალები თავისთავად კარგია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ერთი ჯგუფის პრეროგატივა, კონკურენცია უნდა არსებობდეს.

დათო ალექსიძე: რა კონკურენციაზეა საუბარი, როდესაც ერთი ჯგუფი აწყობს გამოფენას ან კონცერტს და ის იწვევს მათ, ვისი მოწვევაც უნდა. ამის გამო, ვერანაირად ვერ ვიქნები ნაწყენი. ვილაც შეიძლება ნანტიში წავიდეს გამოფენაზე, მე, მაგალითად, ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოწყობილ

Open Up-ზე მარტივად შემომთავაზეს, – მოიტანე ნამუშევრებიო. აქ არანაირი პოლიტიკა არ ყოფილა.

თეო ხატიაშვილი: პოლიტიკა ხომ არ არის რაღაც ხისტი გამოსახულება, რომელიც პირდაპირ მოქმედებაში ვლინდება. გავიხსენოთ, როდის ჩატარდა ეს გამოფენა-აქცია, როდესაც ქალაქის ცენტრში საკნების მინი-ქალაქი მოეწყო, რის გამოც, გაჩნდა ეჭვი, რომ ეს იყო ყურადღების სხვაგან გადატანის მცდელობა. თავისთავად არც ამაში ვხედავ რაიმე საგანგაშოს, პირიქით, რაც მეტი შესაძლებლობა იქნება, რომ ამ ერთგვარი „პრეისტორიული ორდის“ მენტალიტეტიდან გამოვიდეთ და „გავხსნათ ტყინები“, მით უკეთესი; შესაძლოა, ამისთვის უა-



თეო ხატიაშვილი

ეს ჩვენი მხრიდან კონფორმიზმი არ ყოფილა, არამედ იყო კომპრომისი, რის შედეგადაც მოვახერხეთ ფესტივალის ჩატარება, რომელსაც, სამი წელია, „ექაჩავდით“. ვინც ამ კონცერტებზე მოვიდა, ძალიან კმაყოფილი იყო, მათ არც ახსოვთ „სტეფანე და სამი გოგოს“ გამოსვლა, მათ სხვა რაღაცები დაამახსოვრდათ.

მრავი იდეა მქონდეს, მაგრამ რამდენად შემოიძლია მე დღეს ამ ქვეყანაში მათი რეალიზება, ამაზეა ლაპარაკი.

ვახო ბაბუნაშვილი: ერთია იდეის ქონა, მეორე მათი განხორციელება და მერე მათი გაყიდვა. იდეის შეთავაზება და გაყიდვა ვილაცას კარგად გამოსდის, ვილაცას ვერა.

ზურა ჯიშკარიანი: ჰოლანდიაში რამდენიმე ტიპმა, და-არსა საზოგადოება „ტრანს არტისტს“. იშოვეს სხვადასხვა დამოუკიდებელი ფონდებიდან პატარ-პატარა თანხები, სახელმწიფომაც დააფინანსა და მუშაობენ. შენ შეგიძლია იქ იცხოვრო, ვთქვათ, ერთი წელი, შენი პროექტი განახორციელო, ამაში ფულს გიხდინან. სახელმწიფომ ეს ფული მისცა უანგაროდ, არა იმიტომ, რომ მხარი დაუჭირონ, არამედ იმიტომ, რომ მას სჭირდება, ჰქონდეს თანამედროვე ხელოვნება.

დათო ალექსიძე: და ეგ პოლიტიკა არ არის? სახელმწიფოს სჭირდება ჯეფ კუნსი და მსგავსი ხელოვნება.

ზურა ჯიშკარიანი: ჰო, მაგრამ ფულის მიცემა იქ არ არის იდეოლოგიური დავალება. თუ ადრე საქართველოში იყო კომუნისტური იდეოლოგია, ახლა პატრიოტულია.

ვახო ბაბუნაშვილი: აქ მე ფინანსურ ინტერესს უფრო ვხედავ. როცა ბრიტანეთმა დაინახა, რომ „ბითლზმა“ არა მხოლოდ თავისი მუსიკით შემოიტანა დიდი ფული ბიუჯეტში, არამედ გაიყიდა უამრავი ველვეტი, „შუზები“, რადგან მათ ეცვათ და ა.შ. სახელმწიფომ დაინახა, რომ ამით ფული კეთდება. მაგალითად, მანჩესტერში ჰქონდათ ასეთი პროგრამა: მიდიოდი მუნიციპალიტეტში, აკეთებდი განაცხადს, რომ ხარ მუსიკოსი. ისინი გაძლევდნენ საცხოვრებელს და ფულს მინიმალური არსებობისთვის, რომ ყოფით პრობლემებზე დრო არ დაგეკარგა; ოღონდ იმ პირობით, რომ წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაატარებდი კონცერტს, იმღერებდი კლუბებში, ჩანერდი ალბომს.

თეო ხატიაშვილი: ეს მაგალითი საპირისპირო არგუმენტაციისთვის უფრო გამოდგება, რომ საქართველოში საამისო ინფრასტრუქტურა არ იქმნება. დასავლეთში იმიტომ დებს სახელმწიფო ფულს, რომ მიხვდა – დღეს კულტურა ყველაზე კარგად იყიდება. ამაში, რასაკვირველია, არის იდეოლოგია, ოღონდ სულ სხვა მიმართულებით, ვიდრე ეს საქართველოშია. საქართველოში მიიღებს სრულიად უცნობი ახალგაზრდა ხელოვანი ასე უბრალოდ ფულს? ვალიაროთ, რომ არსებობს ხელოვანთა ჯგუფი, რომელიც პირდაპირ მიბმულია ხელისუფლებასთან. რითი დაიმსახურეს ეს?

ვახო ბაბუნაშვილი: კონფორმიზმით. როცა შეგიძლია შენი თავის, შენი რწმენის საწინააღმდეგოდ აკეთო...

დათო ალექსიძე: კიდევ ერთი ფაქტორი – რატომ ხდება ხელოვნება ოფიციალისთვის მისაღები: ხელოვნება მაინც რაღაც კლანურ ხასიათს ატარებს საქართველოში; ვინც ერთმანეთს იცნობს, ერთმანეთის ხელოვნება მათთვის მისაღებია და, თუ ისინი იტყვიან, რომ კარგია, მერე ითვლება, რომ კარგი ხელოვანია, რაც ალბათ მარტო საქართველოს პრობლემა არ არის.

ზურა ჯიშკარიანი: ასეთი ჯგუფები მართლაც ყველგან არიან, მაგრამ განსხვავება ჩვენსა და დასავლეთს შორის ისაა, რომ ისინი დამოუკიდებელი არტისტების არსებობას ხელს არ უშლიან, აქ კი ეს ჯგუფი იმპერატიულად წყვეტს, რა არის კარგი და რა ცუდი.

დათო ალექსიძე: არა, მაგას არა, არამედ რაში ჩავდებ ფულს და რაში არა. საქართველოში იმდენად მცირე არეალია, რომ ერთის წინსვლა ყოველთვის მეორეს უკუსვლას იწვევს. იყო ასეთი მხატვარი კაროვინი, რომელსაც ყველა ლანძღავდა, მასზე არც ერთი დადებითი რეცენზია არ

დანერილა, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს კაცი აფორმებდა სპექტაკლებს, ყიდა ნამუშევრებს, დამოუკიდებელი თეატრები ინვესტდენ და ცხოვრობდა მშვენივრად. ჩვენთან არ არის ბაზარი.

თეო ხატიაშვილი: მარტო ბაზარსაც ნუ დავაბრალებთ, სურვილიც არ არის და არა მარტო ხელისუფლების მხრიდან, ხელოვანის მხრიდანაც, რომ თუნდაც ეს ხელისუფლება, ან, უფრო მეტიც, საზოგადოება გააღიზიანოს, „უკბინოს“.

დათო ალექსიძე: მე არ „ვიკბინები“, როგორც ხელოვანი... მაპატიეთ, ჩემს თავზე რომ ვლაპარაკობ, მაგრამ ნახატები მეც შემომიტრიალეს, – გაიტანე დარბაზიდან, ოჯახთან ერთად ვერ შემოვსულვართ, გვრცხვენიანო. გენიტალიების ასეთი ფორმით დახატვა აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი და მიუღებელი საზოგადოებისთვის. თუმცა ამაში არანაირი პროვოკაცია არ ყოფილა, ვაკეთებდი სრულიად ბუნებრივად, მაგრამ სოციუმმა აღიქვა, როგორც სილის განვნა.

ვახო ბაბუნაშვილი: მცდელობები ყოველთვის არის, მაგალითად, რაღაცის შეცვლის ამბიცია გვქონდა, როცა დავაარსეთ ჟურნალი „ოზონი“, ვანყობდით პატარა კონცერტებს. ეს ამბიცია ჰქონდა ლადოსაც, ირაკლი ჩარკვიანს. სიმღერისთვის „შენ აფრენ“ ირაკლის ყველა დედას აგინებდა, დღეს რომ იკითხო, გეტყვიან, რომ მისი ძეგლი უნდა დაიდგას.

ლადო ბურდული: როცა ანდერგრაუნდის მშენებლობას ვინყებდით 80-იან წლებში ქიშო, დადა, მე და სხვები, მაშინაც იყო პრობლემა, როგორ გაგვეტანა და გაგვეყიდა, იმიტომ, რომ ძალიან სკანდალური იყო ჩვენი მუსიკა იმ დროისთვის. ირაკლი ჩარკვიანი აღმოჩნდა კარგი მთარგმნელი, რომელმაც ამ სკანდალებს შორის გაიარა და ამ ხალხს რაც უნდოდა, ის მიანოდა. რატომ წავიდა საქართველოდან ქიშო, დადა? რატომ მოიკლა ჯოზეფამ თავი? მთელი ამ ჯგუფიდან მარტო მე დავრჩი. ასე მარტივად და ლამაზად არ მომხდარა, შორიდან როგორც ჩანს. ჩვენი მუსიკა ძალიან ხისტი იყო თავის დროზე. მერე სხვებმა გაამსუბუქეს, გაასუფთავეს, რაღაცას მოარგეს. პრობლემა რაც მაშინ იყო, ისევ დარჩა, რომ ეს ქვეყანა გამხდარიყო უფრო ცივილიზებული, უფრო ლოიალური თანამედროვე ხელოვნებისადმი. ქვეყანა აკეთებს ისევ იმას, რასაც აკეთებდნენ კომუნისტები – ფოლკლორის, ხანჯლების, ლომის, საცივის... ამ სუვენირების გაყიდვას; ქვეყანას ეშინია თავისი თანამედროვე ხელოვნების, ამ ხალხის და ცდილობს, მაქსიმალურად არ გამოჩნდნენ ისინი, რადგან რაღაც დონეზე ამან პროტესტი, სხვა იმპულსები არ გამოიწვიოს. ამიტომ ურჩევნიათ პრილა, გაქლიბული ურთიერთობები. შემოქმედებას ეს ლუპავს. ახალგაზრდობა დღეს ხედავს მხოლოდ იმ ადამიანებს, ვინც სიტუაციას მოერგო; ყველამ ჩაიგდო „საკაიფო“ თანამედროვეები, „საკაიფო“ გრანტები, „საკაიფო პონტები“... ის, ვინც ცდილობს, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, შექმნას რაღაც, რაც თუნდაც მიუღებელია, ასეთი ხალხი თითზე ჩამოსათვლეღია, ჩემი ჩათვლით. ასეთი კიდევ კოტე ყუბანეშივილი ვიცი... დანარჩენი ან მოკვდა, ან წავიდა. ანუ ქვეყანა კი

არ ცდილობს, ხელი შეუწყოს ასეთ ტიპებს, აქციოს რაღაც ძალად, რომ ამან მერე კულტურაში ნაღდი პროცესები გამოიწვიოს, არამედ არჩევს ქლესა ტიპებს და შენ უკვე ძალა აღარ გყოფნის, ამ ყველაფერს გაუთავებლად შეენინაღმდეგო. მე ვერ ვხედავ, რომ სისტემა, რაც კომუნისტებმა შექმნეს, შეიცვალა. დღეს კულტურას იყენებენ...

თეო ხატიაშვილი: მაშინაც იყენებდნენ.

ლადო ბურდული: მაშინ კომუნისტები პრომოუშენს მაინც უკეთებდნენ: თუნდაც მწერალთა კავშირები, კომპოზიტორთა სახლები. საქართველოში მწერალი სად არის, ეგ კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ ვიღაცები ხომ დღესაც ჩხუბობენ, – მწერალთა სახლი დაგვიბრუნეთო. ხელისუფლებაში არ არიან ნაღდი ტიპები და ამიტომ ვერ ხედავენ ნაღდს კულტურაშიც; როცა არ გაგვიღია რაღაც გზა და პირდაპირ გენერალი გახდი, ვერასდროს დაინახავ, რა ხდება ქვევით.

ვახო ბაბუნაშვილი: ცოტა ვერ ვხვდები, რაზეა დისკუსია და რაზე ვნუნუნებთ – ფული გვინდა ბევრი? პირობები გვინდა?

დათო ალექსიძე: პირობები გვინდა, რომ ვიმუშაოთ.

ვახო ბაბუნაშვილი: და ვინ უნდა შექმნას, ხელისუფლებამ?

ზურა ჯიშკარიანი: ხელისუფლება, ამ მხრივ, არაფერ შუაშია. ის თუ საერთოდ არ ჩაერევა კულტურულ პროცესებში, უკეთესია. ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობა იმაშიც გამოიხატება, რომ არ შეუშალოს დამოუკიდებელ არტისტებს ხელი.

დათო ალექსიძე: ჩემს თავს შეიძლება ვუნოდო „ინდ-მენარმე“. 43 წლის ვარ და არასდროს არავისთვის მიმომართავს დასაფინანსებლად, იმიტომ, რომ ვიცოდი, ამას მოჰყვებოდა გარიგებები. ერთადერთხელ მომინდა გამეკეთებინა ნამუშევარი, ქანდაკება, რომელსაც ჩემი სახსრებით ვერ გავაკეთებდი, ფული სჭირდებოდა. მერე ამ იდეამ მიიღო გრაფიკული სახე, მაგრამ ფული რომც მეშოვა და ქანდაკება გამეკეთებინა, ისიც არ ვიცი, სად უნდა წამეღო – სახლში ვერ დავდგამდი, მოთხოვნილება კი არ არის.

თეო ხატიაშვილი: თბილისის ცენტრში დგას ალბათ ყველაზე უფრო ოდიოზური ქანდაკება, რომელიც გაკეთდა არა რამდენიმე საუკუნის წინ, არამედ რამდენიმე წლის წინ. ვთქვიო, ხელისუფლება არაფერ შუაში არ არისო – არ არის ეს სახელმწიფო პოლიტიკა? არ არის ის ვალდებული, წახალისოს თანამედროვე ხელოვნება, ამ შემთხვევაში ქანდაკება და არა არქაული, ფსევდომონუმენტური ფორმები? სად წარმოგიდგენიათ დაიდგას დღეს წმინდა გიორგის მონუმენტი ასეთი სახით, რუსეთის გარდა?

>>> ბაბრქილია ბპ. 110

URBAN REACTOR
ქვემოთ ლაღი
www.ureactor.blogspot.com



22-30 ივნისს სევილიაში UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სხდომა საქართველოსთვის არასასიამოვნო სიურპრიზით დასრულდა. მცხეთის ისტორიული ძეგლები, რომლებიც გელათის სამონასტრო კომპლექსთან, ბაგრატიის ტაძართან და ზემო სვანეთთან ერთად, უკვე თხუთმეტი წელია, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებად ირიცხება, საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის საგანგებო ნუსხაში შეიტანეს.

ქართული საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც კონვენცია წევრ ქვეყანას აკისრებს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მუდმივმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა ეს თემა ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად უკანა პლანზე გადასწია. ჩვეულებისამებრ, საკითხი „მონოპოლიზებულ“ იქნა ცალკეული ექსპერტების მიერ და საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა უხმაუროდ განვლო უკვე თხუთმეტმა წელიწადმა.

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის დასკვნების მიხედვით, ამ ხნის მანძილზე საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის და კონკრეტულად მცხეთის ისტორიული ძეგლების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. ძირითად მიზეზებად არასათანადო მართვა, სახელმძღვანელო დოკუმენტების არარსებობა და, აქედან გამომდინარე, შეუსაბამო ჩარევები სახელდება. ეს მაშინ, როცა UNESCO-ს ექსპერტების მონაწილეობით და საერთაშორისო დაფინანსებით, დიდი ხანია, შექმნილია „მცხეთის მემკვიდრეობის და ტურიზმის გენერალური გეგმა“, რომლის ოფიციალურ სამოქმედო დოკუმენტად დამტკიცებას ამაოდ ითხოვს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი ბოლო ექვსი წლის მანძილზე.

კომიტეტის დასკვნები და მოთხოვნები გამომდინარეობს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის ფუნდამენტური დებულებებიდან, რომლის უპირველესი მიზანია, გამოავლინოს, დაიცვას და მომავალ თაობებს გადასცეს განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებში იგულისხმება არა მარტო კონკრეტული არქიტექტურული ანსამბლები ან არქეოლოგიური მონაპოვარი, არამედ ისტორიული ქალაქები და დასახლებები, ტექნოლოგიისა და მეცნიერების მიღწევები და კულტურული ლანდშაფტები. ამიტომაც იტევს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა როგორც პართენონსა და პირამიდებს, ასევე ნორვეგიიდან უკრაინამდე გადაჭიმულ სტრუვეს გეოდეზიურ მრუდს, ფილიპინებზე იფუგაოს ბრინჯის პლანტაციების ტრადიციულ ტერასებს და რვაასზე მეტ სხვა ღირსშესანიშნავ ადგილს.

კონვენცია მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა „შეიმუშაონ და დაამტკიცონ ეროვნული პოლიტიკა, რომელიც კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას საზოგადოების ცხოვრების ფუნქციურ ნაწილად აქცევს“, შექმნან შესაბამისი საკანონმდებლო, სამეცნიერო, ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური გარემო; დააფუძნონ ეროვნული და რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრები და აღკვეთონ ნებისმიერი ქმედება, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს მიაყენებს მემკვიდრეობას.

კონვენციის სამოქმედო პრინციპები განმარტავს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისთვის შესაბამისი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ძეგლთა დაცვის სისტემის დეცენტრალიზება, განვითარებისა და კონსერვაციის ჰარმონიული პოლიტიკის შემუშავება, გრანტებისა და საგადასახადო შეღავათების მეშვეობით კერძო მესაკუთრეების წახალისება, ცვლილებების კონტროლი, ფართო საზოგადოების ინფორმირება და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ძეგლების მართვის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ეს ყველაფერი თანაბრად ეხება საქართველოს, როგორც კონვენციის წევრ ქვეყანას, რომ აღარაფერი ვთქვათ სპეციალურად საქართველოსათვის განკუთვნილ კონკრეტულ მითითებებსა და რეკომენდაციებზე. მაგრამ, მოდით, დროებით დავივიწყოთ საერთაშორისო რეგულირება და დავფიქრდეთ, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს ეროვნულ დონეზე ჩვენი მემკვიდრეობის მიმართ.

ქართული საზოგადოებისთვის ისტორიული ძეგლები უმეტესად სასკოლო ექსკურსიებთან და შაბათ-კვირის პიკნიკებთან ასოცირდება. ბუნების ნიაღში, თვალწარმტაც ხეობაში მიმალული ტაძარი, იქვე ჩეროში გაშლილი სუფრა და წყაროში ჩაციებული ღვინო კულტურული მემკვიდრეობის ქართული გაგების ყველაზე რეალური გამოხატულებაა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეკლესია, და არა სხვა რამ, არის ისტორიული მემკვიდრეობის პოპულარული სიმბოლო. ეს არცთუ უსაფუძვლოა, რადგან ქვეყნის ისტორიული განვითარების პროცესში ეროვნული იდენტობა და მართლმადიდებლობა მჭიდროდ ჩაენწა ერთმანეთს; იმდენად მჭიდროდ, რომ დღეს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია არის ქვეყნის მოძრავი და უძრავი ეროვნული საგანძურის აბსოლუტური უმრავლესობის

იურიდიული მფლობელი. მათ შორის, ყველა მოქმედი და არამოქმედი ეკლესია-მონასტრის, მათი ნანგრევების და მიწის ნაკვეთების, რომლებზედაც ისინია განლაგებული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როგორც მფლობელს, სწორედ ეკლესიას აკისრია ამ ძეგლების დაცვისა და მოვლა-პატრონობის უპირველესი მოვალეობა.

ეს დეტალები უადგილო იქნებოდა, რომ არა ჩვენი საამაყო ისტორიული მემკვიდრეობის სავალალო მდგომარეობა, რისი დასტურიც სვეტიცხოვლის, ჯვრის, სამთავროს ტაძრებისა და ბაგინეთის არქეოლოგიური ნაშთების საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში შეტანაა.

სამწუხაროდ, მხოლოდ UNESCO-ს დასკვნებიდან არის შესაძლებელი იმ ფაქტების დადგენა, რის გამოც, მცხეთა ასეთ არასახარბიელო ნუსხაში მოხვდა. პროფესიონალები დუმილს ამჯობინებენ, სახელმწიფო ორგანოები თავს იმართლებენ, საზოგადოების უმრავლესობა კი „ივერიის გაბრწყინებას“ ელის. ჰოდა, საიდან ეცოდინება რიგით მოქალაქეს, რომ, ეკლესიის მესვეურთა ინიციატივით, სვეტიცხოვლის სამრეკლოს შემორჩენილი ნაშთები მიზანმიმართულად დანგრეეს ახალი სამრეკლოს აშენების მიზნით? რომ ეკლესიის ადმინისტრაციამ აბსოლუტურად დაუშვებელი ახალმშენებლობები წამოიწყო ტაძრის ეზოში? რომ მაშინ, როცა მღვდელმთავარნი და მათი მადლიანი ინკოგნიტო დონორები ახალი იატაკის დაგებაზე ზრუნავენ, სვეტიცხოვლის ფრესკები განადგურების პირასაა? რომ მცირე ჯვრის ტაძარი ლამის თავიდან ააშენეს ღვანღმოსილმა კონსერვაციის სპეციალისტებმა? რომ ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის ესოდენ ამბიციური იდეა ისტორიული ძეგლის გაუგონარი ხელყოფაა და ა.შ?

ამ ყველაფრის ფონზე, განსაკუთრებით მტკივნეულია ეკლესიის წარმომადგენელთა თვითკმაყოფილი პოზიცია: „ეკლესია არ არის ჩვეულებრივი მესაკუთრე, რადგან „ეკლესიაში არიან და იყენენ თავისი დროის ყველაზე განსწავლული ადამიანები“ და ამიტომ ეკლესია „უფლებამოსილია, განსაჯოს ისტორიული ძეგლების კონსერვაციის მეთოდოლოგიური საკითხები“. გასაკვირია, რომ „განსწავლულ“ მწყემსმთავართა ინიციატივები რატომღაც მხოლოდ ისტორიულ ეკლესია-მონასტრებზე მიშენება-დაშენებით შემოიფარგლება და ავთენტური ორიგინალის განადგურებით, დამახინჯებით და ხელყოფით მთავრდება.

ფინანსების ნაკლებობა – ტრადიციული მიზეზია, რითაც არა მარტო ეკლესია, არამედ სახელმწიფოც თავის გამართლებას ცდილობს. ისტორიული ნაგებობების პროფესიონალური შესწავლა და სათანადო საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება შრომტევადი, ძვირი და ხანგრძლივი პროცესია, ამიტომაც ამჯობინებენ თვითნებურ იმპროვიზაციას; მით უმეტეს, რომ შედეგის საზეიმო დემონსტრაცია უმეტესად კონსერვაციის ნორმების შესახებ არასაკმარისად ინფორმირებული საზოგადოების წინაშე ხდება.

პარადოქსია, რომ „ფინანსების სიმწირის“ მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით ახალი ეკლესია-მონასტრების ჯერ არნახული მშენებლობაა გაჩაღებული. საინტერესოა, თუკი მადლიერი მრევლი სოლიდურ შესანიშნავს არ იშურებს ახალი ტაძრების მშენებლობისა და ოქრო-ვერცხლით შესამკობად, განა უარს იტყოდნენ ჩვენი ეროვნული საგანძურის გადასარჩენად გაეღოთ თანხა? ან, თუკი მოიძებნება

კარადოქსია, რომ „ფინანსების სიზმირის“ მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით ახალი ექლასია-მონასტრების ჯერ არანახული მშენებლობაა გაჩაღებული. საინტერესოა, თუკი მადლიერი მრავლი სოლიდურ მშენებარს არ იმუარებს ახალი ტაძრების მშენებლობისა და ოქრო-ვერცხლით მსაშობად, ბანა უარს იტყობდნენ ჩვენი ეროვნული საბანძურის გადასარჩენად გაელოთ თანხა?

ფინანსები სვეტიცხოვლის ეზოში არქეოლოგიურ ნაშთებზე ბეტონის გადასასხმელად, რატომ არ შეიძლება რომ იგივე თანხები იმავე არქეოლოგიური ნაშთების შენახვას, მოვლას და მოსახლეობისათვის საკეთილდღეოდ გამოყენებას მოხმარდეს?

როგორც ცნობილია, ფინანსების ნაკლებობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიუჯეტის პრიორიტეტულად და მიზანმიმართულად გამოყენება. ამ ლოგიკის მიხედვით, ეკლესია, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მინათმფლობელი და ამასთან ერის იდეოლოგიური მოძღვარია, გაცილებით დიდ პრიორიტეტს ანიჭებს საეკლესიო პირთათვის ამქვეყნიური კომფორტის შექმნას, ვიდრე მათი მრევლისათვის და მომავალი თაობებისათვის სულიერი საზრდოს მიწოდებას, მათთვის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაცნობას და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვას.

ქართული საზოგადოების რელიგიური სულისკვეთებით განმსჭვალულ უმრავლესობას, ვგონებ, სჯერა, რომ „მცხეთა საპატრიარქოს წიაღში იშვა“ და მკრეხელობად მიაჩნია რელიგიურ პირთა კომპეტენციაში ეჭვის შეტანა. შესაბამისად, მათთვის არ აქვს მნიშვნელობა სვეტიცხოვლის კედლებზე შუა საუკუნეების ფრესკები იქნება თუ რომელიმე თანამედროვე ხატმწერის მიერ შექმნილი ასლი. მათ ავიწყდებათ, რომ მხოლოდ ისტორიული ძეგლების ავთენტური, დახავსებული ქვები, გაცრეცილი ფრესკები და ძლივსშესამჩნევი წარწერები ამტკიცებს ობიექტურად და მიკერძოების გარეშე ქართული კულტურის, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილის ასაკს და მნიშვნელობას და მონიშნავს მისი წარმოშობის ტერიტორიას და გავლენის სივრცეს.

ჩვენგან განსხვავებით, მსოფლიო საზოგადოებამ კარგად იცის ისტორიული ძეგლების ფასი და მნიშვნელობა. ჰოდა, ნუ გაგვიკვირდება, როცა მცხეთასთან ერთად საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში მალე „ახლად გარემონტებული“ ბაგრატი, გელათი ან ზემო სვანეთის ჯერ კიდევ თვალწარმტაცი კოშკები მოხვდება. მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძური ქართული ძეგლების გარეშეც არ დაკარგავს თავის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. ის კი დასაფიქრებელია, რას დავკარგავთ ჩვენ – ქართული საზოგადოება, თუკი ხმას არ ავიმაღლებთ ჩვენი ისტორიული ძეგლების გადასარჩენად; ან, თუკი ჩვენი ისტორიული ძეგლების გადარჩენას მხოლოდ „უფლის ნებას“ მივანდობთ.



**გიორგი ბ.
ლუსტრაცია**
www.tavisupleba.org



ამას წინათ „საკნის“ ერთ-ერთ გადაცემაში ითქვა, – ჩვენთან საბჭოთა სინამდვილე დღემდე არ გაანალიზებულა და ჩვენ არ ვიცით, რა ფენომენია საბჭოთა ადამიანიო. მაგრამ, ცოტა ხანში ამის მთქმელი საბჭოთა სოციალური სისტემის ისეთ აპოლოგიას მოჰყვა, ისეთი ჭეშმარიტი და პატიოსანი კომუნისტები გაიხსენა, კაცი იფიქრებდა, ეს იდეა (კომუნიზმის იდეა) არც ისე ცუდი ყოფილა, რაკი ზოგიერთი ადამიანი ასე ერთგულად ემსახურებოდა, არც ისე ცუდი ყოფილა, რადგან მაშინ ცენზი და სოციალური გარანტიები არსებობდაო და ა.შ.

დაეფიქრდი.

რატომ ლაპარაკობენ ეს ადამიანები ისეთ რამეს, რასაც მათგან საერთოდ არ ველოდი? რატომ ამოუშვეს მათ ჯიანი საკანში? რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ისინი „საკანში“ დასხდნენ და ხელისუფლებას გარკვეული განწყობის მაყურებლის წინაშე „საქმე გაურჩიეს“?

საკანი თითქოს მოფიქრებულია როგორც პროტესტის სიმბოლური ფორმა, როგორც გამოხატულება იმისა, რომ ადამიანები თავისუფლად ვერ გრძნობენ თავს, დატყვევებულები არიან დღევანდელი ხელისუფლების, როგორც ისინი თვლიან, რეპრესიული რეჟიმის მიერ. მაგრამ თუ საკანში (და საკნებში) მიმდინარე საუბრებსა და მოვლენებს დავუკვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ აქ სხვა იდეამ ჰპოვა ხორცშესხმა: საკანი №5 არის გამოხატულება ნოსტალგიისა იმ დროზე, როცა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა (შევარდნაძისდროინდელი) ხელისუფლების პირობებში არსებობდა კიდეც ერთი, საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული ხელისუფლება – კანონიერი ქურდების ხელისუფლება. ეს ინსტიტუტი, როგორც ვიცით, სტალინის დროს შეიქმნა, როცა მილიონობით ადამიანი ერთბაშად ციხეებში გამოამწყვდიეს და ამის გამო პატიმრების კონტროლი გაუჭირდათ. მაშინ ერთგვარი გამოსავალი იპოვეს და თვით პატიმრებში გამოიხატეს ისეთები, რომლებსაც სხვა პატიმრების მწყემსვა დაავალეს, ასე ვთქვათ, „კანონის“ ფარგლებში და გარკვეული პრივილეგიების საფასურად. ჰოდა, რაც დრო გავიდა, გამოვიდნენ ეს კანონიერი ქურდები ხელისუფლების კონტროლიდან, დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდნენ, სახელიც მოირგეს და ავტორიტეტიც, საკავშირო ქსელიც შექმნეს და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც აწყობდნენ საერთო შეხვედრებს, სიტუაციის უკეთეს სამართავად. ახლა ვიკითხოთ, რა განწყობაზე იქნებიან ის ადამიანები, ვინც კანონიერი ქურდების კლანს ეკუთვნოდა ან ამ კლანში განვევრიანებას ესწრაფოდა და ვისაც დღევან-

დელმა ხელისუფლებამ, რბილად რომ ვთქვათ, ფრთები შეუკვეცა? მათი რაოდენობა ხომ არც ისე მცირეა.

და აი, რა აღმოვაჩინე მაშინვე, როგორც კი გადაცემა „საკანი №5“ გაჩნდა: საკნის იდეის ავტორი სწორედ ამ მენტალიტეტის მატარებელი ადამიანია და ამის უტყუარი საბუთებიც მრავლად ჩნდებოდა ეთერში ყოველი ახალი გადაცემის გასვლისას. ერთ-ერთ ადრეულ გადაცემაში გია გაჩეჩილაძე ამბობს (ფანჯარაში იხედება): „ვა, უბანს ძინავს. მე არ მძინავს და უბანს რატომ უნდა ეძინოს?“ მერე, როცა პირდაპირი ეთერის ვრცელ მონაკვეთებს იმეორებდნენ, ეს ადგილი ამოჭრეს, ანუ, ისე გამოვიდა, რომ მთელი ეს სცენა შეალამაზეს, იგრძნეს, რომ ავტორ-ნამყვანმა რაღაც მიჰქარა და უბრალოდ „შეკრიჭეს“. საინტერესოა, ამგვარი ჟურნალისტიკისთვის მიანიჭეს „მასტროს“ დამფუძნებელს რამდენიმე დღის წინ „ოქროს ფრთა“?

საზოგადო „მოღვაწეებს“ რაც შეეხება, შევნიშნე ის, რომ საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლები – თეატრალური რეჟისორები და მსახიობები, მწერლები, პოლიტიკოსები... – თითქოს ყოველდღიურ პატაკს აბარებენ დღევანდელი საქართველოს მთავარ კანონიერ ქურდს, ერთგულებას ფეციბიან. აქაოდა, თუკი აღდგა ის, რაც ადრე იყო, თქვენს ერთგულ ყმებად გვიგულეო. ფაქტები თუ გინდათ, აი ერთ-ერთი: რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი ამბობს შემდეგ: „ვილაცის (იგულისხმება რომელიმე ცნობილი ინტელიგენტის) შვილი ადრე რომ დაეჭირათ, ავიღებდი ყურმილს, დაეფურკავდი კახა თარგამაძეს და იმ წუთას გამოუშვებდნენ. ახლა რომ დაეფურკე ვილაცის დაკავებული შვილის გამოსაშვებად, ვანო მერაბიშვილმა მკითხა, – რა ჩაიბნაო. ეს არის საქმე?“ ეს რას ნიშნავს, რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი საკუთარი პირით ამბობს, რომ იგი ხელოვანთა შორის ავტორიტეტი იყო, ანუ კანონიერი რეჟისორი? ასე მივიჩნით?

აღნიშნული გადაცემის ნახვის მერე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დღეს მართლაც სერიოზული ბრძოლა მიდის სწორედ სისტემის წინააღმდეგ, კერძოდ, კანონიერი ქურდობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელიც ასე გამჯდარი ყოფილა ნომენკლატურულ საზოგადოებაში – მწერლებში, მწერალთა კავშირში რომ ითხოვდნენ ღირსებებსა და პრივილეგიებს, რეჟისორებში, უცვლელად რომ ხელმძღვანელობდნენ თეატრალურ დასებს ხელისუფლებისადმი ლოიალობის პრინციპით, პოლიტიკოსებში, მთავრობასა და პარლამენტში რომ იყვნენ მოკალათებულნი და ერთადერთი, რაც მოქმედების თავისუფლების სანაცვლოდ მოეთხოვებოდათ, შევარდნაძის მხარდაჭერა იყო.

შოდა, აი ჩემი რეზიუმეც: საკან №5-ში იკრიბებიან ადამიანები, რომელთაც დღეს ხელისუფლების მხრიდან ავტორიტეტებად აღიარება აკლიათ, რომელთაც უთხრეს, თქვენს პროფესიულ ასპარეზზე თავი ჩვენგან მონიჭებული ჩინ-მედლების გარეშე, თქვენი ნიჭით გამოიჩინეთ და ირჩინეთო. ამას კი ისინი ჩვეულნი არ არიან და ამის გამო, დღეს განაწყენებულთა რიგებში „ჯდომბა“ ურჩევნიათ („გაღიებში ბუღბუღები ზიან“). ავტორიტეტობანა აუტყდათ. ეგ არის და ეგ.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ლუსტრაცია, რომლის განხორციელების დაწყებაც ხელისუფლებამ ვერა და ვერ გაბედა, საზოგადოებაში თავისთავად დაიწყო. აქედანაა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის კრიტიკაც (რომლის ხსენებისას რატომღაც სიტყვა „საბჭოთა“ ამოვარდება ხოლმე – აქ ფროიდი უნდა მოვიშველიოთ ალბათ), მუზეუმისა, რომლის დაარსებამაც თავის დროზე პუტინი გაანინმატა და ეს ფაქტი ქართული ხელისუფლების შეცდომად შეაფასა.

ხომ არ შეიძლება აქ იმაზე ვილაპარაკოთ, რომ, პიროვნული თავმდაბლობის გარეშე, მაღალინტელექტუალურ ავტორიტეტად აღიარებისკენ სწრაფვა, სწრაფვა იმისკენ, რომ იყო „ელიტა, რომელსაც სიტყვა ეთქმის“ დიდად არ განსხვავდება საბჭოურ-ნომენკლატურული ქურდულ ავტორიტეტად დამკვიდრებისკენ სწრაფვისაგან? კანონიერი ქურდებიც ხომ სინამდვილეში ინტელექტუალები და ნომენკლატურის წარმომადგენლები იყვნენ? ხომ არ შეიძლება, საბოლოო ჯამში, ვილაპარაკოთ თვითკრიტიკის ნაკლებობაზე, იმის უუნარობაზე, რომ შენი ინტელექტუალობა ხელისუფლების მიერ ავტორიტეტად აღიარების წყურვილს არ გადააყოლო?



ჯონი

ავტორი: ლევან ბარძენიშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ჯალღასტანიშვილი

დიდმა რუსმა რეფორმატორმა სტოლიპინმა, რა თქმა უნდა, რუსეთისთვის მუდმივად სასიცოცხლო და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სასჯელალსრულების სისტემასაც არ მოაკლო თავისი მზრუნველობა და პატიმართა ციხეებში ეტაპირების საკუთარი სისტემა შემოიღო, რომელსაც ბარიერს იქით მყოფმა ადამიანებმა მისი სახელი დაარქვეს. სტოლიპინის მიხედვით შეიქმნა დამაგროველი განყოფილებები საეტაპო ციხეებში, სადაც თვეობით იკრიბებოდა ერთი მიმართულებით გასაგზავნი პატიმრები და როდესაც მათი რიცხვი სათანადო რაოდენობის ვაგონების გასაგზავნად (საბჭოთა დროში გადასაგზავნად) საკმარისი იყო, ეტაპირების შემდეგი სტადია ხორციელდებოდა. ასე გავიარეთ მე და ჩემმა ძმამ როსტოვის, რიაზანის და პოტმის ციხეები და თვენახევარი მოგზაურობის შემდეგ ჩავალწიეთ მორდოვეთში, ბარაშევოს დასახლებაში.

ზონაში რომ შევედით, პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ეს არ არის ზონა, ეს რაღაც სტოლიპინისეული რეფორმის შემადგენელი საშუალებო ნაწილია. ასე იმიტომ ვიფიქრე, რომ ეზოში დავინახე რამდენიმე ხე და, რაც მთავარია, პატარა ბაღი, რომელშიც ვარდები ხარობდა. ვარდები ჩემს წარმოდგენაში ვერაფრით უკავშირდებოდა პოლიტიკურ ბანაკს, ან, საერთოდ, ბანაკს, თუ იგი პიონერთა ბანაკი არ იყო. ვარდებთან იდგა რამდენიმე პატიმარი – დამხვედრი კომისია. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქერა ახალგაზრდამ, რომელსაც თითქოსდა სლავური იერი კი ჰქონდა, მაგრამ გამოცდილი თვალი ამ იერით არ ტყუევდებოდა, აშკარად ჩანდა, ქართველი იყო.

ჯონი, ზაქარია კონსტანტინეს ძე ლაშქარაშვილი, 1954 წლის 12 აგვისტოს კასპის რაიონის სოფელ დოესში დაბადებული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი,

საშუალო-ტექნიკური განათლების მქონე თბილისელი ტაქსის მძღოლი იყო. ეს გახლავთ უნიკალური მოვლენა არა მხოლოდ საქართველოს ან თუნდაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. ფრანგული წინააღმდეგობის გარდა, ტაქსისტი დისიდენტებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტების შესახებ რაიმე ინფორმაცია არ მოიპოვება. საბჭოთა ტაქსისტების დიდი ნაწილი (ყველა თუ არა), პირიქით, ორგანოებთან თანამშრომლობაში იყო შემჩნეული. ზაქარია ლაშქარაშვილმა ღრმა იატაკქვეშეთში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია – „სეგო“ შექმნა და პატრიოტული საუბრებით ტაქსში ჩამსხდარი კლიენტების ორგანიზაციაში განვერიანების რთულ და სახიფათო საქმეს შეუდგა. 1983 წელს შეგარდნაძეს ძალიან სჭირდებოდა რუსეთისთვის თავისი მორჩილების დამტკიცება და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მომიზეზებით მთელს ქვეყანაში მამაბლური კამპანია გააჩაღა. გადაიღეს სათანადო ფილმები, დაიდგა შესაბამისი სპექტაკლები, დაინერა ლექსები, პოემები, მოთხრობები და რომანები, დაიხატა ფანქრით, ზეთით, პასტელით, მოკლედ, კოლონიური მორჩილების ასი შესაძლებელი სიგნალიდან მოსკოვს ასოცი გაუგზავნეს. ქვეყანა მაშინ ღრმა ეკონომიკურ კრიზისში შედიოდა: ხორცის და კარაქის ტალონებს მალე სრულიად ეგზოტიკური ლობიოს ტალონებიც დაემატა. სწორედ ლობიოს ტალონები მიაკრა ზაქარია ლაშქარაშვილის იდეის შესაბამისად „სეგომ“, ტრაქტატის წლისთავის აღნიშვნისადმი პროტესტის ნიშნად, ქართლის დედის ქანდაკებას. 1983 წლის 13 ივლისს „სეგო“

სილაგაზა ბენის განსაკუთრებული სახეობაა, რადგან გაზაზა არ სჭირდება, – და მერა თავის შორეულ პიტარში უფრო ღრმად მიდიოდა, ხან თანამოქალაქე კუშკინის სიჭირბაზს ახდენდა, – ბენი და ბორბაზა შეუთავსებელია, – ხან სხვა არანაკლებ სახელბანთქმულ თანამოქალაქეს იმონებდა, – სილაგაზა იხსნის მსოფლიოს.


აღმოაჩინეს, მისი წევრები დააბატი-მრეს და მკაცრადც დასაჯეს: ხელ-მძღვანელს, ზაქარია ლაშქარაშვილს – 5 წელი მკაცრი რეჟიმის კოლონია და 2 წელი გადასახლება, ხოლო მის თანამოსაქმეებს, ლვინიაშვილს და ობ-გაიძეს 4-4 წელი მიუსაჯეს.

ჯონი, როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთი საუკეთესო ტაქსისტი ყოფი-ლა თბილისის ისტორიაში. მე მისი ტაქსისტობა არ მინახავს, მხოლოდ მომისმენია, მაგრამ სრული პასუხის-მგებლობით შემოძლია ვთქვა, რომ პირადად მე ჩემი ხანგრძლივი სამომხ-მარებლო პრაქტიკის განმავლობაში (მანქანა გვიან შევიძინე და ოცი წლის მანძილზე, ტაქსის გარდა, არც ერთ ტრანსპორტს არ ვცნობდი) არასოდეს არ შემხვედრია თბილისის გეოგრაფია-სა და ტოპონიმოკაში ასე გარკვეული მძლოლი. ჯონიმ, მაგალითად, არა

მხოლოდ ის იცოდა, რომ ჩემი „მმო-ბლიური“ (ბრჭყალებში იმიტომ ვსვამ, რომ ბათუმელ კაცს ვინმემ ძირძველი თბილისელობის პრეტენზია არ მომა-წეროს) ვეძინის ქუჩიდან სამანქანო გადასასვლელი არსებობს კოტე მეს-ხის ქუჩაზე, არამედ ისიც კი, რომ ამ ორ ქუჩას ვინრო გასასვლელიც აკა-ვშირებს, უფრო სწორად ორი ვინრო გასასვლელი, ერთი ცოტა ქვემოთ და მეორე ზედ ჩემი სახლიდან ოციოდე მეტრით ქვემოთ. ჩემი მისამართი ჯო-ნიმ, როგორც ჭეშმარიტმა ტაქსისტმა, შორეულ მორდოვეთში ასე აღწერა: ვეძინის 17 – ეს არის სახლი მთანმინ-დაზე, არსენას მიდამოებში, ვეძინის ქუჩისა და ვეძინის მეოთხე გასასვლე-ლის გადაკვეთაზე, ზედ ამ სახლთან მთავრდება ასფალტი და მის შემდეგ ვეძინის ქუჩაც და ვეძინის მეოთხე გასასვლელიც ცუდად დაგებული ქვა-

ფენილით გრძელდება. ასფალტი რომ ჩემს სახლთან მთავრდებოდა, პირვე-ლად მაშინ გავიგე, ადრე ამ ამბავს არ დავეკვირვებოვარ.

ჯონი გეოგრაფად იყო დაბადებული. თბილისი არ იყო მისი გეოგრაფიული მიდრეკილებების ერთადერთი საზრუ-ნავი და საფიქრალი. ზეპირად იცოდა ნებისმიერი ქვეყნის როგორც ფიზი-კური, ისე ეკონომიკური გეოგრაფია. ტაქსისტის დონეზე იცოდა მსოფლიოს დიდი ქალაქები, შეეძლო მრავალსაა-თიანი მოხსენება წაეკითხა პარიზის, ლონდონის ან ნიუ-იორკის ცალმხრივ ქუჩებზე, საავტომობილო მარშრუ-ტებზე და სამგზავრო შეზღუდვებზე. ისეთი ცნობილი ავტორიტეტები, რო-გორებიც იყვნენ ყოვლისმცოდნე მა-თემატიკოსი ვადიმ იანკოვი და ასევე უნივერსალური გიორგი ხომიზური, ხშირად მიმართავდნენ ჯონის შეკი-




თხვებით ზაირის მოსახლეობის რელიგიური არჩევანისა თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ზულუსების რაოდენობის შესახებ. ერთხელ პეტერბურგის წარმომადგენლობას, რომელსაც სახელ ლენინგრადს ვერ დააცდენინებდი, პოპულარულად აუხსნა არა მხოლოდ როგორ უნდა მოხედე ამა თუ იმ ადგილიდან ვასილის კუნძულზე, არამედ დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში რა დაჯდებოდა ასეთი მგზავრობა. სწორედ მაშინ თქვა პიტერელების აღიარებულმა ლიდერმა, მიხაილ პოლიაკოვმა, – ასეთი ტაქსის-

დიდი ატლასი გამოიწერა, რომელსაც მაშინდელი ფინანსური წარმოდგენით არნახული ფასი ედო – ოცდაშვიდი მანეთი და ოცი კაპიკი. ამ უზარმაზარი ქვეყნისთვის შესანიშნავი სისტემა იყო აწყობილი „ნიგნი ფოსტი“ და ჩვენისთანა დაწესებულებაშიც კი ჩამოდიოდა წიგნები. ჩამოვიდა ჯონის ატლასიც, მაგრამ ადმინისტრაციამ უარი თქვა მის გაცემაზე, ატლასში მორდოვეთის რუკაა და გაქცევისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული. ჯონის ეს ამბავი არ მოეწონა და ადმინისტრაციას შესთავაზა, მორდოვეთის რუკა ამო-

ЖХ 385/3-5 от администрации და პრობლემაც მოგვარდა, ოღონდ როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მორდოვეთის გვერდი თითქმის შეუმჩნეველად ამოუჭრიათ (მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ეროვნულ ბიბლიოთეკას ვხელმძღვანელობდი, ასეთი ფილიგრანული ამოჭრები ბევრი მინახავს).

ზაქარია ლაშქარაშვილი უცოლო იყო. ჰყვებოდა თავის თბილისურ სიყვარულზე, უნივერსიტეტის სტუდენტი, ვინმე ქეთევანი ჰყვარებია და სახელებს ხაზს უსვამდა: ზაქრო და ქეთო (ცნობილ მულტფილმს გულისხ-



ტი რომ შემხვედროდა პეტერბურგში, ვასილის კუნძულზე კი არა, ფინეთში გადავყავანინებდი თავსო.

გეოგრაფიის სიყვარულმა მიიყვანა ზაქარია ლაშქარაშვილი წიგნების სიყვარულამდე. განსაკუთრებით ისეთი წიგნები უყვარდა, რომელშიც რუკები ან ნახაზები მაინც იქნებოდა. წიგნს ხელში რომ აიღებდა, სწრაფად გადაფურცლავდა და დიაგნოზს დაუსვამდა: ფუტურიზმი-დემოკრატია, ე.ი. რუკები არ არისო. ჩვენი მძიმე შრომისთვის კაპიკებს გვიხდიდნენ, თანაც ამ ფულს არ გვაძლევდნენ, ვირტუალურად არსებობდა მხოლოდ ქალაღზე, მაგრამ სრულიად არავირტუალურად წიგნების გამოწერა შეიძლებოდა. ზაქარია ლაშქარაშვილიც იწერდა და იწერდა ატლასებს. ბოლოს საბჭოთა კავშირის

ხიოთო, ოღონდ ეს მისი სპეციფიკური რუსულით ასე გამოთქვა, **давайте, вырежем Мордвину**. ადმინისტრაციამ ჯერ **вырежем** ვერ გაიგო სათანადოდ და ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა, ხოლო როცა გაერკვია, რას გულისხმობდა სასჯელმისჯილი ლაშქარაშვილი, შეიცხადა, – წიგნიდან გვერდის ამოხევა როგორ შეიძლება, ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ, ვანდალები კი არაო. ამ დროს შემოვიდა ბიბლიოთეკის გამგის, პროფესორ ანდერსონის წინადადება, – ატლასი ბიბლიოთეკას გადაეცეს და ბიბლიოთეკა გვერდის ამოუხეველად დაბლოკავს მორდოვეთის რუკის დათვალიერების ყველა მცდელობასო. სასაცილო წინადადება იყო, შეიძლება სწორედ ამიტომაც გაჭრა. წიგნს წაენერა **дар библиотеке**

მოხდა). იმასაც ჰყვებოდა, ამ ქეთევანისთვის, ჩათვლის სანაცვლოდ, რომელიღაც სახელგანთქმულ ლექტორს რომ უღირსი რამ შეუთავაზებია და როგორ დაუცავს მომავალ პოლიტიკურ პატიმარს ვარაზისხევში თავისი შეყვარებულის ღირსება. დარწმუნებული ვარ, რომ ის ლექტორი ამ ნაწერს აუცილებლად წაიკითხავს და საკუთარ თავს იოლად იცნობს, რადგან, გარკვეული გაგებით, ისიც უნიკალური მოვლენა იყო თავის ქვეყანაში.

საბოლოო ჯამში ქეთევანს ზაქარიასთვის გული კი გაუტეხავს, მაგრამ ჯონის ხელი არ ჩაუქნევია და იმ დღიდან ახალი სიყვარულის ძიებაში იყო. ორ ასეთ სიყვარულს მეც მოვესწარი. პირველი იყო ზონის ექიმი თამარა, რომელსაც ჩვენ იშვიათად ვხვდებო-

დით, მაგრამ ჯონის სუსტი ფილტვები ჰქონდა და ზონის „საავადმყოფოში“ ხშირად ხედებოდა, განსაკუთრებით ზამთარში და, შესაბამისად, კონტაქტიც ჰქონდა ჩვენს ერთადერთ ექიმთან. სიყვარული აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, ცალმხრივი და ხანმოკლე, რაიმე სერიოზული გართულებები (ლექსები, პოემები, ველად გაჭრა) მას არ მოჰყოლია; მაგრამ სხვა იყო სიყვარული უკანასკნელი (მე ვგულისხმობ სიყვარულს ზონაში): ჯონის შეუყვარდა ყველა პატიმრის კლასობრივი მტერი, ქალბატონი განიჩენკო – ცენზორი.

ქალბატონი განიჩენკო მართლაც განსაკუთრებული სილამაზის ქალი გახლდათ და შეღავათები, რომელიც პოლიტიკური ზონისთვის და საპატიმროებისთვის ბუნებას დაუნესებია, მას არ სჭირდებოდა. უკრაინული გვარი ქმრისა იყო (ეს კაცი ოდესღაც ჩვენი ზონის უფროსი ყოფილა, მაგრამ სტალინისტ რაზლაცკის მიმართ, უფრო სწორად, სტალინისტ რაზლაცკის უღვაშების მიმართ გამოჩენილი სირბილისთვის ამ თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ და თავის კარიერას მეზობელ მესამე ზონაში აგრძელებდა), თვითონ ქალბატონი მოლდოველი ყოფილა. ყველაზე მარტივი აღწერა მას ჯონიმ მოუფიქრა, ნესტან-დარეჯანი არისო: ტანი ალვა, სახე თეთრი, ტუჩები წითელი, თვალები და თმები შავი.

როდესაც ცენზორი განიჩენკო ზონაში შემოდიოდა, ემოციური ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით მაღლდებოდა (ჯონი ტარიელ ჭანტურიას კონგენიალობდა, პოეტის სიტყვების „– ვაიმე ბიჭო, რა გოგოა, რა დიაცია! ასი რენდგენით გაიხარდა რადიაცია“; უმეტრად რადიაცია იზრდებოდა, ამბობდა): უმეტესობას მრისხანება იპყრობდა (პოლიტიკურ ბანაკში კვალიფიციური ცენზორის საქმიანობა კეთილად ვერავის განაწყობს, ამავე დროს თავის შავ საქმეს ქალბატონი ცენზორი აკეთებდა იმ განწყობით, რომელსაც რუსულად злорадство ჰქვია და რომლის ქართული სალექსიკონო შესატყვისები „ნიშნის მოგება“ და „ღვარძლიანობა“ ოდნავაც ვერ აღწერენ იმ სიხარულს, რომლითაც ლამაზი ქალბატონი ცენზორი წერი-

ლის გაგზავნის უკანასკნელ დღეს პატიმარს წერილს მომხიბვლელი და გარკვეული ინტიმის შემცველი ლიმილით უბრუნებდა, – ცენზურის თვალსაზრისით მიუღებელიაო). ზონის მთავარი პატიმარი ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, ფროიდისტი-იუნგადლერ-ფრომისტი, დოქტორი ბორის ისაკის ძე მანილოვიჩი ამტკიცებდა, – სინამდვილეში გარეგნულად ბოროტი ცენზორი შინაგანად კეთილი ადამიანია, პატიმარს რომ ახლობლებთან მიწერილ წერილს უკან უბრუნებს, ამ დროს ორგანოთან მიახლოებულ იმპულსებს იღებს, ე.ი. პატიმარი უყვარსო. მიხაილ პოლიაკოვი ოსკარ უაილდის სიტყვებს იმეორებდა, – სილამაზე გენიის განსაკუთრებული სახეობაა, რადგან გაგება არ სჭირდებაო, – და მერე თავის შორეულ პიტერში უფრო ღრმად მიდიოდა, ხან თანამოქალაქე პუშკინის ციტირებას ახდენდა, – გენია და ბოროტება შეუთავსებელიაო, – ხან სხვა არანაკლებ სახელგანთქმულ თანამოქალაქეს იმონებდა, – სილამაზე იხსნის მსოფლიოსო; მაგრამ პეტერბურგელების და ქართველების დაცვა ვერ შეელოდა ცენზორ განიჩენკოს, მის სილამაზეს ვერავინ ამჩნევდა, როდესაც ხელში პატიმრებისთვის უკან დასაბრუნებელი წერილების მთელ დასტას დაუნახავდნენ.

ერთხელ ცენზორის სილამაზემ მეც ჩამითრია და წამომაცდენინა ფრაზა «Я бы ей отдался», რამაც ზონის დემოკრატიკა უმრავლესობის ხმაური და მრისხანება გამოიწვია. მე მომიწია, ყოვლის მცოდნე ვადიმ იანკოვის თანხმობით, „ილიადიდან“ იმ ადგილის დამონებება, სადაც ჰომეროსი ისე ოსტატურად აღწერს მშვენიერი ელენეს სილამაზეს, რომ ერთ სიტყვას არ ამბობს მის ტანზე, სახეზე ან თვალზე: ტროელი მოხუცები ლანძღავენ ელენეს და როდესაც ეს ღვთაებრივი სილამაზე მათ წინ ჩაივლის, ნელ-ნელა ცვლიან ტონს და ბოლოს ასკენიან, – რა თქმა უნდა, ასეთი ქალისთვის ტროას ომის დაწყება შეიძლებოდაო. მიუხედავად იმისა, რომ იანკოვმა შეაფასა ციტირების სიზუსტე და ბრძანა, – მთლიანობაში სწორადაა ჰომეროსი

მოტანილიო, – ჩემი „გამოხტომა“ არ მოიწონა სოციალისტმა ფრედ ანადენკომ და შემახსენა მას სიბრძნე, – ნუ სვამ, მთვრალი შეიძლება კლასობრივ მტერს ჩაეხუტო.

ზაქარია ლაშქარაშვილი თავიდან მტრულად იყო განწყობილი განიჩენკოს მიმართ. ეს გასაგებიც იყო, რადგან ჩემი ძმის, დავით ბერძენიშვილის წინადადებით, ჩვენ, სამმა ქართველმა, როგორც ზონაში ამბობდნენ, три швили, ბერძენიშვილებმა და ლაშქარაშვილმა ზონაში მოხვედრისთანავე დავიწყეთ წერილების წერა ქართულ ენაზე (მანამდე ყველა წერილი რუსულად იწერებოდა, ცენზორი კითხულობდა და ნაწილს უკან აბრუნებდა). სამი თვე გვეომებოდა განიჩენკო, სამი თვე გვაფრთხილებდა თბილისის სუკი, – ამ სულელურ ხუმრობას მოეშვითო. სამი თვე ჩვენმა ნათესავებმა და ახლობლებმა არაფერი იცოდნენ ჩვენ შესახებ, მაგრამ ინფორმაციამ უცხოეთში გაჟონა, – ხალხს მშობლიურ ენაზე წერას უკრძალავნო, – და განიჩენკომ ჩვენთან ომი წააგო. ჩვენი ქართული წერილები ახლა თბილისის სუკში გადიოდა ცენზურას და განიჩენკოს გვერდს უვლიდა. ჩვენი პატარა გამარჯვების შემდეგ არა მხოლოდ ჩვენს, არამედ პერმის პოლიტიკურ ბანაკებშიც დაინყეს პატიმრებმა მშობლიურ ენებზე წერილების წერა.

>>> ბაზრქილება გვ. 112





რიტუალი და „ანტირიტუალი“

ავტორი: ბიორბი მაისურაძე
ილუსტრაცია: მანა სუმბაძე

„ნიშანი ვართ, განუმარტავი...“
ფრიდრიხ შიოლდერლინი

1845 წელს ფრანგმა ფსიქიატრმა ჟან-ჟოზეფ მორომ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ ვინმეს „გიჟის“ განცდების თუ აზრების აღწერა და გაგება სურს, საჭიროა თავადაც გაგიჟდეს. ფსიქიური დაავადება, რომელსაც „გონების გახლეჩა“, ანუ შიზოფრენია ეწოდა, ისეთ არტიკულაციას ავითარებს, რომელიც არაშიზოფრენიათვის უცხო და გაუგებარია. ამის გამო, მისი გაგება „გარედან“ არ ხერხდება, რისთვისაც „ინსაიდერი“ იქნებოდა საჭირო, რაც ასევე შეუძლებელია, რადგანაც შიზოფრენიით დაავადებული ვერ აღწერს ან გამოხატავს თავის მდგომარეობას იმ სააზროვნო ენაზე, რომელზეც არაშიზოფრენია ადამიანი აზროვნებს. ამ დილემის მოსაგვარებლად მორომ ჰამიშის გამოყენება სცადა. მისი აზრით, ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ადამიანის სააზროვნო ენა შიზოფრენიისას ემსგავსება, ხოლო ზემოქმედებიდან გამოსულს კი განცდილის აღწერა შეეძლებოდა. მაგრამ არც ეს ვარიანტი აღმოჩნდა დილემისგან ბოლომდე თავისუფალი, რადგანაც განცდილი არ არის და არც შეიძლება იყოს იმ სამეცნიერო-დისკურსული ენის ადეკვატური, რომლის ჟარგონითაც გარკვეული არაორდინალური ფსიქიკური მდგომარეობები აღიწერება. ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ სახეშეცვლილი სააზროვნო სტრუქტურა კი პოეტურ ხატებსა და მეტაფორებს წარმოშობს, რომელთა გაგება ცალკე სამეცნიერო სპეკულაციების საგანია.

მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეთნოლოგი ვიქტორ ტერნერი, რომლის სამეცნიერო რეფლექსიის მთავარი საგანი რიტუალი იყო. ტერნერი რამდენიმე წლის განმავლობაში იკვლევდა ერთ აფრიკულ ტომს, შეისწავლა მათი ენა, აღწერა მათი ყოფა-ცხოვრება, მითოლოგია, რიტუალები, მაგრამ თავად რიტუალის არსის გაგება მისთვის ისევ ღია რჩებოდა, სანამ ტერნერი აკადემიური სტილის მეცნიერისათვის სრულიად უჩვეულო

გზას არ დაადგა: იგი თავად გახდა ტომის წევრი და დაიწყო რიტუალებში მონაწილეობა. თავისი ინსაიდერი გამოცდილებების საფუძველზე, მან რიტუალის არსის პრობლემას რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა, რომელთაგან ყველაზე მეტად გახმაურებული – „რიტუალური პროცესი“ არაქაული ან „პირველყოფილი“ რიტუალური და სააზროვნო სიმბოლიკის თანამედროვე დისკურსულ ენაზე თარგმნის შეუძლებლობის პრობლემით იწყება. ეს განსაკუთრებით იმ რიტუალურ სახეობას თუ ფაზას ეხება, რომელსაც ტერნერი, ბელგიელი ეთნოლოგის არნოლდ ვან გენეპის მსგავსად, ლიმინალურს უწოდებს. ქართულ ენაზე ეს ტერმინი „ზღურბლურ მდგომარეობად“ შეიძლება ითარგმნოს, ანუ როდესაც ადამიანი ან რაიმე საგანი სადღაც – „არც აქ და არც იქ“ – შუალედურ მდგომარეობაში იმყოფება და თავადაც კარგავს ყოველგვარ იდენტობას, იმდენად, რომ მისი განსაზღვრებაც კი შეუძლებელია. ლიმინალურობაზე ყურადღების გამახვილებამ კი რიტუალის ყველაზე მიმზიდველი და იდუმალებით მოცული ასპექტი გამოამხეურა, სწორედ ის, რომელიც აღწერას ან გამოსახვას ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება.

არადა რიტუალების შინაარსი საკმაოდ კონვენციურია და სრულიად ცნობიერ მიზნებს ემსახურება; ეს ეხება როგორც საკრალურ, ასევე ყოფით თუ ყოველდღიურ რიტუალებს. რიტუალი წინასწარ განსაზღვრული და მკაცრად რეგლამენტირებული როლების თამაშს გულისხმობს, საიდანაც ყოველგვარი გადახვევა, განსაკუთრებით საკრალურ რიტუალებში, დაუშვებელია. რიტუალის შემსრულებელმაც ზუსტად იცის, რას აკეთებს ან რა უნდა გააკეთოს: მაგალითად, როდესაც მორწმუნე-ქრისტიანი ეკლესიაში შედის და ლოცულობს, სანთელს ანთებს, ეზიარება, მას სჯერა, რომ მასზე ამით „მადლი გადმოვა“, თუმცა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელ „მადლზე“

ესაა რიგშალის აღზარდლოებითი და „საკანონმდებლო“ ფუნქცია: იგი ინდივიდებს ერთ ანონიმურ და აბსტრაქტულ მასად გარდაქმნის, რომლებიც (არა)საკუთარი ცხოვრების სცენაზე უსასრულოდ და სრულიად მქაჩიქურად ერთსა და იმავე სპექტაკლში მონაწილეობენ, რომლის სცენარის, ჟან-პოლ სარტრის სწოვლილი სიტყვების კარიფრაზით რომ ვთქვათ, გათ არ ეკუთვნით.

საუბარი ან რა იცვლება მისი „გადმოსვლით“ ამ ადამიანის ცხოვრებაში. მორწმუნე იცის, რომ ასეთი ქმედება „ღვთაებრივთან“, რაღაც არაყოფითთან „კომუნიკაციის“ საშუალებაა და რომ ღვთაებრივ ძალებს ამ ენაზე უნდა ელაპარაკოს. მან ისიც იცის, რომ ეს ენა ჩვეულებრივი, ყოფითი ენისაგან განსხვავებულია. თუ ვინმე არარელიგიურ კონტექსტში ამავე ენით სხვა ადამიანს დაელაპარაკება, ასეთი რამ შეიძლება ბოძვად გამოიყურებოდეს, მაგრამ არა რიტუალის დროს, რომელიც ნებადართული, ლეგიტიმური „ბოძვაა“. განსხვავება მორწმუნე ადამიანის რიტუალურ ქმედებასა და შიზოფრენის ბოძვას შორის, რომელიც ხშირად ასევე „ზეზუნებრივ“ ძალებს ესაუბრება, გარეგნულ დონეზე მაინც, შეიძლება ის იყოს, რომ მორწმუნე კონვენციურ ფორმულებს გამოთქვამს, ანუ ის საკუთარ „აზრებს“ კი არ ამბობს, არამედ ვილაცხების მიერ შეთხზულ და აღიარებულ მრწამსს ახმოვანებს, რომელიც არანაირ გადააზრებას არ ექვემდებარება, რადგანაც მის უკან ასევე კოლექტიურად აღიარებული და დაჯერებული ღმერთის ავტორიტეტი დგას. შიზოფრენი კი ბოძავს, რადგანაც მისი სიტყვებისა და აზრების უკან არანაირი კონვენცია, არანაირი საყოველთაოდ დადგენილი და აღიარებული ნორმები არა დგას, რაც მის ნალაპარაკებს ან საქციელს გაუგებარს ხდის.

რიტუალური ქმედების ფუნქცია გარკვეული მსოფლმხედველობრივი თუ ქცევის ნორმებისა და წესების გათავისება, „გასისხლბორცება“ და მათი დემონსტრაციაა. მაგალითად, როდესაც ქართველი მამაკაცი იგინება, უცნაურ, აგრესიულ ხმას იღებს – ამით იგი გარკვეულ კონვენციურ სიმბოლიკას რეპრეზენტაციული რიტუალის შესტიკულაციით გადმოსცემს. ამით იგი აჩვენებს და ახილვადებს იმას, რაც მან იცის, მისთვის უსწავლებიათ და როგორადაც მას ეს ცოდნა წარმოუდგენია: რომ ის მამაკაცია, თანაც ქართველი მამაკაცი, რომელიც უნდა იგინებოდეს და ასეთი თვითგამოსახვით უდასტურებდეს საკუთარ თავსაც და მის ირგვლივ მყოფთაც, რომ იგი ქართველი მამაკაცის კონვენციურ, ანუ საყოველთაოდ მიღებულ და აღიარებულ სტერეოტიპს შეესატყვისება. ამის ანალოგიური „პროფანული“ რიტუალური ქმედებია, როდესაც თანამედროვე საქართველოში ეკლესიის დანახვებზე კოლექტიური პირჯვრისწერა იფეთქებს ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საქართველოს ჰიმნის გაჟღერებაზე ყველა ფეხზე დგება და მარჯვენა მუშტს მკერდზე იბჯენს.

რეპრეზენტაცია კონვენციური ცოდნის გამოზეულების საშუალებაა, რომლისადმი რწმენას ადამიანი ასეთი გამოვრებით კიდევ უფრო იმყარებს და იმის განცდასაც ინიჭებს, რომ იგი მარტო კი არაა, არამედ თავისნაირებშია – ერთ დიდ კოლექტივში, რომლებმაც იციან ის, რაც მან იცის და საკუთარ ცოდნას

ასეთი რიტუალური ფორმით ერთმანეთს უდასტურებენ. რიტუალური რეპრეზენტაცია ქმნის იმ წარმოსახვით ერთობას, რომელსაც თემი, ტომი, სოციალური ფენა, სუბკულტურა და თვით ერი ეწოდება, რაც საყოველთაოდ მიღებული წესების აღიარებასა და გამოსახვას გულისხმობს.

ამ შინაარსის ცოდნა კი ადამიანებს ასევე რიტუალური პრაქტიკების მეშვეობით აქვთ მიღებული. განსხვავებით ყოფითი თუ „პროფანული“ რიტუალური რეპრეზენტაციებისაგან, რომელიც „ზეპირი შეთანხმებით“ დამკვიდრებული წესების საფუძველზე ხორციელდება, ყოველი საკრალური რიტუალის უკან რომელიღაც თხზულება, ნარაცია დგას, რომელიც გარკვეული სიმბოლიკითა თუ სიმბოლური ქმედებებით ხილვადდება (რამდენადაც რიტუალი ძირითადად უხილავ არსებებსა თუ წარმოდგენებს ასახიერებს). ასეთი გავიზულებით რიტუალის მონაწილეს რეალური ხდომილების განცდა უნდა შეექმნას: საკრალური თხზულება გარდაიქმნება ლიტურგიულ სცენარად, ხოლო შემდეგ გადადის „სცენაზე“, რომლის მაყურებელი ამავე დროს თანამონაწილაც არის რიტუალში გათამაშებული სიუჟეტისა. რელიგიათმცოდნე მირჩა ელიადე წერდა, რომ ადამიანი რიტუალის მეშვეობით „სამყაროს შესაქმის“ და ყველა იმ საკრალური აქტის თანამონაწილე ხდება, რომლისგანაც მისი რელიგიის ფუნდამენტი შედგება.

რიტუალურ ქმედებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ერთ თეატრალურ ხერხს ეკუთვნის, რომელსაც „გაუცხოება“ ან „გაუცნაურება“ შეიძლება ეწოდოს: რიტუალური ჩაცმულობა, მუსიკა, საკმეველი, მოდიფიცირებული ენა, ცერემონია – ერთი მხრივ, „საკრალურისა“ და „პროფანულის“ გამიჯვნას, მეორე მხრივ, „საკრალურის“ დამაჯერებლობას ემსახურება, რომელიც ყოფითისაგან განსხვავებული, გაუცნაურებული ფორმით ერთგვარ ზერეალურ რეალობას გამოსახავს. მისი „საიდუმლო“ კი იმ თხზულებიდანაა ცნობილი, რომელმაც რიტუალური ინსცენირების მეშვეობით რეალურად არსებულის განცდა უნდა დაბადოს. ასეთი განცდა კი, რომელიც მთლიანად რიტუალური ეფექტებით მიიღწევა, წმინდად გარეგნულია და ხშირად რიტუალით განსახიერებული იდეებისა თუ „ჭეშმარიტებების“ გაგების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება, რადგანაც გარეგნულობა – ეკლესიაში სიარული, მარხვა, ლოცვა და სხვა მსგავსი რიტუალური ქმედებები თვითკმარობად იქცევა და ადამიანი იმაზე დაფიქრებასაც კი აღარ ცდილობს, თუ რა ჭეშმარიტებებზე შეიძლება ესაუბრებოდეს მას ის საწმუნოება, რომლის მიმდევრადაც იგი საკუთარ თავს მიიჩნევს. ასეთ გარეგნულ რწმენას „ვირების საქციელს“ უწოდებდა შუა საუკუნეების (მე-13-14 სს.) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეოლოგი, დომინიკანელი ბერი იოჰან ეკჰარტი. მისი თქმით,

ადამიანები, რომლებიც აღსარებებითა და თვითგვემით გარეგნულად წმინდანებს ემსგავსებოდნენ, „შინაგანად ვირები არიან, რადგანაც მათ ღვთაებრივი ჭეშმარიტების განსხვავება არ შეუძლიათ“. ეს კი, საბოლოო ჯამში, წარმოშობს საკრალურობის ილუზიას, რომელსაც არაფერი საერთო საკრალურობის თავდაპირველ არსთან აღარ აქვს.

რელიგიური რიტუალის ანალოგიურია სრულიად „მინიერი“ პოლიტიკური რიტუალები: სასამართლო პროცესი, სამხედრო აღლუმი, საარჩევნო კამპანია, ინაუგურაცია. ისინი საკრალური რიტუალის სტრუქტურას იმეორებენ, სადაც მთავარი მომენტი კვლავაც გაუცნაურებაა. ხელისუფლება არა მხოლოდ კანონებით, არამედ კიდევ უფრო მეტად ძალაუფლებისა თუ კანონიერების ინსცენირებით ხორციელდება, მისი რიტუალური გამოსახვით უკავშირდება და მართავს ადამიანებს. გაუცნაურების მეშვეობით ხელისუფლება საკუთარ თავს მიჯნავს ყოფითი სფეროსაგან, საკუთარ აღმატებულებასა და ღვთაებრიობასაც კი გამოსახავს. ხელისუფლების უძველესი „თეორიები“ თუ იდეოლოგიები ყოველთვის მისი საკრალური წარმომავლობის მტკიცებაში იყვნენ და ეს პარადიგმა ბოლომდე არანაირ სეკულარიზაციას არ დაუძლეოდა. ხელისუფლების „ღვთაებრიობაში“, ისევე, როგორც თავად ღვთაების არსებო-

რიგებული და სტატიკური სამყარო თუ მისი ილუზია ჩნდება. ესაა უსასრულო კოსმოგონია, რომელიც რიტუალში თამამდება და მის მსახიობებს შესაქმის აქტში თანამონაწილეობის ილუზიას უქმნის. ამ ვირტუალურ სამყაროს კი სხვადასხვა დროსა და კონტექსტში განსხვავებული სახელები ჰქვია: ძველი ბერძნები მას „კოსმოსს“ ეძახდნენ, რაც „სამყაროს“ და „წესრიგს“ ნიშნავდა და მას ოლიმპიელი ღმერთებით გამოსახავდნენ; ქრისტიანული ეკლესიისათვის მას ქრისტეს სხეულში ერთობა ერქვა, რომელიც ევქარისტიის რიტუალში პურის ქრისტეს სხეულად გარდასახვით ეძლეოდათ; საფრანგეთის რევოლუციამ მას „ერი“ (Nation) უწოდა, რომელიც „მამულის“ (Patria) შვილებისგან შედგებოდა, რომლებსაც საკუთარი სისხლითა და თავგანწირვით უნდა დაეცვათ ეს უხილავი „მამა“; საბჭოთა კავშირს იგი კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადების სახით მოეგვინა, რომლებიც ბედნიერ საბჭოთა ხალხებს კომუნიზმს აშენებინებდნენ; თანამედროვე საქართველოში ამ ყველაფრის ნაზავი „საქართველოს გაბრწყინება“, რომელსაც ერთხმად შეულოცავენ, როგორც „ზეციური საქართველოს“ დარაჯები, ასევე მისი მინიერი წინამძღოლებიც.

თუმცა კი არსებობს ამ ფენომენის ნაკლებად პათეტიური სახელწოდებებიც, როგორცაა კაპიტალიზმი, რომელსაც გერ-



ბაში დარწმუნების მთავარი და ყველაზე მასობრივი საშუალება კი მისი რიტუალური გამოსახვა, რეპრეზენტაციაა. ღმერთისა ან ხელისუფლების არსებობის შესახებ ვიცით მათი წარმომადგენელი ინსტიტუციების – ეკლესიისა და სახელმწიფო დაწესებულების ინსცენირებებიდან.

რიტუალების მეშვეობით კოლექტიური იდენტობისა და ერთობის განცდა იზადება, რომელთა გარეშეც, ასეთი ერთობები ვერ იარსებებდა. ეს განცდა კი რიტუალში წარმოდგენილ „უხილავ“ ძალებთან ზიარებით წარმოიქმნება და ის ადამიანს თავს სწორედ ამ ძალების ნაწილად აგრძნობინებს. რიტუალში ადამიანი კი არ იგებს ან იმეცნებს, არამედ იჯერებს, თავს უქნევს, ემორჩილება, იცვამს უნიფორმას, იპროგრამებს საკუთარ ცნობიერებას და ყოფის წესებს ვილაციის მიერ დადგენილი მზა ნორმებისა და სტერეოტიპების მიხედვით. ესაა რიტუალის აღმზრდელი და „საკანონმდებლო“ ფუნქცია: იგი ინდივიდებს ერთ ანონიმურ და აბსტრაქტულ მასად გარდაქმნის, რომლებიც (არა)საკუთარი ცხოვრების სცენაზე უსასრულოდ და სრულიად მექანიკურად ერთსა და იმავე სპექტაკლში მონაწილეობენ, რომლის სცენარიც, ჟან-პოლ სარტრის ცნობილი სიტყვების პერიფრაზით რომ ვთქვათ, მათ არ ეკუთვნით.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, რიტუალებით, იმისაგან დამოუკიდებლად, საკრალური დაერქმევა მათ თუ პროფანული, მონეს-

მანელი ფილოსოფოსი ვალტერ ბენიამინი ახალ უნივერსალურ რელიგიად მიიჩნევდა; ან ფრანგი თეორეტიკოსის ჟან ბოდრიარის შექმნილი ტერმინი „სემიოკრატია“, ანუ ნიშანთა სისტემის ტოტალური დიქტატი, როდესაც საგნებს კი არ ვხედავთ, არამედ მხოლოდ მათზე მიკერებულ მნიშვნელობებს და ამ მნიშვნელობების ლოგიკას ვემორჩილებით და მივსდევთ; ანდა ფრანგი ხელოვანის გი დებორის მიერ 1967 წელს შემოტანილი ტერმინი „სპექტაკლის საზოგადოება“, რომელმაც საზოგადოებრივ ურთიერთობებს მნიშვნელობებისგან დაცლილი და გაუფასურებული სიტყვებისა და ქესტებისგან შემდგარი თეატრალური ინსცენირებები უწოდა.

საიდუმლო, რომელთან ზიარებასაც რიტუალი გვპირდება, ამ საიდუმლოს არარსებობა და მის ილუზიას თავად რიტუალური ცნობიერება აწარმოებს. უფრო მეტიც: აზრისგან დაცლილი სიტყვებითა და უსიცოცხლო დოგმებით იგი იკავებს და კეტავს იმ სივრცეს, სადაც ახალი აზრის თუ ფორმის დაბადება იქნებოდა შესაძლებელი, რადგანაც მონესრიგებულ და დასრულებულ ილუზიას, რომელიც უსასრულოდ სტერეოტიპულ მკვდარ ფორმებსა და დოგმებს ქმნის, სიხლის გაჩენამ დამანგრეველი საფრთხე შეიძლება შეუქმნას, რომელიც რიტუალს მიღმა არსებულ ერთადერთ საიდუმლოს – სხვა, დაფარულ და გადახატულ, არაკანონიკურ რეალობას ან მის ნაწილს მაინც აჩვენებს.

სიახლე კი მანამ არის ახალი და სასიცოცხლო იმპულსების მატარებელი, სანამ მისი რიტუალში ინტეგრაცია და მისთვის უნიფორმის ჩაცმა არ მომხდარა. კანონიზაცია კი ამ ახალ და განსხვავებულ ელემენტს რიტუალურ სიმბოლიკის პანთეონში ალაზევებს და მის იდეოლოგიურ ინსტრუმენტად აქცევს.

ამის საინაღმდეგოდ, „არაკანონიკური რეალობის“ შესახებ წარმოდგენას რიტუალური პრაქტიკებიდანვე ცნობილი შუალედური თუ ლიმიტალური მდგომარეობები გვიქმნის. ასეთი მდგომარეობა ორი თვალსაზრისითაა შუალედური: ერთი მხრივ, როგორც გარდამავალი ფაზა ცხოვრების ერთი სფეროდან მეორეში (მაგალითად, პუბერტატი ან ინიციაცია); მეორე მხრივ, ესაა ერთგვარი ცარიელი, განუსაზღვრელი ადგილი რიტუალებით მოწესრიგებულ სამყაროსა და იმას შორის, რაც ამ „კოსმოსს“ არ მიეკუთვნება. პირველ შემთხვევაში, ადამიანი ამოვარდნილია ყოველგვარი სოციალური ფორმაციიდან, დაკარგული აქვს საკუთარი იდენტობა, სქესი; არქაულ და პირველყოფილ საინიციაციო ცერემონიებში ხშირად მასზე ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობა ხორციელდება; ის დაიყვანება „არარამდე“, რომლისგანაც მერე ისევ რიტუალურად „რალაც“ იქმნება, ანუ მის იდენტობას ყალიბში ასხამენ, საიდანაც

დან“ გამოსვლას და მის კონკრეტულ ცნებებსა და სიტყვებში გადმოტანას „ლორობას“ უწოდებდა, რადგანაც, მისი აზრით, ასეთი „ტრანსლაცია“ ამ იდეალისა და უცნობის კონვენციების სისტემაში გადაყვანას და შემდეგ მის სარიტუალო-სამომხმარებლო საგნად ქცევას ნიშნავდა.

აქედან ერთგვარ გამოსავალზე მიუთითებდა ნიცემე: „მე აცრით სიგიჟით, რათა ზეკაცისათვის მიწა შევამზადო“. „ზეკაცის“, როგორც ადამიანის კონვენციური წარმოდგენის მიღმა მდგომი არსების „შეცნობა“, „ნორმალურ“ ან „ბუნებრივ“ მდგომარეობაში შეუძლებელია. ნიცემესავე განმარტებით, ბუნებას მისი საიდუმლოების გამხელა „ბუნებრიობის“ კანონების წინააღმდეგ სვლით უნდა დავტყუოთ. თუმცა კი იგი იქვე იმასაც ამბობს, რომ თავად ბუნებრიობა ჩვენივე გამოგონილი და დაწესებული კონსტრუქციაა. არსებობს მოსაზრება, რომ თავად ნიცემეს შეშლილობა კონვენციათა სამყაროდან გასვლითა და სხვა განზომილებაში გადაბარგებისკენ შეგნებულად გადადგმული ნაბიჯი იყო.

„შეშლილობისადმი“ დამოკიდებულება წინამოდერნულ საზოგადოებებში უმეტესწილად პოზიტიური იყო და იგი ღვთაებრივ უნარადაც კი მიიჩნეოდა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი



მას უკვე გამოსვლის უფლება აღარა აქვს. მოცემულ ჩარჩოდან ამოვარდნა ადამიანს ისევ იმ განუსაზღვრელ თუ შუალედურ განზომილებაში ჩააგდებდა, რომელიც ლიმბუსს შეგვიძლია შევადაროთ. ლიმბუსი შუა საუკუნეების დასავლურ ქრისტიანულ წარმოდგენებში ღმერთის თვალსაწიერის მიღმიურ ადგილად, „პრე-ჯოჯოხეთად“ გაიგებოდა. ესაა ადგილი, რომელიც დროსა და სივრცეში არაა მოცემული, ადგილი, რომელიც უადგილოა და არანაირ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, შეუძლებელია მისი აღწერა, რამდენადაც მისი ეკვივალენტები ენაში არ მოიპოვება. ფსიქოანალიტიკოსი ოტო რანკი შეეცადა ამგვარი აღწერელი ფენომენის ფსიქოლოგიურ ახსნას და იგი მან დაბადების ტრავმას დაუკავშირა, როდესაც ცოცხალი არსება ჩანასახი აღარაა, მაგრამ არც დაბადებულია და შუალედურ გვირაბში იმყოფება. ამ დროს მიღებული ტრავმა კი მისი არაცნობიერის ფუნდამენტს ქმნის, რომელიც, როგორც ენამდელი შთაბეჭდილება, ენობრივ სტრუქტურაში არ ითარგმნება. როდესაც ვცდილობთ, რომ მას ზუსტი განსაზღვრება მოუფებნოთ, იგი არათანაზომადი ორეულით უნდა შეცვალოთ, რომელიც „ორიგინალის“ ადგილს იკავებს. ფრანგი ხელოვანი ანტონინ არტო იგივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა გამომსახველობითი ენის ძიებისას. იგი „განუსაზღვრელობი-

ყოფით სამყაროს ტოვებს და ღვთაებრივ განზომილებაში გადადის. ანტიკური სამყაროს ყველაზე ცნობილი საკულტო ადგილი – დელფოს ორაკული, საიდანაც ადამიანს ღვთაებასთან დაკავშირება შეეძლო, აპოლონის ქურუმის მეშვეობით ხორციელდებოდა. ეს უკანასკნელი კი ღვთაებასთან საუბარს გონების დაბნელებითა და „შეპყრობილობით“ (ბერძნულად: foibo leptos – „აპოლონით შეპყრობილი“) ახერხებდა.

ადრექრისტიანულ აპოფატორ (უარყოფად) თეოლოგიაში ამ განზომილებას „ღვთაებრივი წყვდიადი“ ჰქვია, რომელში მოხვედრის პირობებიცაა აგნოსია, ანუ – „არა-ცოდნა“ და ექსტაზია – მისტიური ექსტაზი, რომელსაც ყველა კონვენციური ცნების, მათ შორის „სამების“ და „ღმერთის“ მიღმა გავყავართ. ამ მიმართულების შემქმნელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ექსტაზიას, რომელიც ბერძნულად „შეშლილობას“ ნიშნავს, ეროსის, ანუ სასიყვარულო ვნების, ხორციელი სიყვარულის ფორმად განიხილავს. ამასთანავე იგი „ღვთაებრივ სიყვარულსაც“ სწორედ სიტყვა ეროსის მეშვეობით გადმოსცემს და არა ქრისტიანულ ლიტერატურაში საამისოდ არსებული სულიერი, „ამაღლებული“ სიყვარულის აღმნიშვნელი ტერმინ აგაპეთი, რის შედეგადაც „ღვთაებრივი წყვდიადი“, როგორც უხილავი და გამოუსახავი თუ ენით უთქმელი ჭეშმარიტების „ადგილი“,

სხეულში აღძრული ვნებით მიღწევადად წარმოჩინდება. ამ „ადგილის“ მისამართი კი არანაირ რიტუალში არაა და არც შეიძლება იყოს.

მე-20 საუკუნეში „გამოუთქმელობის“ თემას დაუბრუნდა ფილოსოფოსი ლუდვიგ ვიტგენშტაინი, რომლის თქმითაც, „რა თქმა უნდა, არსებობს ენით უთქმელი. იგი თავად აჩვენებს საკუთარ თავს – ესაა მისტიური“. ხოლო რადგან მასზე საუბარი შეუძლებელია, ამიტომაც მის შესახებ დუმოლია საჭირო. მაგრამ სწორედ ამგვარი „ენით უთქმელის“ გამოსახვა სურდა გამომსახველ-ხელოვანს ანტონინ არტოს, თანაც ისე, რომ იგი ვერბალურ თუ შესტების კონვენციურ ენაზე ტრანსკრიპციად არ ექცია. საამისოდ იგი ისეთ რამეს იგონებს, რასაც პირობითად ანტირიტუალი შეგვიძლია ვუწოდოთ. თუკი „კოსმოსი“ – სამყაროს მითოლოგიური, რელიგიური და პოლიტიკური მოდელები, ასევე ყოფითი თუ „პროფანული“ ურთიერთობის პრინციპები, რიტუალური ფორმით გამოიხატება, რაც კოლექტიურ შეთანხმებას, კონვენციას გულისხმობს, ყოველივე ინდივიდუალური დასაბამს ანტირიტუალში იღებს. ესაა ერთგვარი ანტისხეული, რომელსაც კონვენციათა სამყაროში ქაოსი და გაუგებრობები შეაქვს. აზროვნება ან ხელოვნება იმდენად არსებობს, რამდენადაც ის სუბვერსიულია, ანუ მონესრიგებულ და დასრულებულ

სუბვერსიულობის გამაუვნებელმყოფელი უფრო ეფექტური საშუალებებიც, როგორცაა კანონიზაცია, რაც თავისი არსით სუბვერსიული მოვლენისა თუ საგნის რიტუალურ პრაქტიკებში ინტეგრაციასა და დანერგვას გულისხმობს, რომლის დროსაც იგი თავის სასიცოცხლო მუხტს კარგავს და საყოველთაო მოხმარებისათვის განკუთვნილ კულტურულ რელიკვიად გადაიქცევა. ეს საფრთხე პირველად ალბათ ნიცემე გაცნობიერა თავის უკანასკნელ დასრულებულ ნიგში *Ecce Homo*, რომელშიც იგი წერდა: „მზარავს იმის შიში, რომ ერთ დღესაც შეიძლება წმინდანად შემრაცხონ“-ო. ამიტომაც მიმართავდა შეშლილობის ზღვარზე მყოფი თავის ერთ-ერთ პირველ თაყვანისმცემელს, – ვალდებული ხარ დამკარგო. ამ წერილს ნიცემე „ჯვარცმულის“ სახელით აწერს ხელს და საკუთარი თავის ქრისტესთან გაიგივებით ჯვარცმის სიმბოლოს თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა: ქრისტეს ჯვარცმა – ესაა მისი ღვთაებად შერაცხვა, თაყვანისცემის საგნად და შემდეგ სამყაროს მსაჯულად და განსხვავებულად, არაკონვენციურად მოაზროვნეთა ჯალათად ქცევა, რომლის სახელითაც სიძულვილის, ჩაგვრის, მომხვეჭელობის, ომებისა და ძალადობის გავრცელება და გამართლება ხდება. რიტუალებით კი ასეთი ქრისტეს კანონიზაცია მოხდა და არა იმის, რომელიც სიყვარულს და მიმტევებლობას ქადაგებდა



ბულ სამყაროში არეულობისა და დამკვიდრებული ნორმების დამხობისკენაა მიმართული. ის ისეთივე სუბვერსიულია, როგორც მათეს სახარების გადმოცემით იესო ქრისტეს სიტყვები: „ნუ იფიქრებთ, თითქოს მინაზე მშვიდობის მოსაფენად მოვედი. მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი. რადგან მოვედი, რათა გავეყარო კაცი თავის მამას, ასული თავის დედას და რძალი თავის დედამთილს. და კაცის მტრები მისი შინაურები იქნებიან“ (10, 34-36). აზრის ან მხატვრული ფორმის დაბადება ბუნებრივ კონფლიქტში შედის სამყაროს ილუზორულ და გაქვავებულ წესრიგთან, რომელშიც ყველაფერი გარკვეულია, განსაზღვრულია, ყველაფერს თავისი კონვენციური სახელი და ფუნქცია აქვს და, ამდენად, სიახლისათვის ადგილი არ მოეძებნება. მისი გამოჩენა კი სწორედ დამკვიდრებული ნორმების ჭეშმარიტებულობას და ერთადერთობას აქარწყლებს. ამიტომაც კონვენციათა ილუზორული სამყარო იძულებულიც კია ჩანასახშივე მოსპოს, მწვანელობად და „სატანურობად“ შერაცხოს აზროვნება, რომელიც მის მკვდარ ნორმებს არ ემორჩილება და მათ სიყალბეს ამხეურებს. ამის სამაგალითოდ თავისუფალი აზროვნებისა თუ ხელოვნების მიმართ ეკლესიის, როგორც ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის მქონე დანესებულების, მუდმივი შუღლისა და სიძულვილის გახსენებაც შეიძლება. თუმცა არსებობს აზრის

და თავისუფლების გზად „ჭეშმარიტების შეცნობას“ („შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“. – იოანე 8, 32) აცხადებდა.

ამგვარი რიტუალური წესრიგის საპირისპიროდ „ანტირიტუალი“, უპირველეს ყოვლისა, რეპრეზენტაციულობის წინააღმდეგაა მიმართული: იგი არღვევს ნიშანთა სისტემის პრინციპებს – მასში არაფერი არაფერს არ წარმოადგენს, არაფერი არაფრის აღმნიშვნელი არაა და არაფერი არაფერს არ ნიშნავს, რამდენადაც ის ერთჯერადია, სინგულარულია და კონვენციურ ენაზე თარგმნის მომენტშივე ასრულებს თავის არსებობას და, უკეთეს შემთხვევაში, კულტურის ისტორიის სამუზეუმო უსულო ეგზემპლარად გადაიქცევა. „ანტირიტუალი“ ბადებს უფორმო ფორმებს, იეროგლიფებს, რომლებიც არ იმიფრება და მათი „გაგება“ ასეთივე გაუმიფრავი, ინდივიდუალური იეროგლიფებითვეა შესაძლებელი, ანუ არა ტრანსკრიპციის გზით, არამედ აღმქმელის ინსპირაციით, რაც ასევე „ანტირიტუალური“ ქმედებით გამოიხატება. ის გაჩენისთანავე წყვეტს ყოველგვარ კავშირს თავის აღმქმრელთან და ჩვენი ხედვის არეალში მორიგ რებუსად გაიკრთოლებს, როგორც ნიშანი, რომელიც განმარტებასაა მოკლებული და რომლის ადგილიც განმარტებულ სამყაროში არასოდეს იქნება...



„რა მხრებით ვზიდო ახელა ღარდი“

ავტორი: ლანა ლოლობარიძე

„ანიესის სანაპიროები“ – ასე ჰქვია ანიეს ვარდას ავტობიოგრაფიულ დოკუმენტურ ფილმს, რომელმაც ცოტა ხნის წინ ფრანგული „ოსკარი“, ანუ „ცეზარი“ მიიღო. „სასაცილოა იდეა, დადგა და გადაიღო შენი ავტობიოგრაფიული, როდესაც უკვე 80 წლისა ხარ. ეს იდეა დამებადა ერთხელ ნუარმუტიეს პლაჟზე, როდესაც გავიაზრე, რომ სხვა სანაპიროებმაც დააჩინეს დალი ჩემ ცხოვრებას, – წერს ავტორი, – ზღვის სანაპიროები იქცნენ ფილმის ბუნებრივ საბაზად და თავებად. ბევრ მოხუცს აქვს სურვილი, მოჰყვეს თავისი ცხოვრების ამბავი, მეც ასევე. მომინდა, გადავცე ჩემ ახლობლებს და ზოგიერთ სხვასაც ჩემი ცხოვრების ფაქტები და ნამუშევრები“. ამ სურვილების შედეგი – უცნაური, ძალიან სუბიექტური და თავისებური ფილმი, ფანტაზიის, წარმოსახვის, ირონიის და რეალობის ნარევი. „ჩემ ერთ-ერთ ფილმში მე ერთი წუთით გამოვჩნდი ეკრანზე. აქ პირდაპირ წყალში გადავეშვი და ვითამაშე საკუთარი თავი. ჩემს აზრებს, რომლებიც ახლოსაა სინამდვილესთან, კვეთს სკეტჩები, სადაც მე ღია ვთამაშობ როლს. მომწონს, ვიყო ცოტათი მასხარა, რაც მაძლევს გაუცხოების საშუალებას“. ჩრდილოეთის ქარიანი, უსასრულო და უკაცრიელი სანაპირო, კამერა აღბეჭდავს 80-ოდე წლის, პატარა, „ჩოლკიან“, საკმაოდ ჩასუქებულ ქალს, ჩაფართუნებულ სამოსში, ის მოდის კამერისკენ

და ლაპარაკობს ფილმის მიზნებზე და თავის თავზე, რომელსაც მოიხსენიებს, როგორც „ერთ ენაჭარტალა მოხუც ქალს“, რაც უკვე თავისთავად განსაზღვრავს სურათის ირონიულ ინტონაციას და მაყურებელსაც ნდობით განაწყობს მომავალი ფილმის მიმართ... და ისევ ის უსასრულო ქარიანი სანაპირო და ადამიანები, ვარდა და მისი თანამშრომლები, რომლებიც ებრძვიან ქარს, რათა დადგან პლაჟზე, ანუ დაამაგრონ სხვადასხვაგვარ კონსტრუქციებზე სულ სხვადასხვაგვარი სარკეები, დიდი და პატარა, მრგვალი, მოგრძო, თუ ოვალური, ძველებურ, ხშირად მოხატულ ჩარჩოებში ჩასმული... და ამ მოულოდნელ ადგილას დამაგრებულ სარკეებში რაღაც უცნაურად აისახება თვითონ ავტორი, და სხვები, და ზღვა, და სანაპირო... ერთდროულად რეალური და არარეალური სამყარო. და ასეთია მთელი ფილმიც. ირონიული, ღრმა, გულწრფელი, თამამი. „ენაჭარტალა მოხუცი“ ჰყვება თავისი ცხოვრების ისტორიას – თავისივე ფილმების კადრებით, დღევანდელი გამოსახულებით, თავისი, ძველი და ახალი, ფოტოებით... და სიტყვით. „კინოს ერთ-ერთი მიზანი – ოცნებების გაცოცხლებაა“, – ამბობს რეჟისორი. ზღვის პირას ქალის და კაცის შიშველი, ერთმანეთზე გადაჯაჭვული სხეულები... ისევ ზღვის პირას, ერთმანეთისგან მოშორებით, სილაში მოთამაშე ბავშვი და ზღვისკენ მიბრუნებული კაცი, და

ავტორის ტექსტი: მე ისინი ყოველთვის მაინტერესებდნენ – მოთამაშე ბავშვი და კაცი, რომელიც გაჰყურებს ზღვას. თვითონ ვარდა კი თამამად დაბიჯებს ეკრანზე, ხან შავად შეღებილი და ხან ნახევრად თეთრი თმით, ხან ფართხუნა შარვლით და ხან ეგზოტიკურ, მდიდრულ, აღმოსავლურ სამოსში გამონყობილი, და ყველა საშუალებით ჰყვება თავის თავგადასავალს, თავისი ფოტოგრაფობის ისტორიას უნ ვილართან, ჟერარ ფილიპთან მუშაობის ამბებს, თავისი სიყვარულის და ოჯახური ცხოვრების ისტორიას „მერბურის ქოლგების“ ავტორ ჟაკ დემისთან, რომელიც თურმე – იმ დროს ეს საიდუმლოებით მოცული სიკვდილი იყო – შიდსით გარდაიცვალა. „სიყვარულის ეს მშვენიერი ამბავი, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი, ბუნებრივად ჩაჯდა ჩემი კინემატოგრაფიული ცხოვრების ისტორიაში და ამ ფილმში“. მომხიბვლელი და დასამახსოვრებელი პლანი: ვარდა, რომელიც იყურება კამერაში და თან უკან-უკან იხევს, ასეთი კადრი რამდენჯერმე მეორდება, ხან პლაჟზე, ხან ქუჩაში, ხან გადაღების მოედანზე. „ეს ფილმიც ხომ თავისებური უკან დახევია“, – ამბობს თვითონ. და კიდევ ერთი თავისებური პლანი – მისი ოჯახის წევრები, ორი შვილი და ოთხი თუ ხუთი შვილიშვილი, ყველანი თეთრებში, მოძრაობენ ეკრანზე, რაღაც ჯგუფებს ქმნიან და იშლებიან და მათ შორის – ანიესი, შავებში, ისიც მოძრაობს ამ თეთრი ჯგუფის ფონზე და თან გვესაუბრება: ესენი ჩემი ოჯახის წევრები არიან, მე არ ვიცი, ვიცნობ თუ არა მათ და მესმის თუ არა მათი, უბრალოდ ეს ჩემი ბედნიერებაა.

ანიეს ვარდას ჩემს წინა ცხოვრებაში ვიცნობდი. ჯერ როგორც რეჟისორს, მისმა პირველმა ფილმმა „კლეო ხუთიდან შვიდამდე“ ნამდვილი დალი დააჩნია ჩემი თაობის კინემატოგრაფისტებს. მერე ვხვდებოდით ფრანგი რეჟისორის და ქართველი რეჟისორების დიდი მეგობრის – პასკალ ობიეს სახლში. პასკალი – გახმაურებული ფილმის „ვალპარაიზოს“ ავტორი, დიდი, ზონზროხა და დღეს უკვე ძალიან ღიპიანი, 70-იან წლებში ნამდვილი „შარმიორი“ იყო – მაღალი, ლამაზი, ნიჭიერი, კარგი მოსაუბრე, ტიპიური ფრანგი ბონვივანი... მიმზიდველია მისი წარმომავლობაც – ბაბუა – ნიგნების ცნობილი გამომცემელი, დედა – მსახიობი, ახალგაზრდა პასკალს თავის მეგობრებთან – ჟერარ ფილიპთან და მარია კაზარესთან ერთად აკითხავდა ხოლმე თავგადახდილი მანქანით კონსერვატორიაში, (მოგვიანებით სამივე ერთად უნ ვილარის თეატრის მსახიობები გახდნენ); მათ სახლში, რომელიც ლუქსემბურგის ბაღს გადაჰყურებს, უკრავდა დიუკ ელინგტონი. სრულიად არავეროსებულად სტუმართმოყვარე პასკალის ჰობი, წინათაც და ახლაც – საქმლის მომზადება და მრავალრიცხოვანი მეგობრების მიღებაა. უნდა ნახოთ, რა გატაცებით და რა შესანიშნავად, როგორც ნამდვილი გურმანი და შემომქმედი, აკეთებს, და ხშირად იგონებს, თხზავს სხვადასხვა კერძს, მისი სახლი სავსეა ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი სუნელებით, და მათ შორის ყოველთვის მოიპოვება სვანური მარლი! სასაცილო ისაა, რომ პასკალს სამი ცოლი ჰყავდა და არც ერთმა არაფრის გაკეთება არ იცოდა; არ ვიცი, ამ ნიშნით არჩევდა ის თავის ცოლებს, რომ არავის

შეეშალა მისთვის ხელი საყვარელ საქმეში, თუ ქალები სიამოვნებით ესადაგებოდნენ ქმრის მიდრეკილებებს. ყოველ შემთხვევაში, ყველა წვეულებისას, რაც ძალიან ხშირად იმართებოდა, და იმართება დღესაც, მათ ოჯახში, ყოველი ცოლი ფეხი-ფეხზე გადადებული ზის, წინსაფარაფარებული პასკალი კი სამზარეულოში ტრიალებს. ის ბევრჯერ ყოფილა საქართველოში, უკანასკნელად შარშანდელი ზაფხული თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად კვარიათში გაატარა, ჩვენს მიერ ამორჩეულ სახლში, იქიდან ვილაციის დაყენებული ღვინოც ჩამოიტანა, რომელსაც დღემდე განსაკუთრებით უფრთხილდება და არავის ასმევს. საქართველოში მან კიდევ ერთი ჩვევა აითვისა – სადღეგრძელოების წარმოთქმა, და უნდა ნახოთ, რა ოსტატურად დაეუფლა ამ ხელოვნებას. აი, ამ პასკალთან ვხვდებოდი ანიეს ვარდას, ისევე, როგორც იმ დროის ფრანგული კინოს სხვა ცნობილ წარმომადგენლებს... და თუმცა მაშინ ანიესიც გარეგნულად სხვანაირი იყო, ალბათ, უბრალოდ ახალგაზრდა და თხელი, მე ეკრანზე დღესაც ზუსტად ის ადამიანი დავინახე – ცოცხალი, ირონიული და ყველაფრისადმი ინტერესით სავსე. და ჩემთვის კიდევ ერთხელ გამოვიტანე დასკვნა, რომ „დროის მსახვრალი ხელი“ არცთუ აუცილებლად სწვდება ყველა ადამიანს, უფრო ზუსტად, შეიძლება ისე ნახვიდე ამ ქვეყნიდან 80 თუ 90 წლის ასაკში, რომ მოხუცის სტერეოტიპად არ იქცე.

დღეს რამდენიმე საათი კონკორდზე, ანუ „თანხმობის მოედანზე“ გავატარე. დავდიოდი, ვკითხულობდი, ვფიქრობდი... კონკორდი – ეს მთელი სამყაროა, და ის ყოველთვის ახლად მხიბლავს – თავისი განსაკუთრებული სინათლით, შადრევნებითა და სკულპტურებით, მწვანისა და ოქროსფერის შეხამებით, ხედებით – ტრიუმფული თაღისა და მაღლენისაკენ, და, რაც მთავარია, სივრცის უსაზღვრობით, რასაც, თურმე, სრულიად გარკვეული ახსნა აქვს: ის ერთადერთი მოედანია მსოფლიოში, რომელიც არ არის შენობებით შემოზღუდული და ღიაა სამი მხრივ, შანზელიზე, ტიუილის ბაღებისა და სენის მიმართულებით. და სწორედ ეს გახსნილობაა მისი მთავარი თვისება, მისი ხიბლი. აქ ყოველთვის მეუფლება ჰარმონიულობისა და სიმშვიდის განცდა...

მაგრამ წარსული? მაგრამ გილიოტინა?

1793 წლის 16 ოქტომბერი.

მაშინ ამ მოედანს „რევოლუციის მოედანი“ ერქვა. მის შუაგულში გილიოტინა იდგა. 16 ოქტომბრის დღე იყო ნათელი, მაგრამ ცივი. 11 სათზე მარია-ანტუანეტა გამოიყვანეს კონსიერჟერიდან „მაისის ეზოში“, სადაც მას ტალახიანი ეტლი ელოდებოდა. ჯალათმა მიუთითა ადგილი, სადაც უნდა დამჯდარიყო. თვითონ მის უკან დაჯდა. ეტლი ნელა მიგორავდა კონკორდისკენ, გზაზე უამრავი ხალხი ხვდებოდა, მაგრამ არ ისმოდა არც ყვირილი, არც ლანძღვა, ჩურჩულიც კი. 30000 ჯარისკაცი ქმნიდა მთელ გზაზე ცოცხალ ღობეს. მხოლოდ სენტ-ნორეს მისასვლელთან გაისმა სიძულვილის შეძახილები. ლუვრის

პირისპირ დედის ხელში მოკალათებულმა ბავშვმა კოც-
ნა გაუგზავნა. დედოფალს თვალები ცრემლებით ავესო.
ეტლი რევოლუციის მოედანზე შემოგორდა. მარია-ანტუ-
ანეტა ადიოდა ეშაფოტის კიბეზე, ასვლისას შემთხვევით
ფეხი დააბიჯა ჯალათს ხელზე, მისი ბოლო სიტყვები იყო:
„მაპატიეთ, ბატონო, მე ეს განგებ არ გამიკეთებია“. მერე
ყველაფერი ჩვეული თანმიმდევრობით მოხდა. 12 საათსა
და 15 წუთზე რიტუალი დამთავრებული იყო. ჯალათმა
თმებში ჩაავლო ხელი მარია-ანტუანეტას თავს და აჩვენა
ბრბოს, რომელმაც შესძახა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“

იგივე გზა რამდენიმე თვით ადრე ლუდოვიკო მე-16-მ
გაიარა. 1793 წლის 21 იანვარს ის გახდა რევოლუციის
პირველი მსხვერპლი. ისტორიაში დარჩა მისი ჯალათის,
სამსონის წერილი, დაწერილი 1793 წლის 20 თებერვალს:

„როდესაც მივიდა გილიოტინის ფეხთან, იკითხა, შეწყ-
დებოდა თუ არა დოღების ბრახუნი. სანამ ხდებოდა მისი
მიბმა ფიცარზე, დაიყვირა: „უდანაშაულო ვარ“. მერე მო-
გვიბრუნდა ჯალათებს: „ბა-
ტონებო, მე უდანაშაულო
ვარ ყველაფერში, რასაც მა-
ბრალებენ. ვისურვებდი, რომ
ჩემმა სისხლმა შეადუღებოს
ფრანგების ბედნიერება“. მე-
ფემ აიტანა ეს ყველაფერი
სიმშვიდით და სიმტკიცით,
რომელმაც ყველა გააკვირვა.
მე მჯერა, რომ ეს სიმტკიცე
მან იპოვა რელიგიის პრინცი-
პებში, რომელთაც მასავით
არავინ ჩანვდომია“.

რა საინტერესოა, არა, რო-
გორ და რა სიტყვებით ლა-
პარაკობს ჯალათი თავის
მსხვერპლზე. ამ წერილში
თანაგრძნობაც იკითხება მე-
ფის მიმართ, მოწინებაც და
პატივისცემაც. როგორ ეხა-
მება ეს გრძნობები თვითონ
თავის მოკვეთის ფაქტს?

წლების მერე ალექსანდრე
დიუმა, მამა, რომელსაც უნ-
დოდა ცერემონიის დეტალები
დაზუსტება, შეხვდა სა-
მსონის (ჯალათის) შვილს და
შემოუნახა ისტორიას ამ საუ-
ბრის ჩანაწერი: „რა მოხდა
მეფესა და თქვენნი მამის და-
მხმარეთა შორის? – დიახ, მე
შემიძლია გიპასუხოთ, მე იქ
ვიყავი... როცა მეფე მიიყვან-
ნეს ეშაფოტთან, ხელები
თავისუფალი ჰქონდა. ერთი
დამხმარე ელოდა თოკით

ხელში, მეორემ უთხრა: აუცილებელია შეგიკრათ ხელები.
– არასოდეს! – შესძახა მეფემ, – არასოდეს! და თოკიან
კაცს ხელი ჰკრა. სამი დანარჩენი მეფესთან მიიჭრა. მა-
შინ მამაჩემი მიუახლოვდა და დიდი მოწინებით უთხრა:
მხოლოდ ცხვირსახოცით, თქვენო უდიდებულესობავ. ამ
მიმართვაზე – თქვენო უდიდებულესობავ, რომელიც დიდი
ხანია, აღარ გაეგონა, ლუდოვიკო მე-16 შეკრთა და თქვა,
– კარგი, იყოს ასე. ღმერთო ჩემო, ესეც! – და გაუნოდა
ხელები დასაბმელად“.

მადამ დე სტალი ასე აფასებს ლუდოვიკო მე-16-ის პი-
როვნებას:

„ამ კაცმა, რომელსაც აკლდა ძალაუფლების შენარ-
ჩუნებისათვის აუცილებელი ძალა, სითამამე – მტრების
მოსაგერიებლად, კაცმა, რომლის ბუნებრივად მორცხვმა
გონებამ ვერც საკუთარი იდეები გაიჩინა და ვერც სხვა-
თა ნააზრევის ათვისება შეძლო, ტანჯვისა და ღირსეულად
სიკვდილის გასაკვირი უნარი გამოამჟღავნა“.

მე ეს სი-
ტყვეები ბევრის მთქმელად მი-
მაჩნია და მეფისა და დედო-
ფლის გოლგოთას გზა კიდევ
ერთხელ მაფიქრებს იმაზე,
რა რთული და წინააღმდე-
გობრივია ადამიანის ბუნება
და რამდენი, ერთმანეთის გა-
მომრიცხავი თვისების დატე-
ვა შეუძლია მას.

ბინდდება. მე ისევ კონკორ-
დის მოედანზე ვარ... რევო-
ლუციის დროს გილიოტინის
აქ აღმართვით ის რევოლუ-
ციის სისხლიან თეატრად
იქცა. ამ მოედანზე თავი
მოკვეთეს 1119 ადამიანს.
უკანასკნელად, 1794 წლის 28
ივლისს – რობესპიერსა და
მის მეგობრებს.

გილიოტინა... საინტერე-
სოა, და რალაც გაგებით, შე-
მზარავიც ამ სახელწოდების
წარმომავლობა. 1789 წელს
ცნობილმა ექიმმა ჟოზეფ
იგნას გილიოტინმა პარლა-
მენტში ორჯერ ხოტბა შე-
ასხა თავის მოკვეთის ახლად
გამოგონებულ მექანიკურ
მეთოდს, როგორც უფრო
ჰუმანურს, ჩამოხრჩობასა
და ნაჯახით თავის მოკვე-
თასთან შედარებით. გილიო-
ტინი თვლიდა, რომ ახალი
მექანიზმი უზრუნველყოფდა
დასჯის მყისიერებას, რაც
ღირსეული სიკვდილის აუ-

**„როდესაც მივიდა გილიოტინის
ფეხთან, იკითხა, შეწყდებოდა თუ
არა დოღების ბრახუნი. სანამ
ხდებოდა მისი მიბმა ფიცარზე,
დაიყვირა: „უდანაშაულო ვარ“. მერე
მოგვიბრუნდა ჯალათებს: „ბატონებო,
მე უდანაშაულო ვარ ყველაფერში“.**



ცილებელი და აბსოლუტური პირობა; თავისი ჰუმანური პროფესიიდან გამომდინარე, ის ცდილობდა, დაერწმუნებინა კანონმდებლები, უარი ეთქვათ ნაჯახით თავის მოკვეთისა და ჩამოხრჩობის ტრადიციაზე, რომლებიც სიკვდილმისჯილს დამატებით წვალელებს აყენებდა; ის ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ შეძლო კიდეც დეპუტატთა დარწმუნება. ახალმა მეთოდმა შეცვალა ძველი, მაგრამ საბოლოოდ ეს გამარჯვება ჰუმანისტი ექიმისთვის პარადოქსულად ტრაგიკული შედეგით დასრულდა: თავის მოკვეთის ამ ახალ მექანიზმს მისი სახელი დაერქვა, რის გამოც, სანყალი გილიოტინი მთელი ცხოვრების მანძილზე ღრმა სინანულს გამოთქვამდა.

მაგრამ დასრულდა ტერორის ბნელი ეპოქა და 1795 წელს რევოლუციის მოედანმა შეიძინა თავისი ბევრისმთქმელი სახელი: კონკორდი. ანუ თანხმობა. მერე სხვა მნიშვნელოვანი ამბებიც მოხდა: 1831 წელს ეგვიპტის მეფემ მადლიერების ნიშნად აჩუქა საფრანგეთს ლუქსორის ტაძრის ობელისკი, ფრანგი მეცნიერის – შამპოლიონის – მიერ იეროგლიფების გაშიფვრის აღსანიშნავად; ლუდოვიკო-ფილიპე პირველმა კი გადაწყვიტა მისი დადგმა კონკორდის მოედანზე, რადგანაც „ის არ გაგვასხსენებს არც ერთ პოლიტიკურ მოვლენას“. ასე აღმოჩნდა კონკორდის შუაგულში ეს 3300 წლის ასაკის, 23 მეტრის სიმაღლის, რამზეს მეორეს მადიდებელი იეროგლიფებით მოკაზმული, ვარდისფერი გრანიტის უმშვენიერესი მონოლითი, რომელიც ისეა აქ შერწყმული სივრცესთან, თითქოს, შორეულ ეგვიპტეში კი არა, არამედ პირდაპირ აქ, ამ ადგილას გაჩნდა, გაჩნდა იმისათვის, რომ სამუდამოდ დავინწყებას მისცემოდა რევოლუციური ტერორის ავბედითი წლები და თვითონ მოედანი ადამიანთა და ერთა შორის ურთიერთგაგების სიმბოლოდ ქცეულიყო.

და აი, დღეს, შენ დგახარ კონკორდზე და შეიძლება არც იცი, რომ სამი საუკუნის წინ ამ მოედანზე ცვიოდა ადამიანთა მოკვეთილი თავები და ამას ათასობით დამსწრე აღფრთოვანებით ხვდებოდა; მაგრამ თუ საღამოხანს, ბინდში იდგები დიდხანს, ზუსტად აქ, ამ ადგილას, უსათუოდ იგრძნობ რაღაც გაუგებარ თრთოლვას და იქნებ მოგელანდოს კიდეც თავის მოსაკვეთად მიმავალი, ლამაზმანი და გართობის მოყვარული დედოფალი, რომელიც სიკვდილის პირას წარმოთქვამს თავისი ცხოვრების ყველაზე გასაოცარ სიტყვებს, ჯალათისადმი მიმართულს: „მაპატიეთ, ბატონო, მე ეს განგებ არ გამიკეთებია“. მაგრამ ამ მოლანდებს მაშინვე გადაფარავს სილამაზისა და ჰარმონიულობის განცდა. და შენ მთელი არსებით შეიგრძნობ მშვენიერებას, რომელიც ასე ხშირად არის გადაჯაჭვული ტრაგედიასთან, აგვირგვინებს მას და იქნებ ამის გამო თვითონაც უფრო ღრმა, ბევრის დამტვევი და მიმზიდველი ხდება.

მშვენიერება, როგორც ტრაგედიის ბპირბპინი!

ამ ფიქრებში ჩაფლული ვბრუნდებოდი სახლში და უეცრად თვალწინ დამიდგა ჩვენი ქვეყნის ავბედითი წლები, ჩემი ბავშვობის, და მარტო ბავშვობის კი არა, ალბათ,

მთელი ცხოვრების უმძიმესი დღე, რაჟდენ-ბიძას დაპატიმრების დღე. მაშინ 13 წლისა ვიყავი, და მიუხედავად იმისა, რომ უკვე განცდილი მქონდა მამის და დედის დაქტრა, მაგრამ ეს სულ ადრეულ ბავშვობაში მოხდა, 6 და 7 წლის ასაკში, როცა ამ მოვლენის ბოლომდე გააზრება არ შემიძლო. და აი, ახლა, რაჟდენ-ბიძა! – ადამიანი, რომელიც უმშობლებოდ დარჩენილი ბავშვის თავდავიწყებით მიყვარდა, რომელიც ჩემთვის მამაც იყო და დედაც, და კიდეც პიროვნება, რომელსაც ვეთყვანებოდი. ყოველ წუთას მასთან ერთად მინდოდა ყოფნა, ეს იქნებ წინათგრძნობაც იყო და შიშიც, რომ მასაც უსათუოდ წამართმევდნენ! როცა ის ბათუმში მიდიოდა ლექციების წასაკითხად, მე მთელი დღეები ჩვენს პატარა რკინის აივანს ვაფარებდი თავს და ვტიროდი. როცა ის იჯდა თავის უზარმაზარ (როგორც მე მეჩვენებოდა მაშინ) სანერ მაგიდასთან და წერდა, მე იქვე მივუჯდებოდი და ასე ვამზადებდი გაკვეთილებს, ან ვკითხულობდი. როცა, თავისი ჩვეულებისამებრ, ოთახში ბოლთას სცემდა, მე მაშინვე ფეხებზე შევადგებოდი და ის, ყველასთან მკაცრი და შეუვალი, სტუდენტების რისხვა, მე, მის „შავტუხა გოგოს“, ვერაფერზე მეუბნებოდა უარს, იძულებული ხდებოდა აეტანა ეს ახირება, შემოეხვია ჩემს მხრებზე ხელები, ჩემთან ერთად ევლო ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში და ასეთ უცნაურ მდგომარეობაში ეფიქრა. ეფიქრა წიგნებზე და ფიზიკის სახელმძღვანელოებზე, რომლებსაც წერდა. მე გვიან მივხვდი, რომ ბავშვური ეგოიზმით უბრალოდ სიცოცხლეს არ ვაცლიდი, ის კი უდრტვინველად იტანდა ყველაფერს, ვინაიდან ალბათ მასაც ჰქონდა წინათგრძნობა, რომ იმ ბნელ ქვეყანაში ეს იდილია ობოლ ბავშვსა და მრავალჭირგამოვლილ 55 წლის კაცს შორის დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა... ან იქნებ ეს წინათგრძნობაც არ იყო, იქნებ მან უბრალოდ იცოდა, რაც ელოდა, ვინაიდან იყო ცნობილი გერმანოფილი, მის დიპლომს აინშტაინისა და პლანკის ხელმოწერები ამშვენებდა, ეს კი ნამდვილი დანაშაული იყო ჩვენ ასეთ „პროგრესულ“ ქვეყანაში, განსაკუთრებით გერმანიასთან ომის დაწყების მერე. იცოდა, რაც ელოდა, ვინაიდან ესმოდა სისტემის არსი... ფფიქრობდი რაჟდენ-ბიძაზე და უცებ გონებაში ამომიტივტივდა ლექსი, რომელიც დავენერე მისი დაპატიმრების დღეს. საკვირველია, ახლა პირველად მომინდა ამ ჩემი პირველი ლექსის სხვებისთვის განდობა. აქამდე ის ჩემი, და მხოლოდ ჩემი საიდუმლო იყო; ან უბრალოდ თვითონ ლექსს არ ვანიჭებდი არავითარ მნიშვნელობას. დღეს კი მან უცებ ჩემთვის დოკუმენტის ძალა შეიძინა, შავბნელი დროის მამხილებელი დოკუმენტის ძალა. და რაკი ვფიქრობ, რომ გამოქვეყნების ღირსია ყველაფერი, რაც იმ ეპოქაზე ლაპარაკობს, რომ დღევანდელმა ბავშვებმაც უნდა გაიგონ, რა იყო ეს მოვლენა, ეს „საბჭოთა კავშირი“, სადაც იცხოვრეს მათმა მშობლებმა და ბებია-ბაბუებმა, ამიტომ ვუბრუნდები მას:



კაცი, რომლის პირობებს ეძებს

<<< ლასანისი ბვ. 44

როდესაც თბილისში ომი იყო, მე და კარლო კაჭარავა ვამბობდით, – კიტოვანმა თბილისი მოაკიფერაო... კიფერი ცნობილი მხატვარია, რომელიც წვავს ტილოებს, ჩეხავს. ეს აგრესიაც, სროლები და ნგრევა ჩვენში პოზიტიური ვანდალიზმის განცდას ბადებდა. როცა ანგრევე, არ იცი, ამას რა მოჰყვება და რა იქნება. მაგრამ იცი, რომ ნგრევა საჭიროა; რომ ნანგრევი იმ ნახატს ჯობია, რაც გაქვს. ეს არის ტრანსი, რომელიც გადადიოდა ემოციაში. მაგრამ მერე დაიწყო ერთმანეთის ჭამა, ჭორაობა. ეს ოდესღაც ისედაც დამთავრდებოდა. ამას ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ მივხვდი, ვიგრძენი, რომ რაღაც გათავისუფლდა, მოეშვა. ჩვენ ხომ გაბრაზებული, დეპრესიული თაობა ვიყავით, ბრეჟნევის პერიოდის ეპოქაში ვცხოვრობდით მაშინ, როდესაც ჩემი თაობის ხალხი დასავლეთში სულ სხვა კულტურას ქმნიდა. და როდესაც სიბრაზის გამომწვევი ზედაპირი ქრება, ეს მუხტი იკარგება.

შემოქმედების მჯერა, როცა ის გონიერია. რასაც ჩვენ ვაკეთებდით, რეაქცია იყო, პროვოცირებული რეაქცია, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო პოზიტიური. ის არ იყო შემოქმედის მიერ შემოთავაზებული. მაშინ, როდესაც დაქსაქსულები ვიყავით და აღარ არსებობდა ლოგოსი, ველარ ვლასპარაკობდით და მხოლოდ ვბლუყუნებდით, მაშინ მივხვდი, საჭირო იყო გონება

და არა ემოცია.

გადავერთე და ვამჯობინე მინიმალური მეკეთებინა, სწორედ მაშინ გავაკეთე „რკინის ლოგოკა“, რკინის კუთხე, რომელიც მზის სხივის მოხვედრით ჩრდილს აკეთებდა კედელზე. ეგ იყო და ეგ. მამუკა ცეცხლაძემ ჩათვალა, რომ ხელოვნება ხელობა იყო და ბაზრის მოთხოვნას დამორჩილდა. დაინახა, რომ ხალხი ყიდულობდა ძველ ავეჯს და მიხვდა, რომ ასეთ ავეჯს ძველი ნახატები მოუხდებოდა; კოკა რამიშვილი თავის პროექტებზე ამბობდა, – ვსაპეულირებდი, რომ მემოგზაურა და საელჩოებისთვის რაღაც პროექტები მაგიტომ გავაკეთე, – თუმცა მერე ფერწერას დაუბრუნდა; ნიკო ცეცხლაძეს უფრო პერფორმანსი უნდოდა, არტი, მაგრამ ისიც ხატავს და მართლა კარგად ხატავს. ექსპრესიონისტული გამომხატვა ჩვენ შორის ყველაზე კარგად ნიკომ მოახერხა. ოლეგი სიმალეზე იყო, და უცებ ბავშვობას დაუბრუნდა. ვერ გაბედა, ტრანსფორმაცია ვერ განიცადა. მეც ჩემი პრობლემები მქონდა. ხეტიალის გამო, ფერწერა მივატოვე. ჰო, შეიძლება უფრო პრაქტიკულები გავხდით.

ვაცნობიერებდით, რომ როცა ვაკეთებდით ნამუშევარს – ვდგამდით ნაბიჯს. არ ვიცოდით, რა იქნებოდა მერე, მაგრამ ვიცოდით, რომ უნდა გვევლო... ასეთ პროვოკაციას დღეს საკუთარ თავს აღარავინ უკეთებს. 90-ში სერიოზული გადაფასება მოხდა, მაგრამ... ზახ, და ისევ ცხენიანი

კაცი დაგვიდგეს! რევოლუცია დამარცხდა, კონსერვატორები მობრუნდნენ, ისინი, ვინც წარსულში უნდა დარჩენილიყვნენ. თაობამ ნაყოფი არ გამოიღო, რაშიც ჩემს თავსაც ვადანაშაულებ. 70-იანი წლების თაობა კონფორმიზმს გადაჰყვა, მოისპნენ.

ერთხელ ილიკო ზაუტაშვილთან ერთად სოხუმში ვიყავი და ერთმა ებრაელმა გალერისტმა მკითხა, – ეს რას ხატავ? შენ რა, ჰაერის გაყიდვა გინდაო? არადა, ჩვენ ხომ ფულის გამო არ ვაკეთებდით, ვაკეთებდით იმიტომ, რომ სასწაულების კეთება გვინდოდა, გვინდოდა გავგვეჩინა ის, რაც არ გვექონდა. დღეს მგონია, რომ ჩვენი თაობა მხოლოდ ბანერივით წინ ასაფარებლად სჭირდებოდა; ბიენალებზე გასაშვებად და იმის საჩვენებლად, რომ ჩვენთანაც რაღაც ხდება. სინამდვილეში კი აქ არანაირ პირობებს არ გიქმნიან. ჩვენთან არიან ავტორიტეტები, არის ელიტა, სადაც თუ მოხვდი, მერე შეგიძლია წყნარად იცხოვრო. ამ ადგილის მოპოვებაში კი ზომით ან წონით დომინანტობა დაგეხმარება. მართლა არ მესმის, როგორ შეიძლება იცხოვრო შენს თანამედროვე დროში და არ გამოიყენო ის მასალა, რასაც ეს დრო გთავაზობს. რატომ უნდა ნახვიდე უკან? დღეს ძალიან ბევრი მხატვარი ცდილობს, ხალხს გემრიელი საჭმელი გაუკეთოს და ვერ ხვდება, რომ ამ დროს თვითონვე ტყუფდება. არტი უნდა იყოს კვლევა და აქედან წამოსულ მიღწევებზე მუშაობა. თუ ეს ასე ხდება, მაშინ საზოგადოება თავისუფალია, აზროვნებისუნარიანია. ხოლო თუ უბრალოდ, „კოსტუმს“ მოირგებ, რომელიც იცი, რომ ფსაეულია, რადგან მუზეუმში კიდეა, მაშინ ოპორტუნისტი ხარ. შენი შინაარსიდან უნდა გამოსვიდე და არა სხვისი ფორმიდან.

მენტალიტეტი და აზროვნება ყველაზე კარგად ხელოვნებაში ჩანს. 21-ე საუკუნეა, ამდენი ეკლესია აშენდა და ჩვენ ისევ არ გვაქვს თანამედროვე ხელოვნების ცენტრი. მე-12 საუკუნის იდეალების დონეზე დავრჩით და ვერ ვვითარდებით. პატრიარქალური საზოგადოების სტრუქტურაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თანამედროვე დემოკრატიასთან, დიალოგთან. წმინდა გიორგი წარსულიდანაა მოტანილი, არ არის დროის ადეკვატური და ნამდვილი ანაქრონიზმია, რომელიც თანამედროვეობასთან კონფლიქტში მოდის, მაგრამ ამაზე გეუბნებიან, – კაცმა ამდენს მიაღწია

და შენ ვინ ხარ რომ არ მოგწონსო? არ მომწონს იმიტომ, რომ სწორედ ასეთი დომინანტობით, პირამიდაზე აძრომით მიაღწეა.

გია ბულაძეს დიდი ხანია ვიცნობ და ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ბევრჯერ მითქვამს მისთვის, – რასაც შენ აკეთებ, ფეოდალიზმის ეპოქისაა. თუ შენ ხატავ ისე, როგორც შენ აზროვნებ – და ეს ასეა – მაშინ შენ აუცილებლად მოგყვება ავტორიტარიზმი, სადაც პრეზიდენტს თავი მეფე ეგონება და ისევე ის პირამიდა დადგება. როცა გინდა, ყველაზე დიდი დახატო, ისეთი დახატო, რომ აღარ ნაიშალოს და ისე გააკეთო, რომ ყველა წერტილს ოკუპაცია გაუკეთო, ანაქრონიზმია. გული მწყდება, რომ მოდერნიზმის, პოსტ-მოდერნიზმის მერე, მთელი იმ ფასეულობათა ცვლილების მერე უკან გადატყორცნილები აღმოჩნდით. მარტო ჩემ თაობაზე არ ვლაპარაკობ. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, რომ გვყავდეს თაობა, რომელიც ფუნჯით მოინდომებს გარემოს შეცვლას, თუნდაც დაისვაროს. მგონია, რომ მათთვის სტაბილურობა გახდა მთავარი.

თუ გახსოვს, აკადემიის ბავშვების აქცია ფურთხებაზე. მაშინ ძალიან გააკრიტიკე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოსწავლეები იყვნენ. ვისი ნამუშევარია? რას ნიშნავს ხუთნი ვართ და ყველანი ვართ ავტორები? ვითომ რადიკალური აქცია ჩაატარეს, მაგრამ პასუხისმგებლობა გაეფანტათ. მეტი რადიკალიზმი იყო საჭირო, მეტი გამონვევა, მათ კი ეს ყველაფერი გალერეაში ჩაატარეს. რატომ ჩარჩო? რატომ გალერეა? აქ აკეთებ, იმიტომ, რომ თავი უფრო დაცულად იგრძნო? რადგან იფიქრებენ, რომ არტია? დაამტკიცე, რომ არტი ქუჩაშია. თორემ გალერეაში, რასაც გინდა, იმას გააკეთებ. ჩემი ნამუშევარი გამახსენდა, ოქროს ჩარჩო და შიგნით „როლექსი“, აი, რომ გაჩვენე... ნუთუ ჩარჩო და გალერეა ვილაცას უკვე არტი ჰგონია?

წვიმის დღიურები, ჩრდილის ანაბაჟღები და Я здесь Шаран

ჯაჭურის რეაქციასავით არის – ყოველ ნამუშევარს ახალი ეტაპი, ახალი გამოცდილება მოჰყვება. რამდენიმე ხნის წინ რადიო-არტში ჩაება და უკვე რამდენიმე პროექტი აქვს გასაკეთებელი. არასდროს უფიქრია იმაზე, რომ ნამუშევარი კარგად გაეყიდა. მისთვის მთავარი ის არის, რაც ამ ნამუშევარს შეუძლია მოიტანოს: ახალი

ხალხი, ქვეყნები, შთაგონება. მამუკასთვის მხატვრობა არ არის პროფესია, ეს ცხოვრების წესია და მისგან არასდროს ელოდება მატერიალურ ჯილდოს. ჰგონია, რომ „ვხატავ და ვყიდი“ უკვე ნიშნავს კონფორმიზმს. მაშინ როგორ უნდა იარსებო? „მექანიკაა, არის შრომა, არის ანაზღაურება. გასაგებია და რაციონალურია. მაგრამ არსებობს კომპლექსურობის თეორია, რომ მარტივად არაფერი ხდება, რომ ყველაფერი ერთმანეთთან კავშირში, კომპლექსურად განიხილება. მხატვარიც ამის ნაწილია. ქმნი, მას კი მოაქვს რალაც. ეს რალაც შეიძლება იყოს ახალი ხალხი, შემოთავაზებები, მოგზაურობა, შეიძლება ფულიც“.

94-ში, როდესაც ფაქსი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკომუნიკაციო საშუალება იყო, შემთხვევით აღმოჩენის შედეგად მამუკამ და ანთიამ წვიმის დღიურების კეთება დაიწყეს. გაყოფდნენ ხოლმე ფურცლებს წვიმაში და შემდეგ, დასველებულ ქაღალდს ცეცხლზე ათობდნენ, იქ კი წვეთებისგან პატარ-პატარა ვარსკვლავები ჩნდებოდა და ერთმანეთს ასეთ წერილებს უგზავნიდნენ. ნამდვილი raindiary არისო. ამ სიტყვაში უცებ india ამოიკითხეს და... წავიდნენ. ერთი თვე ინდოეთში ყველაზე ბედნიერი იყო. საღებავებში ცხოვრობდა და გათენებამდე ხატავდა. სწორედ იქ აღმოაჩინა ჩრდილების ქაღალდზე დაბეჭდვის ტექნიკა. ციანიდის და ფერუმის რეაქციის შედეგად უამრავი ნამუშევარი გააკეთა, რომელმაც ისე, როგორც ჯაჭურის რეაქცია მოითხოვდა, ბევრი ქვეყანა მოათარა.

აი, ნახეო, – მითხრა და მზის შუქით გადანათებულ ოთახში, გახსნილი ლეპტოპით წინ და უკან დაიწყო სირბილი. მოჩვენება უნდა ეჩვენებინა, მისი გაკეთებული მოჩვენება, რომელიც კუბიკებით აჭრელებული ფორმის მიღმა უნდა მოგელანდოს. მამუკას ხომ თემა ჰქონდა მოჩვენებებზე. როდესაც დარბაზში ჯერ თვალები გიჭრელდებოდა, მერე იქვე ერთი ფინჯანი გემრიელი ჩაის მირთმევის შემდეგ – რაც სპეციალურად, გარემოსთვის თვალის შესაჩვენად კეთდებოდა – უამრავ სახეს ლანდავდი ნამუშევრებზე. გარეთ დახურულ საბარგულიანი მანქანა გხვდებოდა „ტაქსი ოპტი-მისტიკური ტრანსპორტაციისათვის“. ჯდებოდი მანქანაში, სადაც კამერა-ოფსკურას პრინციპით, თეთრ ქა-

ღალდზე გარედან შემოსული გამოსახულების პროექცირება ხდებოდა; იმ ყველაფრის, რაც შეიძლება დანახულიც გქონდა, მაგრამ... გამოსახულება მკრთალი და ამოტრიალებული იყო. „ფიგურების გასარჩევად კი მხედველობის დაძაბვა გჭირდებოდა და – არაფერი ისეთი, ტრანსში გადიოდი. მთელ შენ ინსტინქტებს ატყუებდი“. ეს აქცია ჯერ თბილისში ჰქონდა, მერე ტაივანში, ცოტა ხანში იგივეს გაკეთებას ლონდონში აპირებს. მოგზაურობს.

ვითქმის იყო წასული, შაგალის სამშობლოში. წავიდა მარტო იმიტომ, რომ დაემტკიცებინა, ნებისმიერი ასეთი წასვლა მისი პირადი მისია უნდა იყოს და არა კურატორის, რომელმაც თუ მოინდომა აუცილებლად ამოგაყოფინებს თავს სადმე. ძირს გრძელი ქაღალდი დააფინა და აქეთ-იქით საღებავები შემოუწყო. საღებავში ჩანობილი ფეხებით დადიოდა წინ და უკან და საკუთარ ნაფეხურებს ბოლოს წარწერაც გაუკეთა „Я здесь Шаран“. ისევე სიტყვების თამაში. ყველაფერში ცდილობს, ჯერ იზოვოს სიტყვა და მერე დაიწყოს მუშაობა. სიტყვების აღმოჩენაზე დიდხანს შეუძლია საუბარი.

ბალატიონი და ინგლისი

სკოტერები ინგლისში ყოველთვის არსებობდნენ. ტრადიციაა ასეთი. თუკი ვინმე ნახავდა ცარიელ, უპატრონო შენობას, შიგნით შედიოდა და სრულიად ლეგალურად, ამ შენობის ბინადარი ხდებოდა მანამ, სანამ სახლს პატრონი არ გამოუჩნდებოდა. ერთ-ერთ ასეთ ადგილას მუხა ცხოვრობს, მაღსაზ მუხიგული, მამუკას დიდი ხნის მეგობარი. მამუკა შემოდგომაზე აპირებს იქ წასვლას და იცის, მუხა აუცილებლად დაახვედრებს ერთ ოთახს. კომუნაა, სადაც უამრავი ჯურის ადამიანი ცხოვრობს და ყოველ საღამოს მამუკას საყვარელი საქმიანობა იწყება: აზრთა გაცვლა, კომუნიკაცია, ურთიერთობა. მგონი, ეს იმდენად ენატრება, რომ ლონდონში წასვლა აღარ ჰყოფნის და ამის გამო ახალ პროექტზე მუშაობს, ასეთი შინაარსით „რაჭა-ფორესტრის გაცვლითი პროგრამა მხატვართათვის“. როგორც მითხრა, რამდენიმე მხატვარი რაჭაში დღესაც მუშაობს, სადაც ვორკოპები ტარდება. ფორესტრი კი მხატვართა დასახლებაა ლონდონში, ჰოდა ამ ექსპეინჯს აუცილებლად მოვაბამ თავსო, – ამბობს.

ჯონის ფოტო მაჩვენა, მეგობარია. ერთი ოთახი ჰქონია, ხის კარით. როცა კარი დაკეტულია, ესე იგი მუშაობს, თუ გაა-ლო – გამოფენას აწყობს. ამიტომ ყველამ იცის, თუ ჯონს კარი ღია აქვს, ესე იგი შესვლაც შეიძლება. „ერთხელ გამოფენაზე მივედი. სახლი იყო. ტიპური ინგლისური, ვიქტორიანული პერიოდის. კარი გამოლე-ბული. შევიხედე, ძირს ლეიბი იდო, იქვე მასურები და წინდები ეყარა. ხედები, რომ იაფფასიან ოთახში ხარ, ოთახში დაყრილი ნივთებით ხედები, აქ ვილაც სტუდენტი ცხოვრობს. ოთახი ისეთი პატარაა, რომ ფანჯარაც არა აქვს. ჩაგმანულია. რაღაც დეპრესიული განწყობა მოაქვს. უცებ ძირს ხედავ ლიუკს, აწვე და ცა! ქვემოთ სარკვა, რომელიც ცას ირეკლავს და ხედები, რომ ამ ტიპს საკუთარი, საიდუმლო ცა აქვს. არაფერი, უბრალოდ პოეზია დავინახე. ამ ტიპის გამოფენები არც ისე ხშირად იმარ-თება, მაგრამ ხედები, რომ ეს ენაა, რო-

მელმაც შეიძლება უფრო მეტი გითხრას, ვიდრე ნახატმა“. მეგობრებთან ერთად ხატვის კლასი ჰქონდა, რომელიც დროებით, გასარემონ-ტებელ შენობაში გახსნა. ვისაც ხატვა უნ-დოდა, ყველა მოდიოდა. ბოლოს კი ყველამ იცოდა, როცა მოუნდებოდა, იქ შეეძლო მისულიყო; მარტო, მეგობრებთან ერთად, დაბადების დღიდან, გამოფენიდან. კითხუ-ლობდნენ, ხატავდნენ, უკრავდნენ, სალა-მოებს მართავდნენ, მიკრო სამყარო იყო. სახალისო რამე მოიფიქრეს – ყველა სკამს ქვემოდან შიშველი უკანალის ფოტოები ააკრეს. ძირს წვებოდნენ და ამოტრიალე-ბულ სკამთან ერთად ფოტოს იღებდნენ. ახლა იმ ადგილას პაბია და ის უკანალიანი სკამებიც ისევ იქ დგას. ნეტავ ვინმე თუ აღმოაჩენს? „ეს ბუნუელის შვილიშვილია, – ფოტოებს მათვალისწინებებს, – ხე-ლებზე დავაკარი მან რეის გადაღებული ლუისის ფოტოები და მერე სულ ასე და-

დიოდა. ეს იაპონელი გოგოა – ტომაკო, ძალიან მაგარი მხატვარი. აი, აი სერაფი-მე, არფაზე რომ უკრავს“. მამუკა კიდევ დიდხანს მიყვება თავის გმირებზე ამბებს. ბოლოს ისევ სახლი ახსენა. ჩემთვის ვიფიქრე, – ამდენი დრო გავი-და, ამდენი რამე მოხდა, ის კი დღემდე პი-მოთანს ეძებს-მეთქი. პიმოთანზე მითხრა, გალაკტიონის ლექსია, რომელზეც ვტი-როდით, ვგიჟდებოდით ისე მოგვწონდა. ლექსი ერთ ადგილზეა, რომელიც იყო და აღარ არის, სადაც ოდესღაც „უმშვენიერე-სი ხალხი იკრიბებოდა და ფანტასტიკური ამბები ხდებოდა“. ლონდონში იმ „მაგარ“ ადგილსაც ხომ „პიმოთანი“ დაარქვა. არა-ფერს მისტიკის, უფრო ის დრო ენატრება, ამბოხის, თავისუფლების, ექსპერიმენტე-ბის, შემოქმედებითი შეჯიბრის – დრო, როცა საღებავში ამოთხვრილი ყველგან თავის ნაკვალევს ტოვებდა.



ბლოვა დაკარბული ბროშის გამო

<<< სასაწყისი გვ. 52

ამის პასუხად საზოგადოებრივი მოძ-რაობა „დაიცავი საქართველო!“ შეიქმნა. უწრნალისტების უმთავრესი კითხვა, ამ დროს, ხელისუფლების მისამართით დაახ-ლოებით ასე ყლერდა: ნუთუ ჭაბუა ამირე-ჯიბი, ბიძინა კვერნაძე, რობერტ სტურუა, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რეზო ესაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ნინელი ჭანკვეტაძე, გოგი ქავთარაძე, და-ვით მალრაძე და სხვები რუსეთიდან ფი-ნანსდებიანო? რაზეც ხელისუფლებამ საკ-მაოდ ცინიკური პასუხი გასცა – რატომაც არა, უბრალოდ, ეს ადამიანები შეიძლება ან

გულუბრყვილობები ან უპასუხისმგებლობები არიანო... დროსა და სივრცეს აცდენილი ფუჭი ძა-ლისხმევა შედეგს არ გამოიღებს. იქნებ უკე-თესია ამდენი ნიჭიერი და ცნობილი ხელოვა-ნის აქტიური სოციალური და პოლიტიკური ძალისხმევა და თვითდამკვიდრების მძაფრი ვნება ახალ იდეებს, ახალ განზომილებებს და ისევ შემოქმედებს მოხმარდეს? უხეშად რომ ვთქვათ, ეს დაუცხრომელი პოლიტი-კური სუბლიმაცია პირველ რიგში შემოქ-მედებაში აისახოს. მაგალითად, რობერტ სტურუამ დაას-რულოს მაქს ფრომის „ბიდრემანი და ცე-ცხლისნამკიდებლების“ დადგმა მშობლიურ

რუსთაველის თეატრში. კარგი იქნება სახ-ელოვანმა მსახიობმა ოთარ მეღვინეთუხუ-ცესმა რომელიმე ახალგაზრდა რეჟისორთან ერთად რაიმე ალტერნატიულ პროექტში ან დადგმაში მიიღოს მონაწილეობა; ან ნინელი ჭანკვეტაძემ ბრეხტის „დედილო კურა-ჟისთვის“ მოიცალოს, რომლის დადგმასაც სპეციალურად მისთვის დავით დოიაშვილი აპირებდა. მოუთმენლად ველი როდის დაას-რულებს ბატონი გოგი ქავთარაძე იბსენის „ხალხის მტერს“ თუმანიშვილის თეატრის სცენაზე, სადაც მთავარ როლს ზურა ყიფ-შიძე შეასრულებს. კარგი იქნება თუ ბიძინა კვერნაძის რაიმე ახალ მოვისმენთ. ვერდიც ხომ ნერდა 80 წლის შემდეგ ოპერებს? ან იქნებ ბატონმა რეზო ჩხეიძემ თბილისშიც გვიჩვენოს „მაცხოვრის საფლავზე დანთე-ბული სანთელი“, რომ მის მხატვრულ ღირე-ბულებაში დავრწმუნდეთ. თავის ერთ-ერთ ნერილში უწრნალისტი იულია ლატინინა ქართულ ინტელიგენციას საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ განადგურებულ არისტოკრატი-ას ადარებს, „რომელიც დაუსრულებლად მოთქვამს დაკარგულ პრივილეგიებზე. ნუ-წუნებს, რომ ვერსალში მეჯლისები აღარ იმართება. და აღარც სამკაულები შემორჩა საამისოდ. მხოლოდ ცოცხლად შენახული და ლამაზი მოგონებები“. შესაძლოა მის ფრაზა-ში უფრო ცინიზმია, ვიდრე ელემენტარული


ადამიანური თანაგრძნობა, მაგრამ როცა ადამიანებს არ შეუძლიათ, ან არ სურთ რეალურად შეაფასონ ღირებულებათა სისტემა, ან პერსპექტივა, ეს ნიშნავს რომ ისინი თანამედროვეობის, დროისა და რეალობის მიღმა რჩებიან.

გახსოვთ ჩეხოვის „ალუბლის ბალი“? დრამა, რომელშიც ბედისწერა და აუცილებლობა ერთმანეთს ერითმება. რანევსკაია, გაევი, ფირსი, ვარია – როგორც არ უნდა ვუთანაგრძნოთ ჩეხოვის პიესის სიმპათიურ პერსონაჟებს, გასაგებია, რომ „ალუბლის ბალი“ მინც გაიყიდება. თუმცა გუსტავ შვაბისაგან განსხვავებით, რომელიც ამპარტავან და ცინიკოს ინტელექტუალებს საერთოდ არ უთანაგრძნობს, ჩეხოვი დახვეწილი, მაგრამ უსაქმური არისტოკრატის დასასრულს ძალიან განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ ასევე კარგად იცის, რომ ბურჟუაზიამ და ისტორიულმა პროცესებმა ამ სახლს, ამ ბაღს, მათ ცხოვრებას განაჩენი გამოუტანა.

სწორედ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს საბედისწერო გზავნილი ჩეხოვის ბოლო პიესაში. „აცდენილი დროების“ დრამა, უფრო ზუსტად, ამ „დროების“ გამომხატველი ადამიანების შეუძლებელი კავშირი სასიცოცხლო სივრცესთან, მთავარ პრობლემად იქცა ჩვენი ინტელიგენციისათვისაც. სწორედ რეალურ სოციალურ და პოლიტიკურ გარემოსთან მათი სასიცოცხლო სივრცის შეუთავსებლობაა მთავარი დრამა. ცხადია ეს რთული და მძიმე პროცესია, მაგრამ გადასატანია.

P.S. როცა ათი წლის წინ პირველად ჩავედი ბერლინში და ცნობილ მაღაზია „სატურნში“ CD-ის უსასრულო თაროები ვნახე, პირველად ვიგრძენი რა ფუჭი ენერგია და დრო დამიხარჯავს წლების განმავლობაში ასობით ვინილის ფირფიტის შესაძენად. სწორედ იმ წუთებში გავაცნობიერე, რომ დრომ და ტექნოლოგიებმა ათწლეულებით ნაგროვე-

ბი „მუსიკალური წარსული“ უღმობლად გაანადგურა. ოდესღაც 50 მანეთად ნაშოვნი მარია კალასი უეცრად გადაფარა ათასობით ფერადმა დისკმა. პიანისტ მიცუეკო უშიდას დახვეწილმა მოცარტმა, პაბლო კაზალსის მიერ ჩელოზე შესრულებულმა ბახის „პარტიტებმა“, მაილს დევისის საუნდ-ტრეკმა ლუი მალის ფილმისათვის „ემაფოტის ლიფტი“... და სრულიად მოულოდნელად იმ უზარმაზარ გროვში აღმოვაჩინე ბეთჰოვენის შესანიშნავი საფორტეპიანო მინიატურა „გლოვა დაკარგული გროშის გამო“, არტურ შნაბელის შესრულებით. რატომღაც მგონია, რომ ჩემთვის მტკივნეული განცდები დროში „დაკარგულ“ ვინილის ფირფიტებთან დაკავშირებით, სწორედ მრავალტანჯული ინტელიგენციის „დაკარგულ“ წარსულს უკავშირდება. მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად რეალური და გულწრფელია მათი გლოვა. ამ დაკარგული „გროშების“ გამო.



ლესბინასია

<<< ლასანისი 83. 72

70-იან წლებში ლესბიანიზმი პრაქტიკოს მიმდევრებს რადიკალური ამბოხის გზასა და ფემინისტთა გაძლიერებას ჰპირდებოდა. სეპარატიზმი უნდა ყოფილიყო იმ ალტრუიზმის საპირწონე, რომელიც ქალებს უხსოვარი დროიდან სტანჯავდათ. ახლა, როდესაც ფრაზა „ლესბოსელი დედა“ აბსოლუტურად ჩვეულებრივად ჟღერს, ძნელი წარმოსადგენია დრო, როდესაც ლესბიანიზმი კონტრკულტურული ქვეტექსტით იყო გაფლენილი, ქალებს კი ის იდეოლოგიის გამო

უფრო იზიდავდათ, ვიდრე – სექსობრივი სურვილისთვის.

ამიტომ თუკი შენც თანამედროვე ახალგაზრდა ლესბოსელი ხარ, ძნელი იქნება იმ იდეის გაგება, რომლის მიხედვითაც, შენი არსებობა შესწავლე სექსუალურ არჩევანზე დამოკიდებული.

პირველივე ჯერზე, თვალი შევავლე თუ არა „ვან დაიკების“ უკანასკნელ წარმომადგენელს, ვიცოდი, რომ ის იყო, სიტყვის უთქმელად. ჯონი კემს ჰგავდა, მაგრამ კიდევ უფრო ბრგე და ძლიერი ჩანდა. თავისი ტყავის ქურთუკით, სიცილის ერთ-ერთი

ნიგნის მაღაზიაში იჯდა. აქ ცხოვრობდა ის იმ დღის მერე, რაც 1980 წელს ფურგონით ქალაქში შემოვიდა – ხეტიალით, ნაირგვარი სექსით, სხვებთან გასაზიარებელი ქონებით, რადიკალური ფემინიზმითა და სახელ – ჰითერით დაღლილი. თურმე ბავშვობაში ასე ამბობდა ხოლმე: „მე ჰეიდი ლემარი ვარ, კინოვარსკვლავი!“ სულ ამ ფრაზას იმეორებდა, რადგან საიდანაღაც დამახსოვრებია ეს სახელი და მისი ჟღერადობა მოსწონებია. ეს ამბავი მან ერთ ქალს, სახელად ბეარს უამბო, როგორც კი ქალაქში შემოვიდა. ბეარმა კი მიუგო: „დღეიდან შენ ლემარი ხარ“. იმ დღიდან მოყოლებული ჰითერი ლემარ ვან დაიკი გახდა.

ვან დაიკი მართლაც გამორჩეულად ახოვანი ტანის ქალია. გამველეები ხშირად ჩერდებიან ხოლმე და აკვირდებიან. 6 ფუტი სიმაღლისაა, მსუქანი არ არის, მაგრამ კარგად ჩაფსკვნილია. ძალიან შთამბეჭდავია ერთი შეხედვითაც. „შემხედავ თუ არა, ყოყმანს არ მოჰყვები, ეგრევე დაბეჯითებით იტყვი, რომ დაიკი ვარ და გეი, – მეუბნება ლემარი, – მაგრამ თუკი ასე არ იფიქრებ, მაშინ მთლად ჯანზე ვერ უნდა იყო“. მოკლე, მუქი ფერის თმა აქვს, სვირინგები კი ორივე მკლავზე აქვს აცმული. ზოგიერთი მათგანი საკუთარი ხელით გაიკეთა იმ 18 წლის განმავლობაში, როდესაც სვირინგების ჯიხურს ფლობდა.

როდესაც შევხვდი, შევატყვე, ვნერვიულობდი.

მეც რომ ქალი და მეც რომ გეი არ ვიყო, ვეჭვობ, საერთოდ შემხვედროდა. „ახალ თაობას უნდა, სიტუაციას მოერგოს, სხვა არაფერი, – მეუბნება დაიკი, – ეგაა თქვენი ოცნება – მინდა, შენ გგავდე. მე კი ამ ქვეყნად ყველაზე ბოლოს რაც მინდა, ისაა, რომ შენ გგავდე“. მიუხედავად ამისა, თავის სახლში მაინც წამიყვანა. სახლს წინკართან მეტალის დაფა ჰქონდა მიკრული წარწერით: „ქალბატონები“. ოთახები კი გაფორმებული იყო ნეონის განათებებით, ბოულინგის ბურთებით, ლემარის ნახატებით, რომლებზეც ადამიანი-ჩიტები გამოსახული, იქვე იყო ჩინური ფარნები, პარიკმახერის ძველმოდური სკამი, დიდი, იასამნისფერი ბროლის ყეოდა გვირგვინით და კომონოს უზარმაზარი სკულპტურა, რომელიც თავისი ხელით გამოაქანდაკა, მას შემდეგ, რაც ძილში ნახა. „ერთხელ დედამ შემხედა და მითხრა, – უბრალოდ, არ მესმის, როგორ აღმოჩნდი იქ, სადაც აღმოჩნდი, შენ ხომ შინაგანად ასეთი მდიდარი ხარ, – მიაშობს ვან დაიკი, თავის სასტუმრო ოთახში, ლეობარდის ლაქებიან ტახტზე მოკალათებული, – მე კიდევ შევუბრუნე, – დედა! ვინ მპრანჭავდა, სამი წლის რომ ვიყავი, ვინ მამღერებდა სიმღერებს თავისი მეგობარი ქალებისთვის შინაურულ წვეულებებზე, ვინ მატარებდა სტეპის ცეკვის გაკვეთილებზე, რას ნიშნავს არ გესმის, დედა, რა გჭირს?“ – და უცებ ვან დაიკი სიცილს იწყებს.

ლემარ ვან დაიკის ბავშვობის სახელი ჰითერ ელიზაბეტ ნელსონია. ის კანადაში დაიბადა 1947 წელს, გაიზარდა ბუფალოში, ნიუ იორკის შტატში. დედა დიასახლისი იყო, მამინაცვალი კი – წყალგაყვანილობის მექანიკოსი. „ძალიან მტკიცე ხასიათის გერმანელი იყო, მაგრამ ყველაფერს უკრძალავდა ჰითერს: „ამას არ გააკეთებ, იმას არ გააკეთებ, სახლიდან ფეხს არ გაადგამ“, – უჩიჩინებდა გერს. „მთელი თინეიჯერობა მასთან ომში გავატარე. იყო რაღაც ფროიდული ჩვენ ურთიერთობაში. ძუძუები გამეზარდა თუ არა, სულ გამოყეყედა“.

19 წლის იყო, სახლიდან რომ წავიდა. აფრო-ამერიკული ორგანიზაციის Black Panther-ის წევრთან არნელთან გატარებული ერთი ღამის შემდეგ დაფხმძიმდა. სან ფრანცისკოში გადავიდა, სადაც კლიმატი უფრო თბილი იყო, კულტურული ჩარჩოები კი მყიფე. ბავშვი იქ გააჩინა, მაგრამ გოგონა მაშინვე გააშვილა. „ბევრი არ მიფიქრია. ჩემ დებს

ბავშვების გაზრდაში ზოგჯერ ვეხმარებოდი ხოლმე და კარგად ვიცოდი, რასაც ნიშნავდა დედობა. ზუსტად მესმოდა, რომ მე ამას ვერ შევძლებდი. შვილზე მტკიცე უარი ისე ვთქვი, არც მიყოყმანია. ვამბობდი, – ამ ბავშვს კარგი ცხოვრება უნდა ჰქონდეს, ოღონდ ჩემგან მოშორებით და სულ სხვაგან“.

ბავშვის გაჩენის შემდეგ, ექვსი წლის განმავლობაში ჰითერი სამჯერ გათხოვდა. ქმარი №1 ჯერ კიდევ სამშობაიროში გაიცნო, სადაც ის ვიღაც ქალის სანახავად იყო მისული. მაგრამ ჰითერმა მაინც გადაწყვიტა, – „არა უშავს, მაინც შევბამ“. კაცი ფსიქიატრი იყო და ყოფილი პატიმრებისთვის გამოსაჯანსაღებელი ცენტრი ჰქონდა გახსნილი. ჰითერი მის სახლში ექვს თვეს დარჩა. ერთ დღეს ბუფალოში, ოჯახის წევრების მოსახელბლად რომ ჩავიდა, ქმარ №2-ს შეხვდა. ის მოტოციკლისტი იყო, სახელად სკიპ ბრუმი, ბანდის Road Vulture-ის წევრი. ვან დაიკმა გახუნებული გაზეთის ნაგლეჯი მიჩვენა. 1968 წლის გამოშვება იყო, გაცრეცილ საგაზეთო ფოტოზე კი ჰითერი ჩანდა, გრძელი ყავისფერი თმით, გვერდით ბრუმი იდგა თავისი მოტოციკლით. ორივეს ველური და მხიარული იერი ჰქონდა (ბრუმი მალე დაპატიმრეს მოსანენვის გაყიდვისთვის, მერე კი ამბოხების დროს ატიკაში აღმოჩნდა). ამ ადრულ ურთიერთობებში ვან დაიკისთვის „ყველაზე დიდი ხიბლი იყო კაცების მოპოვების პროცესი; ამ ფრაზის სიმსუბუქე: „ეი, შენ, რა სიმპათიური ხარ. ნეტა, გახდები ჩემი?“ „ნუ, ჰო, კარგი“, – პასუხი სულ ასეთი დადებითი იყო, რადგან კაცები ხომ ასე არიან – სადაც შეყოფა შეიძლება, ყველგან ყოფენ“.

ქმარი №3, ბრიუს ბეიერი, ანტისაომარი საპროტესტო დაჯგუფების წევრი იყო. ჯგუფის ერთ-ერთი საპროტესტო აქცია უნიტარულ ეკლესიაში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა და ამერიკელმა მარშლებმა დაარბიეს. ბეიერს ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა და რომ არ დაეჭირათ, ჰითერთან ერთად სტოკჰოლმში გაიქცა, სადაც წყვილმა 1972 წელს იქორწინა კიდევ. „№3-თან შეუღლება თავგადასავლებსა და ფედერალური ბიუროსგან მალვას უკავშირდება. ეს იყო მსოფლიოს გარშემო სირბილი ყალბი პასპორტებით და საზღვრების არალეგალური გადაკვეთით. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო. მჯეროდა, რომ ასე სჯობდა“, – იხსენებს ვან დაიკი.

იმავე გაზაფხულზე ნიუ მეხიკოელი ახალ-

გაზრდა ქალი, რომელიც ფეი დანაუის გმირს ჰგავდა ფილმიდან „ბონი და კლიდი“, ბეიერების ოჯახს სტოკჰოლმში ეწვია. სტუმარი ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად იყო ჩასული. ჰითერმა გადაწყვიტა, კონფერენციაზე თვითონაც წასულიყო. იქ მოსმენილმა რადიკალურმა ფემინისტურმა იდეებმა კი მაშინვე აღაფრთოვანა, განსაკუთრებით მოიხიბლა ერთი იდეით: რომ მას თურმე კაცი საერთოდ არ სჭირდებოდა; რომ შეიძლებოდა თვითონ ყოფილიყო საკუთარი ცხოვრების მთავარი მოქმედი გმირი, საკუთარი თავგადასავლის მთავარი პერსონაჟი. ფემინისტების აზრით, ამ ახლებური ძალაუფლების მთავარი განსახიერება იყო სექსი სხვა ქალებთან. ჰითერი და მისი სტუმარი კონფერენციიდან ერთი სურვილით შეპყრობილები გამოვიდნენ, რომ რაც შეიძლება მალე ეს თვითონაც განეცადათ. ბრიუს ბეიერმა ხუმრობით შესთავაზა ქალებს, – თქვენს ექსპერიმენტში ჩავერთვებო, – მაგრამ ქალებმა მტკიცე უარი სტკიცეს. „უთხარი, არაფრის დიდებით. დღეს ჩემთან ეს წვება, შენ ტახტზე გამწესდები, – იხსენებს ვან დაიკი და თან ბოხი, როხროხა ხმით გიჟივით იცინის, – ამიერიდან, მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში შენი ადგილი ტახტზე იქნება“.

ბეიერმა, რომელიც ახლა ბუფალოში ცხოვრობს და დურგლობით ირჩენს თავს, მითხრა, – „მასხოვს, ვინეკი გვერდით ოთახში, ვწრიალებდი და ვფიქრობდი, მაგონი, ეს ყველაფერი დიდად არ მომწონს. მერე ველარ მოვისვენე, წამოვდექი და დილის ოთხ საათზე პარკში წრეებს ვარტყამდი“.

მის ცოლს კი ლესბოსურმა სექსმა თითქოს თვალები აუხილა. ეს გახდა მისი მორიგი საყვარელი გატაცება, რისთვისაც სიცოცხლე ღირდა. რამდენიმე ღამის შემდეგ ჰითერმა შინ „კაცთმოძულე ინგლისელი ქალები“ მიიყვანა. ბეიერი მიხვდა, რომ მის ცოლს უკვე სულ სხვა პრიორიტეტები ჰქონდა. „მაგრამ იმ დროს საკუთარი უფლებებისათვის მებრძოლი ქალების მხარდაჭერა ანტისაომარი მოძრაობის წევრებისთვის სავიზიტო ბართად ითვლებოდა, – იხსენებს ბეიერი, – არ მინდა, ახლა გმირად შემრაცხოთ, მაგრამ ეს გავლენა მეც განვიცადე. ჰითერს ყოველთვის ისე ვუყურებდი, როგორც მერი პრანკსტერს ქალთა მოძრაობიდან. ის ყოველთვის თავქარიანად იქცეოდა. ერთი კი უნდა ვაღიარო, მისმა ქცევამ გული გამიტყნა“.

ჰითერი ტორონტოში გადავიდა, სადაც

გაგონილი ჰქონდა, რომ ბევრი ლესბოსელი ცხოვრობდა. მალევე დაუმეგობრდა ერთ წყვილს, რომლებიც ქალთა გახეთს გამოსცემდნენ, სეპარატიზმთან დაკავშირებით ატარებდნენ ექსპერიმენტებს და „ამსხვრევდნენ მონოგამიას“. შერეული სექსი იყო „ჩვენი რეზისტენტული ომის ფინალური აქტი, – ამბობს სიცილით ვან დაიკი, – ჩვენი მიზანი იყო, არაფერი მიგველო ფაქტად და ფაქტების რეალურობა თავადვე განგვესაზღვრა აბსოლუტურად ყველაფერთან მიმართებაში. გვინდოდა ურთიერთობები, რომლებშიც მაქსიმალურად დავიხარავდით. მოკლედ, განვიზრახეთ, რომ ყველა გააკეთებდა იმას, რაც უნდოდა, როცა უნდოდა და ვისთან ერთადაც უნდოდა. ეს გარკვეულწილად თავისუფლებაც იყო ჩვენთვის და მსუბუქი დრამაც. იმ დროს, როდესაც ვან დაიკები ფურგონით აქეთ-იქით დახეტიალობდნენ, ყველა ყველასთან იწვა. დიდი ქაოსი იყო“.

ქმრებთან გაყრით და ჰეტეროსექსუალური რეალობის კონტრკულტურის შექმნით სეპარატიზმი ქალები ეპოქის ტენდენციებს მაინც გამოხატავდნენ. „ისე უცნაურია ჩემთვის, როცა ამბობენ, რომ ფემინიზმი ანტისექსუალური მოძრაობა იყო, თითქოს... თითქოს! – ამბობს კრის ფოქსი, ქალი, რომელიც ერთხანს იმ გაყრულ ფერმაში დასახლდა ჰითერთან ერთად, ახლა კი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში სადოქტოროს იცავს ვიქტორიის უნივერსიტეტში, – რას ამბობთ, იმ დროს ქალები ხომ ჟიბოების მეტს არაფერს აკეთებდნენ“.

მაგალითად, ჰითერ ვან დაიკს ასეთი გატაცება ჰქონდა – მას თავი ყველა ქალისთვის უნდა შეეყვარებინა. რაც ყველაზე შთამბეჭდავია, ჰითერი ახერხებდა, ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც კი ამ ქალების მეგობრად დარჩენილიყო, შიგადაშიგ კი საყვარლადაც მიბრუნებოდა მათ. ჰითერის ერთგულები რომ რჩებოდნენ, გარკვეულწილად ეს მისი მაცდუნებელი პერსონის ბრალი იყო. ის დღემდე ისეთი ენთუზიაზმით აფრქვევს თავის გიჟურ იდეებს, რომ რაღაც ეტაპზე გაფიქრებინებს, – ვინ იცის, იქნებ... ესეც რომ არა, თინეიჯერობის წლებში ჰითერი მოდელირებდა, 1970-იანებში კი თავისი გადახორცილი თმით არამექვეყნიურად მშვენიერი იყო. გარდა ამისა, თავისი საყვარელი ქალებივით, ჰითერსაც სჯეროდა, რომ როდესაც საქმე საყვარულს ეხება, თავისუფალმა ქალმა თავი არ უნდა შეიზღუდოს.

1978 წელს, ეინჯ სპოლდინგთან ერთად

გზებზე ხეტიალში გატარებული ერთი წლის თავზე ჰითერი კანადაში დაბრუნდა, ფერმის თავისი წილი უნდა გაეყიდა. გზად მას ახალი ქალი გადაეყარა, სახელად ჯუდიტი. მაგრამ ჰითერს ხეტიალი სურდა და არა სტაბილური პარტნიორი და დანყვილება. თავის მხრივ, ჯუდიტის ფურგონში, ბანდის წევრებთან ერთად ცხოვრების დრამატიზმი იზიდავდა, ამიტომ ქალთა დაჯგუფებაში თავისი მეგობარი ნენსიც გაანერვიანა – ქალი, რომელიც იმ დროს უილბლო ქორწინებას უღებდა ბოლოს და ქმარს ეყრებოდა. ნენსის სურდა, გაყრის დეტალები დანარჩენებისთვის გაეზიარებინა, თან ახალი ცხოვრების სტილი გამოეცადა. მალე ჰეტეროსექსუალი ქალისგან, რომელსაც შვილებიც ჰყავდა, აღარაფერი დარჩა. ნენსი სჯი ვან დაიკი გახდა, ლესბოსელი სეპარატიზმი საკუთარი ფურგონით.

ვან დაიკებმა გადაწყვიტეს, რომ ტეხასში შეიკრიბებოდნენ და იქიდან ყველანი ერთად მექსიკაში გადავიდოდნენ. ჰითერი დარწმუნებული იყო, რომ დაიკების სამოთხეს ან აუცილებლად იპოვებდნენ, ანდა თვითონვე შექმნიდნენ, თუკი ამ უმთავრეს მიზანს მხედველობის არიდან არასდროს დაკარგავდნენ. გადაწყდა, ჰითერი დაიმგზავრებდა ჯუდიტს, სკაი თავისით წავიდოდა, ყველანი ერთად კი სანჯავის ფულს გაუგზავნიდნენ კრის ფოქსსა და ეინჯ სპოლდინგს, რომლებსაც ერთად უნდა ემოგზაურათ.

კრისმა ამ მოგზაურობაში წასვლა მაინც გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ ჰითერის ფერმიდან წასვლის გამო ჯერაც გულნატკენი იყო. იცოდა მიზეზიც – ეს მამინ მოხდა, როცა უცებ გამოჩნდა არენაზე „გარუჯული ეინჯი, სიგარეტის მოწვევის საოცრად სექსუალური მანერით“. თუმცა, ახლა არც თვითონ და არც ეინჯი თავს მიტოვებულ საყვარლებად არ გრძნობდნენ, რომლებიც სულ სხვასთან დანყვილებულ ჰითერს აედევნენ მოგზაურობაში. მათ სჯეროდათ, რომ უფრო მნიშვნელოვანი რამ აერთიანებდათ, ვიდრე სიყვარულისგან მიყენებული ჭრილობები და გატეხილი გულებია. ეს იყო ბრძოლა, რომლის შედეგადაც უნდა გამოერბოდნენ ჰეტეროსექსუალური რეალობას. „ეინჯთან ერთად სულ რამდენჯერმე განვიხილეთ ის ფაქტი, რომ ჰითერმა ორივე მიგვატოვა, – ამბობს კრის ფოქსი (მოგვიანებით მან სახელი გადაიკეთა და თორნ ვან დაიკი გახდა, რადგან ენა ჰქონდა მწარე (thorn – ინგლისურად ეკალია), – მერე კი, უბრალოდ, ჩავალაგე დურგლის ხელსაწყოები და ეინ-

ჯთან ერთად წასასვლელად გავემზადე, არა როგორც მისი საყვარელი, არამედ როგორც მეგობარი. როგორც ნამდვილი ვან დაიკი“.

რამდენიმე თვის შემდეგ ჰითერ ვან დაიკი სან ანტონიოს მერიის წინ კიბეებზე იჯდა თავის ახალ საყვარელთან ჯუდიტ ვან დაიკთან ერთად და აღტაცებით გასცქეროდა ქალაქში იმ წუთას შემოგრიანებულ ნაცნობ ფურგონს, რომელიც მისი ორი ყოფილი ქალი იჯდა. მათ მალე სკაი ვან დაიკიც მოჰყვათ. სკაის თან კიდევ ერთი ქალი ახლდა, რომელიც გზად ჩაუტყამს. ქალს უკვე სახელიც შეცვლილი ჰქონდა – მას ახლა ბირჩ ვან დაიკი ერქვა. იმ დროს მობილური ტელეფონები არ არსებობდა, არ იყო არც იმიელი. ამიტომ მართლა ლირსშესანიშნავი ფაქტი იყო, რომ მიზანს მიაღწიეს. რადიკალი ლესბოსელების „მოგონება, რომელიც არასდროს გავიწყდება“, შედგა.

1979 წელს, ახალი წლის ღამეს ექვსმა ვან დაიკმა ოთხი ფურგონით მექსიკის საზღვარი გადაკვეთა და სამხრეთით, იაკატანის კუნძულისკენ გასწავს. როცა ჩიჩენ იცას მიაღწიეს, ქალები ციკაბო ზიქურატზე აძვრნენ, თვალი მოავლეს ქვის საკურთხეველს, აქა-იქ ჩამქრალი ცეცხლის ლაქებით და უცებ მიხედნენ, რომ იდგნენ იმ ადგილას, სადაც წინათ ქალებს მსხვერპლად სწირავდნენ. „ამკარა იყო, რომ იქ ქალებს წვავდნენ“, – იხსენებს ლემარ ვან დაიკი. ამიტომ დაიკებმა სწრაფად ჩამოირბინეს კიბეები, ჩასხდნენ ფურგონებში და იქაურობას უკანმოუხედავად გაშორდნენ.

ვან დაიკები თავს ხეებზე მონყვეტილი ხილით ირჩენდნენ. ამ ჯგუფს მართლაც ჰქონდა ერთი საერთო თვისება და ეს იყო ქარაფუტუბა. ზოგჯერ პარკებში შლიდნენ კარვებს, შუაცეცხლზე სოიოს მარცვლებს ხარშავდნენ და ტიფუს პატარა ნაჭრებს აყოლებდნენ, ანდა ძხვს შეწვავდნენ, როგორც განსაკუთრებულ ვეგეტარიანულ ულუფას. ამ ამბებიდან 30 წლის თავზე ქალი, რომელსაც წინა ცხოვრებაში ჰითერი ერქვა, უარყოფს, რომ ის იყო ვან დაიკების ლიდერი, რადგან დაიკები იერარქიას განიხილავდნენ, როგორც პატრიარქალურ მოვლენას. თუმცა, ფაქტია, რომ ლემარ ვან დაიკს დაიკების დაჯგუფებაზე კატალიზატორის ეფექტი ჰქონდა. „ყველასთან ვინეკი, სკაის გარდა, ამიტომ, თუ რამე ხდებოდა, მე ვიყავი ხოლმე შუაში“, – ამბობს ვან დაიკი. „ხო იცი, არა, ადამიანს, ვისთან ერთადაც წოლილხარ, სათქმელს სულ სხვანაირად ეტყვი, ვიდრე მას, ვისთანაც არ წოლილხარ. ასე იყო ჩემ შე-

მთხვევაშიც – თითქმის თითოეულ მათგანს ასე ვუკეთებდი. ურთიერთობები მათ ერთ-მანეთშიც ჰქონდათ, მაგრამ არა ისეთი ინტიმური და ღრმა, როგორც ჩემთან“. ქალთა ამ სამყაროში კი ინტიმურობა იყო ვალუტა, რომელიც მუდამ ჭრიდა.

კოზუმელში ვან დაიკები ერთმა ადგილობრივმა ქალმა, პალომამ შეიფარა. პალომას სამკაულების მაღაზია ჰქონდა გახსნილი და მეხიკო სიტყვი მალულად ვილაძის საყვარელი იყო. კოზუმელში, მისი ლერწმით გადახურული სახლი ქალაქის განაპირას იდგა, ოკეანიდან რამდენიმე ნაბიჯში. ვინ იცის, იქნებ მინა, რომელსაც ვეძებთ, სწორედ აქ არისო, – იფიქრეს ვან დაიკებმა და კარებიც იქვე დასცეს. „ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზები ვისწვლეთ, როგორც იყო: „los hombres son puercos“, – ისინებს ვან დაიკი, – არ გინდოდა, სიტყვა „დედამოტყუნო“ გვეხმარა, რადგან ეს სიტყვა რაღაც საშინელს გულისხმობდა ქალის მიმართ, ამიტომ ვამბობდით, „შენი მამა მოგტყან“. მგონი, ესპანურად ეს ასე ჟღერს – Chinga su padre – თვითონ არ იყენებენ, ჩვენ მოვიგონეთ“.

ერთ დილას ვან დაიკებს დილის ექვს საათზე გაეღვიძათ და ნახეს, რომ მექსიკელი პოლიციელების ალყაში იყვნენ მოქცეულნი. ბრალდება დაიკების წინააღმდეგ ძალიან ბუნდოვანი იყო, მაგრამ ისინი მაინც ესკორტით მიაცილეს პოლიციის პუნქტში. სანამ შიგნით გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ვან დაიკები რამდენიმე საათს იცდიდნენ. „ბოლოს პოლიციელებმა განგვიცხადეს, რომ მათ ყურამდე მიაღწია ამბავმა ჩვენი საქციელის შესახებ; რომ მათ ქალაქში ასე მოქცევა არ შეიძლებოდა და ჩვენ მათ გარემოზე კარგ გავლენას არ ვახდენდით“, – ისინებს ვან დაიკი.

ინციდენტს დაიკებს შორის მცირედი განხეთქილებაც მოჰყვა. ბრუქს სურდა, ქალები ბელიზში გადაეყვანა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჰითერმა გაიმარჯვა და დაიკებიც ისე უკან, შტატებში დაბრუნდნენ. „მთელ ქვეყანას მოვედეთ, – ჰყვება ვან დაიკი, – მოვიარეთ „ქალთა მიწები“ ჩრდილოეთ კაროლინაში, ფლორიდაში, ტექსასში, არკანზასში, ნიუ მეხიკოში, არიზონაში, ასევე რამდენიმე ასეთი კომუნა კალიფორნიასა და ორეგონში. დრო იყო ასეთი, შეგეძლო, მთელ ქვეყანაში გემოგზაურა, ქალთა ერთი მიწიდან, მეორემდე და შეხვედროდი ქალებს, რომლებიც ყველგან ერთსა და იმავეს აკეთებდნენ. ჩახვიდოდი ნიუ მეხიკოში და ნახავდი ქალებს,

რომლებიც ტუხასში გაიცანინ... მაშინ მთელი სამყარო ჩვენ ვიყავით“.

ეს იყო ლესბი-ნაცია. ერთ-ერთი მორიგი განხეთქილების დროს თემაზე, ვინ ვისთან ინვა, ჯუდიმთა ჯგუფი დატოვა და სან ფრანცისკოსკენ მიმავალ უცნობს თან გაჰყვა. მან იქ სექს რადიკალები პეტ კალიფია და გეილ რუბინი გაიცნო, რომლებმაც ლესბოსელთა სადომაზოხისტური ჯგუფი ჩამოაყალიბეს, რომელსაც შამოის დაარქვეს ზუსტად ისე, როგორც „The Story of O“-ში ნამების სახლს ჰქვია. „ჯუდიმთი ამ ქალებს დაუმეგობრდა და როდესაც უკან დაბრუნდა, გვითხრა, რომ მათი გატაცება ჩვენც ძალიან მოგვეწონებოდა“, – მამაბობს ვან დაიკი. ჯუდიმთი არ შემეცდარა: მალე დაიკების ფურცლებში ტოფუ ტყავმა ჩაანაცვლა. მათ მოსწონდათ სადომაზოხიზმის დრამა, რადგან ის მათ აძლევდა უფლებას, ეთამაშათ ძალაუფლების თამაშები – რაც ისედაც სულ აინტერესებდათ. მაგალითად, ჰითერ ვან დაიკისთვის, რომელიც მთელ კონტინენტზე დახეტიალობდა და ეძებდა ალთქმულ მინას ცოლების, ყოფილი ცოლების და მომავალი ცოლების თანხლებით, ძალიან მიმზიდველი იყო იდეა, სადომაზოხიზმის გზით მოეპოვებინა გავლენა და უპირატესობა სხვებზე.

უფრო მასშტაბურ დონეზე კი, ის, რაც ვან დაიკების წრეში ხდებოდა, მთელ ქალთა მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებს ასახავდა. თავის წიგნში „ჩვენ დროში“ სიუზენ ბრაუნსმილერი წერს, თუ როგორ დაურეკა 1981 წელს ერთმა გერმანელმა ფემინისტმა ელი შვარცერმა:

„ის თითქოს მეუბნებოდა, რომ ვილაც კალიფორნიელი ქალი, სახელად პეტ კალიფია, რომელიც პორნონიგებს წერდა, ახალ, ძალიან მნიშვნელოვან ქალთა მოძრაობას აყალიბებდა...“

რა ტიპის მოძრაობაზე მეუბნები? – ჩავეძიე მე ინტერესით.

ლესბოსური სადომაზოხიზმი, – მომიგო შვარცერმა. თავიდან ვიფიქრე, რაღაც მომესმა-მეთქი, მაგრამ მერე ტელეფონის ყურმილი ჩამყვარა – ლესბოსური სადომაზოხიზმი-მეთქი. ეს შენს მოძრაობას გააცამტვერებს. არ იცოდით?“

1970-იან წლებში ლესბიანიზმი იყო მოსიყვარულე და მზრუნველი დების კავშირი, რომელშიც სექსი უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საერთო ცნობიერების ამაღლება. ამიტომ სადომაზოხიზმი გეი ქა-

ლების უმრავლესობისთვის ლესბიანიზმის ამ ადრინდელი რბილი გაგების სრული ანტიპოდი ვახდა. ეს იყო ერთგვარი ნებართვა, მთელი გულისყური მიეპყროთ იმისკენ, რაც თითოეულ მათგანს ალაგზნებდა და არა იმისკენ, რაც პოლიტიკურული იყო. ეს იყო ლტოლვის დაკანონება და ძალაუფლების წყურვილი – ანუ ის, რაც ფემინისტთა დოქტრინის მიხედვით, მამაკაცურ საწყისად განიხილებოდა. „ჩვენ თანასწორ უფლებებს ვცემდით პატივს და უცებ ამ პატივისცემას გადავაბიჯეთ“, – დასძენს ლემარ ვან დაიკი.

სადომაზოხიზმის შესახებ კამათმა ქალთა მოძრაობაში ასევე „ცხელ თემას“, პორნოგრაფიას გადაამეტა. საკითხი მწვავე დისკუსიის საგნად იქცა. ფემინისტები ჯოტუად ამტკიცებდნენ, რომ „ლესბოსელებმა საკუთარ თავს მხოლოდ იმ სექსუალური ინტერესების გამოვლენის უფლება უნდა მისცენ, რაც მათ უზენაეს ფემინისტურ იდეალებს შეესაბამება“, – წერს ლილიან ფეიდერმენი თავის წიგნში „ბევრნაირი გოგონები და ბინდ-ბუნდის საყვარლები: ლესბოსური ცხოვრების ისტორია მეოცე საუკუნის ამერიკაში“. ისინი შიშობდნენ, რომ ლესბოსელი სექს-რადიკალები არა მარტო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სექსს, რომელიც ლესბოსელებისთვის უმნიშვნელო და შემთხვევითი ამბავი უნდა ყოფილიყო, არამედ ატყუებდნენ საკუთარ თავსაც და სხვა ქალებსაც, თითქოსდა, მამაკაცური იმიჯები, ფანტაზიები და თვისებები მათთვისაც სასურველი იყო“.

ვან დაიკებმა თავიანთი პირველი სადომაზოხისტური „ვირკოფი“ 1979 წელს მიჩიგანის ქალთა მუსიკალურ ფესტივალზე გამართეს, რითაც დამსწრეების უმრავლესობა დაზაფრეს. „ფესტივალები ქალებისთვის უსაფრთხო ადგილია, სადაც ისინი ოჯახური ძალადობისგან სულს ითქვამენ ხოლმე“, – წერს ბონი ჯეი მორისი თავის ნაშრომში „ევას აშენებული ედემი: ქალთა მუსიკალური ფესტივალების კულტურა“. „მათარახებისა და ჯაჭვების, ანდა მარყუქების გამოყენება კი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ამ მიზანს არ ემსახურებოდა“, – ნათქვამია იქვე. ამიტომ ვან დაიკების ამ გამოსვლის შემდეგ ფესტივალებზე სადომაზოხიზმის საჯარო აქტები აკრძალეს, რადგან ნიუ ინგლენდის ქალთა მუსიკალური ღონისძიების ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ შესაძლოა, ამ აქტების გამო, მონაწილეებს ფსიქიკური ტრავმა მიელოთ.

ამ სადომაზოხისტურმა ელემენტებმა, ჯა-

ჭვებმა და მათრახებმა ვან დაიკვლებს შორის სიტუაცია დაძაბა: დამცირებისა და ძალადობის გიჟური შეტევები ნორმა გახდა. ერთ ღამეს ჰითერმა იქცვიანა, როცა გაიგო, რომ ჯუღითი და ბრუკი მის გარეშე აპირებდნენ საცეკვაოდ წასვლას და ჯუღითის საცეკვაო ფესხსაცმელები დაუშალა. როცა მოგვიანებით ჯუღითმა ფესხსაცმელები ჰითერის ნივთებს შორის აღმოაჩინა, შური იმით იძია, რომ ჰითერის ფურგონი ცეცხლს მისცა.

„ლემარი იტყვის, რომ სწორედ სადომაზოხისტურმა ელემენტებმა მიბიძგა ისევ ძველ, გაცილებით უფრო ჰეტერო, ოჯახურ მდგომარეობას დაგბრუნებოდი, – ამბობს კრის ფოქსი, – მაგრამ არა მგონია, ეს მართლა ასე იყოს. იმ მოგზაურობაში იმიტომ წავედი, რომ გვინდოდა ფული დაგვეზოგა, უკან დაგბრუნებულიყავით და ჩვენზე კომუნა დაგვეარსებინა, რითაც სხვებსაც კარგ საქმეს გავუკეთებდით. მაგრამ ამ მოგზაურობამ დამანახა, რომ ადამიანები ხშირად პირადი მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ და არა საერთო ინტერესებით“.

ლემარ ვან დაიკი კი სადომაზოხისტურ გატაცებას ასე ხსნის: „მთელი ცხოვრება მეგონა, რომ რაც მჭირდა, ყველაფერი ჩემი ბრგე აღნაგობის, მყვირალა ხმის, მომთხოვნი ხასიათის და ძალაუფლებისადმი მიდრეკილების გამო მჭირდა. როცა ეს სადომაზოხისტური ამბავი აღმოვაჩინე, მივხვდი, რომ ეს იყო გარემო, სადაც ადამიანებს სწორედ ჩემი ამ თვისებების გამო მოვწონდი. ამან გამამხნევა და ნამდვილი თავისუფლება მაგრძნობინა. ეს ნამდვილი გამართლება იყო, ზედის საჩუქარი“.

მას შემდეგ, რაც ჰითერ ვან დაიკი 1980 წელს სიეტლში გადასახლდა და ლემარი გახდა, სვირინგი და ტყავი მისი ცხოვრების ახალი ინტერესი გახდა. ადგილობრივმა სადომაზოხისტებმა კი ის მთავარ ფიგურად აღიარეს. ლემარს კიდევ ერთხელ ერთგული ქალი მიმდევრების ახალი წრე გაუჩნდა. 1994 წლის ერთ შუადღეს ლემარის სვირინგების ჯიხურში ტელეფონის ზარი გაისმა. უცნობ ახალგაზრდა ქალს ჰითერ ნელსონთან საუბარი სურდა. ლემარი გაცეცხლდა. „არ მეგულეობდა არავინ, ვისაც ჩემთან უნდა დაერეკა და ამ სახელისა და გვარის ადამიანთან ლაპარაკი ეთხოვა – მასთან კავშირი დიდი ხნის განწყვეტილი იყო, – იხსენებს ვან დაიკი, – ზარბაზანივით ვიფეთქე. ვინ ხარ, რა გინდა-მეთქი? ვუყვიროდი. მეგონა, გამოძიების ფედერალური ბიუროდან რეკავდნენ.

არც მოუვსინე, ისე გავუთითე“. ყურმილი დაკიდა სატელეფონო ხაზის მეორე მხარეს ახალგაზრდა ქალმაც, რომელიც ოკლენდიდან, კალიფორნიიდან რეკავდა, ტრეისი ლუისი ერქვა და ის ბავშვი იყო, რომელიც 26 წლის წინ ვან დაიკმა გასაშვილებლად სამშობიაროში დატოვა. ის, თურმე, ერთი თვის განმავლობაში ეძებდა თავის ბიოლოგიურ დედას. „მაგრამ რომ დაფურეკე, ძალიან უხეშად მელაპარაკა“, – მითხრა ტრეისიმ, რომელიც ოკლენდში, ერთ აფრო-ამერიკულ უბანში მცხოვრებ ოჯახს უშვილებია და ტრეისის თავისი გამზრდელი მშობლები დღემდე ძალიან უყვარს. თუმცა, იმ ქალთან შეხვედრა, რომელმაც მას სიცოცხლე მისცა, ყოველთვის ძალიან უნდოდა. „გამხდარი წარმომედგინა, ტანზე მომდგარ პიჯაკში, – იხსენებს ლუისი, – საქმიანი ქალი, რომელიც ვინმე ბოხს გაჰყვა ცოლად. წარმოდგენილი მქონდა, როგორ გამოეჩნდებოდა მის ცხოვრებაში ამდენი წლის მერე და ვეტყვოდი, გამარჯობა, მე შენი პატარა შავკანიანი საიდუმლო ვარ“.

რამდენიმე დღის შემდეგ ლუისმა დედას ისევ დაურეკა და ავტომობილს უხეშე შეტყობინება დატოვა იმ სახელით, რომელიც ლემარ ვან დაიკმა მას დაბადებისას მისცა – ჩერის მიშელი.

„კინალამ გავგიჟდი. იმდენად იმოქმედა ამ შეტყობინებამ ჩემზე, რომ ქმედების უნარი დავკარგე. მერე წინ და უკან დავბოდი პოლიდან სამზარეულოში, თავში ხელებს ვიცემდი და ხმამალა ვყვიროდი, – ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მერე მეგობარ ქალს დაფურეკე, ჯეი სის, და ვთხოვე, – უნდა დამეხმარო, უნდა დაურეკო. გიჟივით ვიყავი. ჯეი სიმ მითხრა, – დაისხი ცოტა ჯეკ დენიელსი, ჩანქეი აბაზანაში და მალე გადმოგირეკავ“.

ჯეი სი ტრეისი ლუისის მართლაც ესაუბრა, გამოჰკითხა ყველაფერი – დაბადების თარიღი და სხვა დეტალები. ბოლოს ლემარს შეატყობინა – „ყველაფერი სწორია. ის მართლა შენი ქალიშვილია. ეგ კიდევ არაფერი, შენ უკვე ბებიაც ხარ. ჰა-ჰა!“ „მხოლოდ 30 წამს მოვახერხე თავის შეკავება“, – იხსენებს ვან დაიკი, – მერე კი ვეცი ტელეფონს და ეგრევე დაფურეკე. გამარჯობა – ხმა ჩამიწყდა და ლამის ჩურჩულით მივესალმე... მერე უკვე 5-6 ღამის განმავლობაში ხუთ-ხუთი საათით ტელეფონზე ვეკიდეთ“.

რამდენიმე კვირაში ვან დაიკი ოკლენდში გაფრინდა და ქალიშვილსა და მის ოჯახს შეხვდა. ლუისის დედამ ეზოში ბარბეკიუ მო-

აწყო, ამ საზეიმო საღამოს ტრეისის მეგობრები და ნათესავებიც დაესწრნენ. „ყველა ძალიან აღელვებული იყო, – იხსენებს ლუისი – ხუმრობა ხომ არ იყო – მე ჩემი ნამდვილი დედა ვიპოვე! გადაწყვიტეთ – ახლა ყველამ სვირინგები უნდა გავიკეთოთ!“ მართლაც, მეორედ, როდესაც ვან დაიკი ოკლენდში ჩაფრინდა, თან თავისი ხელსაწყოებიც წაიღო: ტრეისიმ წვივზე თევზი ამოისვირინგა, მისმა მეგობრებმა კი – ვარსკვლავები და ყვავილები. „სასიამოვნო და შვებისმომგვრელი იყო იმის გაგება, თუ რა გზა ჰქონდა დედაჩემს გავლილი – ამბობს ლუისი. – ბავშვობაში ჩემი გეგმა მქონდა და სხვას არაფერს ვუყუარებდი. ხო იცი, როგორც განიცდიან ხოლმე ბავშვები, თუ რამე შარში გახევევინ? მე კი ჩემს საკუთარ მუსიკას ვუკრავდი, საკუთარ რიტმზე მივერეკებოდი. იმას ვაკეთებდი, რაც გამეზარდებოდა“.

ლუისი უკვე 42 წლისაა, თავის ბიოლოგიურ მამას კი დღემდე ეძებს. იმედი აქვს, რომ ოდესმე მასაც იპოვის. 1994 წელს ოკლენდში ორგანიზაცია **black panthers**-ის 30 წლისთავის აღმნიშვნელ საოუბრო შეკრებასაც დაესწრო, დადიოდა შეკრებილ ხალხს შორის და პატარა ბარათებს არიგებდა, რომლებზეც მისი ისტორია იყო დაბეჭდილი. იმედი ჰქონდა, რომ ვინმეს მაინც ეს ამბავი გაახსენდებოდა და ლუისის დაეხმარებოდა. მაგრამ კაცი, სახელად არნელი არავის ახსოვდა. ვინ იცის, იქნებ, ის **panther**-ების წევრი საერთოდაც არ იყო.

ვან დაიკის სახლი მოფენილია ტრეისი ლუისის ფოტოებით, რომელიც დედასავით მაღალია, ზოგ ფოტოზე კი ტრეისისთან ერთად მისი შვილებიც ჩანან: მონიკა, რომელიც ახლა 18 წლისაა და როისი, რომელიც 8 წლის გახდა. მონიკა რივერსაიდში კალიფორნიის უნივერსიტეტში პირველ კურსზე სწავლობს, ვან დაიკს კი ფორტეპიანოზე უდევს მისი სკოლის ბანკეტის ფოტო, რომელზეც მონიკას ლურჯი კაბა აცვია და თავის შეყვარებულთან ერთად ხელიხელჩაკიდებული დგას, ფონად კი ფოტოზე პარიზული ქუჩის დეკორაცია ჩანს. ბოლო 14 წელია, ტრეისი, პაოლა, მონიკა, როისი და ლემარ ვან დაიკი დღესასწაულებს ერთად აღნიშნავენ და არადადეგებასაც ოჯახურად, ერთად ატარებენ.

ბრუკ ვან დაიკი 2000 წელს მსხვილი ნაწლავის სიმსივნით გარდაიცვალა. ზუსტად არავინ იცის, რა ბედი ეწია სკაის. ჯუღითმა კი ყველანაირი კავშირი განწყვიტა თავის მოხეტიალე ქალთა კლუბთან მას მერე, რაც

ვან დაიკებს მისიურების გამო მოუხდათ ჩხუბი (მისიურებზე პითერის ნახატის ზევით, რომელზეც გამოსახული იყო ავტომობილი შეიარაღებული პეტი ჰირსტი, იყო წარწერა „მკვლელი დაიკი“ და ეს მისიურები ქალთა ფესტივალებზე ერთ ხანს დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა). თორნ ვან დაიკი ისევ კრის ფოქსი გახდა. ის გზებზე გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ კანადაში დასახლდა. „ახლა ჩემი ცხოვრება ისევ ძალიან სტანდარტული გახდა, – ამბობს 58 წლის ფოქსი, – 1980 წელს დავბრუნდი შინ ხანგრძლივი მოგზაურობიდან. მაშინ 30 წლის ვხდებოდი და თითქმის ეგრევე გავაბი ურთიერთობა ერთ ქალთან, რომელიც დღემდე ჩემ გვერდით არის. მუშაობით კი ქალაქის მერიაში ვმუშაობ“. მამაკაცებთან უბრად მყოფ კრის ფოქსს ფიცის გატყუვაც მოუხდა, ახლა ის კაცებს ჩვეულებრივ ელაპარაკება, რადგან მის პარტნიორ ქალს ორი ვაჟი ჰყავს.

შარშან აპრილში, ერთ მზიან შუადღეს უკანასკნელ ვან დაიკთან შესახვედრად წავედი. გეზი სიეტლის ცენტრისკენ მქონდა. იქ, ინტერნეტ-პროვაიდერ ფირმაში ბოლო დაიკი, ხუთი წელია, მუშაობს. ეს, ალბათ, ყველაზე სტანდარტული სამსახურია, რაც კი ლემარ ვან დაიკს ოდესმე ჰქონია. სულ რამ-

დენიმე კვირაში 61 წელი უსრულდებოდა. მან კი ახლახან მოახერხა ცხოვრებაში პირველად უხმარი ავტომობილი, შავი „ფოლცვაგენ ხოჭო“ შეეძინა. ვან დაიკს ახლა საკუთარი სახლიც აქვს, მაგრამ საკრედიტო ბარათებს კვლავაც არ ხმარობს. „არ მინდა, კაპიტალისტ ლორებს დავემსგავსო“, – ასე ამიხსნა მიზეზი.

„უაილდ როუზში“, ლესბოსელთა ბარში წავედით, ორი ფეხის ნაბიჯში იმ ადგილამდე, სადაც წინათ ლემარის სვირინგების ჯიხური იყო. ბარში 15-იოდე ქალი იჯდა, რამდენიმე ბავშვი კი მაგიდებს შორის დარბოდა. ერთი მოკლეთმიანი ქალი მოგვიახლოვდა, მიწებებული წამწამებით, ვან დაიკს სთხოვა, მისი შვილიშვილების ფოტოები დაეთვალიერებინა; თურმე, რამდენიმე თვის წინ ვან დაიკი ამ ქალთან პაემანზე ყოფილა. ახლა კი გაუნძრევლად და ურეაქციოდ იჯდა. ქალიც იძულებული გახდა, გაგვეცლოდა. „მე ცოლი კი არ მინდა. ისეთი ვილაც მჭირდება, ვისთან ერთადაც აქეთ-იქით ვირბენ... აი, როგორც ბეტმენი და რობინი არიან, გესმის?“ – მითხრა მერე.

ვან დაიკს ახლა მუშაობა რვა მამაკაცთან ერთად უწევს და ელაპარაკება კიდევ მათ. ლაპარაკობს მენოპაუზაზე, შვილიშვილე-

ბზე, საკუთარ ბაღზე. მაგრამ მაინც ეტყობა, რომ არ შეცვლილა და ისევ ისეთი ზორბა და ველური ქალია. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში პარტნიორებად სხვადასხვა სქესის უამრავ ადამიანს ირჩევდა, მას საკუთარი თავგადასავლისთვის მაინც არასდროს უღალატია. 60 წელს მიტანებული ქალი, რომელიც რაც თავი ახსოვს, სულ იმას აკეთებს, რაც მის გულს გაეხარდება, ძნელი საპოვნია. რთულია, ასეთს წააწყდე თუნდაც ფილმებში, წიგნებში, ანდა ცხოვრებაში.

„შენ თაობას უნდა, რომ დროს მოერგოს, – გამიმეორა მეორედ, – წარმოგიდგენია? ჰომოსექსუალები სამხედრო სამსახურში მიდიან და ოჯახებს ქმნიან; სულ ესაა, რაც აზრად მოგივიდა?“ მის ხმაში ზიზღი სულაც არ იგრძნობოდა, ეს უფრო სხვა რამ იყო – შვილის შესაძლებლობებში დაეჭვებული დედის იმედგაცრუება. „ჩვენ ერთ ადგილზე არასდროს ვჩერდებოდით, არც ტელეფონებს ვეჯაჭვებოდით, არც კომპიუტერებს, არც ტელევიზორებს, საერთოდ არანაირ ეკრანებს, – მითხრა მან, – ჩვენ მონიტორიდან კი არ ველოდით სიგნალს მოქმედების დასაწყებად, პირდაპირ საქმეზე გადავდიოდით და იმას ვაკეთებდით, რაც თავად გვსურდა“.



არტი და პოლიტიკა

<<< დასაწყისი გვ. 76

ზურა ჯიშკარიანი: ნელან ვსაუბრობდით იმ ჯგუფის ინტელექტზე და გემოვნებაზე, რომელიც არჩევს, რა შეიძლება იყოს საინტერესო – პრობლემა სწორედ

ეს არის. არის ასეთი მხატვარი ლადო ონიანი, რომელსაც უნდოდა შენობის თავზე დაეყენებინა მცველები. მერიაში რომ მიიტანა ეს პროექტი, უამრავი პრობლემა აღმოჩნდა, მათ შორის ის, რომ არ არსებობს საავტორო უფლებების კარგად გამართული მექანიზმი და ეს ქანდაკებები

ნებისმიერს შეეძლო მოეპარა; მეორე ის, რომ მერია ვერ მიხვდა, რამდენად მომგებიანი იქნებოდა ის ამ პოლიტიკური ჯგუფისთვის...

თეო ხატიაშვილი: ჰო, იმიტომ, რომ არ ჯდება რელიგიურ, პატრიოტულ და ა.შ. კონტექსტში, რაშიც ჯდება იგივე წმინდა გიორგის ქანდაკება.

ზურა ჯიშკარიანი: არ ჯდება სახელმწიფოს რეკლამაში, ამიტომ ის აღმოჩნდა უსარგებლო.

თეო ხატიაშვილი: სამაგიეროდ ამ რეკლამას კარგად პასუხობდა მუსიკალური კლიპი – არ ვიცი, ზუსტად რა ერქვა, მგონი, – „ფსოუს წყალი“, რომელზეც დიდი თანხა დაიხარჯა. დაუფარავი მილიტარისტული რიტორიკის კლიპი სახელმწიფო პოლიტიკის ორმაგ სახეს აჩვენებდა, რომელიც, ერთი მხრივ, გაიძახოდა, რომ მშვიდობიანი კურსი აქვს არჩეული და, მეორე მხრივ, იარაღის უღარუნი ისმოდა; მით უმეტეს, რომ

ეს არ იყო ერთი, გამონაკლისი შემთხვევა – თითქმის პარალელურად კეთდება ისევ სახელმწიფოს დაკვეთით და ასეთივე რიტორიკის სარეკლამო რგოლი – „ნამო რეზერვში“. ვაზო, პირადად თქვენ მოგმართავთ, რადგან კონკრეტულ მოვლენებზე საპასუხო აქციების თუ კონცერტების ჩატარების გამოცდილება გაქვთ, როდესაც ამ კლიპების გაუთავებელ ტრიალს უყურებდით, არ გაგიჩნდათ, ვთქვით, ანტიმილიტარისტული აქციის მონაწილის სურვილი?

ვაზო ბაბუნაშვილი: როცა ეს კლიპი ვნახე, ჩავთვალე უნიჭო, არასწორი მესიჯის გადმოტანის ფორმად, რომლის არც მხატვრული გადაწყვეტა, არც იდეური ჩანაფიქრი არ მომწონდა. თქვენ რას ითხოვთ, რომ ყოველი ასეთი ცალკეული შემთხვევის გამო აქცია მოვანყო?

ზურა ჯიშკარიანი: ჩვენ გვაქვს არტჯგუფი, რომელიც სხვადასხვა რალაცას აკეთებს: მუსიკას, პერფორმანსებს, არიან ისინიც, ვინც პოლიტიკურ არტს აკეთებენ. მოვიგონეთ პროექტი, გაკეთებულიყო სიმღერები, რომლებიც ძალიან ადვილი მოსასმენი იქნებოდა ყველასთვის, „მარშრუტის“ მძლოლიდან დაწყებული, ოღონდ იქნებოდა განსხვავებული მესიჯები: ანტიმილიტარისტული, „ვალდავებდით“ სახელმწიფოს დაკვეთით გადაღებულ ამ კლიპებსა და რეკლამებს. რამდენიმე კონცერტიც ჩატარდა და პერფორმანსიც მოეწყო: მოვიდა 50 კაცი და წავიდა სახლში. თქვენც არ გაგიგიათ ამის შესახებ. ეს ყველაფერი ენთუზიაზმით კეთდება. გვაქვს კიდევ ერთი იდეა – დამოუკიდებელი ინტერნეტ-ტელევიზიის გაკეთება, სადაც გვინდა სახელმწიფო რიტორიკის იქით არსებული სხვა საქართველო ვაჩვენოთ. მაგრამ ისევ – როგორ ვიშოვოთ ფული? მე სახელმწიფოსგან არ ვითხოვ დაფინანსებას, მაგრამ იმის საშუალება უნდა მქონდეს, რომ, NGO-ს როცა მივმართავ, იმასაც არ ეშინოდეს. მაგალითად, თუ ვამბობ: მოდი, არ გვინდა ეს აფხაზეთი და ოსეთი, რაც გვაქვს, იმას მაინც მივხედოთ, ეს პირდაპირ ლალატად ითვლება.

ვაზო ბაბუნაშვილი: რასაკვირველია, სახელმწიფო ხელს არ შეუწყობს იმას, რაც მის ინტერესებში არ ჯდება. მე პირადად

ერთმანეთისგან ვმიჯნავ ჩემ მოქალაქეობრივ პოზიციას და ჩემ შემოქმედებას...

თეო ხატიაშვილი: ცოტა გაუგებარია ჩემთვის, თქვენ, როგორც მოქალაქე და როგორც მუსიკოსი, სხვადასხვა ადამიანი ხართ? ამ დისტანცირებას, რომ მე, როგორც მოქალაქე სხვა ვარ და შემოქმედება სხვა არის, ხშირად მივყავართ პოლიტიკურად სრულიად გაუაზრებელ ნაბიჯებამდე. მაგალითად, ერთი თვეც არ არის გასული, რაც დამთავრდა მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც ქართული კინო უჩვეულოდ რეპრეზენტატიული იყო: მონაწილეობდა კონკურსში, პარალელურ პროგრამაში, მოეწყო რეტროსპექტივა და ა.შ. ანუ რუსეთმა ისევ დაიწყო „ერთმონაშენი ერის“, ერთიანი კულტურის და ა.შ. შესხენებით ჩვენი მოხიბვლა, მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინ გააკეთა საქართველოში და ქართველებიც ძალიან ადვილად გაებნენ ამ მახეში. რეტროსპექტივას ერქვა „ფიციდან მონაწილემდე“ – თითქოს არაფერი, უბრალო ქრონოლოგიასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჭიაურელის „ფიციდან“ აბულაძის „მონაწილემდე“ პერიოდის თვალის გადავინახებას ითვალისწინებდა. მაგრამ ამკარა პოლიტიკური ქვეტექსტი, რომელიც საუკუნეების წინ ნებაყოფლობით დადებულ ერთგულების ფიცსა და მოსალოდნელ მონაწილეს (ყოველ შემთხვევაში, რასაც ელოდება რუსეთი) გახსენებს. ეს გადავწყლავთ, უფრო მეტიც, გავგიხარდა – ქართული კინო უყვართ რუსეთში, ტაში დაგვიკრეს. ამავე ფესტივალზე რეზო ჩხეიძე დაჯილდოვდა კინოში, ალბათ საბჭოურში, შეტანილი ნვლილისთვის, რაზეც რეჟისორმა „ამაღლეველი“ სიტყვით უპასუხა: „როცა ვიღვიძებ, ჯერ მეზობელ რუსეთს ვხედავ და მერე მზეს“-ო. არ ვიცი, ჩემთვის რეზო ჩხეიძის სიტყვები და მისი შემოქმედება არ იმიჯნება.

ვაზო ბაბუნაშვილი: არა, ჩემთვის იმიჯნება – იმიჯნება „ჯარისკაცის მამა“ და ეს სიტყვები.

თეო ხატიაშვილი: „რაიკომის მდივანი“ და ეს სიტყვები?

ვაზო ბაბუნაშვილი: არ შემრცხვება და გეტყვით, რომ ერთხელ ჯარში მარტო ვიჯექი და „ჯარისკაცის მამაზე“ ვიტყვი.

შეიძლება მე ძალიან მდაბიო გემოვნება მაქვს, მაგრამ ჩემზე ამ ფილმმა იმოქმედა. რეზო ჩხეიძის ამ სიტყვებმაც კინალამ ამატირა, იმიტომ, რომ ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, ამაზრზენია ეს პოზიცია, მაგრამ რა გითხრათ, ეს ჩემთვის მაინც სხვადასხვაა. იმის გამო, რომ რეზო ჩხეიძემ „ჯარისკაცის მამა“ გადაიღო, არ ნიშნავს, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა ჩემთვის უპირობოდ მისაღებია, არც რობერტ სტურუასი და არც ნებისმიერი ასეთი ღვანლმოსილი ქართველის. გავიხსენოთ კნუტ ჰამსუნი, რომელიც თანაუგრძნობდა ფაშისტებს.

თეო ხატიაშვილი: რის გამოც, მასაც ბერს აკრიტიკებდნენ.

ვაზო ბაბუნაშვილი: მაგრამ ეს ჩემთვის აღარ არის საინტერესო, მე მისი ნაწერები უფრო მაინტერესებს. შეიძლება ამაზრზენი პიროვნება იყო, მაგრამ დადო უმაგრესი ნაწარმოებები.

თეო ხატიაშვილი: მე მაინც მგონია, რომ შენი მსოფლმხედველობრივი პრინციპები აუცილებლად არეკლება შენს ნამუშევარში – კნუტ ჰამსუნი ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური ინფანტილიზმის შედეგად რეაქციულ იდეოლოგიასთან აღმოჩნდები, თუმცა შინაგანად ამ იდეებს შეიძლება სრულიად არ იზიარებდე. მოვიყვან სხვა მაგალითს – ლენი რიფენშტალს, ასევე სადავო ფიგურას კინოში, რომელიც იდეურად ფაშისტი იყო და ეს მის ფილმებშიც ჩანს.

ზურა ჯიშკარიანი: ყოველგვარი იდეოლოგია არის შიზოფრენია. შენ ხარ თავისუფალი ადამიანი, მით უმეტეს, თუ ხარ არტისტი, ერთხელ გაჩნდი ამხელა სამყაროში და იკვლევ მას. თუ მთელი ცხოვრება ხელმძღვანელობ ერთი იდეოლოგიით, ხდები რობოტი, იმიტომ, რომ არასდროს აღარ იცვლები. პოლიტიკური ხელოვნება არის ის, რაც ადამიანებს აქცევს რობოტებად. იდეოლოგია მოიგონეს იმისთვის, რომ ადვილად სამართავი, სტაბილური იყოს საზოგადოება. ასეთი საზოგადოების ჭანჭიკებს უკვე სკოლაში „ამზადებენ“. პოლიტიკური ხელოვნებაც ამას ემსახურება. მაგრამ კაპიტალიზმს ერთი კარგი თვისება ის აქვს, რომ არსებობენ დამოუკიდებელი

ბაბრქელა

არტიკლები, რომლებიც თავისი ხელოვნებით აკეთებენ ფულს.

თეო ხატიაშვილი: რისთვისაც ჩვენში ჯერ არ არის ნიადაგი და დღეს რატომაც ვსაუბრობთ.

ზურა ჯიშკარიანი: ჩვენში ეს მხოლოდ ენთუზიაზმის დონეზე კეთდება და როდემდე გეყოფა ეს ენთუზიაზმი, არ იცი.

თეო ხატიაშვილი: გამოსავალს რაში ხედავთ?

ვახო ბაბუნაშვილი: მაგალითად, ის, რისი მცდელობაც ჰქონდა „ოზონს“, რისი მცდელობაც აქვს ჩვენს სტუდიას, შექმნას ახალგაზრდა ჯგუფებისთვის სივრცე, სადაც მათ რეალიზაციის საშუალება ექნებათ, ბოლო ხანს ჩატარებული ფესტივალი Tbilisi _ Open Air...

თეო ხატიაშვილი: ეს ხომ სახელმწიფოს მხარდაჭერით ჩატარდა?

ვახო ბაბუნაშვილი: კი, ასეთი ფესტივალები ყველგან სახელმწიფოს მხარდაჭერით ტარდება, ლადო რომ ატარებს 15 წლის განმავლობაში როკ-ფესტივალს, იმასაც სახელმწიფო აფინანსებს... დავთანხმდით იმ პირობასაც, რომ „სტეფანე და სამი გოგო“ მიიღებდა მონაწილეობას, იმის მიუხედავად, რომ ისინი ამოვარდნილები იყვნენ ზოგადად ფესტივალიდან. მაგრამ ეს ჩვენი მხრიდან კონფორმიზმი

არ ყოფილა, არამედ იყო კომპრომისი, რის შედეგადაც მოვახერხეთ ფესტივალის ჩატარება, რომელსაც, სამი წელია, „ვექა-ჩავდით“. ვინც ამ კონცერტებზე მოვიდა, ძალიან კმაყოფილი იყო, მათ არც ახსოვთ „სტეფანე და სამი გოგო“ გამოსვლა, მათ სხვა რაღაცები დაამახსოვრდათ. რა უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა – გავჯიუტებუ-ლიყავით და მერე თავი მოგვეწონებინა, რომ პრინციპულები ვიყავით და პროექტი ჩაგვეშალა, თუ რაღაცაზე უკან დაგვეხია და ფესტივალი გაგვეკეთებინა?

ზურა ჯიშკარიანი: ვახომ ახსენა განსხვავება კონფორმიზმსა და კომპრომისს შორის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისეთ საზოგადოებაში, სადაც არსებობს „მეფის კარის მხატვარი“, იქმნება კულტურული ტაქტიკა, სადაც პატარა-პატარა კომპრომისებით ახერხებ, მიაღწიო დიდ ნაბიჯებს ისე და ისე იმ დამოუკიდებელი სივრცისთვის – ეს უკვე საინტერესოა.

თეო ხატიაშვილი: თუ ხედავთ იმის პოტენციალს, იქნება ეს ხელოვანთა თუ პოლიტიკოსთა ნება, რომ ეს სიტუაცია შეიცვალოს და ხელოვანი არ იყოს მიბმული პოლიტიკაზე?

ლადო ბურდული: მაისში ნანტში ვმონაწილეობდი ქართული კულტურის დღეებში, სადაც წარმოდგენილი იყო არა ფოლკლორი, ტრადიციულად როგორც ხდება ხოლმე, არამედ ალტერნატიული ქართული კულტურა. ჩამოსული იყო

თბილისის მერიც. ვფიქრობდი, რომ მას მერე, რაც დაინახეს, რა რეზონანსი გამოიწვია თანამედროვე ქართულმა ხელოვნებამ „სხვა სცენაზე“, უფრო გახსნიან კარს, უფრო ბევრი წინადადება წამოვა, მაგრამ ჩაკეტილი კარი ისევე მხვდება.

ლადო ალექსიძე: მე მხატვრობაში ერთადერთ პერსპექტივას ზოგადად ქვეყნის პოპულარიზაციაში ვხედავ, როცა ქართველ მხატვარსაც გაიცნობენ, მას ექნება ნამუშევრების ადვილად გატანის საშუალება.

ზურა ჯიშკარიანი: მე მგონია, რომ რაც უფრო დიდი დრო გადის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაინც მეტი ადამიანი ფიქრობს უფრო თავისუფლად. მე ვხედავ ახალგაზრდებს, რომლებიც სხვანაირ სივრცეში არსებობენ. ვფიქრობ, ისინი არ უნდა გაჩერდნენ, ფეხებზე უნდა დაიკიდონ მთელი ეს ავტორიტეტები, სისტემა და ა.შ.

თეო ხატიაშვილი: ანუ ფიქრობ, რომ თაობათა ცვლა ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად მოაგვარებს?

ზურა ჯიშკარიანი: მოაგვარებს, თუ ადამიანები იქნებიან აქტიურები, თუ არ გაჩერდებიან და არ მოერგებიან სისტემას, როცა დამოუკიდებელ არტისტთა ერთი „ლეიბლი“ დაუკავშირდება სხვებს და ამის შედეგად შეიქმნება დამოუკიდებელი სივრცე.

<<< **ლასანუჩი ბვ. 88**



ჯონი

ბუნებრივია, განიჩენკოს ამან ქართველებისადმი სიყვარული არ მოუმატა და ახლა ჩვენთან მოსულ წერილებზე დაინწყო ნადირობა, ახალი წესები შემოიღო, მე ცოლის წერილს არ მამღევედა და ჯონის დედისას, – სხვა გვარის ხალხია, ესენი ცოლი და დედა ვერ იქნებიანო. სხვათა შორის, ეს საქმე სერიოზულად გაირჩა. ჩემთან მოვიდა წერილი, რომელსაც უკანა მისამართზე ეწერა, თბილისი, ვეძინის 17, ინგა შირავა. ცენზორი წერილს არ მამღევედა, – შირავა ვინ არისო. მე ვეუბნებოდი, რომ შირავა

ჩემი ცოლია, რომ საქართველოში ქალეზის უმეტესობა ქალიშვილობის გვარს ინარჩუნებს, ამიტომ ჩემი ცოლის და ლაშქარაშვილის დედის გვარები ჩვენს გვარებს არ ემთხვევა-მეთქი. თქვენო, – განაცხადა განიჩენკომ, – თქვენ ქართველები, **люди этого племени**, ერთმანეთს მოწმედ უდაგებით, სანდონი არა ხართო, – და მოწმედ კავკასიურ საქმეთა ექსპერტი რაფაელ პაპიანი გამოიძახა. პაპიანმა თამამად განაცხადა, – ჩვენთან ცოლები ქმრის გვარს ატარებენ და საქართველოშიც ასე იქნებაო (ამაზე გამახსენდა ჩემი ერთი პედაგოგის მონათხრობი, თურმე დიდი რუსი აკადემიკოსი სობოლევსკი ვერ იჯერებდა, რომ ქართულში ქვემდებარე შეიძლება სამ ბრუნვაში იყოს. ქვემდებარის ბრუნვა სახელობითიაო, – ბრუნობდა). ამას მოჰყვა 1919 წლის შემდეგ არნახული ქართულ-სომხური დაძაბულობა, საქმეში შევიდა ქართული ანბანის, მცხეთის ჯვრის, რუსთაველის, კონიაკის, თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ მტკივნეული არგუმენტები და საქმეში ჩაერია ჩვენი ბანაკის ჭეშმარიტი ბრძენი ნესტორი (ბანაკის ნესტორის, აქილევსის, მშვენიერი ელენეს და სხვათა დახასიათება ბორის მანილოვიჩმა შემოგვთავაზა), ვადიმ იანკოვი, რომლის სომეხმა მეუღლემ თურმე თავისი ქალიშვილობის გვარი ორივე ქორწინებაში შეინარჩუნა და რომელმაც, რა თქმა უნდა, იცოდა არა მხოლოდ ქართველი ქალების მიერ გვარების შენარჩუნების ამბავი, არამედ ქალის გვარის ურთულესი ლიტურჯის სისტემა, როდესაც ქალიშვილს ერთი გვარი აქვს, გათხოვილს მეორე და ქვრივს მესამე (თანაც ყველგან შენარჩუნებულია თავდაპირველი ფუძე გვარი). აქ იანკოვს დაემოწმა ვიტაუტას სკუოდისი და განიჩენკომ უხალისოდ გადმოცა მეუღლის წერილი, მაგრამ ლაშქარაშვილს კიდევ ორი დღე აწვალდა.

ასეთი ურჩხული შეუყვარდა ჯონის. როგორც კი თვალს მოჰკრავდა პოდიუმის ვარსკვლავივით მიმორხეულ მაღალ სილუეტს, დაიძახებდა **он пришел-ო** (**он-она** საკითხში პრინციპული იყო, ათასი შენიშვნის შემდეგაც საკუთარ დედასაც **он-ით** მოიხსენიებდა, გრამატიკულ სქესს პრინციპულად არ ცნობდა) და შესახვედრად გაემართებოდა. არ

ვიცი, რას ფიქრობდა განიჩენკო, როცა ასი კაცის ცივი ზიზლით სავსე გამოხედვის ფონზე ერთი კაცის შეყვარებულ მზერას ხედავდა, მაგრამ პოლიტიკური ბანაკი ნუხდა, პატიმრები ვერ იჯერებდნენ, რომ სიყვარული კლასობრივ სიძულვილს ამარცხებდა. საქმეს ვერ უშველა გალაკტიონის „ერთხელ საღამოთი“ (ეს ლექსი, ზეპირად თუ არა, ტექსტთან მიახლოებით მინც იცის ყველა ნამდვილმა ბათუმელმა, რადგან მისი მოქმედება მათ ქალაქში ხდება: „ბათუმის მზე ჩასავალად ენთო, მშვიდი ქარი ხმაურობდა ზღვაზე“ – დენდისა და ვერონიკას ტრაგიკული გრძნობის ამბავი) ჩემი და ჟორა ხომიზურისეულმა სახელდახელო თარგმანმა, სადაც ქართული „რა თქმა უნდა, მე ვიყავი თეთრი, როს თოფების ატყდა ჭახაჭუხი“. რუსულად ასე ჟღერდა: **Я конечно оказался белым, Когда пули просверлили воздух.** მაგრამ ლექსის ფინალმა, სადაც ღვთაებრივი ვერონიკა ბოლოს და ბოლოს სრულიად ბულგარული რეგოლაციონერი და კაცისმკვლელი კალუგელი ვერკა აღმოჩნდა, თავდაპირველი ჩანაფიქრის წინააღმდეგ ითამაშა. ამას არ დაეთანხმებოდა გალაკტიონი, რომელსაც მანამდე, სხვა ლექსში ვერონიკაზე და, შესაბამისად, განიჩენკოზე სხვა მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული, მაგრამ ფრედ ანადენკო და დმიტრო მაზური გალაკტიონს კი არა, ხანდახან ფრიდრიხ ენგელსსაც არ სცემდნენ პატივს (მარქსზე ამას ვერ ვიტყვი, ზონელი სოციალისტების ცოდვას ვერ დავიდებ).

შექმნიდნენ კომისიას (ქართველები მიკერძოებულ მხარედ მიაჩნდათ და განიჩენკომოძულე ხომიზურიც კი არ შეჰყავდათ კომისიაში), დაიბარებდნენ ჯონის, ნაიკითხავდნენ შეყვარებული მგლის თავზე სახარებას, ჯონიც რაღაც პირობას დადებდა და მეორე დღეს ახალი ძალით იწყებოდა **он пришел**. არადა, **ОН-მა** გამომწვევი ტაქტიკა აირჩია – ჩაცმულობას და მოხატულობას ახალი და პატიმართგამანადგურებელი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, იმდენად, რომ ერთხელ ანადენკოსაც წამოაცდინა, – **ну, красива чертовка-ო**. დადგა დრო და, ჯონი დაიბარეს ადმი-

ნისტრაციაში, – თუ იციო, – ჰკითხეს, – განიჩენკო ვისი ცოლიაო, პოლკოვნიკ განიჩენკოზე თუ გსმენია რამეო, – რაზეც ბავშვობაში კასკელმა ლაშქარაშვილმა კითხვა შეუბრუნა, – გიორგი სააკაძე თუ იცი, ვინ იყოო. არადა, უნდა იცოდე, ანტონოვსკაია უნდა წაგეკითხა ან კინოში მინც გენახაო. ბოლოს სიტყვა დაუგდო, – **это шутка, я его не люблю, у меня грузинский невеста есть-ო**; და თავი გაანებეს.

რუსული უჭირდა. თამამად კი ლაპარაკობდა, მაგრამ გამართულ რუსულთან მწყრალად იყო. დედა ჩამოუვიდა სანახავად და რაკი პირადი შეხვედრა ვერ არ ეკუთვნოდა (პირადი შეხვედრა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმარს ეკუთვნოდა წელიწადში ერთხელ, ერთიდან სამ დღემდე; ჩვენ, როგორც წესი, გვადღევდნენ ორს, ჯაშუშებს, სამშობლოს მოლაღატეებს, ტერორისტებს და სამხედრო დამნაშავეებს – სამს), ორსაათიანი შუმიან-ტელეფონიან-ტრიმაზკინიანი (ტრიმაზკინი ადმინისტრაციის ერთ-ერთი შედარებით უბოროტო ოფიცერი იყო) შეხვედრის უფლება მისცეს. დედამ რომ, – გამარჯობა შეილოო, – თქვა, – ტრიმაზკინმა შეიცხადა, – მხოლოდ რუსულად ილაპარაკეთო. და დაიწყო ქართველების ტანჯვა. ჯონი ჰყვებოდა, – მე ხომ მაგარი მერუსულე ვარ, მაგრამ დედაჩემთან შედარებით რუსულში პუშკინი ვარ, იმან სულ არ იცისო. გადავიღოდა დედა ქართულზე და ტრიმაზკინი შეუბღვერდა, შეუბღვერდა და მიიღებდა, – სიკვდილი და კუბოო. რუსულად, – რომ შეუსწორებდა ტრიმაზკინი, – დედა იტყოდა **смерть и гроб**; ამდენი იდიომატური რუსული კი მორდოვური წარმოშობის ტრიმაზკინმაც არ იცოდა. ბოლოს, ჯონის თუ დავუჯერებთ, დაახლოებით ამგვარი რუსულით ულაპარაკიათ: **Натела замуж вишел. Он такой красивый, ну, ламаз, что твалс вер вашорел, понимаешь? ტრიმაზკინი ღელავდა, – кто красивый-ო, – კითხულობდა. ნათელა, ნათელაა ლამაზიო, – ჯონი ეუბნებოდა. მე მგონი, ამ ამბების საჯარო გადმოცემისას ანუ ოციოდე პატიმრის წინაშე სოლო გამოსვლისას ჯონი, როგორც ჭეშმარიტი ქართველი მისტიფიკატორი, ცოტას აჭარბებდა, საყველპურო რუსული როგორ არ**

ეცოდინებოდა დედამისს, მაგრამ წლობით ერთმანეთის უნახავ დედა-შვილს რომ თავის ენაზე არ ალაპარაკებდნენ, ეს ფაქტი იყო და ამ კაციჭამია სისტემის ერთი აღზევებული ღვიძლი შვილი დღეს რომ გვიმტკიცებს, – საბჭოთა კავშირის დანგრევამ ვისაც გული არ ატკინა, იმას გული არ ჰქონიაო, – ჯონის, დედამისს და მე ვერ გვარწმუნებს, დამაჯერებლობა აკლია, ახალი დროის ამ მაქსიმის შემოქმედის სამუშაო ენაზე რომ ვთქვათ, – **Wie bekannt, es ist eine unbestrittene Tatsache** – როგორც ცნობილია, ეს უბრალოდ უკამათო ფაქტია.

ხაზანოვის ცნობილი პერსონაჟისა არ იყო, ჯონისაც კულინარიული ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული, რადგან სუსტი ფილტვების გამო, საავადმყოფოში ხშირად ხვდებოდა, დიეტა ერგებოდა. დიეტა თავისუფლებაზეა ცუდი სიტყვა, თორემ ციხეებსა და ბანაკებში ეს ბერძნული, კეთილშობილი სიტყვა დატირთული იყო უაღრესად პოზიტიური შინაარსით. დიეტა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა 1 ც მოხარშულ კვერცხს, 100 გ თეთრ პურს, 200 მლ რძეს, 20 გ კარაქს, 60 გ ყველს და 120 გ მოხარშულ საქონლის ხორცს (მთელი პატიმრობის მანძილზე ბანაკში არც ერთ ჩვენგანს თვალთაც არ უხილავს ეს ღვთაებრივი პროდუქტები). ჯონი ფილტვებს აკლებდა და გულს უნახავდა კარაქს – წყლიან ქილაში აგროვებდა ახალი წლისთვის. 1986 წელს ზაქარია ლაშქარაშვილმა დაამზადა საახალწლო ტორტი. ფქვილის როლს ასრულებდა ჩვენი საერთო ტექნოლოგიით მიღებული მასა; 1985 წლის 9 მაისს მიღებული თეთრი პური ჯონიმ მაშინვე წვრილად დაჭრა და 8 თვის განმავლობაში უმზურად გაახმო, მერე დაფქვა (უფრო სწორად, დანაყა) და რაფაელ პაპაიანის პერსონალურ მიკროსაცერში გაცრა, ქათო მოხალა, გააშავა და ცალკე მოიხმარა ტორტის მოსართავად (ქაბოთი გაკეთდა წარწერა 1986). კვერცხის ფხვნილით, კარაქით, „ფქვილით“ და წყლით მოიზილა ბისკვიტის მასა, რომელიც გამოცხვა გრიზა ფელდმანის სახელგანთქმულ ლუმელში. კრემის დასამზადებლად გამოყენებულ იქნა კარაქი, მოხარშული შედედებული რძე (სექტემბერში მიღებული ჩემი ამანათიდან სათუთად შენახული და ოქტომბერში

მიღებული ჯონის ამანათიდან ვანილი (ეს სულ ასე იყო, ამანათში მე ვიღებდი ნიგოზს, ნიორს, გამხმარ წითელ პილპილს, დაფქულ შავ წინაკას, ხმელ სუნელს, ხმელ ქინძს და უცხო სუნელს, ხოლო ჯონი მიხაკ-დარიჩინს, სურნელოვან წინაკას, დაფნას, ჯანჯაფილს და ვანილს). ტორტის პრემიერა შედგა 1986 წლის 1 იანვარს, 0 საათსა და 1 წუთზე, ჩვენბური სასმელით ახალი წლის შემოსვლის დალოცვის შემდეგ. თეატრალემა იცინა, რა ჰქვია პრემიერის გრანდიოზულ წარმატებას. მე 1986 წლის 1 იანვრის პირველ წუთებში განცდილი კულინარიული შოკის აღწერა მხოლოდ ჰომეროსის მიბაძვით შემიძლია: ხომი-ზურმა თქვა ერთმარცვლიანი „ვაჰ“, რაფიკამ თქვა ორმარცვლიანი „პახ-პახ“, გენრიხამ თქვა სამმარცვლიანი „ყარა-ბალ“ და მე ვთქვი «лучше Ганиченки» (უკრაინელების ყაიდაზე უკრაინულ გვარებს ჩვენც ვაბრუნებდით, სხვათა შორის, თავის დროზე ჩეხოვიც ასე იქცეოდა: თბილისის იზოლატორში სხვა წიგნები რომ არ ჰქონდათ, ჩეხოვის მრავალტომეულის ბოლო ტომები, რომლებშიც მწერლის მიმონწერა იყო შეტანილი, თითქმის დავიზიპირე). ჯონი ბედნიერი იყო, – ხომ მცოდნია კულინარობაო!

ჩვენს ბანაკში ერთი ჰოლოგეორგია-ნული ანუ ოდენქურთული ინციდენტი მოხდა, იმის თქმა მინდა, რომ ინციდენტში მხოლოდ ეთნიკური ქართველები მონაწილეობდნენ. გიორგი ხომიზური რაბლეს აღმერთებდა, მე მიმაჩნდა, რომ ამაში მისი ქართველობა ვლინდებოდა, რადგან მსოფლიო ლიტერატურაში სულით ხორცამდე ფრანგ ფრანსუა რაბლეზე უფრო „ქართველი“ ავტორი საერთოდ არ მეგულებოდა. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ რაბლე არც მორდოვეთისთვის იყო უცხო: დუბრაველაგსა და სარანსკუმი გაატარა თავისი პატიმრობის წლები რაბლეს შესანიშნავმა რუსმა სპეციალისტმა ბახტინმა. ასე რომ, რაბლე მშობლიური კაცი იყო ჩვენს ბანაკში. ერთხელაც პირსაბანების ოთახში, ე.წ. კურილკაში ვიდექით მე და ყორა ხომიზური და ვსაუბრობდით რაბლეზე. ყორა დაინტერესდა, – ქართულად თუ არის თარგმნილი რაბლეო. მე ვუპასუხე, როგორ არა, ის კი არა, ორი თარგმანიც კი არსებობს – ქალბატონ ბაგრა-

ტიონის არასრული და გოგიაშვილის სრული-მეთქი. თანაც, გოგიაშვილმა საინტერესო მხატვრულ ხერხს მიმართა, რაღაცები კახურ დიალექტზე თარგმნა-მეთქი. ამ საუბარს ზონის კიდევ ერთი ქართველი ბინადარი, არსენა ლოლაშვილი შემოესწრო, სიტყვა „კახურს“, რომ მოკრა ყური, იწყინა, – შენ კახელები ცუდად რად მოიხსენიეო და ჩემკენ გამოინა. კურილკაში კონფლიქტი ვერ დაეცა და ზონის ეზოში აღმოჩნდით: არსენას ჯონი აკავებდა და მე – ყორა. ЖХ 385/3-5 უჩვეულო მოვლენამ – შიდაქართულმა კონფლიქტმა, რომელსაც ახლდა ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ვერდატეული ლექსიკური სიმდიდრე, გააოგნა: ვერავინ გვეკარებოდა.

არსენა ლოლაშვილი კახელი გლეხი კაცი იყო. კანონთან თავიდანვე მწყურა-ლად ყოფილა და პოლიტიკურ სტატუსის მხოლოდ მესამე ცდაზე გამოჰკრა ხელი. თურქეთთან საზღვრის დარღვევას აპირებდა და რაღაც ანტისაბჭოთა ნაწერებიც ჰქონია თან. მისი საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ვერაფრით ვერ მივხვდი, როგორ და რაში უღალატა სამშობლოს. გაბრაზებული იყო და საქართველოდან გარბოდა. ისე გაბრაზებული იყო და ისე გარბოდა, რომ არც უფიქრია, წინ თურქეთი იყო თუ სომხეთი. პოლიტიკაში ვერ ერკვეოდა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია ძირითადად სოდომის ცოდვაში ერეოდა. ზონაში მოხვედრის პირველ დღეებში არსენას და ჯონის დაუუახლოვდით და კარგი ურთიერთობაც გვექონდა; არსენამ მხოლოდ მას შემდეგ შეგვიძულა, როდესაც ყორა ხომიზურს და რაფაელ პაპაიანსაც დაუუახლოვდით. ულტიმატუმი წამოგვიყენა, – ან მე ან ხომიზურიო (ხომიზურის სიძულვილის თავისი, არცთუ ისე ლიბერალური მიზეზებიც წარმოადგინა). დავმორდით მშვიდობიანად, თუმცა, როგორც ჩანს, გულში წყენა შეუნახავს.

საინტერესო მიზანსცენა იყო: ქართველები ერთმანეთზე მიინევენ და ქართველებივე აკავებენ. მოულოდნელად არსენამ დანა დაადრო და დამკავებელ ჯონის მუცელში ჩაარტყა. პატარა დანა იყო, ყველას გვექონდა ასეთი დანა, საამქროში სამუშაოდ გვეჭირდებოდა და

ან სამქროში ვტოვებდით, ან ბარაკში, დანის ტარება თავში არავის მოსვლია აზრად. ჯონი რომ წაიქცა, არსენამ ჩემკენ გამოიწია, მე ჟორა მოვიცილე და ფეხი ისე მოვიქნიე, რომ არსენას დანა ხელიდან გადავადებინე (შემდგომში ზონის აღიარებულმა პოეტმა და მემბტიანე მანილოვიჩმა ამ ეპიზოდს მცირე პოემა მიუძღვნა). უდანოდ დარჩენილ არსენას ნახევარი ზონა თავზე დაახტა და მე და ჟორა ჯონის მივვარდით: ჭრილობა ღრმა არ იყო, მაგრამ სისხლი შედრე-ვანივით მოდიოდა. ბალახების და მჩხიბაობის მამამ, არნოდდ არტურის ძე ანდერსონმა სასწრაფოდ მობანა ჭრილობა, მრავალძარღვათი და გვირილით დაფარა, შემდეგ ჯონის მაისურისგან ისეთი ოსტატობით გააკეთა ბინტი, რომ დაზარალებულის ტამიც კი დაიმსახურა და ბინტი აბრეშუმის ჭიასავით შეახვია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ადმინისტრაცია არ ჩანდა.

ჯონი საიდუმლოდ მივიდა არსენასთან და უთხრა, – რომ გკითხონ, დანა არ ახსენო, დანა საერთოდ არ ყოფილაო. ჯაშუშებით და მოლაღატებით სავსე ზონა მართლა ჯაშუშებით აღმოჩნდა სავსე და ადმინისტრაცია ყველა დეტალში, გარდა ჩხუბის წარმომოხის მიზეზისა, გაერკვა. არავინ არ დაუკითხავთ, მხოლოდ არსენა გამოიძახეს. რომ უკითხავთ, – დანა გქონდაო, – უპასუხია მქონდაო (შემდეგ თავს იმართლებდა, – აბა, ტყუილს ხომ ვერ ვიტყვიო) და „შიზოში“ წაიყვანეს. ჯონის რომ ჩაედინა ასეთი რამ, ან მე, ან ჟორას, სასჯელისთვის 8 წლის დამატება და ჩისტოპოლის ციხეში (ჯოჯობხეთის ერთ-ერთი ევფემისტური სახელია) გადაყვანა არ აგვცდებოდა. არსენა კი იოლად გადარჩა, თუმცა, – დანა არ მქონიაო რომ ეთქვა, – შიზოშიც არ მიაბრძანებდნენ.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ჩემი ძმა, დავით ბერძენიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში მოხვდა როგორც ბათუმის მაჟორიტარი, და ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგა, ვილაცებს გაუჩნდათ სურვილი, არსენა ლოლაშვილის კარტი გაეთამაშებინათ და ამ, მათი აზრით, საიმედო კაცზე დაყრდნობით, ჩვენთვის ზონაში ჩადენილი „ავკაცობები“ დაებრალეზინათ. ზვიად გამსახურდიამ

გაიგო ქალების მიერ დაგეგმილი ამ „სა-სამართლოს“ ამბავი, რომელზეც მონმე ლოლაშვილი პარლამენტის შენობაში უკვე მოყვანილი ჰყავდათ, თემურ ქორიძე გამოავაზვნა და ქალები ლოლაშვილიანად იფრინა, – პოლიტპატიმრებს მოფერება სჭირდებოდათ და არა ცილისწამებაო, სამგზის ნასამართლევი რეციდივისტი ლოლაშვილი, რომელიც ათი წლის წინ მაგინებდა, უზენაესის შენობაში როგორ შემოუშვეითო და ა.შ.

ჯონის პოლიტიკური შეხედულებების დასახასიათებლად ქართულ ენაში სიტყვა არ მოიპოვება. პირობითად შეიძლება ვუნოდოთ ექსტრემისტული ულტრარადიკალიზმი, მაგრამ ეს მოვლენას სრულად ვერ აღწერს. ირლანდიის რესპუბლიკური არმია მიაჩნდა იდეალად. ტერორის გარეშე არაფერი იქნებაო, – ამბობდა. ბობოქრობდა და ბრაზობდა ლიბერალური დემოკრატიის ხსენებაზე. ტერორი, მხოლოდ ტერორი, შეიარაღება და ბრძოლა! ამას ამბობდა კაცი, რომელსაც არც მანამდე და არც შემდეგ ჭიანჭველისთვისაც არ დაუდგამს ფეხი.

1987 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ ბანაკში არც ერთი პოლიტიკური პატიმარი არ დარჩა. არა, დარჩა ორი – ვახტანგ ძაბირაძე და ზაქარია ლაშქარაშვილი. როცა ყველა პოლიტპატიმარმა ჩათვალა და ერთმანეთთან შეათანხმა, რომ შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში საკმაოდ მსუბუქ ტექსტზე ხელის მოწერით (ხელის მოწერთა სიას სახაროვი და ორლოვი ედგნენ სათავეში) სახლში წასვლა შეიძლებოდა, ამ ორმა ქართველმა ესეც არ გააკეთა და კიდევ რამდენიმე თვე დაჰყო გულაგში. ზაქარია ლაშქარაშვილი, ფაქტობრივად, გამოაგდეს ციხიდან 1987 წლის 3 ივლისს.

გათავისუფლების შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში თავისი თავი ვერ იპოვა (სიტყვით ხომ რადიკალი და რევოლუციონერი იყო და თანამოძმეების პოვნა მართლა გაუჭირდა). ამას დაერთო მატერიალური გასაჭირი, მუდმივი უსახსრობა და ჯონი ლაშქარაშვილი ემიგრაციაში წავიდა. პარიზში დამკვიდრდა და იქაური ქართველების დახმარებით რადიო „თავისუფლებისგან“ რაღაც გროშებს იღებდა რეპორტაჟებისთვის. ჩვენს აქაურ ლიდერს იუდამ შხამი ჩაანგვთა

და თბილისიდან ცნობილ დისიდენტს, გინზბურგს ინფორმაცია მიანოდა, – ლაშქარაშვილს არ ენდოთ, „კაგებეს“ აგენტიაო. უსამართლობა ბევრი მინახავს, მაგრამ ამ ფაქტობრივად პოლიტიკური წმინდანის შეურაცხყოფა მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე უსინდისო და ბინძური იყო. იგი გათვლილი იყო იმ ფაქტზე, რომ განსწავლული და სასიქადულო ოჯახისშვილის, ნაციის მომავალი ლიდერის სიტყვა გაცილებით მეტად ფასობდა, ვიდრე საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ვილაც ტაქსისტის სიტყვა. გინზბურგმა ქართველ ლიდერს დაუჯერა, ჩვენ არ მოგვისმინა და ლაშქარაშვილმა პარიზში სიმწრით ნაშოვნი სამსახური დაკარგა და შემდეგ უცხო ქალაქში წვალებით და ყოველდღიური უმძიმესი შრომით ირჩენდა თავს.

პარიზის დათვალეირების უმოკლესი ხერხია სათანადო ორსართულიანი ავტობუსის მეორე სართულზე ასვლა, ყურსაცვამის დამაგრება, სასურველი ენის შერჩევა (დასავლეთევროპული ენები, იაპონური, ჩინური, რუსული) და თვალბის გაფაცვიცება. ნებისმიერ გაჩერებაზე შეგიძლია ჩახვიდე და ასევე ნებისმიერ გაჩერებაზე შეგიძლია კვლავ ახვიდე იმავე ფირმის ავტობუსზე. და ასე ორი დღის განმავლობაში. მე გირჩევთ, ტროკადეროდან დაიწყეთ, ხოლო ფირმებიდან უპირატესობა მიანიჭოთ Les cars rouge – ნითელ ავტობუსებს. პარიზის ფართო და ვიწრო ქუჩებში ავტობუსი იოლად იმოძრავებს, რადგან ამ ფირმას სასტიკამოცდაგავლილი ექსტრა კლასის მძღოლები ჰყავს. თუ გაგიმართლებთ და მძღოლის თავაზიან „ანტრე სილ ვუ პლემი“ ძლიერ ქართულ აქცენტს დაიჭერთ, იცოდეთ, თქვენ წინაშე ზაქარია ლაშქარაშვილია (ტაქსისტობა უნდოდა, ყველა გამოცდას – ტარებას, ტოპოგრაფიას, მარშრუტიზაციას ათიანზე აბარებდა, მაგრამ ფრანგულ ენას ვერაფერი მოუხერხა და პარიზის ტაქსისტობა აუსრულებელ ოცნებად დარჩა). საფრანგეთის დედაქალაქში, სხვას ვის იპოვიდა, რა თქმა უნდა, ზესტაფონელი ცოლი მოიყვანა. საუბრობენ ახლა მშობლები ქართულად და ბავშვები ფრანგულად ეუღურტულეებიან. ესენი მასწავლიან ფრანგულსო, – შემოგვჩვილებს ხანდახან.



„რა მხრებით ვზიდო ამხელა დარდი“

<<< ლასაწყისი გვ. 98

მოდი, მიშველე, მითხარი რამე,
თვალზე გააშრე ცრემლი ფარული,
მოდი, განდევნე ბოროტი ღამე,
შიგნით სხეულში შემოპარული.
ო, როგორ მტანჯავს ავი სიცივე,
ვის დავუშავე, რა დავუშავე,
როგორ მაშფოთებს სხვების სიცილი,
როგორ შემოდის გულში სიშავე.
უმთვარო ღამე მეძახის უხმოდ,
ჩემებრ ეული ფეხზე მეხვევა,
გულს, ნაიარევს თავისკენ უხმობს,
როგორც ნუგეშის ფრთხილი შეხება.
რადგანაც დავრჩი მასავით მარტო,
მე, რაჟღენ-ბიძას „შავტუხა გოგო“,
რა მხრებით ვზიდო ამხელა დარდი,
ანდა უმისოდ ვიცხოვრო როგორ.
ვიცი, დავკარგე მე მოსვენება,
აქ, სახლშიც გხედავ კედლებს ციხისას,
მხოლოდ ეგ სახე, ვით მოჩვენება,
აღმობრწყინდება, როგორც თილისმა.
ბნელ სუდარაში მთლად გავეხვიე,
გულშიც ჩამდგარა უნათლო ღამე,
ელვა ელვარებს, თავზე მეხია,
ო, მანუგეშე, მითხარი რამე.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვის მივმართავდი და ვისგან ველოდი ნუგეშს! ის განცდა კი მახსოვს, რომ

ჩემს პირისპირ ვხედავდი საშინელ ურჩხულს, რომელიც ჩემი უსაყვარლესი ადამიანის გადაყლაპვას ღამობდა! და ეს აღსრულდა კიდევც, ვინაიდან იმ დღეს რაჟღენ-ბიძა მართლაც სამუდამოდ დავკარგე – ის რამდენიმე თვის მერე ციხეში გარდაიცვალა დიზინტერიით.

კალდერისა და კანდინსკის გამოფენა ბოზურში, ანუ პომპიდუს ცენტრში. კალდერი, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი საქართველოში... პირველივე დარბაზიდან მოვიხიბლე მისი სრულიად განსაკუთრებული სამყაროთი, ამ „რკინის ძაფებით“ შექმნილი და ასეთი მეტყველი ფიგურებით და პორტრეტებით. 1926 წელს ეს ახალგაზრდა ამერიკელი დასახლდა პარიზში. ეს იყო „გიჟური წლები“ ეპოქა, როდესაც საფრანგეთის სრულიად კოსმოპოლიტურ დედაქალაქში თანაარსებობენ პაბლო პიკასო, სალვადორ დალი, ამაღეო მოდილიანი, კონსტანტინ ბრანკუჩი... განათლებით ინჟინერი და მოწოდებით მხატვარი კალდერი ჩქარა მონაპარნასის ბოჰემის წევრი გახდა. მან ადრიდანვე მიაგნო რკინის, როგორც სკულპ-

ტურისათვის შესაფერისი მასალის შესაძლებლობებს, დემონსტრაციულად უარყო ქანდაკებისთვის ტრადიციული ბრინჯაო და მარმარილო და თავისი ფიგურებისთვის მასალად მხოლოდ რკინას, ნაჭერს, თოქს, ხეს და მავთულს იყენებდა.

და ეს მართლაც საკვირველი სანახაობაა! ეს რკინის ძაფებით „გამოძერწილი“, ჰაერში დაკიდებული, გამჭვირვალე, მთრთოლვარე ფიგურები და პორტრეტები, რომელთაც თანამედროვეებმა დაარქვეს „ნახატები სივრცეში“. ჟაკ პრევერი ამბობდა მის შესახებ: „ეს გიჟმაჟი ინჟინერი გაუგებარი საშუალებებით აწყობს ცხოვრების დღესასწაულებს“. სარტრი აღიქვამდა მის უცნაურად მოძრავ მავთულის სხეულებს, როგორც „ადგილობრივ დღესასწაულებს“. მირო ეძახდა „ჯირკვს მერცხლის სულით“.

და ბოლოს, მისი შემოქმედების კულმინაცია – ცირკი! კალდერამდე ტულუზ-ლოტრეკმა თუ პიკასომ და ბევრმა სხვამ, ნაკლებად ცნობილმა, უკვდავყვეს კლოუნები და აკრობატები. კალდერიც, თავის მხრივ, გამოხატავს რწმენას, რომ „ცირკი არის არსებობის სინონიმი“ და ქმნის თავის „მოხეტიალე ცირკს“. ის მოიცავს

ორასამდე მინიატურულ პერსონაჟს და აქსესუარს, რომლებიც იზიდავენ მნახველს თავიანთი თავისებურებით და სადღესასწაულო განწყობით და რომლებიც მაშინ, მეოცე საუკუნის ოციან წლებში, მოძრაობაში მოჰყავდათ თვითონ კალდერს და მის ასისტენტებს. დღეს ითვლება, რომ ეს წარმოდგენები, რომლებიც იმართებოდა კერძო ბინებში თუ საჯარო დარბაზებში, იყო საუკუნის პირველი არტისტული პერფორმანსები.

როგორც ამბობს ერთ-ერთი მკვლევარი: „კალდერის ცირკი – ეს არის მაგიური სამყარო, სადაც სხეულები ამარცხებენ მიზიდულობის კანონს“.

და ისევ ტენისი! და ამჯერად – უიმბლდონი! და თუმცა მშვენივრად მესმის, რა სასაცილოდ შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს ჩემი მიდრეკილება „სპორტული კომენტატორობისადმი“, მაინც ვერ ვახერხებ გვერდი ავუარო ამ ჩემთვის (და, ცხადია, არა მარტო ჩემთვის) მართლაც მნიშვნელოვან მოვლენას.

უიმბლდონი, დიდი შლემის ყველაზე „ასაკოვანი“ და ყველაზე ტრადიციული ტურნირი, დღეს კიდევ ერთი ტრადიციის დამამკვიდრებელი გახდა: სწორედ აქ, უკვე მესამედ გათამაშდა კლასიკური, სრული სიგრძის ფინალი კაცთა შორის. 2007 წელს ფედერერმა ხუთი სეტით მოუგო ნადალს, 2008 წელს – ნადალმა ფედერერს, და აი ახლა, ისევ ხუთი სეტით, ფედერერმა დაამარცხა როდიკი, თანაც მეხუთე სეტი უგრძელესი იყო საერთოდ დიდი შლემების ისტორიაში, 16 –14.

წელს ცენტრალურ კორტზე გააკეთეს რალაც არაჩვეულებრივი გადახურვა იმისათვის, რომ იქაური ძალიან ხშირი წვიმების დროს არ შეწყვეტილიყო თამაშები, როგორც ეს მუდმივად ხდებოდა. და აი, სწორედ წელს ისე მიიწურა ტურნირის პირველი კვირა, რომ უიმბლდონის თავზე ერთხელაც არ უწვიმია. მომწონა ამასთან დაკავშირებით ფრანგული დამცინავი კომენტარი: „ინგლისელები აღშფოთებულები არიან იმით, რომ არ წვიმს და ვერ ნახეს,

როგორ იხურება ცენტრალურ კორტზე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შექმნილი სახურავი. მათი აზრით, ეს იმას ჰგავს, ნოეს რომ აეშენებინა თავისი კიდობანი და წარღვნა არ მომხდარიყო“, – წერს კომენტატორი. ტურნირი მართლაც ისე მიიწურა, რომ წარღვნა არა და არ დადგა, მაგრამ ერთხელ ოდნავ წამოწვიდა და ორგანიზატორებმა მაშინვე ამყავდა გადახურეს კორტი, რასაც ლონდონელების საყოველთაო ტაშის გრიალი მოჰყვა.

ტურნირის შედეგები კი ჩემთვის უბრალოდ აღმაფრთოვანებელი იყო: ჯერ დებმა უილიამსებმა ნახევარფინალებში მოუგეს რუსებს და კიდევ ერთხელ (მგონი, მეშვიდედ) ერთმანეთს შორის ითამაშეს დიდი შლემის ფინალი, სადაც ამჯერად უმცროსმა – სერენამ – გაიმარჯვა. ფინალამდე ვერუს უილიამსი ასე პასუხობდა ჟურნალისტთა აურაცხელ შეკითხვებს: მე ყოველთვის მინდა, რომ სერენამ მოიგოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის ჩემთან თამაშობს. ნაგების მერე კი ღიმილით თქვა, – ის დღეს ჩემზე ძლიერი იყო და ბუნებრივია, რომ მოიგო. იმავე დღეს დებმა მოუგეს ავსტრალიელებს წყვილთა ფინალიც.

დები უილიამსების ცხოვრების ისტორია კი უბრალოდ დაუჯერებელია: ოცდაათიოდე წლის წინ ჰარლემში, ტენისის ერთი პატარა მიტოვებული კორტის გვერდით ცხოვრობდა ვინმე რიჩარდ უილიამსი, ლარიბი შავკანიანი თავისი ოჯახით. ერთხელ მან გაზეთში წაიკითხა, რომ ვილაც ბულგარელმა ტენისისტმა ქალმა მოიგო პრიზი – 100 000 დოლარი; და რიჩარდმა გადანყვიტა, გაეჩინა ორი გოგო და გაეზარდა ისინი ტენისის ჩემპიონებად. საკვირველი ამ ისტორიაში ის არის, რომ ეს უცნაური გადანყვიტელობა მან რეალობად აქცია: გაჩნდა ორი გოგო, რომლებიც ლამის დაბადებიდან მთელ დღეებს კორტებზე ატარებდნენ, ფულის უქონლობის გამო, მათ თვითონ რიჩარდი წვრთნიდა (რაც, სხვათა შორის, დღემდე გრძელდება), და მას მერე ვერუსმა და სერენამ მოიპოვეს მსოფლიო ტენისის ყველა ტიტული და ათიათასო-

ბით მილიონი დოლარი! მამა ყველა შეჯიბრზე დაჰყვება თავის შვილებს და ერთადერთი, რისი ნახვაც არ შეუძლია, ეს მათი ერთმანეთს შორის თამაშია. ასე იყო წელსაც – ფინალის დღეს ის უკვე თვითმფრინავში იჯდა და ამერიკისკენ მიფრინავდა.

ტურნირის მთავარი ინტრიგა კი ისევ და ისევ ფედერერის გარშემო ტრიალებდა, შეძლებდა თუ არა შვეიცარიელი გამარჯვებას და ამით მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშის სახელის მოპოვებას. და საბოლოოდ ეს მოხდა კიდევ: ფედერერი გახდა ერთადერთი ჩოგბურთელი, რომელმაც მეთხუთმეტედ მოიგო დიდი შლემი! ამ მოვლენას სულგრძელი ენთუზიაზმით შეხვდა სამპრასი, ვისაც როლან-გაროსის მოგების მერე გაუთანაბრდა და ახლა გაუსწრო ფედერერმა და ვინც სპეციალურად ჩამოვიდა ამერიკიდან ამ მატჩზე დასასწრებად. – „ძალიან ვწუხვარ როდიკის გამო, რომელსაც ჰქონდა შანსი, – თქვა ამერიკელმა მატჩის ბოლოს, – მაგრამ ფედერერი, ეს ლეგენდაა. ხატი“. და კითხვაზე, არის თუ არა ის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე, უპასუხა: – „მე ვიტყვი, რომ არის“. ფინალისტებმაც დაჯილდოების ცერემონიაზე ტენისისთვის რიტუალური კეთილშობილი სიტყვები წარმოთქვეს. სასონარკვეთილმა როდიკმა, რომლისთვისაც უიმბლდონის ტიტულის მოპოვება მთელი ცხოვრების ოცნება იყო და რომელიც ამჯერად ბუნზე წააგო, მონივნებით მიმართა ფედერერს: „შენ დაიმსახურე ყველაფერი, რაც გაქვს“. ფედერერმა კი უთხრა: „მე მშვენივრად ვიცი, ენდი, რასაც გრძნობ შენ ახლა, ზუსტად იგივე გადავიტანე აქ შარშან და ნამდვილ ტკივილს განვიცდი დღეს შენ გამო“. ხოლო შეკითხვაზე, რას გრძნობს იმასთან დაკავშირებით, რომ ისევ გახდა მსოფლიოს პირველი ნომერი, უპასუხა: „ეს ნამდვილად სასიხარულოა, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ წელს აქ არ თამაშობდა რაფა (რაფაელ ნადალი) და როცა ის დაბრუნდება, ყველაფერი ახლად გადასაწყვეტი იქნება“.

მე, ცხადია, არ ვიცი, ვინ და რა-

მდენად გულწრფელია ამგვარი განცხადებების წარმოთქმისას, მაგრამ თავისთავად ძალიან მომწონს სულგრძელობის და მონიშნაღმდეგის მიმართ პატივისცემის გამოხატვის ეს დამკვიდრებული სტილი. როგორც ამბობდა ცნობილი არქიტექტორი და ლადო მესხიშვილის დიდი მეგობარი ანდრეი ბუროვი: **предпочитаю неискреннюю вежливость искреннему хамству.**

ლადოს საშინლად მოსწონდა ეს ნათქვამი და ხშირად მისთვის ჩვეული გადაჭარბებული ალტაცებით იმეორებდა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კი ფედერერი ასე აღწერდა მოგების მომენტს: – „ეს იყო წუთი, როცა მე ვუთხარი ჩემ თავს: შენ ეს გააკეთე! ენერჯის მოზღვაების გიჟური წუთი! რადგანაც მერე, როცა ვნახე გადაღებული ბოლო კადრები, გავიფიქრე, ღმერთო ჩემო, მე დავხტივარ, როგორც ბიჭი, რომელსაც არ სჯერა, რომ გაიმარჯვა“. და დაუმატა: – „დღეს ასე ვხედავ ჩემ თავს: და ახლა, რა გინდა კიდევ? შენ მიაღწიე ყველაფერს, რაც შეიძლებოდა, და ალბათ, ეს საუკეთესო მომენტია თავის დანებებისთვის, მაგრამ მე ისე მიყვარს თვითონ თამაში და კიდევ – ტენისისტი მოხეტიალე ცხოვრება, თან მირკაც არ შემეშვება, მასაც ურჩევნია უყუროს ჩემს თამაშს და მეც მირჩევნია ვიარო მასთან ერთად ტურნირებზე, ვიდრე ვიჯდე სახლში. ეს არ არის ჩემი ცხოვრება“. და კომენტატორი წერს: „ფედერერი – ეს მრავალ ენაზე მოსაუბრე, გლობალური სოფლის ქეშმარიტი მკვიდრი, რომელსაც ცოლად ჰყავს ყოფილი ტენისისტი და აქვს გაუნელებელი ინტერესი უცხოური კულტურების მიმართ – არის თავის წინამორბედებზე ბევრად მეტად მორგებული იმისათვის, რომ გაიხანგრძლივოს კორტზე არსებობა“.

ჩვენც, ვისაც ნამდვილ სიამოვნებას გვანიჭებს ამ გამორჩეული ტენისისტის სრულყოფილება და ელეგანტურობა, სხვა არაფერი დაგვრჩენია, ვიდრე ველოდოთ მის მომავალ გაბრწყინებებს კორტზე.

და ეს ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენაც შედგა: ბარაკ ობამა ჩავიდა მოსკოვში და შეხვდა მედვედევს და პუტინს. ჩვენი მოლოდინი და მლევარება: როგორ აისახება ეს შეხვედრა ჩვენს ქვეყანაზე?! ბევრია გამომხაურება პრესაში, ძირითადად, ჩვენთვის მისაღები. (მინდა, ვუთხრა ქართველ მკითხველს, რომ ჩვენი ელჩი მამუკა კუდავა და მისი ხელმძღვანელობით საელჩო მართლაც ძალიან სერიოზულ მუშაობას ატარებს ამ მიმართულებით: ეს არის ყოველდღიური შეხვედრები იმ მიზნით, რომ აქაური პოლიტიკოსები და ჟურნალისტები უფრო კარგად გაერკვნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში და მეტად გააცნობიერონ რუსული ხელისუფლების იმპერიული ამბიციები და უფრო ზოგადად – რუსული საფრთხე). პირველ რიგში, გთავაზობთ 7 ივლისის „ლე მონდში“ დაბეჭდილ წერილს, რომელიც საინტერესოდ მეჩვენება. (ავტორი – მარი როჟე).

„...ნათელია ტონალობის შეცვლა, მაგრამ არსებითად პოზიციები დაშორებულია. სპეციალისტები თვლიან, რომ ერთადერთი ხელშესახები შეთანხმება შეიძლება იყოს შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ. მაგრამ აქაც: მოსკოვის ხელისუფლებაში მყოფი სამხედრო-პოლიტიკური ელიტა დაჟინებით თვლის (კარნეგის ცენტრის დირექტორის, დიმიტრი ტრენინის აზრით), რომ შეერთებულ შტატებს აქვთ დამალული სამოქმედო გეგმა: გაანადგურონ რუსეთი. ეს პარანოიული ხედვა გამომჟღავნდა უსაფრთხოების კრემლის მიერ დამტკიცებულ ახალ სტრატეგიულ ხედვაში (2009 წლის მაისი), რომლის მიხედვით, შეერთებული შტატები რჩება ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ საფრთხედ.

ადვილია, დააჭირო „გადატირების“ ლილაკს. სიძნელე ორი ქვეყნის „ხისტი მესხიერების“ ფუნდამენტურ შეუთავსებლობაშია. რუსეთსა და ამერიკას არა აქვთ არც ერთი და იგივე პოლიტიკური სისტემა, არც ერთი და იგივე მიზნები და ღირებულებები. საერთო ეკონომიკური

ინტერესების არარსებობის პირობებში, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის მთელი ტილო დამორჩილებულია უსაფრთხოებას და გეოპოლიტიკას, რაც ნიშნავს, რომ ის არის სიამაყის და მბრძანებლობის აკვიატებული იდეის მძევალი. ამდენად ეს არის „ხისტი მესხიერების“ პრობლემა, – წერს ანდრეი ზოლოტოვი, „რია ნოვოსტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

რუსეთის პოზიცია ორაზროვანია: ერთდროულად დასავლეთთან და დასავლეთის წინააღმდეგ. პოლიტიკურმა ელიტამ ისწავლა დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობა, მაგრამ ერის კონსოლიდაციისათვის მას სჭირდება მტრების დასახელება, საკუთარი თავის წარმოჩენა ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრედ.

უკანასკნელ წლებში მოხდა დასავლეთთან ურთიერთობის ამკარა გაცივება. ის განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მომენტში, რის მერეც მოსკოვმა აღიარა საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონი. ამ მიმართულებით ჩიხი ტოტალურია. ათასობით რუსი სამხედრო დამკვიდრდა აქ ხანგრძლივი ვადით; ამავე დროს ბელარუსმაც კი, რუსეთის ტრადიციულმა მოკავშირემ, არ აღიარა ამ ქვეყნების არსებობა. „რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ პერიფერიაზე გაიჩინოს ქვეყნები – ვასალები. და თუ ეს შეუძლებელი იქნება, შექმნას სუსტი ქვეყნების არასტაბილურობის სარტყელი. ეს პოლიტიკა არის ინსტრუმენტი, რომლითაც ხელისუფლება ცდილობს, შეინარჩუნოს არქაული და ავტოკრატიული რეჟიმი, რომლის ფესვები მე-19 საუკუნეშია“, ამბობს ლიდია შევცოვა, კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსი. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, რუსეთს აწუხებს ნატო-ს გაფართოება, რომელსაც ის ალყის შემორტყმად აღიქვამს.

გაბრუებულს ენერჯის მიმწოდებლის როლით, რუსეთს აქვს ამბიცია, ყველაზე ავტორიტარულ რეჟიმებთან ერთად (ჩინეთი, ირანი, ვენესუელა), გახდეს 21-ე საუკუნის ძირითადი მოთამაშე, რომელიც შეძლებს შეენიან-



3 ივლისს, „ამერიკის გეგობართა კლუბმა“ ამერიკის დამოუკიდებლობის 233-ე დაბადების დღე აღნიშნა.



აღმდგომის დასავლეთის ჰეგემონიას. მაგრამ ამ ამბიციას აქარწყლებს ორი ფაქტორი. მიუხედავად ნავთობდოლარებით მოპოვებული სიმდიდრისა, მას არა აქვს წონა მსოფლიო ეკონომიკაში, რომელშიც მისი წვლილი 2% -ს შეადგენს. გარდა ამისა, ის ერთადერთი ინდუსტრიული ქვეყანაა, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა კლებულობს უკანასკნელი 40 წლის მანძილზე. განსაკუთრებით დაბალია მამაკაცებისთვის (61%), ის უკავშირდება ალკოჰოლის და თუთუნის ჭარბ მოხმარებას და ჯანმრთელობისთვის გამოყოფილი თანხების სიმცირეს. მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, 148, 9 მილიონი 1993წ. და 141,9 მილიონი 2009 წელს. სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, 2025 წლისთვის ქვეყანა დაკარგავს 11 მილიონ მაცხოვრებელს“.

ჩემი აზრით, სტატიაში რუსეთის ძირეული პრობლემებია ასახული. 2% მსოფლიო ეკონომიკაში, სიცოცხლის ხანგრძლივობის ძალიან დაბალი დონე და მოსახლეობის კატასტროფული კლება უმთავრესად საყოველთაო ალკოჰოლიზმის გამო! შეიძლება ასეთი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ჰეგემონის როლისაკენ მიისწრაფოდეს?

ალბათ კიდევ უფრო საინტერესოა დასავლეთის პრესის გამომხატურება სამიტის დასრულების შემდეგ. „დეილი ტელეგრაფში“ დაბეჭდილია წერილი სათაურით: „ობამა აფრთხილებს კრემლს და ეუბნება, რომ საქართველოს აქვს უფლება, გახდეს ნატოს წევრი“.

ნაწყვეტები სტატიიდან: „პრეზიდენტმა ობამამ გამოიწვია რუსი მასპინძლების აღშფოთება, როცა მან დაიცვა საქართველოს უფლება ნატოში შესვლისა და გააკრიტიკა კრემლი, იმის გამო, რომ მას სურს, იბატონოს თავის მეზობლებზე.“

თავისი პრეზიდენტობის მესამე უმნიშვნელოვანეს გამოხატვაში, რომელიც შედგა მოსკოვში და საგარეო პოლიტიკას ეძღვნებოდა, მან მძლავრად დაიცვა ქართული და უკრაინული დამოუკიდებლობის პრინციპი.

საქართველო, რომელშიც რუსეთი

შეიჭრა შარშან ზაფხულში, იყო ვიზიტის მეორე დღის მრავალჯერადი თემა – ბოლო დროს გაძლიერდა შემფოთება იმასთან დაკავშირებით, ხომ არ აპირებს კრემლი ახალი სამხედრო კამპანიის წამოწყებას საქართველოს პროდასავლელი პრეზიდენტის – სააკაშვილის განდევნის მიზნით.

რუსეთის ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვნად გამოაცხადა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები „თავისი ინტერესების პრივილეგირებულ სფეროდ“. მაგრამ ობამამ დაგმო ამგვარი მიდგომა, რასაც მან უწოდა ინტერესთა სფეროების განაწილების მე-19 საუკუნის დროინდელი ფილოსოფია.

„ძლიერი ქვეყანა არ ამჟღავნებს თავის ძალას სხვა ქვეყნების დამორჩილებით ან მათი დემონიზირებით“, – თქვა ობამამ.

აუდიტორიამ მხოლოდ ერთხელ დაუკრა ტაში ობამას. ეს გამოსვლა არ გადასცა არც ერთმა სატელევიზიო არხმა, რომლებსაც – ყველას უკლებლივ – სახელმწიფო აკონტროლებს. კომენტატორები ამბობენ, რომ ეს იყო ობამამანიის თავიდან აცილების სურვილი.

პრეზიდენტის მისიას ართულებდა მისი შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან, რომელიც მან წინა კვირას გააკრიტიკა, როგორც ადამიანი, რომელსაც ერთი ფეხი წარსულში აქვს“.

ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის ასეთი ქარიზმული, საყოველთაოდ აღიარებული და არსებითად პროგრესული პრეზიდენტის სიტყვებს. მაგრამ არსებობს ფაქტორი ხელისუფლებისა, რომელსაც მიმართავს ობამა. როგორც წერს „ლოს ანჯელეს თაიმსი“: „ის, რაც პრეზიდენტმა ობამამ უთხრა მოსკოვის აუდიტორიას და ის, რაც გაიგონა რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ, შეიძლება არ იყოს ერთი და იგივე – მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები მის დასარწმუნებლად იყო გამოზნული“.

და „ობტივიზმისკენ მოქცეული“

ვუდი ალენი კი თავისი ახალი ფილმით „Whatever works“ (რაც, ალბათ, დაახლოებით ასე უნდა ითარგმნოს: „როგორც გამოვა“), თავისი განუმეორებელი სტილით, სიმსუბუქით, თავისუფლებით და მოულოდნელი სიხალისით გვინერგავს რწმენას, რომ ეს ცხოვრება მშვენიერია თავისი სულ უზრალო, ხშირად პრიმიტიული გამოვლინებებით; რომ ჩამოყალიბებულმა მიზანტროპმა შეიძლება გაუგოს გემო ამქვეყნიურ არსებობას, აღიაროს ადამიანური ურთიერთობების და სიყვარულის ძალა; სამხრეთის მკვიდრი, მკაცრი წესების და აკრძალვების მიმდევარი ქალი ეროტიკული ფოტოგამოფენის ავტორად და თავისუფალი სექსუალური ცხოვრების აპოლოგეტად იქცეს; მისმა ასეთივე კონსერვატორმა და სამხრეთული ტრადიციების დამცველმა ქმარმა უეცრად აღმოაჩინოს, რომ მთელი სიცოცხლე კაცებისკენ მიიღტვოდა, და ამ აღმოჩენით გახდეს ბედნიერი... და კიდევ ბევრი მოულოდნელი რამ შეიძლება მოხდეს ადამიანების ცხოვრებაში. ამისათვის საკმარისია, უკუაგდო აღზრდით, თუ გარემოცვით ჩანერგილი ტაბუები, გათავისუფლდე შინაგანად, მისცე გზა მიდრეკილებებს, რომლებიც ჩამალულია შენში და ცხოვრება ხდება თავბრუდამხვევი, მხიარული თავგადასავალი, სადაც, თუ თავის მოსაკლავად გადახტები ფანჯრიდან (რასაც აკეთებს ფილმის გმირი, მიზანტროპი – ვუდი ალენის ალტერ ეგო), უსათუოდ დაეცემი ქალს, რომელიც თურმე განგებით შენთვის იყო განკუთვნილი და რომელმაც, როგორც მედიუმმა, ალბათ იცოდა კიდევ, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო, და ეს გახდება შენი ახალი ცხოვრების დასაბამი...

ჩვენი არსებობის ტრაგიკული ასპექტების გათვალისწინებით, ძალიან გირჩევ, მკითხველო, როგორც კი გექნება შესაძლებლობა, ნახო ვუდი ალენის ფილმი უზრალოდ იმისათვის, რომ დაისვენო, გახალისდე და გაიხსენო, რომ შენც, შენც გაქვს უფლება, იყო შენი თავის გამგებელი და შეიგრძნო ამქვეყნიური ცხოვრების გემო.

SOPRO'SS

boutique hotel



ბანსაკუთრებული დასვენება ბანსაკუთრებული სტუმრებისთვის

Sopro'ss Boutique Hotel – ეს არის სრულიად ახალი კონცეფციის სასტუმრო ბაკურიანში. მისი იდეა ალპურ ბუტიკ-სასტუმროებს მოგაგონებთ: პატარა, მყუდრო სასტუმრო, არაჩვეულებრივი დიზაინით, ოჯახური მომსახურებითა და განუმეორებელი კომფორტით.

სასტუმროს ადგილმდებარეობაც უნიკალურია – კობცასთან ახლოს, სამივე მხრიდან შემორტყმული ტყით, დიდი და ლამაზი ეზოთი.

Sopro'ss Boutique Hotel-ის რესტორანიც გამორჩეულია – ეს ოჯახური სამზარეულოა, რომელიც თქვენი დაკვეთით მოგიმზადებთ სასურველ უგემრიელეს კერძებს.

გვესტუმრეთ წელიწადის ნებისმიერ დროს და დაისვენეთ მყუდრო, კომფორტულ გარემოში, ისიამოვნეთ ულამაზესი ბუნებით და ამასთან, მიიღეთ მაღალი კლასის მომსახურება!

სასტუმროს მისამართი: დაბა ბაკურიანი, წრიულის (კობა ნაქაძის) 11 (ძველი „ბურევესტნიკის“ ტერიტორია).

რეზერვაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი: (895) 97 53 98, (895) 97 53 99, (895) 94 09 73

ელ-ფოსტა: sopross@mail.ge



რადიო „უცნობი“ წარმოგიღებათ დილის გადაცემას „დილა მშვიდობისა“

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოკითხვები
- მატარის სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID:ucnobidila



www.ucnobifm.ge

VONG
asian fusion



BRASSERIE
L'EXPRESS

café BELLE DE JOUR • 'Mikhi' 木 1000000 • BUFFET

29/31 I. Abashidze st.
14 Chardin st.
T: 109 111



WWW.LIBERALI.GE
